# ქართული ენა

# 12

## მასწავლებლის წიგნი

სახელმძღვანელო გრიფირებულია
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2013

ქართული ენის მეთორმეტე დონის სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნისაგან კომპაქტ დისკთან ერთად.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში.

ავტორი: მარიკა სიხარულიძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
დალი გვენცაძე-კაკაბაძე

დიზაინერ - დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013

# ქართული ენა

## XII დონე

## მასწავლებლის წიგნი

## სარჩევი


1. შესავალი ................................................................4
2. XII დონის სახელმძღვანელოს კომპონენტების ჩამონათვალი ......................5
3. XII დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა .....................................6
4. სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები ..........................7
5. მეთოდიკური რეკომენდაციები ..............................................7
6. შეფასება ..............................................................8
7. ტიპური აქტივობების/გაკვეთილების ნიმუშები .................................9
8. „წავიკითხოთ და გავიაზროთ“, „პროექტი“ ......................................11
9. მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფცია .......................................106
10. მიზნებისა და შინაარსის რუკა ...........................................114
11. ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი, XII დონე ..........................117

# 1. შესავალი

არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოების სერია “ქართული ენა” თორმეტი დონისაგან შედგება. XII დონის სახელმძღვანელოს მოცემული კომპონენტი — “მასწავლებლის წიგნი” სასარგებლო დიდაქტიკური რჩევებისა და მეთოდიკური ორიენტირების კრებულს წარმოადგენს. ის მასწავლებლის გზამკვლევის როლს ასრულებს მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და აუდიომასალის მართებულად გამოყენებისათვის.

სახელმძღვანელოს დიდაქტიკური მიზნების მკაფიოდ წარმოსაჩენად მასწავლებლის წიგნი შეიცავს მოსწავლის წიგნს შემცირებული ფორმატით, ცალკეული დავალებების შესასრულებლად საჭირო კომენტარებითურთ და აუდიომასალის ტექსტობრივი ტრანსკრიფციებითურთ.

# 2. XII დონის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება ოთხი კომპონენტისაგან:




1. მოსწავლის წიგნი, რომელიც შედგება ექვსი თემატური ერთეულისაგან.




2. მოსწავლის რვეული, რომელიც შედგება მრავალფეროვანი სავარჯიშოებისგან და ხელს უწყობს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მასალის ათვისებას.




3. აუდიო კომპაქტ-დისკი, რომელიც შეიცავს მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერებს.




4. მასწავლებლის წიგნი - რომელიც, აღწერს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო დიდაქტიკურ პრინციპებს.

# 3. XII დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა

## სახელმძღვანელოს 4 თემატური ერთეული:



პირველი ნაბიჯები



გამოძიება (I თავი)



ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას (II თავი)



ვისწავლოთ ერთად ცხოვრება (III თავი )

# 4. სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები

"ქართული ენა" არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა აგებული და ქართულის, როგორც მეორე ენის, თორმეტდონიან საგნობრივ პროგრამას შეესაბამება.

სახელმძღვანელო თანამედროვე დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებითაა შექმნილი და ხელს უწყობს მოსწავლის საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა და ენობრივი ცოდნის ათვისებას. მასალა ითვალისწინებს ოთხივე სამეტყველო უნარ-ჩვევის გამომუშავებას: სათანადო ადგილი ეთმობა როგორც მოსმენასა და კითხვას, ისე ლაპარაკსა და წერას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმძღვანელოს ენობრივი ნაწილი, იმის გათვალისწინებით, რომ გრამატიკული მასალის სწავლება I-IX კლასების სახელმძღვანელოებში კონტექსტიდან გამომდინარე ხდებოდა და მოსწავლეს საშუალება ეძლეოდა, დაკვირვებოდა, გაეზიარებინა და გამოეყენებინა ესა თუ ის გრამატიკული კონსტრუქცია, ხოლო გრამატიკული სტრუქტურები მარტივად აღქმადი და ფუნქციურად დასაბუთებული ნაწილების სახით იყო წარმოდგენილი. სერიის წინამორბედი დონეებისაგან განსხვავებით, მოცემული მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელო განვლილი გრამატიკული მასალის ერთგვარ სისტემატიზაციას უწყობს ხელს: ის შეიცავს გრამატიკულ ჩანართებს, რომლებიც ენობრივი კომპეტენციების დაუფლება-გადამეორებისათვისაა გათვალისწინებული და მოხერხებულად აწვდის მოსწავლეს ქართული ენის გრამატიკის ფუნქციურ ასპექტს.

რაც შეეხება ლექსიკას, სახელმძღვანელოს ფარგლებში არსებული ლექსიკური მასალის მიწოდების პრინციპი ასათვისებელი კონტექსტიდან გამომდინარეობს. სახელმძღვანელოს აგებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ქართული ენის კულტურული და სოციოკულტურული რეალიების ინტეგრაცია სასწავლო მასალის საკომუნიკაციო მიზნებთან. გარდა ამისა, სახელმძღვანელო უხვად გვთავაზობს მსოფლიო კულტურის თანამედროვე თუ ისტორიულ კონტექსტებს, რაც მოსწავლის ინტერკულტურული კომპეტენციის მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება და სამოქალაქო განათლების ასპექტებს შეიცავს.

# 5. მეთოდიკური რეკომენდაციები

## მოსმენილის გაგების უნარის განვითარება

მოსმენის პროცესის სწორად წარსამართავად მნიშვნელოვანია მოსასმენი ამოცანების მკაფიოდ დასახვა მოსწავლეთათვის, რათა მათ კონკრეტული ორიენტირები ჰქონდეთ მოსმენილი ავთენტური საუბრის გასაგებად და გასააზრებლად. იმისათვის, რომ მოსწავლემ დაზუსტებით იცოდეს, რა ტიპის ინფორმაციის გაგება ევალება ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, მას კონკრეტული ინსტრუქცია ესაჭიროება. მოსასმენი დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია მოსასმენი აუდიომასალის, სულ ცოტა, ორჯერ მოსმენინება, რათა მოსწავლეებს შესრულებული სამუშაოს კონტროლის საშუალება მივცეთ. აღსანიშნავია, რომ მოსასმენი ტექსტების სიმრავლის გათვალისწინებით, მოსმენის კომპეტენცია წინამორბედ საფეხურებთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე ინაცვლებს მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში.

## წაკითხულის გაგების უნარის განვითარება

აღსანიშნავია, რომ საკითხავი ტექსტების სიმრავლის გათვალისწინებით, კითხის საკომუნიკაციო კომპეტენცია წინამორბედ საფეხურებთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე ინაცვლებს მოცემული დონის სახელმძღვანელოს ფარგლებში. მნიშვნლოვანია წაკითხულის გაგებაზე ორიენტირებული სტრატეგიები, კითხვის, საკომუნიკაციო უნარის, გასავითარებლი რჩევები, მიდგომები, სქემები და სხვა, რაც სახელმძღვანელოში მრავლადაა მოცემული.

## ზეპირი მეტყველება

სახელმძღვანელო ითვალისწინებს მრავალმხრივ სამეტყველო აქტივობებს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის, როგორც საკომუნიკაციო უნარების, ისე ლექსიკური მარაგის რეალიზების თვალსაზრისით. მასწავლებლის მხრიდან საჭიროა არამარტო დისკუსიის წამოწყება, არამედ არგუმენტირებული მსჯელობისათვის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო სიტუაციების ინიცირება. გადამწყვეტია მოსწავლეებისათვის შეცდომებისადმი შემწყნარებლობითი დამოკიდებულების გაღვივება, რათა ისინი არ დაბრკოლდნენ ამა თუ იმ საკომუნიკაციო სიტუაციაში მონაწილეობისას და ზეპირი მეტყველებისას თამამად გამოხატონ საკუთარი მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, რის საშუალებასაც სახელმძღვანელოში ჩადებული აქტივობები უხვად გვთავაზობს.

**წერითი მეტყველება**

სწავლა-სწავლების მოცემულ ეტაპზე წერითი პროდუცირების უნარის გაღრმავება ხდება. სახელმძღვანელო მოსწავლეებს ისეთ წერით საკომუნიკაციო ტიპის დავალებებს სთავაზობს, სადაც მათ საშუალება ეძლევათ, დამოუკიდებლად მიეჩვიონ წერით მეტყველებასა და წერითი სტრატეგიების გამოყენებას. მოსწავლეები, წერითი მეტყველების სტრატეგიების დაუფლებასთან ერთად ეჩვევიან პროდუცირებისათვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებას.

# 6. შეფასება

აკადემიური მიღწევების შეფასება სწავლა-სწავლების პროცესში მრავალმხრივად უნდა მოხდეს, რაც ხელს უწყობს როგორც მოსწავლის განვითარებასა და მისი პოტენციალის გამოვლენას, ისე სწავლა-სწავლების ხარისხის კონტროლს.

მასწავლებლის ხელთაა შეფასების ორი ტიპი — **განმსაზღვრელი** და **განმავითარებელი**.

**განმსაზღვრელი შეფასების** მეშვეობით მასწავლებელი აკონტროლებს სწავლის ხარისხს დასახულ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში და განსაზღვრავს აკადემიურ მოსწრებას. განმსაზღვრელი შეფასება სწავლის შედეგებზეა ორიენტირებული. ის ფასდება ქულით (ნიშნით).

**განმავითარებელი შეფასება** აფასებს მოსწავლის სწავლის დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასების მიზანია **სწავლის პროცესის** და არა **სწავლის შედეგის** კონტროლი. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლე არ ფასდება ქულით (ნიშნით). მასწავლებელი მას აფასებს ზეპირი ან წერითი რეკომენდაციით, რჩევა-დარიგებით და სხვა. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში, თავის მხრივ, მოსწავლეს საშუალება ეძლევა, შეაფასოს საკუთარი და თანაკლასელების მიღწევები **თვითშეფასებისა** და **თანაშეფასების** სქემის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ხარვეზების გამოაშკარავებას და მიღწევების გაუმჯობესებას.

**შემაჯამებელ შეფასებას** სამი კომპონენტი განსაზღვრავს: **საშინაო დავალება, საკლასო დავალება** და **შემაჯამებელი დავალება**. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, ხოლო შემაჯამებელი დავალების კომპონენტი მხოლოდ განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უშუალოდ უკავშირდება სწავლის შედეგს. ის აფასებს ერთ სასწავლო მონაკვეთს – იქნება ეს სახელმძღვანელოს თემატური ერთეული, ქვეთავი, ცალკეული აქტივობა თუ სხვა პირობითი სასწავლო ერთეული. ყოველი ზემოხსენებული კონკრეტული სასწავლო ერთეული უნდა წარმოაჩენდეს ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარებს.

**შემაჯამებელი დავალების ტიპები**

შემაჯამებელი შეფასებისათვის მრავალგვარი დავალების გამოყენებაა შესაძლებელი. გთავაზობთ მათ ძირითად ტიპებს:

- მოსმენილის გაგების შემოწმება;
- წაკითხულის გაგების შემოწმება;
- წერითი ნამუშევარი;
- ზეპირი ინტერაქცია: სიმულაციური სიტუაციის გათამაშება/როლური თამაში; გაბმული საუბარი კონკრეტულ თემაზე;
- პრეზენტაცია;
- პროექტი.

**შემაჯამებელი დავალების შედგენის კრიტერიუმები**

დავალება უნდა ეყრდნობოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. დავალებას უნდა ახლდეს **შეფასების რუბრიკა**, სადაც კრიტერიუმების ჯამური ქულა 10-ს შეადგენს. შეფასების რუბრიკის შედგენა შემდეგი ზოგადი პარამეტრების გათვალისწინებით ხდება:



Mascavl_Cigni_Done-12 _ 8

- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები;
- ენობრივი ცოდნა;
- პირობასთან შესაბამისობა;
- შემოქმედებითი უნარები

  და სხვა.

როგორც ზეპირი, ისე წერითი მეტყველების უნარების შეფასებისას უნდა დავეყრდნოთ სამი კატეგორიის კრიტერიუმს: პირობასთან შესაბამისობას, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებსა და ენობრივ უნარ-ჩვევებს. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შეტანა სქემაში დამოკიდებულია როგორც დავალების სპეციფიკაზე, ისე მასწავლებლის საგანმანათლებლო პრიორიტეტებზე სწავლების კონკრეტულ ეტაპზე. ენობრივ კრიტერიუმებთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეს გრამატიკული და ლექსიკური სიზუსტის დაცვა მოეთხოვება მხოლოდ განვლილ მასალასთან დაკავშირებით. თუ მან შეცდომა დაუშვა ისეთ საკითხში, რომელიც ნასწავლი არ აქვს, ამის გამო მას ქულა არ დააკლდება. აღსანიშნავია, რომ პირობასთან შესაბამისობა და საკომუნიკაციო უნარები რომ შეფასდეს, თავად დავალების პირობა უნდა იყოს კონკრეტული და ზუსტი.

## 7. ტიპური აქტივობების/გაკვეთილების ნიმუშები

**№ 1**

| საკომუნიკაციო მიმართულება: კითხვა, ლაპარაკი | აქტივობის აღწერა | მასწავლებლის ველი |
|---|---|---|
| **მიზნები** | • კითხვის უნარის განვითარება;<br>• ლაპარაკის უნარის განვითარება (გაბმულად ლაპარაკი). | |
| **რესურსები** | • სამი სხვადასხვა ტიპის (ადაპტირებული ან მოსწავლის ასაკობრივი ინტერესების მიხედვით შერჩეული) საგაზეთო პუბლიკაცია - სტატია, ინტერვიუ ან რეპორტაჟი (საშუალოდ, დაახლოებით, მესამედი საგაზეთო გვერდის მოცულობის);<br>• ფერადი მარკერები. | |
| **მსვლელობა (აქტივობის ფაზები)** | 1. მასწავლებელი კლასს ყოფს სამ ჯგუფად და ყოველ ჯგუფს ურიგებს თითო საგაზეთო პუბლიკაციას მოზარდთათვის განკუთვნილი თემატიკის გათვალისწინებით. მოსწავლეებს ევალებათ 20 წუთის განმავლობაში გაეცნონ საგაზეთო პუბლიკაციას და მოახდინონ მისი დეფინიცია შემდეგი პარამეტრებით: თემატიკა (კულტურა, პოლიტიკა, სოციალური თემები და სხვ.), ტექსტის სახეობა (რეპორტაჟი, ინტერვიუ, წერილი), რუბრიკა (საინფორმაციო, აქტუალური, გასართობი) და ა.შ.<br>2. შემდგომ ეტაპზე ჯგუფებს ევალებათ გამოყონ (ფერადი მარკერით გახაზონ) ის პასაჟები, აბზაცები სადაც მათი აზრით გადმოცემულია საგაზეთო პუბლიკაციის დედააზრი, მნიშვნელოვანი გზავნილი, რის შედეგადაც აქტივობის დამაგვირგვინებელ ეტაპზე ამზადებენ მოკლე ანონსს საგაზეთო პუბლიკაციის შესახებ.<br>3. ჯგუფიდან თითო მოსწავლე კლასის წინაშე წარსდგება მომზადებული ჯგუფური დავალებით: ასახელებს სტატიის თემატიკას, რუბრიკასა და კატეგორიას და კითხულობს ჯგუფის მომზადებულ საგაზეთო პუბლიკაციის ანონსს. | |
| **ხანგრძლივობა** | 1 გაკვეთილი | |
| **საგაკვეთილო მენეჯმენტი** | • გაკვეთილის სოციალური ფორმა: ჯგუფური;<br>• მასწავლებელი წინასწარ მოიძიებს საგაზეთო პუბლიკაციებს. | |

| | | |
|---|---|---|
| **შეფასება** | • **განმავითარებელი შეფასების** შემთხვევაში, მასწავლებელს საშუალება ეძლევა შეამოწმოს მოსწავლეთა წაკითხულის გაგების უნარი, რაც დაეხმარება მას უკეთ დაინახოს ამა თუ იმ მოსწავლის სუსტი მხარეები და ხარვეზები, რაც, თავის მხრივ, გამოადგება შემდგომი აქტივობების სწორი მიმართულებით დაგეგმვაში, ამა თუ იმ მოსწავლესთან კონკრეტული უნარების გამომუშავების გზების დანახვაში.<br>• მოცემული აქტივობის **განმსაზღვრელი შეფასებისათვის** გამოდგება ჯგუფური ნამუშევარი, რომლითაც განისაზღვრება წაკითხული ტექსტის გაგების ხარისხი. მასწავლებელის გადაწყვეტილებისამებრ ფასდება ჯგუფის ცალკეული წევრი, ან ის მოსწავლეები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჯგუფების მუშაობაში (მაგალითად, ის მოსწავლე, რომელმაც სტატიის ანონსი წარმოადგინა). | |
| **მეთოდიკური რეკომენდაციები** | • დავალების შესრულებისას, სასურველია, დროის მენეჯმენტის დაცვა;<br>• მასწავლებელი ცალკეულ ჯგუფს დავალებებთან დაკავშირებით მითითებებს აძლევს მართებული ორიენტაციის მიზნით.<br>• მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობაზე ჯგუფურ სამუშაოში. | |

№ 2

| **საკომუნიკაციო მიმართულება: კითხვა, ლაპარაკი** | **აქტივობის აღწერა** | **მასწავლებლის ველი** |
|---|---|---|
| **მიზნები** | • წერის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევის განვითარება. | |
| **რესურსები** | • (სხვადასხვა დიზაინის) საინფორმაციო ბუკლეტის ნიმუშები;<br>• ფოტოაპარატი, ან ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. | |
| **მსვლელობა (აქტივობის ფაზები)** | 1. მასწავლებელი კლასს ყოფს 3-4 ჯგუფად და ავალებს მოსწავლეებს საინფორმაციო ბუკლეტის შექმნას მათთვის სასურველ თემაზე. მოსწავლეები ჩამოთვლიან სასურველ თემებს, მაგალითად: „სტერეოტიპები“, „კულტურული შოკი“, „“დასავლეთი და აღმოსავლეთი“, შემდეგ ირჩევენ მათთვის საინტერესოსა და სასურველს.<br>2. მასწავლებელი განსაზღვრავს ტექსტის ფორმატს და აჩვენებს კლასს ბუკლეტის რამდენიმე ნიმუშს. ნიმუშების მიხედვით გამოყოფს რუბრიკებს, რომელთაც უნდა მოიცავდეს მოსწავლის მიერ შექმნილი ბუკლეტი.<br>3. მოსწავლეები, სურვილისამებრ, ირჩევენ მათთვის სასურველ დიზაინს და იწყებენ მუშაობას: თითოეული რუბრიკისათვის ისინი ამზადებენ ტექსტობრივ მასალას (2-3 აბზაცი). რუბრიკის თემატიკის მიხედვით მოიძიებენ ფოტოებს; ზოგიერთ მოსწავლე, სურვილისამებრ (ან საჭიროებისამებრ) ხატავს თავისი ბუკლეტის ილუსტრაციებს.<br>4. ტექსტობრივი და თვალსაჩინო მასალის დამუშავების შემდეგ მოსწავლეები აწყობენ ბუკლეტს თანამიმდევრულად: რუბრიკების მიხედვით ალაგებენ ტექსტს, თითოეულ რუბრიკას ტექსტითურთ ისინი მიუსადაგებენ ორ-სამ ილუსტრაციას და სხვა.<br>5. ჯგუფები კლასის წინაშე წარსდგებიან თავიანთი ნამუშევრებით. | |

| | | |
|---|---|---|
| **ხანგრძლივობა** | 2 გაკვეთილი | |
| **საგაკვეთილო მენეჯმენტი** | • გაკვეთილის სოციალური ფორმა: ჯგუფური;<br>• მასწავლებელი წინასწარ მოიძიებს საინფორმაციო ბუკლეტების ნიმუშებს. | |
| **შეფასება** | • **განმსაზღვრელი შეფასება:** მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა წერითი კომუნიკაციის უნარს: რამდენად მიზნობრივია მათ მიერ შეთხზული ტექსტი, რამდენად ლაკონურია ნაწერი, რამდენად ინფორმაციული და თემასთან ადეკვატურია ნამუშევარი, რამდენად მართებულად იყენებენ მოსწავლეები ლექსიკურ–გრამატიკულ მასალას თუ ენობრივ კონსტრუქციებს, რამდენად იცავენ ორთოგრაფიის წესებს.<br>• **განმავითარებელი შეფასებისას** მოიაზრება ნაწერის იგივე კრიტერიუმებით შეფასება სიტყვიერად, ნიშნებით შეფასების გარეშე. შეცდომების, უზუსტობების ან შეუსაბამობების განხილვა მოსწავლეებთან ერთად მათი გამოსწორების მიზნით და სხვა. | |
| **მეთოდიკური რეკომენდაციები** | • მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს ბუკლეტების რუბრიკებს;<br>• ინდივიდუალურად ცალკეულ ჯგუფს აძლევს მართებულ ინსტრუქციებსა და რჩევა-დარიგებებს. | |

## 8. თემატური ერთეულების დასკვნითი ნაწილები: "წავიკითხოთ და გავიაზროთ" და "პროექტი"

### წავიკითხოთ და გავიაზროთ

სახელმძღვანელოს მოცემული რუბრიკა ნაცნობ თემატიკაზე აგებულ უცხო ტექსტებთან მუშაობას ემსახურება. XII დონის სახელმძღვანელოში განვიხილავთ წერითი ნამუშევრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს — აბზაცს.

### აბზაცი

ყველა წერითი ნამუშევარი აბზაცებისაგან შედგება. ამდენად, გამართული წერითი ნამუშევრის დასაწერად აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ აბზაცის სტრუქტურა.[1]

***აბზაცის რაობა და მისი შემადგენელი ნაწილები.*** აბზაცი წარმოადგენს წინადადებების ერთობლიობას, რომლებსაც აერთიანებს ერთი მთავარი იდეა. აბზაცი სამი ნაწილისაგან შედგება: 1) თემატური წინადადება; 2) თემატური წინადადების დამხმარე წინადადებები; 3) შემაჯამებელი/დასკვნითი წინადადება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1) წინადადებას, რომელშიც ასახულია აბზაცის მთავარი იდეა, ***თემატური წინადადება*** ეწოდება. ტრადიციულად, იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს აბზაცის დასაწყისში ან ბოლოში (აქ ჩვენ განვიხილავთ შემთხვევებს, როდესაც თემატური წინადადება აბზაცის დასაწყისშია მოცემული).

თემატური წინადადება მკითხველს წარმოდგენას უქმნის აბზაცის თემაზე, უადვილებს მას ნაწერის აღქმასა და გაგებას. თემატური წინადადება არ უნდა იყოს არც მეტისმეტად ზოგადი, არც მეტისმეტად კონკრეტული. სათანადოდ შედგენილი თემატური წინადადება მკითხველს აცნობს აბზაცის შინაარსს, მაგრამ არაფერს ეუბნება კონკრეტულ დეტალებზე.

2) აბზაცის შუა ნაწილის წინადადებებში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია თემატურ წინადადებაში ასახული მთავარი იდეის შესახებ: მაგალითები, მონაცემები, დეტალები, მისთ. მაგ., ქვემოთ მოცემული თემატური წინადადებისათვის დამატებით ინფორმაციად შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური მონაცემები, კონკრეტული დამატებითი ინფორმაცია და მისთ.

---

1 გარკვეულ შემთხვევებში, ერთი აბზაცი შეიძლება წარმოადგენდეს დასრულებულ წერით ნამუშევარსაც - ვგულისხმობთ მაგ., ე.წ. ღია შეკითხვის საპასუხოდ დაწერილი წინადადებების ერთობლიობას გამოცდაზე და/ან საკლასო დავალების შესრულების დროს. ჩვენ ამ შემთხვევებზე აქ არ შევჩერდებით.

ადეკვატური დამხმარე წინადადებების დასაწერად თემატურ წინადადებას უნდა დავუსვათ შეკითხვა. ესაა ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა თემატური წინადადების დამხმარე წინადადებების დასაწერად. მაგ., ა) თემატური წინადადება: "საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე". შეკითხვები: რის საფუძველზე ვასკვნით ამას?/რა მონაცემებს ვეყრდნობით? როგორია საშუალო საქორწინო ასაკი დღეისათვის? როგორი იყო საშუალო საქორწინო ასაკი ათი წლის წინათ? მისთ.; ბ) თემატური წინადადება: "ნამდვილ მეგობარს სამი თვისება გამოარჩევს". შეკითხვები: კერძოდ, რა თვისებები იგულისხმება? რომელია პირველი/მეორე/მესამე თვისება?, მისთ.

3) აბზაცის ბოლოში, ტრადიციულად, წარმოდგენილია ***დასკვნითი/შემაჯამებელი წინადადება***. იგი მკითხველს შეახსენებს აბზაცის მთავარ იდეას – ამ მიზნით დასკვნით წინადადებაში გამეორებულია თემატურ წინადადებაში გამოთქმული აზრი სხვა (თემატური წინადადებისაგან განსხვავებული) სიტყვების გამოყენებით. ხშირ შემთხვევებში ბოლო წინადადებაში ვხვდებით სიტყვებს/შესიტყვებებს, რომლებიც გამოყენებულია აბზაცში გატარებული აზრის შესაჯამებლად: ამგვარად, ამდენად... აქედან ჩანს, რომ... ნათელია, რომ... ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ...

***ნიმუში. აბზაცი***

თემა: თანამედროვე ქართული ქორწილი.

*(1) საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი მკვეთრად გაიზარდა ბოლო ათი წლის მანძილზე. (2) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს დაქორწინებული მოქალაქეების საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. (3) ეს მაჩვენებელი 5 წლით აღემატება ათი წლის წინანდელ მონაცემს – ამავე სამსახურის ინფორმაციით, 2002 წელს დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა. (4) ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს მოქალაქეთა საშუალო საქორწინო ასაკი უკანასკნელ ათწლეულში სერიოზული ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს.*

ზემოთ მოყვანილ სანიმუშო აბზაცში 1-ლი წინადადება წარმოადგენს თემატურ წინადადებას, მე-2 და მე-3 წინადადებები – დამხმარე წინადადებებს, მე-4 წინადადება კი – დასკვნით წინადადებას.

**შენიშვნა:** როგორც ზემოთ აღინიშნა, თემატური წინადადება არ უნდა იყოს არც ძალზე ზოგადი, არც ძალზე კონკრეტული. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე სანიმუშო აბზაცზე დაყრდნობით.

- ძალზე ზოგადი თემატური წინადადება: "ქორწინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადამიანის პირად ცხოვრებაში". ამ წინადადების მეშვეობით მკითხველი ვერ შეიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, კონკრეტულად რაზე იქნება აბზაცში ლაპარაკი. ერთადერთი დასკვნა, რომელსაც მკითხველი გამოიტანს, არის ის, რომ ადამიანები ქორწინდებიან.
- ძალზე კონკრეტული თემატური წინადადება: "საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა 20-25 წლის ასაკში ქორწინდება". ამ წინადადებაში ლაპარაკია კონკრეტულ დეტალზე, რომელიც, წესით, შემდეგში (აბზაცის შუა ნაწილში) უნდა იყოს მოყვანილი.

## <u>აბზაცების დაკავშირება</u>

წერითი ნამუშევარი ორი ან მეტი აბზაცისაგან შედგება. თუმცა გააზრებული ნამუშევრის შესაქმნელად საკმარისი არ არის მხოლოდ ცალკეული, კარგად სტრუქტურირებული აბზაცების შედგენა: მნიშვნელოვანია, რომ ეს აბზაცები იზოლირებული არ იყოს ერთმანეთისაგან. ამისათვის ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რა კავშირია ცალკეულ აბზაცებს შორის, საჭიროების შემთხვევაში კი ეს კავშირი მკითხველისათვისაც თვალსაჩინო უნდა გახადოს – გამოკვეთოს იგი ე.წ. გადასვლებით, ანუ ცალკეული სასიგნალო სიტყვების/შესიტყვებების გამოყენებით (მაგ., ამ დადებითი მხარეების გარდა, ...-ს აქვს ორი უარყოფითი მხარეც; ...-ს კიდევ ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს...; მეორე მხრივ; მისთ.).

## <u>პროექტი</u>

სახელმძღვანელოს თემატური ერთეულების ფინალური ნაწილი არაერთ საკომუნიკაციო შედეგზე ორიენტირებული პროექტის განხორციელებაში მდგომარეობს. პროექტის განხორციელება არა მარტო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ სწავლის უნარების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საწინდარია. პროექტი ხშირად კომპლექსურ ჯგუფურ სამუშაოს გულისხმობს. ის შესაძლებელია განხორციელდეს ცალკეული მოსწავლის მიერაც, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროექტი, თავისი არსით, გუნდური მუშაობისათვის ხელსაყრელი დავალებაა, რაც მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისათვისაა მნიშვნელოვანი.

გთავაზობთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მეთოდიკურ ორიენტირებსა და კრიტერიუმებს, აგრეთვე შეფასების რუბრიკის ნიმუშს:

1. შეარჩიეთ პროექტის თემა/სათაური, მაგალითად, სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თემატური ერთეულიდან „ადამიანი და გარემო“.
2. გამოკვეთეთ პროექტის მიზნები, მაგალითად: **პრეზენტაცია თემაზე “პოლიტიკური დებატები”.**
3. დაასაბუთეთ კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ამა თუ იმ მიმართულების შედეგები, ინდიკატორები).
4. დაადგინეთ პროექტის ხანგრძლივობა (მოცულობიდან გამომდინარე, 2-3 გაკვეთილი).
5. მიუთითეთ რესურსები: სახელმძღვანელო, ვებ-გვერდები, ნაბეჭდი მასალები (მაგ., ბიბლიოთეკიდან), მათ შორის სხვა დისციპლინებიდან (მაგ. ისტორია).
6. აღწერეთ პროექტის მსვლელობა (აუხსენით მოსწავლეებს საჭირო აქტივობათა თანამიმდევრობა).
7. დააჯგუფეთ პროექტში მონაწილე მოსწავლეები, მაგალითად, 4-5 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად.
8. დანიშნეთ ჯგუფების პასუხისმგებელი პირები, ან თავად გაანაწილეთ ჯგუფური სამუშაო.
9. შეადგინეთ პროექტის შეფასების რუბრიკა და გააცანით ის მოსწავლეებს.

**პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის ნიმუში**

| კრიტერიუმები | 1—4 დაბალი | 5—6 საშუალო | 7—8 კარგი | 9—10 საუკეთესო |
|---|---|---|---|---|
| წერითი დავალების საკომუნიკაციო მიზნებთან შესაბამისობა | | | | |
| მასალის ენობრივი გამართულობა | | | | |
| ვიზუალური მხარე | | | | |
| ინფორმაციის სანდოობა/სიზუსტე | | | | |

## პირველი ნაბიჯები

გვ. 4

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში მოყვანილ სიტყვებს და ახარისხებენ მათ უარყოფითი და დადებითი მნიშვნელობის ნიშნით. გარდა ამისა, ისინი განასხვავებენ სხვა მახასიათებლებსაც: შინაგანი ბუნება, გარეგნობა, ქცევა.
2. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციებს და წინა დავალებაზე დაყრდნობით ახასიათებენ ამა თუ იმ პერსონაჟს, საუბრობენ მათ გრძნობებსა და განცდებზე.



### პირველი ნაბიჯები

ცხოვრება ქუჩაში

1. გაეცანი ქვემოთ მოცემულ სიტყვებს და დააზუსტე მათი მნიშვნელობები. დაალაგე ისინი დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით.

   მიუთითე, რას უსვამენ ისინი ხაზს – შინაგან ბუნებას, გარეგნობას, ქცევას.

   თანაგრძნობა ყურადღება გულგრილობა სითბო სიძულვილი
   ძალადობა მზრუნველობა სიბრალული მტრობა გულმოწყალება

2. დააკვირდი ფოტოებს. გამოიყენე წინა დავალებაში მოცემული მასალა და ისაუბრე მათ შესახებ. რა აკლიათ ამ ბავშვებს? რას ამჟღავნებენ ისინი? რას განიცდიან?







„ნუ გეშინიათ მტრების, უარეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, მოგკლან!

ნუ გეშინიათ მეგობრების, უარეს შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, გიღალატონ!გეშინოდეთ გულგრილი ადამიანებისა!

ისინი არც კლავენ, არც ღალატობენ, მაგრამ მხოლოდ მათი ხელშეწყობით არსებობს ყოველგვარი ბოროტება დედამიწაზე!“





3. რა არის გულგრილობა? როგორი რეაქცია აქვთ გულგრილ ადამიანებს ფოტოებზე ასახულ სიტუაციებში? როგორ იქცევიან და რას ამბობენ ისინი ასეთ დროს?
4. გაეცანი მეწყვილესთან ერთად ზემოთ მოცემულ მოსაზრებებს. იზიარებთ თუ არა მათ და რატომ?
   როგორ ფიქრობ, არის თუ არა დანაშაული საზოგადოების მხრიდან გულგრილობა და პასიურობა? რაში მჟღავნდება, შენი აზრით, ეს გულგრილობა?
5. ზურამ გადაწყვიტა ფორუმზე ახალი თემის გახსნა და ამ თემით დაინტერესებულ ყველა პირს სთხოვა, გამოეთქვათ საკუთარი პოზიცია. გადახედე ფორუმის გვერდს და დაასახელე, რის შესახებ ითხოვს ზურა აზრის გამოთქმას?
6. წაიკითხე, რას წერენ ფორუმის სტუმრები და შეასრულე დავალებები რვეულში.

| რატომ გადიან ბავშვები ქუჩაში? | |
|---|---|
| ნ. ბერიძე | ის, ვინც სახლში კარგავს სითბოსა და სიყვარულს, მას ქუჩაში ეძებს. ქუჩა კი სასტიკია. მას თავისი კანონები აქვს. არავინ იცის, აქ მათ რა ბედი ეწევათ. |
| ნინო დ | სულაც არ არიან ისინი აგრესიულები. ისინი აქ საკუთარი გადარჩენისთვის იბრძვიან. აქ ყველა მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს. |
| გურამი, 43 წლის | ეს არის სამყარო, რომელიც მათ დანაშაულისა და არაჯანსაღი ცხოვრების წესისაკენ უბიძგებს; ამ სამყაროს ჩვენ ყოველდღიურად ვეხებით, მაგრამ რატომღაც გვერდს ვუვლით. |
| ლაშა, X კლასი | ისინი თავისუფლებას ეძებენ ქუჩაში. |
| ლია, დიასახლისი | რატომ ქუჩაში? იმიტომ, რომ მათ სხვა არჩევანი არ აქვთ. მათთვის გამოსავალი ქუჩა და ქუჩაში მათხოვრობაა. როგორია ამ დროს გამვლელების რეაქცია? ზოგი გულგრილად, ზოგი კი ზიზღით უყურებს მათ ... |
| მაკა, სოციალური მუშაკი | ძალიან ძნელია, მოიპოვო მათი ნდობა და, თუ ბოლოსდაბოლოს მოიპოვე, შეგიძლია, ჩათვალო, რომ მათი საუკეთესო მეგობარი ხარ. |
| ნანა, ფსიქოლოგი | ქუჩის ბავშვების შემთხვევაში, მათი ყველა უფლება ირღვევა. ისინი ვერ იღებენ განათლებასა და სამედიცინო მომსახურებას. ხშირ შემთხვევაში კი ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. |



## გვ. 5

### მოსწავლის წიგნი

3. გრძელდება ზეპირი ილუსტრაციების მიმოხილვა დავალებაში მოცემულ შეკითხვებზე დაყრდნობით.
4. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა წყვილებად. მეწყვილეები მსჯელობენ მეოთხე გვერდზე ჩარჩოში მოცემული ციტატების შესახებ. ისინი აყალიბებენ მოსაზრებებს და იშველიებენ არგუმენტებს.
5. მოსწავლეები ეცნობიან ფორუმს. ტექსტის გაცნობითი წაკითხვის შემდეგ ასახელებენ თემას.
6. მოსწავლეები დეტალურად ეცნობიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 4 № 1 — გვ. 5 № 3: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალებების სერია.

გვ. 6 № 1, 2, 3: სრულდება ლექსიკის ათვისება-გამეორებაზე ორიენტირებული დავალებები.

გვ. 6

## მოსწავლის წიგნი

1. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა ჯგუფებად. დავალებაში მოცემულ შეკითხვებზე დაყრდნობით, ჯგუფები მუშაობენ საერთო პოზიციების შეჯერებაზე, რომლებსაც აცნობენ კლასს.
2. ა-გ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით, კლასი ებმება დისკუსიაში.
3. მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში მოყვანილ გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიშს და ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ჯგუფურად განიხილავენ ზემოხსენებული ორგანიზაციის საქმიანობას.
4. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები იხსენებენ/თავს უყრიან ინფორმაციას იუნისეფის შესახებ.
5. ვერსიების გადასამოწმებლად ისინი ისმენენ ტექსტს გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ.

## მოსწავლის რვეული

გვ. 7 № 4 — 7: სრულდება მოსმენილი ტექსტის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

პირველი ნაბიჯები

1. **დაიყავით მცირე ჯგუფებად და მოამზადეთ თქვენი პოზიციები მოცემულ შეკითხვებთან დაკავშირებით:**
   - შენ როგორ ფიქრობ, არის თუ არა ქუჩა გამოსავალი?
   - რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ იმისათვის, რომ ეს ბავშვები იმავე საზოგადოების წევრებად იქცნენ?

   **ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და გააცანით სხვა ჯგუფებს. დაასაბუთეთ სათანადო არგუმენტებით.**
2. **იმსჯელე მოცემული შეკითხვების გარშემო და დაასაბუთე შენი მოსაზრება, რატომ ფიქრობ ასე.**
   ა. როგორ ფიქრობ, რამდენი ბავშვი ცხოვრობს ქუჩაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით?
   ბ. არსებობს თუ არა ამის სტატისტიკა და, თუ არ არსებობს, რატომ?
   გ. გაიზარდა თუ შემცირდა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების რიცხვი და რაზეა, შენი აზრით, ეს დამოკიდებული?
3. **გაეცანი ინფორმაციას და შეამოწმე შენი ვერსია.**

გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდის UNICEF-ის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, ქუჩის ბავშვების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია, თუმცა 1989 წლის მონაცემებთან შედარებით, ის, დაახლოებით, 10 მილიონითაა გაზრდილი, ანუ დღეს ქუჩაში თითქმის 110 მილიონი ბავშვი ცხოვრობს, მათგან თითქმის 30 მილიონი აფრიკაშია, ამდენივეა აზიაში, 50 მილიონი კი სამხრეთ ამერიკაშია.

4. **დააკვირდი სურათს. რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას? დაიყავით ჯგუფებად და მოემზადეთ პასუხისათვის. გააცანით თქვენი აზრი ერთმანეთს და დაასაბუთეთ.**



5. **გაიხსენე მეწყვილესთან ერთად ინფორმაცია იუნისეფის შესახებ და ისაუბრე მისი ძირითადი საქმიანობის შესახებ. მოისმინე და შეამოწმე თქვენი ვერსია.**

6

პირველი ნაბიჯები

6. 🎧 დააკვირდი ფოტოებს. ვინ არიან და რა სფეროში მოღვაწეობენ ეს ადამიანები? როგორ ფიქრობ, რა აერთიანებთ მათ? მოისმინე და შეამოწმე შენი ვარაუდი.



7. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დააკავშირე შესაბამის ადამიანთან. გამოკვეთე მისი, როგორც კეთილი ნების ელჩის, საქმიანობა. შეასრულე დავალებები რვეულში.

**1.** მან ჯერ კიდევ 1991 წელს მეგობრებთან ერთად ობოლი ქართველი ბავშვების დასახმარებლად ლოზანაში საქველმოქმედო კონცერტი გამართა. 2004 წლიდან კი საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ჩაუდგა სათავეში. ფონდის მხარდაჭერით, არაერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტი იმართება როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამ ტელემარათონში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს საოპერო მომღერლებიც. კონცერტებიდან მიღებული შემოსავალი კი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ხმარდება.

**2.** ის საქველმოქმედო საქმიანობით მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა დაკავებული. არის გაეროს მშვიდობის ელჩი და იუნისეფის პრეზიდენტი. კინოვარსკვლავი ყოველწლიურად უზარმაზარ თანხას რიცხავს მზრუნველობასმოკლებული ბავშვებისა და დაუცველი ხალხის გადასარჩენად. ეხმარება ჯარისკაცებს. ჩადის ისეთ ცხელ წერტილებში, როგორებიცაა: ერაყი, პაკისტანი და სხვა. „მას შემდეგ, რაც ქველმოქმედებას ვეწევი, მეჩვენება, რომ ჩემი კინოვარსკვლავობა, ამასთან შედარებით, სისულელეა. მომწონს ჩემი სამსახური, მაგრამ, თუ მე ვიღაცის სიცოცხლეს გადავარჩენ, ეს მეტ სარგებელს მომიტანს. ამით ჩემს ცხოვრებას მეტი აზრი შეემატება“, – აღნიშნავს ექვსშვილიანი ოსკაროსანი ქალბატონი.

**3.** ამბობენ, რომ ის ძალიან თავმდაბალი და კეთილი ადამიანია. როდესაც მას აქებენ, პატარა ბავშვივით თავს ხრის და წითლდება. ის ხშირად სტუმრობს საავადმყოფოებსა და კლინიკებს. ამხნევებს ავადმყოფ ბავშვებსა და მათ ოჯახებს, ჩუქნის საჩუქრებს. ის საკუთარი ანგარიშიდან ხშირად რიცხავს ფულს ბავშვთა სახლებში, ხშირად სტუმრობს იუნისეფის შეკრებებს, მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებში. მისი ფონდის ორგანიზებით, 2012 წელს მექსიკაში გამართული საქველმოქმედო მატჩიდან შემოსული თანხა მთლიანად ახალგაზრდების სწავლა-განათლებას მოხმარდა.

7

გვ. 7

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

6. მოსწავლეები ასახელებენ ილუსტრაციებზე გამოსახულ მათთვის ნაცნობ გამოჩენილ ადამიანებს. ვარაუდების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს (იხ. 🎧 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი).

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 8 № 1 - 4: მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით სრულდება სავარჯიშოთა კომბინირებული სერია.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

7. მოსწავლეები კითხულობენ ჩარჩოში მოყვანილ ტექსტს და აკავშირებენ ცალკეულ მონაკვეთს (1, 2, 3) ილუსტრაციაზე გამოსახულ შესაბამის ადამიანთან.

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 9 № 5 — გვ. 11 № 4: განვლილ მასალაზე დაყრდნობით სრულდება დავალებების სერია, რომლის დაგვირგვინებაც გაეროს ბავშვთა ფონდისადმი მიძღვნილი პროექტის ტიპის აქტივობით ხდება.

გვ. 8

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ზ პუნქტები.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ე პუნქტები.



## აბზაცი და მისი სტრუქტურა

I. ზოგადი ინფორმაცია:

| | |
|---|---|
| რა არის აბზაცი? | მცირე მოცულობის ტექსტი. |
| რისგან შედგება აბზაცი? | ერთი თემის გარშემო მოცემული წინადადებებისაგან. |
| რა არის აბზაცის ფუნქცია? | ა. ახალი თემის დაწყება;<br>ბ. წინა აბზაცში მოცემული თემის გაგრძელება;<br>გ. დაწყებული თემის დასრულება. |

II. **აბზაცის ძირითადი წინადადებები:**

| | |
|---|---|
| წამყვანი წინადადება | ჩამოყალიბებულია: **ა.** აბზაცის თემა (მიუთითებს, რის შესახებ არის აბზაცში საუბარი);<br>**ბ.** მთქმელის პოზიცია საკითხის, თემის გარშემო. |
| დამატებითი წინადადებები | აქ გაშლილია, განვითარებულია წამყვან წინადადებაში მოცემული სათქმელი, აზრი, პოზიცია. |
| დასკვნითი წინადადება | აჯამებს აბზაცში მოცემულ სათქმელს, აზრს. გამოაქვს დასკვნა. |

III. წინადადებების ურთიერთობა აბზაცში:

| | |
|---|---|
| 1. | ყოველი მომდევნო წინადადება დამოკიდებულია წინამავალ წინადადებაზე. ის ავითარებს (განავრცობს) წინა წინადადებაში მოცემულ აზრს. მომდევნო წინადადებებში შეიძლება იყოს *ახსნა-განმარტება, შედარება-შეპირისპირება, მიზეზის ან შედეგის ჩვენება, მტკიცება-დასაბუთება...* |
| 2. | ყოველი მომდევნო წინადადება არ არის დამოკიდებელი წინამავალ წინადადებაზე. ისინი მხოლოდ თემატურად უკავშირდებიან ერთმანეთს. |

IV. აბზაცების ურთიერთობა ტექსტში:

| | |
|---|---|
| მთავარი აბზაცი | გადმოცემულია ძირითადი ინფორმაცია, მთავარი აზრი, სათქმელი. |
| დამხმარე აბზაცი | ავითარებს (შლის) მთავარ აბზაცში მოცემულ აზრს, სათქმელს. |
| დასკვნითი აბზაცი | აჯამებს წინა აბზაცებში გამოთქმულ აზრს, სათქმელს. |

**1. გამოიყენე სვეტში მოცემული ინფორმაცია (I, II და III) და უპასუხე შეკითხვებს.**

**ა.** რა აერთიანებს აბზაცში შემავალ წინადადებებს?
**ბ.** რა ფუნქციები აქვს აბზაცს?
**გ.** რა არის წამყვანი წინადადება?
**დ.** სად არის საუბარი წამყვან წინადადებაში მოცემულ გარკვეულ სათქმელზე, პოზიციაზე?
**ე.** რა ფუნქცია აქვს დასკვნით წინადადებას?
**ვ.** როგორ, რა გზით ხდება წამყვან წინადადებაში მოცემული აზრის გავრცობა?
**ზ.** რა ტიპის ურთიერთობები არსებობს წინადადებებს შორის აბზაცში?

**2. წაიკითხე მოცემული აბზაცი და შეასრულე მითითებები.**

1

„უმეტესად, ერთფეროვნად ვცხოვრობდით. ყოველდღე ადრიანად ვდგებოდით, ერთი და იმავე ქუჩებითა და შესახვევებით დავდიოდით და ერთსა და იმავე სამუშაოს ვასრულებდით. როცა მუშაობით საჭმლის ფულს ვერ ვშოულობდით, ერთი და იმავე კალათებიდან სხვადასხვა წვრილმანს ვიპარავდით. ზოგჯერ ღორის ხორცსაც მივირთმევდით, ზოგჯერ კი შავი პურის ამარა ვრჩებოდით“.

**ა.** რა არის აბზაცის ძირითადი თემა? დაასახელე სწორი ვარიანტი.
  1. ქურდობა ქუჩაში;
  2. ცხოვრება ქუჩაში;
  3. ქუჩის მრავალფეროვნება.

**ბ.** წაიკითხე, რომელია მოცემული აბზაცის წამყვანი წინადადება?
**გ.** დაასახელე, რის შესახებ იძლევა დამატებითი წინადადებები ინფორმაციას?
**დ.** გამოიყენე სვეტში მოცემული **III** ინფორმაცია და მიუთითე, რა ურთიერთობა აქვს დამატებით წინადადებებს ერთმანეთთან?

8

პირველი ნაბიჯები

ე. არსებობს თუ არა დასკვნითი წინადადება I აბზაცში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითე ეს წინადადება. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გაითვალისწინე დასკვნითი წინადადების ფუნქცია და ახსენი, რატომ არ აქვს.

**3. წაიკითხე მოცემული აბზაცები და დაასახელე მათი ძირითადი თემა ანუ სათქმელი.**

**შეასრულე წინა დავალების მითითებები.**

2

„ამგვარად, ჩემი ბედი გადაწყდა. მე საკვამურების მწმენდავი უნდა გავმხდარიყავი, ეს საზიზღარი კაცი კი ჩემი პატრონი უნდა ყოფილიყო“.

3

„მათი ლაპარაკიდან სანუგეშო არაფერი ჩანდა. როგორი იმედი მქონდა, ამ საქმეს დავიწყებ-მეთქი! ამ იმედით გამოვიქეცი მამისეული სახლიდან და ბიჭებსაც ამიტომ გამოვყევი. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს საქმე მათაც უცდიათ, მაგრამ უსარგებლო გამომდგარა და თავი მიუნებებიათ“.

**4. გაეცანი ... გვერდზე სვეტში მოცემულ IV ინფორმაციას, დაუბრუნდი მე-2 და მე-3 დავალებებში მოცემულ აბზაცებს და უპასუხე შეკითხვას.**

*მოცემული სამი აბზაციდან, შენი აზრით, რომელია:*

1. მთავარი აბზაცი?
2. დამხმარე აბზაცი?
3. დასკვნითი აბზაცი?
4. ყურადღება მიაქციე საწყის წინადადებებს: *რომელი სიტყვით იწყება; გრძელდება სათქმელი, ახალი იწყება თუ დასკვნა კეთდება?*

**დაასაბუთე შენი პოზიცია ტექსტის მიხედვით.**

**5. წაიკითხე და შეასრულე მითითებები.**

- დაასახელე წერილის ავტორი და მიუთითე წერილის თემა.
- ისაუბრე ცალკეული აბზაცის შესახებ **44-ე** გვერდზე მოცემული ინფორმაციების გათვალისწინებით.
- განსაზღვრე აბზაცების ურთიერთობა ტექსტში.
- დაასათაურე წერილი.

„არსებობს ყველაზე დიდი და მტკივნეული პრობლემა და ამ პრობლემას ქუჩის ბავშვები ჰქვია. ხშირად გვესმის, ეს ბავშვები უხეშები და უზრდელები არიან. თუ არ დაეხმარები, შეურაცხყოფასაც კი არ ერიდებიანო.

ჩემი აზრით, ეს მედლის ერთი მხარეა, მეორე მხარეს ჩვენ ვდგავართ. ჩვენ თვითონ რას ვაკეთებთ მათთვის? ისინი ხომ ყველა ჩვენგანისაგან ელიან თანაგრძნობასა და დახმარებას, ჩვენ კი ისე ჩავუვლით, ვერც კი ვამჩნევთ მათ.

მზრუნველობამოკლებული ბავშვების რიცხვი დღითი დღე იზრდება. სულ უფრო მეტი ბავშვი გამოდის ქუჩაში ლუკმა პურის საშოვნელად. ისინი ვერ ღებულობენ შესაფერის განათლებას, ვერ ხედავენ მყობადის პერსპექტივას, სულ უფროდაუფრო ბუნდოვანი და უიმედო ხდება მომავალიც. ამიტომაც არის, რომ ისინი დანაშაულის ჩადენაზეც არ ამბობენ უარს. სხვა გამოსავალს ისინი ვერ ხედავენ. ყველაზე დიდი დანაშაული კი ჩვენი უმოქმედობა და „ეს მე არ მეხება“ პოზიციაა.

ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი. მთავარია, საზოგადოებამ გააცნობიეროს ეს პრობლემა და რეალურად გადადგას ნაბიჯი მის მოსაგვარებლად.

პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს სრულყოფილი ხედვა და სტრატეგია მათთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. გარდა ფინანსური თუ მატერიალური დახმარებისა, მნიშვნელოვანია მათი ფსიქოლოგიური დახმარებაც. საზოგადოებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სოციალური დაცვის სააგენტოებთან. საჭიროა უფრო ახლო კონტაქტი ამ ბავშვებთან.

თუკი ჩვენ ყველა ერთად გავიაზრებთ, რომ ამ ბავშვების ნორმალური ცხოვრება აუცილებლობაა და არა — კეთილი ნება, მაშინ აუცილებ-ლად შევძლებთ საზოგადოებაში მათ დაბრუნებას“.

ლელა გოქსაძე
XI კლასი

9

გვ. 9

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

3. სრულდება დავალება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით.
4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (1-4).

გვ. 10

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა ჯგუფებად. ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ჯგუფები ასრულებენ ინსტრუქციის ა-დ პუნქტებს.
2. ჯგუფები უზიარებენ მოსაზრებებს თანაკლასელებს.
3. ჯგუფები იყოფიან წყვილებად. მოსწავლეები მეწყვილეებთან ერთად ამზადებენ პასუხებს ა-ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე.

პირველი ნაბიჯები

1. **დაიყავით ჯგუფებად, დააკვირდით ფოტოებს და მოამზადეთ ინფორმაცია მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**
   - ა. აღწერეთ, რა არის თითოეულ ფოტოზე აღბეჭდილი;
   - ბ. დააზუსტეთ, რის შესახებ იძლევა ეს ფოტოები ინფორმაციას;
   - გ. აღწერეთ დედამიწა და დააკავშირეთ დანარჩენ ფოტოებთან. განსაზღვრეთ „მისი მოწყენის“ გამომწვევი მიზეზები;
   - დ. შეადარეთ ფოტოებზე აღბეჭდილი ვითარებები ერთმანეთს და ჩაინიშნეთ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები (წინაპირობები, ანუ მათი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები / საფრთხეები).



2. **გააცანით თქვენი მოსაზრებები დანარჩენ ჯგუფებს და დაასაბუთეთ პოზიციები.**
3. **მოიფიქრე პასუხები მეწყვილესთან ერთად და იმსჯელეთ მათ გარშემო.**
   - ა. რა არის ეკოლოგია და რა შემთხვევაში იწყება ეკოლოგიური კრიზისი?
   - ბ. რა შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე?
   - გ. იცნობს თუ არა კაცობრიობის ისტორია მსგავს კატასტროფებს? დაასახელე, რას გულისხმობ.
   - დ. რომელი უფრო მეტად აზიანებს გარემოს – მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობა, თუ ღარიბი ქვეყნებისა და როგორ?
   - ე. შეუძლია თუ არა მოსახლეობის რაოდენობის სწრაფ ზრდას ეკოლოგიური კრიზისის გამოწვევა და როგორ?

10





I. ოკეანეში ჩაღვრილი ნავთობი ფარავს წყლის დიდ ნაწილს, ანადგურებს ოკეანის ფლორას და ფაუნას და ზიანს აყენებს სანაპირო ზოლს. 1978 წელს ატლანტის ოკეანეში, საფრანგეთის სანაპიროსთან, კლდეს შეეჯახა და შუაზე გაიპო ტანკერი „ამოკო კადისი", რის შედეგად 230000 ტონა ნავთობი ზღვაში ჩაიღვარა და 2000 კმ-ზე გავრცელდა. ამან ევროპის ისტორიაში უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია.

II. რატომ იხოცებიან ჩიტები მსოფლიოში? მეცნიერები ამ ამოუცნობი მოვლენის გარკვევას ცდილობენ. არსებობს რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთი ვერსიით, ფრინველების დახოცვა კოსმოსური ცდების შედეგია. საინტერესოა, რომ ყველა იმ ადგილის ახლომახლო, სადაც ჩიტების დაცემა დაფიქსირდა, განთავსებულია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები.

დახოცილი ჩიტების წვიმა პირველად 2011 წლის 1 იანვარს მოვიდა აშშ-ში, არკანზასის შტატში. ამას მოჰყვა ფრინველების დაცემა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის, კანადაში, იტალიასა და თურქეთ-სომხეთის საზღვართან. ფრინველების სიკვდილს მაიას ტომიც წინასწარმეტყველებდა.

III. 2011 წელს იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთით 9.0 მაგნიტუდის მიწისძვრას ცუნამი და ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურის დაზიანება მოჰყვა. სამი რეაქტორიდან ბირთვულმა საწვავმა გაჟონა, რამაც ფუკუშიმა ჩერნობილის გვერდით დააყენა. ბირთვული საწვავის გაჟონვით ყველაზე მეტად ოკეანის სანაპირო ზოლის ფლორა და ფაუნა დაზარალდა. აღნიშნულ სანაპირო ზოლსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რადიაციამ სიცოცხლისათვის სახიფათო ნიშნულს მიაღწია.

IV. „განა გვსურს, ვიცხოვროთ ისეთ სამყაროში, სადაც ლომები არ იქნებიან?" – კითხულობს დიუკის უნივერსიტეტის ბიოლოგი ლუკ დოლარი და ამატებს: „ამჟამად ზუსტად ამ არჩევანის წინაშე ვდგავართ". შემაშფოთებელი იყო ბენგალური ვეფხვებისა და აფრიკული ლომების განადგურება ოჰაიოს შტატის ქალაქ ზეინსვილში მდებარე კერძო ნაკრძალში. ლომები, ვეფხვები და დანარჩენი დიდი კატები თანდათანობით ქრებიან.

როგორც მეცნიერები ფიქრობენ, პირობების გაუარესების გამო, შესაძლოა, დიდი კატების უმეტესობამ ორი ათწლეულის შემდეგ აღარც იარსებოს.

**4. გაეცანი ინფორმაციას რვეულში და შეასრულე იქ მოცემული დავალებები.**

**5. წაიკითხე მარჯვნივ მოცემული ტექსტები და დააკავშირე ფოტოებთან. დაასახელე,რა არის კონკრეტული ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზი. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**6. იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.**

ა. რას ნიშნავს სიტყვა „დაბინძურება" და რა იგულისხმება გარემოს დაბინძურებაში?
ბ. რა შეიძლება იყოს დაბინძურების წყარო?
გ. რა არის „ნაგავსაყრელი"?
დ. რა როლს თამაშობს ადამიანი გარემოს დაბინძურებაში?
ე. რის საფრთხეს შეიცავს ასეთი გარემო?
ვ. შესაძლებელია თუ არა, დაბინძურებულმა გარემომ ეკოლოგიური კრიზისი გამოიწვიოს და რატომ? დააკონკრეტე პასუხი.
ზ. როგორ უნდა ავიცილოთ ეს თავიდან?
თ. არის თუ არა ეს პრობლემა შენთვის მნიშვნელოვანი და როგორ იქცევი შენ თვითონ?

11

გვ. 11

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში მოყვანილ ინფორმაციას და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 11 № 5 — გვ. 12 № 1: სრულდება თემასთან დაკავშირებული დავალებების სერია მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის I, II, III და IV მონაკვეთებს და ასახელებენ შესაბამის ეკოლოგიურ კატასტროფებს.
6. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-თ) ტექსტზე დაყრდნობით.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 12 № 2 (ა-ე): ტექსტებზე დაყრდნობით სრულდება კომბინირებული დავალება.

გვ. 12

## მოსწავლის წიგნი

1. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად და ილუსტრაციებზე დაყრდნობით პასუხობენ ა-დ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
2. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მეწყვილეები განმარტავენ ცნებას "ბიოლოგიური საუკუნე". ისინი ისმენენ თემასთან დაკავშირებულ ტექსტს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

## მოსწავლის რვეული

გვ. 13 № 3 (I-IV): სრულდება მოსასმენი ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებული დავალება.

## მოსწავლის წიგნი

3. მეწყვილეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ) და აცნობენ პასუხებს თანაკლასელებს.



1. **დააკვირდი ფოტოებს და იმუშავე მეწყვილესთან ერთად. მოამზადეთ ინფორმაცია მოცემული მითითებების გათვალისწინებით და გააცანით კლასელებს. იმსჯელეთ მათ შესახებ.**
   - ა. რა არის ფოტოებზე გამოსახული და რის შესახებ იძლევა ისინი ინფორმაციას?
   - ბ. რა არის უჩვეულო და განსაკუთრებული მათში?
   - გ. წაიკითხე, რა აწერია ფოტოებს. გსმენია თუ არა მათ შესახებ რამე?
   - დ. რას ნიშნავს, შენი აზრით, „გენმოდიფიცირებული“, „კლონი“, „ბიოლოგიური იარაღი“? დაასაბუთე შენი მოსაზრებები.




2. **დაუბრუნდი წინა დავალებას და მისი გათვალისწინებით განმარტე, რას ნიშნავს, შენი აზრით, „ბიოლოგიის საუკუნე“?**

   **მოისმინე და შეადარე შენს ვერსიას. შეასრულე დავალებები რვეულში.**

3. **რას ნიშნავს „იარაღი“ და რა იცი მის შესახებ? მოამზადე პასუხები მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. იმსჯელეთ მათ შესახებ.**
   - ა. რა ტიპის იარაღები არსებობს?
   - ბ. რისთვის იყენებენ ადამიანები იარაღს?
   - გ. როდის, რა მიზნით და რისგან დაამზადა ადამიანმა პირველი იარაღი?

12

პირველი ნაბიჯები

**4. დააკვირდი ფოტოებს. რა არის მათზე წარმოდგენილი? რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის? დაასახელე, რომელია მათგან:**

- სანადირო
- სამხედრო
- სამუშაო
- ცეცხლსასროლი
- მასობრივი განადგურების
- ბირთვული
- ცივი იარაღი
- პრიმიტიული




**5. გაეცანით მოცემულ შეკითხვებს და იმსჯელეთ მათ შესახებ.**

ა. რა არის ბიოლოგიური იარაღი და რით განსხვავდება ის სხვებისგან?

ბ. რა მიზნით იყენებენ ბიოლოგიურ იარაღს?

გ. რას ნიშნავს ბიოლოგიური ომი და რა არის მისი მიზანი?

**6. წაიკითხე ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხები. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ბიოლოგიურ ომში იარაღად, როგორც წესი, ვირუსებს, ბაქტერიებს, სოკოებსა და მწერებს იყენებენ. მათ, სხვაგვარად, ცოცხალ იარაღსაც უწოდებენ. ბიოლოგიური იარაღის შესაძლებლობები თვით ყველაზე ბოროტ ტერორისტებსაც კი შიშის ზარს სცემს. ცოცხალი იარაღის ძალა, სხვებისაგან განსხვავებით, უკონტროლოა. მას არ აქვს საზღვრები. ბიოლოგიური იარაღი სხვადასხვა გზით ვრცელდება: ასაფეთქებელი საშუალებებით, აერზოლის სახით ჰაერში გაბნევით, საკვებში ან სასმელში მისი მოხვედრითა და, აგრეთვე, მწერების გზით.

ბიოლოგიური ომის მიზანი არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის,, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნათესების მასობრივი განადგურებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ხელოვნურად გამოწვეული ვირუსული თუ ინფექციური ეპიდემიები, მწერების მასობრივი შემოსევები და სხვა.




**7. როგორ შეიძლება დავიცვათ თავი ბიოლოგიური იარაღის გავრცელების შემთხვევაში?**

13

გვ. 13

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები აკავშირებენ ილუსტრაციებზე გამოსახულ იარაღებს ჩარჩოში მოყვანილ დეფინიციებთან.
5. შეკითხვებზე (ა-გ) დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ ბიოლოგიური იარაღის შესახებ.
6. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს ბიოლოგიური იარაღის შესახებ და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 14 № 1 - 5: სრულდება თემასთან დაკავშირებული კომბინირებული ტიპის დავალებათა სერია.

**მოსწავლის წიგნი**

7. კლასი მსჯელობს თემაზე “როგორ დავიცვათ თავი ბიოლოგიური იარაღის გავრცელების შემთხვევაში?”.

გვ. 14

**მოსწავლის წიგნი**

1. ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ დავალების ა-დ შეკითხვებს ჩარჩოში მოყვანილი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და თავიდან პასუხობენ წინა დავალებაში მოცემულ შეკითხვებს.



**1. დააკვირდი ფოტოებზე გამოსახულ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რით განსხვავდება გენმოდიფიცირებული პროდუქტი ბიოპროდუქტისაგან?
ბ. ვინ და რატომ ქმნის გენმოდიფიცირებულ პროდუქტს?
გ. არის თუ არა ის საშიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის და რატომ? იწვევს თუ არა ის ორგანიზმის მოწამვლასა და ნიადაგის დაბინძურებას?
დ. როგორია სახელმწიფოების, პოლიტიკოსების, მეცნიერების დამოკიდებულება ასეთ პროდუქტებთან?

გამოიყენე მოცემული მასალა და ისე უპასუხე შეკითხვას.



განსხვავებული;
დადებითი / უარყოფითი;
ხელს უწყობენ ფართო გავრცელებას;
ცდილობენ მათ აკრძალვას / ფართო მოხმარებიდან მათ ამოღებას.

**2. გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და შეადარე შენს ვერსიებს. თავიდან უპასუხე შეკითხვებს.**

უკვე ათიოდე წელია, რაც ბაზარზე გენმოდიფიცირებული საკვები გამოჩნდა. მათი მოყვანისა და გასაღების ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. პირველი ნებართვა იქ 1994 წელს გასცეს. საქართველოში კი ასეთი პროდუქციის შემოტანა 1996 წლიდან დაიწყო.

უსაფრთხოა თუ არა ადამიანისათვის გენეტიკური მოდიფიკაციის საფუძველზე მიღებული პროდუქტები? – ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

გარემოს დაცვის ორგანიზაციამ – WWF (World Wide Fund for Nature) – 2004 წელს ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელშიც ევროკავშირში შემავალი 13 ქვეყნის მინისტრები მონაწილეობდნენ. ტესტმა მათ სისხლში სიცოცხლისათვის საშიში ტოქსინების დიდი რაოდენობა გამოავლინა.

არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამბობენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღება ჯანმრთელობისათვის სრულიად უვნებელია, ვინაიდან ისინი არ შეიცავენ მავნე ქიმიურ დანამატებს, თუმცა ასეთი პროდუქტები ევროპის ბევრ ქვეყანაში აკრძალულია. ეკოლოგები, რელიგიური ორგანიზაციები და მეცნიერებისა და პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება გენური ინჟინერიით მიღებული საკვები პროდუქტების მიღებას. ისინი მოითხოვენ, რომ ეტიკეტზე მითითებული იყოს ინფორმაცია, არის თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებული.

2000 წელს საქართველო შეუერთდა ბიოუსაფრთხოების ევროპულ კონვენციას, რომლის თანახმადაც, ქვეყანა ვალდებულია, გაუკეთოს საკვებ პროდუქტს მარკირება.

14

პირველი ნაბიჯები

**3. როგორია შენი დამოკიდებულება გენმოდიფიცირებულ პროდუქტებსა და ემულგატორებთან დაკავშირებით? იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.**

- ა. გაღელვებს თუ არა ის, თუ რით იკვებები?
- ბ. ძირითადად, რის მიხედვით არჩევ პროდუქტს ყიდვისას – ფასის, გარეგნობის, გამოშვების ვადის, შემადგენლობის მიხედვით და ა.შ.?
- გ. გიყიდია თუ არა საკვები პროდუქტები ეტიკეტის გარეშე?
- დ. რას ნიშნავს „საკვები დანამატები“? რისთვის იყენებენ მათ?
- ე. რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს სხვადასხვა სახის საკვებმა დანამატმა?
- ვ. რატომ მიიჩნევა, რომ იაფი პროდუქტი ხშირად ჯანმრთელობისათვის საზიანოა?




**4. 🎧 მოისმინე ინფორმაცია საკვები დანამატების შესახებ და შეამოწმე შენი ვერსია.**

**5. უპასუხე შეკითხვებს და შეასრულე მოცემული მითითება.**

- ა. რა არის „ეტიკეტი“?
- ბ. რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას?
- გ. პროდუქტის შეძენისას აქცევ თუ არა ყურადღებას იმას, რა წერია ეტიკეტზე?
- დ. იცი თუ არა, როგორ წაიკითხო ეტიკეტი?
- ე. დააკვირდი ფოტოზე გამოსახულ ეტიკეტს და დაასახელე, კონკრეტულად, რა ინფორმაციას შეიცავს ის?
- ვ. ეტიკეტის მიხედვით, არის თუ არა მოცემული პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო და რატომ?

**6. გარდა პროდუქტის მარკირებისა, შენი აზრით, კიდევ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მომხმარებელი დაცული იყოს მისთვის არასასურველი პროდუქტის შეძენისაგან? მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს.**

**დაასაბუთე:**

- ა. რით არის თქვენი შეთავაზება უკეთესი?
- ბ. რატომ იქნება მომხმარებელი ასეთ შემთხვევაში უკეთ დაცული?
- გ. რამდენად მარტივია ამის განხორციელება?

**7. 🎧 მოისმინე ინფორმაცია და შეადარე თქვენსას. დაემთხვა თუ არა ისინი ერთმანეთს? შეაფასე არსებული გამოცდილება და გამოხატე შენი პოზიცია სათანადო მტკიცებულებების გამოყენებით.**

- ა. რა კეთდება სხვადასხვა ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დასაცავად?
- ბ. მიგაჩნია თუ არა, რომ ამ შემთხვევაში მომხმარებელი მთლიანად დაცულია?
- გ. რატომ გადაჭრის ან ვერ გადაჭრის ეს პრობლემას?

**8. დაიყავით ჯგუფებად და ცალკეულმა ჯგუფმა მოამზადეთ პროექტი („საკვები დანამატები“) რვეულში მოცემული მითითებების გათვალისწინებით (გვ. , დავალება № ).**

15

## გვ. 15

**მოსწავლის წიგნი**

3. დავალების ა-ვ შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები გამოხატავენ დამოკიდებულებას გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და საკვები დანამატების შესახებ.
4. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს (იხ. 🎧 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი).
5. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-ვ).
6. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად: დავალების ა-გ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით, მეწყვილეები აყალიბებენ მოსაზრებებს არასასურველი პროდუქტების შეძენისაგან მომხმარებლის დაცვის თემაზე.
7. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (იხ. 🎧 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი) და მოსმენილ ინფორმაციას ადარებენ საკუთარ მოსაზრებებს.
8. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და გეგმავს პროექტს “საკვები დანამატები” ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 15 № 6: სრულდება პროექტის ტიპის სამუშაო (დეტალური ინსტრუქცია იხილეთ მოსწავლის რვეულში).

გვ. 16

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, კლასი იყოფა ჯგუფებად. ჯგუფები ამზადებენ პასუხებს ა-თ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით.
2. მომზადებულ პასუხებს ჯგუფები აცნობენ თანაკლასელებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 16 № 1 — გვ. 17 № 9: თემასთან დაკავშირებით სრულდება კომბინირებული ტიპის დავალებები.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (იხ. 🎧 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი).

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 18 № 1 (ა-ე): სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ხელმეორედ პასუხობენ შეკითხვებს პირველი დავალებიდან.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 19 № 2, 3; სრულდება დავალებები მოსწავლის რვეულში.

პირველი ნაბიჯები

1. **დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ პასუხები მოცემული შეკითხვებზე.**
   ა. რა არის ბიომრავალფეროვნება?
   ბ. რა გავლენას ახდენს მასზე ადამიანთა საქმიანობა და რაში მჟღავნდება ეს?
   გ. დგას თუ არა რეალური საფრთხის წინაშე ჩვენი პლანეტის ფლორა და ფაუნა?
   დ. როგორ ფიქრობ, ემუქრება თუ არა დედამიწაზე ცოცხალ ორგანიზმებს გაქრობა?
   ე. გაეცანი სურათის ქვეშ მოცემულ ინფორმაციას და დააკონკრეტე, რას გულისხმობს კუსტო თავის სიტყვებში?
   ვ. კონკრეტულად, რას ემუქრება გაქრობა, შენი აზრით – დიდ ცხოველებს, პატარა ცხოველებს, მწერებს, ქვეწარმავლებს, იშვიათ მცენარეებს?
   ზ. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დედამიწაზე ბიომრავალფეროვნება შევინარჩუნოთ?
   თ. ვინ არის ვალდებული, იზრუნოს ბუნების დაცვასა და ეკოსისტემის შენარჩუნებაზე?
2. **გააცანით ერთმანეთს თქვენი მოსაზრებები და იმსჯელეთ მათ შესახებ. დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია, რატომ ფიქრობთ ასე.**
3. **რა მოხდა 1972 წლის 5 ივნისს სტოკჰოლმში?**

   🎧 **მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხი.**
4. **წაიკითხე ტექსტი და თავიდან უპასუხე პირველ დავალებაში მოცემულ შეკითხვებს.**



ადამიანი მოვალეა, დაღუპვისაგან იხსნას დედამიწა. სწორედ ამასთან დაკავშირებით განაცხადა ფრანგმა მეცნიერ-მკვლევარმა კუსტომ: „ადრე ბუნება ემუქრებოდა ადამიანს, ახლა ადამიანი ემუქრება ბუნებას“.



*ბიომრავალფეროვნება დედამიწაზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების, მათი საცხოვრებელი ადგილებისა და ურთიერთობების თავისებურებათა ერთობლიობაა.*

*ადამიანთა საქმიანობა უფრო და უფრო მეტად ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებაზე, რაც გამოიხატება გარემოს დაბინძურებაში, ტყეების ჩეხვაში, ბრაკონიერობასა და სხვა ვანდალურ საქმიანობაში. სწორედ ბუნებასთან ადამიანების არასწორმა ურთიერთობებმა დააყენა მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშე.*

*ბიოლოგები მთელი მსოფლიოდან იუწყებიან, რომ სულ მალე გაქრება ცოცხალი ორგანიზმების ათასზე მეტი*

*სახეობა, მათ შორის, მცენარეებიც, მწერებიც, ქვეწარმავლებიცა და დიდი მტაცებელი ცხოველებიც.*

*ბუნების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციებთან ერთად ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, იზრუნოს ბუნების დაცვასა და ეკოსისტემის შენარჩუნებაზე.*

16

**5.** **დააკვირდი რუკას. მოძებნე ქვემოთ მოცემული ცხოველები რუკაზე და დაასახელე შესაბამისი ნომრები.**

გველი ლომი ვეფხვი ლეოპარდი ავაზა იაგუარი ფუტკარი



**6.** **დაუბრუნდი რუკას. რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას? მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**7.** **უპასუხე მოცემულ შეკითხვებს.**

ა. რას ნიშნავს „დაცული ტერიტორიები“ და რას იცავენ ამ ტერიტორიებზე?

ბ. არსებობს თუ არა კავშირი დაცულ ტერიტორიებსა და წითელ წიგნს შორის? დაასაბუთე პასუხი.

გ. არსებობს თუ არა საქართველოში ასეთი ტერიტორიები?

დ. დაასახელე, რომელი დაცული ტერიტორიები იცი და, კონკრეტულად, რა გსმენია მათ შესახებ?

ე. ყოფილხარ თუ არა იქ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითე: კონკრეტულად სად იყავი, როდის, ვისთან ერთად და რა მიზნით?



17

## გვ. 17

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ეცნობიან რუკას და ასახელებენ ჩარჩოში წარმოდგენილი ცხოველების ნომრებს.
6. მოსწავლეები უბრუნდებიან რუკაზე მუშაობას და ისმენენ ტექსტს ვერსიების გადასამოწმებლად.

მოსწავლის რვეული

გვ. 20 № 1 - გვ. 21 № 6: სრულდება კონტექსტთან დაკავშირებული დავალებების სერია.

**მოსწავლის წიგნი**

7. მოსწავლეები პასუხობენ დავალების ა-ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.

გვ. 18

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას რობინზონ კრუზოს შესახებ და ილუსტრაციაზე დაყრდნობით, აღადგენენ დენიელ დეფოს რომანის გმირის ისტორიას.
2. რობინზონ კრუზოს ისტორიაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ ა-ბ შეკითხვებს.
3. მოსწავლეები კითხულობენ ნაწყვეტს რომანიდან "რობინზონ კრუზო" და წაკითხულ ამბავს ადარებენ საკუთარ ვერსიებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 21 № 7: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი კომბინირებული სავარჯიშო.



პირველი ნაბიჯები

1. **გაიხსენე რობინზონ კრუზოს ისტორია, დააკვირდი სურათს და ისაუბრე მის შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.**
   ა. როგორ აღმოჩნდა რობინზონ კრუზო უკაცრიელ კუნძულზე?
   ბ. ჩამოთვალე ნივთები, რომლებსაც ფოტოზე ხედავ და მიუთითე, საიდან მოიპოვა ისინი რობინზონ კრუზომ?
   გ. დაასახელე, შენი აზრით, რომლებია მოცემულ სიტუაციაში ამ ნივთებიდან მისთვის:
      1. საჭირო და აუცილებელი;
      2. ნაკლებად გამოსაყენებელი;
      3. გამოუყენებელი და ზედმეტი.



2. **დაუბრუნდი პირველ დავალებას. გაითვალისწინე სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა რობინზონ კრუზო და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რატომ გადაწყვიტა მან ფულის გადმოტანა უკაცრიელ კუნძულზე?
   ბ. შენი აზრით, როგორია რობინზონ კრუზოს დამოკიდებულება მსგავს სიტუაციაში ფულის მიმართ?
3. **წაიკითხე ... გვერდზე მოცემული ნაწყვეტი და შეადარე შენს ვერსიას.**

„ყველაფერი გადმოვზიდე გემიდან, რასაც ადამიანის ორი ხელი მოერეოდა. კიდევ რომ ეცლია ამინდს, მთელ გემსაც გადმოვიტანდი ფიცარ-ფიცარ... მაგრამ კვლავ შევცურე. კაიუტა პირველადვე ისე მქონდა დაძებნილგადაქექილი, რომ აღარ მეგონა, შიგ რამე თუ დამრჩებოდა. უჯრებიანი კარადა აღმოვაჩინე. ერთ-ერთ უჯრაში წავაწყდი სამ სამართებელს, დიდ მაკრატელსა და ათ თუ თორმეტ წყვილ მშვენიერ დანა-ჩანგალს. მეორე უჯრაში ვიპოვე ოცდათექვსმეტი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ევროპული და ბრაზილიური ოქროსა და ვერცხლის ფული.

ფულის დანახვაზე გამეღიმა.

„ჰოი, ხარახურავ! – ვთქვი ხმამაღლა, – რის მაქნისი ხარ? რაში გამომადგები? იმადაც კი არ მიღირხარ, რომ დავიხარო და აგიღო. ეს ერთი დანა მირჩევნია ამ დახვავებულ ფულს. რად მინდიხარ, აქვე დარჩი და ზღვაში ჩაიძირე იმ არსების მსგავსად, რომელიც გადარჩენის ღირსი არ არის".

მერე მაინც გადავიფიქრე, ფული ტილოს ნაჭერში შევახვიე და იმაზე დავფიქრდი, როგორ შემეკრა ტივი".

**4.** **რატომ სურთ ადამიანებს ბევრი ფული? რა მოაქვს ბევრ ფულს? არის თუ არა ბედნიერება ფულზე დამოკიდებული? დაასაბუთე შენი პოზიცია შესაბამისი არგუმენტებით.**

**რას გააკეთებდი, შენ რომ მილიონი გქონდეს?**

**5.** **დააკვირდი ამ ადამიანებს. აღწერე მათი გარეგნობა და ისაუბრე მათ შესახებ: შენი აზრით, არიან თუ არა ისინი მილიონერები, სად და როგორ ცხოვრობენ, რას საქმიანობენ, როგორია მათი დამოკიდებულება ფულთან და რატომ?**


ბრეჰემ პენდრილი


ნიკოლას ბერგრუენი


კარლ რაბედერი

**6.** **მოისმინე და შეამოწმე შენი ვარაუდი. დაუბრუნდი წინა დავალებას და თავიდან უპასუხე შეკითხვებს. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**7.** **წაიკითხე სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

**გლახაკი და ქილა ერბო**

ერთმა გლახაკმა კაცმა გზაზე ერთი ქილა ერბო იპოვა. აილო, ნაჭერში გამოახვია, ჯოხი გაუყარა, მხარზე გაიდო და გზა განაგრძო, თან გულში ფიქრობდა: ღმერთმა ჩემი გამდიდრება მოინდომა. ჩავალ ქალაქში და ერბოს გავყიდი; იმით თორმეტ წიწილას ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავასუქებ და იმათაც გავყიდი; მერე იმ ფულით გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ და იმათაც გავყიდი; აღებული ფულით სახარე ხბორებს ვიყიდი, დავზრდი, მოვხნავ, დავთესავ და ავშენდებიო.

კაცი გზად ერთ ხიდს მიადგა. ოცნებებით გართულს ქალაქში შეშა მიჰქონდა გასაყიდად. აქ ხარი ვერ გაივლის, უნდა შევძახოო, – თქვა კაცმა, შესძახა „ხარებს“, ჯოხი მოიქნია და ერბოთი სავსე ქილა ხიდს დაჰკრა. ქილა გატყდა, ერბო დაიქცა და ოცნებებიც ერთ წუთში დაემსხვრა კაცს.

I. უპასუხე შეკითხვებს.

ა. რატომ ვერ გამდიდრდა გლახაკი?
ბ. როგორ გესმის ხაზგასმული სიტყვები?
გ. რა შემთხვევაში არიან მეოცნებე ადამიანები წარმატებულები?
დ. გადაჭარბებული იყო თუ არა გლახაკის ოცნებები და რატომ?
ე. რა არის ამ იგავ-არაკის მთავარი სათქმელი? დაასაბუთე შენი გადაწყვეტილება.

II. წაიკითხე მოცემული ფრაზები და განმარტე, რას ნიშნავს თითოეული მათგანი. მოცემული ფრაზებიდან, რომელი გამოხატავს უკეთ იგავის მთავარ სათქმელს?

1. გადაჭარბებული ოცნება ფუჭია და აუხდენელი;
2. არ უნდა იოცნებო, უნდა იმოქმედო;
3. „ქარის მოტანილს ქარი წაიღებს".



## გვ. 19

**მოსწავლის წიგნი**

4. შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ თემაზე “ფული”.
5. ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები განსაზღვრავენ პერსონაჟების საქმიანობას.
6. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს ვარაუდების გადასამოწმებლად.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 22 № 1 — გვ. 23 № 4: სრულდება სავარჯიშოების სერია კონტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 24 № 1: სრულდება ენობრივი ტიპის დავალება.

**მოსწავლის წიგნი**

7. მოსწავლეები კითხულობენ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკს და ასრულებენ თანმხლებ დავალებებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 24 № 2 — გვ. 26 № 2: სრულდება საკომუნიკაციო და ენობრივი ტიპის დავალებათა სერია.

გვ. 20

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას და შეკითხვებზე დაყრდნობით ასახელებენ საკომუნიკაციო სიტუაციას.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 26 № 3: სრულდება დავალების ა-გ პუნქტები.

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები ისმენენ დიალოგებს (იხ. 🎧 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი) და ამოწმებენ თავიანთ ვერსიებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 26 № 4, 5: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 27 № 6 — გვ. 28 № 1: სრულდება სავარჯიშოების კომბინირებული სერია.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები პოულობენ შეცდომებს დიალოგებში და უკავშირებენ მათ შესაბამის ილუსტრაციებს.
4. მოსწავლეები ტექსტის შესწორებულ ვერსიას გადაწერენ რვეულებში.
5. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას (გვ. 21) და პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ).

პირველი ნაბიჯები

**1. დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ – სად იმყოფება სანდრო კონკრეტულ სიტუაციაში, ვისთან ერთად და რას აკეთებს? რა არის, შენი აზრით, სანდროს მიზანი ცალკეულ შემთხვევაში?**

I
- ა. სანდროს სურს ფულის გადარიცხვა;
- ბ. ის აპირებს გადასახადების გადახდას;
- გ. მას სურს ფულის გადახურდავება;
- დ. სანდროს უნდა უცხოური ვალუტის ყიდვა.

II
- ა. სანდრო ეხმარება ხანდაზმულ ადამიანს ბანკომატიდან ფულის გამოტანაში;
- ბ. სანდრო უვსებს მას მობილურის ანგარიშს;
- გ. ასწავლის, როგორ გადაიხადოს გადასახადი.

III
- ა. სანდრო ეძებს კონკრეტულ ინფორმაციას ინტერნეტში;
- ბ. ის სარგებლობს ინტერნეტბანკის მომსახურებით;
- გ. სწავლობს, როგორ ისარგებლოს ინტერნეტბანკის მომსახურებით.








**2. 🎧 მოისმინე დიალოგები და შეამოწმე შენი ვარაუდი. დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**3. დაუბრუნდი დაილოგებს. წაიკითხე მოცემული რეპლიკები, მოძებნე დაშვებული შეცდომები და დაასახელე. დააკავშირე ისინი შესაბამის სურათებთან.**

ა. – ნახე, აქ მისათითებელია, რის გაკეთება შეგიძლია ინტერნეტბანკით!
– რა მარტივი იყო!
– ბოლოს შეგიძლია, შეხვალ წასულ ოპერაციებში და შეამოწმებ!

ბ. – კომუნალური მოსამსახურის გადახდა მინდა, თუ შეიძლება?
– შესაძლებელია! ანგარიშიდან გადავრიცხოთ?
– არა, ხელში მაქვს ფული!
– გადასახდელი აპარატით თუ ისარგებლებთ, მომსახურებაზე პროცენტი არ დაგერიცხებათ!

**4. სწორად გადაწერე რეპლიკები რვეულში და შეასრულე იქ მოცემული დავალებები.**

**5. დააკვირდი ... გვერდზე მოცემულ სურათს და ისაუბრე მის შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.**

- ა. რა ინციდენტი მოხდა და როგორია მისი შედეგები?
- ბ. დაზარალდნენ თუ არა ამ ინციდენტის მონაწილე პირები ავარიის შედეგად და, კონკრეტულად, რა ზიანი მიადგათ მათ?
- გ. რას აკეთებენ მძღოლები და როგორია მათი რეაქციები? შეადარე ისინი ერთმანეთს და განმარტე, შენი აზრით, რატომ აქვთ მათ განსხვავებული რეაქცია? რომელი მანქანის მძღოლია მშვიდად? რომელია აღელვებული და დაღონებული?

20

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ



**6. დაუბრუნდი სურათს. სად რეკავს წითელი მანქანის მფლობელი და რატომ? აირჩიე სათანადო ვარიანტი და დაასაბუთე პასუხი სურათზე დაყრდნობით.**

ა. საპატრულო პოლიციაში;
ბ. სასწრაფო დახმარების სამსახურში;
გ. სადაზღვევო კომპანიაში;
დ. სამაშველო სამსახურში.

**7. დააკვირდი სქემას — რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას, რა სახის დაზღვევა არსებობს და, კონკრეტულად, რას გულისხმობს თითოეული მათგანი?**




**8. დაუბრუნდი ავარიას. გამოიყენე მეოთხე დავალებაში მოცემული სქემა და დაასახელე:**

რა სახის დაზღვევამ უნდა უზრუნველყოს მომხდარი ინციდენტის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება და, კონკრეტულად, რისთვის უნდა გასცეს ფულადი კომპენსაციასადაზღვევო კომპანიამ?

21

## გვ. 21

### მოსწავლის წიგნი

6. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვას და იშველიებენ არგუმენტებს ილუსტრაციაზე დაყრდნობით.
7. მოსწავლეები აკვირდებიან სადაზღვევო სქემას და პასუხობენ შეკითხვას.
8. სქემაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასახელებენ ზარალის ანაზღაურების სავარაუდო შემთხვევას.

### მოსწავლის რვეული

გვ. 28 № 2 — გვ. 32 № 1: სრულდება კონტექსტთან დაკავშირებული სავარჯიშოების კომბინირებული სერია.

გვ. 22

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. სრულდება დავალება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-გ).
3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-ე).
4. სრულდება დავალებები მოსწავლის რვეულში.
5. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-ვ, გვ. 23).



პირველი ნაბიჯები

### განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

**I. არსებობს სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც წინადადებაში იმისათვის ვიყენებთ, რომ უფრო მეტად დავაკონკრეტოთ, დავაზუსტოთ, ავხსნათ, განვმარტოთ წინადადების ესა თუ ის წევრი.**

ა. *მე დავიბადე საქართველოში,* ***თბილისში.***
ბ. *შორს,* ***მთებს გადაღმა,*** *ერთი უცნაური მოხუცი ცხოვრობდა.*
გ. *მე-17 საუკუნის ბოლოს,* ***1688 წელს,*** *ლოიდმა ლონდონში ყავის სახლი გახსნა.*
დ. *ზამთრის ღამე იყო,* ***ცივი და ბნელი.***
ე. *ერთ დღესაც კაცი,* ***ჩვეულებისამებრ,*** *თავისი ოქროს სანახავად წავიდა.*
ვ. *ფრენკ მაკნამარა,* ***ნიუ იორკელი ბიზნესმენი,*** *მეგობრებთან ერთად რესტორანში სავახშმოდ წავიდა.*
ზ. *ყველანი,* ***გარდა ჩემი ძმისა,*** *სახლში ვიყავით.*
თ. ***მიუხედავად ჩემი სურვილისა,*** *ის მაინც წავიდა...*
ი. *ბაბუაჩემი,* ***დედაჩემის მამა, სახელად დავითი,*** *საკმაოდ მკაცრი კაცი ყოფილა.*

- ამ სიტყვებისა და გამოთქმების ამოღებით წინადადების შინაარსი არ ირღვევა.
- ეს სიტყვები წინადადების სხვა წევრებისაგან მძიმით (მძიმეებით) ან ტირეთი (ტირეებით) გამოიყოფა.
- მეტწილად, ასეთი სიტყვები და გამოთქმები მოსდევენ წინადადების იმ წევრს, რომელსაც აზუსტებენ, განმარტავენ, აკონკრეტებენ.
- ეს სიტყვები, თუკი გარკვეულ გარემოებას არ აზუსტებენ (მაგ., დროს, ადგილს, ვითარებას — როგორ?), შეგვიძლია წინადადების ჩვეულებრივ წევრებად ვაქციოთ.

a. *ზამთრის* ***ცივი და ბნელი*** *ღამე იყო.*
b. ***ნიუ-იორკელი ბიზნესმენი*** *ფრენკ მაკნამარა მეგობრებთან ერთად რესტორანში სავახშმოდ წავიდა.*
c. *ბაბუაჩემი* ***დავითი (დავით ბაბუა)*** *საკმაოდ მკაცრი კაცი ყოფილა.*

1. **გაეცანი სვეტში არსებულ ინფორმაციას. წაიკითხე მის ქვეშ მოცემული წინადადებები და კონკრეტულად დაასახელე ხაზგასმული სიტყვების ფუნქცია ცალკეულ შემთხვევაში.**

   გამოიყენე!
   აზუსტებს/აკონკრეტებს/განმარტავს **იმას, თუ ... / იმას, რომ ...**

   **ნიმუში:** *პირველ წინადადებაში სიტყვა „თბილისში" აკონკრეტებს იმას, თუ სად დაიბადა.*

2. **დაუბრუნდი მოცემულ წინადადებებს, მოძებნე სინტაქსური წყვილები წინადადებაში და ამოწერე ნიმუშის მიხედვით. იმუშავე რვეულში.**

   **ნიმუში:** *მე დავიბადე საქართველოში, თბილისში.*

   ა. მე დავიბადე
   ბ. საქართველოში დავიბადე
   გ. თბილისში დავიბადე

3. **დაუბრუნდი განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესახებ მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს.**

   ა. რა გავლენას ახდენს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები წინადადების შინაარსზე?
   ბ. რა ადგილი უკავიათ მათ წინადადებაში?
   გ. რით გამოიყოფა ისინი წინადადების სხვა წევრებისაგან?
   დ. რომელი სიტყვები და გამოთქმები შეგვიძლია, ვაქციოთ წინადადების ჩვეულებრივ წევრებად?
   ე. რა ადგილს იკავებენ ისინი ჩვეულებრივ წევრებად გადაკეთებისას?

4. **დაუბრუნდი სამუშაო რვეულს და შეასრულე იქ მოცემული დავალებები.**

5. **წაიკითხე სვეტში მოცემული წინადადებები და დაასახელე, რომელ წინადადებაში:**

22



Mascavl_Cigni_Done-12 _ 32

ა. მიუთითებს მთქმელი ინფორმაციის წყაროს?

ბ. თანამიმდევრულად წარმოადგენს საკუთარ აზრს?

გ. დარწმუნებულია ინფორმაციის სისწორეში?

დ. გამოხატავს საკუთარ წუხილს?

ე. გამოაქვს დასკვნა?

ვ. გამოთქვამს ვარაუდს?

**6. წაიკითხე და დაასახელე წინადადებები, რომლებშიც ჩართული არა მთელ წინადადებას, არამედ მის ერთ წევრს ეხება. დაასახელე წევრი, რომელსაც ჩართული სიტყვა ეხება.**

ა. რასაკვირველია, ყველაფერი ისე იყო, როგორც მოვყევი.

ბ. ყველაფერი გააკეთა გურამმ, რა თქმა უნდა, გულწრფელად.

გ. იმ ამბავს ვაჟასთან ერთად, ცხადია, სოსოც შეესწრო.

დ. ცხადია, ისინი სიმართლეს იტყვიან.

ე. მთელი საღამო ველოდებოდით მას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოვიდა.

**7. დაუბრუნდი ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებს და შეადარე ისინი ...გვერდზე მოცემულ განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს.**

**უპასუხე მოცემულ შეკითხვებს.**

ა. რა მსგავსებაა მათ შორის?

ბ. ჩამოთვალე, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

გ. შესაძლებელია თუ არა, რომ ჩართული სიტყვები და გამოთქმებიც ვაქციოთ წინადადების ჩვეულებრივ წევრებად? დაასაბუთე შენი პოზიცია.

**II. არსებობს ისეთი ჩართული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას, პოზიციას გადმოცემული ფაქტის, აზრის შესახებ.**

*ა.* ***მართლაც****, 1688 წელს ლოიდმა ლონდონში ყავის სახლი გახსნა.*

*ბ.* ***ალბათ****, ფრენკ მაკნამარას ცოტა ფული ჰქონდა ჯიბეში.*

*გ.* ***სამწუხაროდ****, ყველაფერი ისე არ დამთავრდა, როგორც გვინდოდა.*

*დ.* ***როგორც ცნობილია****, ედუარდ ლოიდმა 1696 წელს გაზეთიც დააარსა.*

*ე.* ***ერთი სიტყვით****, ხვალ აუცილებლად მივდივართ!*

*ვ. გიორგი,* ***ჯერ ერთი****, აქ არ იყო და,* ***მეორეც****, რომც ყოფილიყო, სხვაგვარად მოიქცეოდა.*

- ასეთი სიტყვები და გამოთქმები, ძირითადად, მთელ წინადადებას ეხება, იშვიათად კი – მის რომელიმე წევრს.
- წინადადების სხვა წევრებისაგან ეს სიტყვებიც, ძირითადად, მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა.
- მნიშვნელობის მიხედვით ასეთი სიტყვები მრავალგვარია:

1. **გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას:**
   ა. დარწმუნებულობას (*ცხადია, რა თქმა უნდა, რასაკვირველია, მართლაც, აშკარაა...*)
   ბ. ვარაუდს (*მგონია, შესაძლებელია, ალბათ, ეტყობა...*)
2. **გამოხატავს მთქმელის გრძნობას**: *საბედნიეროდ, სამწუხაროდ, საუბედუროდ...*
3. **გამოხატავს გამოთქმული აზრის წყაროს** (ვის ეკუთვნის): *როგორც იტყვიან / ამბობენ / გადმოგვცემენ, ჩემი აზრით, მათი /...-ის ცნობით...*
4. **გვიჩვენებს, როგორ აფასებს მთქმელი აზრის გამოხატვის ფორმას, სტილს:** *თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკეთ რომ ვთქვათ...*
5. **გამოხატავს თანამოსაუბრისადმი მიმართვას:** *წარმოიდგინეთ, მერწმუნეთ, ნუ გაგიკვირდებათ, დამეთანხმებით...*
6. **გვიჩვენებს აზრის თანამიმდევრობას ან კიდევ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან** (დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას): *ჯერ ერთი, პირველი, მეორე, მაშასადამე, ამგვარად, პირიქით, დასასრულ, ერთი სიტყვით, სხვათა შორის, მაგალითად...*



გვ. 23

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

6. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-ე).
7. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-გ).

გვ. 24

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები მსჯელობენ თემაზე “ფობია”.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ადარებენ წაკითხულ ინფორმაციას საკუთარ ვერსიებს.
3. მოსწავლეები ეცნობიან კვლევის შედეგებს და პასუხობენ შეკითხვებს (ა-ბ).
4. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 33 № 2 — გვ. 35 № 5: სრულდება დავალებათა სერია.

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს თემაზე “ცრურწმენა”.





ცრურწმენები და ფობიები

1. **რა არის „ფობია“ და რით განსხვავდება ის ჩვეულებრივი შიშისაგან? რა სახის ფობიები არსებობს და როგორია, შენი აზრით, სტატისტიკა ამ კუთხით მსოფლიოში?**
2. **წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეადარე შენს ვერსიებს. თავიდან უპასუხე შეკითხვებს.**

შიში ბუნებრივი მოვლენაა და წარმოადგენს კონკრეტული საფრთხის მიმართ გამომჟღავნებულ ნორმალურ რეაქციას, რომელიც ხანმოკლეა და საფრთხის გასვლისთანავე ქრება. შიშისაგან განსხვავებით, რთული ვითარება გვაქვს ფობიების შემთხვევაში.

„ფობია“ ბერძნული სიტყვისაგან – ფობოს – მომდინარეობს და *შიშს* ნიშნავს. ეს არის რაიმე სიტუაციის, ობიექტის, საქმიანობის, ადამიანისა თუ ცხოველის მიმართ ძლიერი, პანიკური შიში. ფობიებით შეპყრობილი ადამიანი სრულ პანიკაში ვარდება და საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს.

ამერიკელი მეცნიერების მიერ შედგენილ სამედიცინო ტერმინოლოგიურ ლექსიკონში აღწერილია 400 სახის ფობია, რომელთა რაოდენობაც ცივილიზაციის ახალი მიღწევების გაჩენასთან ერთად იზრდება.

სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში სხვადასხვა ფობიით ადამიანთა 10%-მდე იტანჯება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მეათე ადამიანი ერთი ან რამდენიმე სახის ფობიითაა შეპყრობილი.



3. **გაეცანი 2009 წელს საქართველოში ACT-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. კონკრეტულად რა ინფორმაციას იძლევა ეს დიაგრამა?
   ბ. რომელი ასაკობრივი ჯგუფის მონაცემებია ასახული დიაგრამაზე?




4. **მოისმინე და შეამოწმე. შეასრულე დავალებები რვეულში.**
5. **რას ნიშნავს, შენი აზრით, „ცრურწმენა“ და როგორ ადამიანს უწოდებენ ცრუმორწმუნეს? ყურადღება მიაქციე სიტყვის აგებულებას და ისე უპასუხე შეკითხვას.**
   ა. ცრუ, ანუ ყალბი, არასწორი
   ბ. რწმენა, ანუ დაჯერება, დარწმუნება

პირველი ნაბიჯები

6. **მოისმინე დიალოგი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. დააკონკრეტე საკომუნიკაციო სიტუაცია (*ვინ არიან თანამოსაუბრეები, სად საუბრობენ ისინი და რა არის მათი საუბრის ძირითადი თემა?*);
ბ. დაასახელე მიზეზი, რამ განაპირობა ამ თემაზე საუბარი;
გ. ისაუბრე თითოეული თანამოსაუბრის შესახებ (*გამოკვეთე მისი პოზიცია; დაასახელე კონკრეტული თანამოსაუბრის არგუმენტები*);
დ. შეაფასე ცალკეული მოსაუბრის არგუმენტები (*რა არის არგუმენტად გამოყენებული – კონკრეტული ფაქტი (ცხოვრებისეული გამოცდილება, სტატისტიკური მონაცემები...) თუ ავტორიტეტები (ცნობილი ადამიანების პოზიციები...); არის თუ არა ეს არგუმენტები მყარი და დამაჯერებელი*).

7. **გამოიყენე მოცემული სიტყვები, მოამზადე პასუხები მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს.**

*გსმენია თუ არა, რა მოაქვს:*

- თვალის თამაშს?
- მარილის დაბნევას?
- მაგიდის ქაღალდით გადაწმენდას?
- სარკის გატეხვას?
- დანის ხელში მიცემას?
- სახლში სტვენას?
- მარჯვენა ან მარცხენა ხელის ქავილს?
- მარჯვენა ან მარცხენა ყურის გახურებასა და სიწითლეს?

ჩხუბი
უსიამოვნება
ფულის მიღება
გაღარიბება
შენზე ჭორაობა
ფულის გაცემა
უბედურება
შენზე კარგის თქმა
ახალი ამბის გაგება

8. **წაიკითხე და დააკავშირე მოცემული სიტყვები შესაბამის განმარტებებთან. მიუთითე, რომელი სიტყვა იგულისხმება. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ა. ვინმესგან ან რამისგან დაცვა.
ბ. საქმის უკუღმართად წარმართვა, საქმის გაფუჭება.
გ. ავი, ბოროტი თვალით შეხედვა.
დ. თითქოსდა, წარმატებისა და ბედნიერების მომტანი ნივთი.
ე. იგივე, რაც თილისმა.
ვ. წინასწარ მითითება, მოსალოდნელი საფრთხის შეტყობინება.
ზ. მზრუნველობით მოპყრობა.

გათვალვა დათარსვა თილისმა
ავგაროზი დაფარვა გაფრთხილება
მოფრთხილება

9. **მოამზადე პასუხები მეწყვილესთან ერთად და შემდეგ იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო შესაბამისი არგუმენტების გამოყენებით.**

- შენი აზრით, დღესაც აქტუალურია თუ არა ცრურწმენებთან დამოკიდებულება და რატომ?
- აქვს თუ არა ასაკს, ქვეყანასა და კულტურას მნიშვნელობა?
- რა მოაქვს ცრურწმენებზე დამოკიდებულებას ადამიანისათვის?
- როგორია მეცნიერების დამოკიდებულება ამ საკითხთან?

10. **მოისმინე ინფორმაცია და შეადარე შენს პასუხებს. თავიდან უპასუხე წინა დავალებაში მოცემულ შეკითხვებს ამ ტექსტის გათვალისწინებით.**

25

## გვ. 25

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

6. მოსწავლეები ისმენენ დიალოგს (იხ. 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი) და პასუხობენ შესაბამის შეკითხვებს.
7. მოსწავლეები მუშაობენ მეწყვილეებთან ერთად: შეკითხვებს ჩარჩოში მოყვანილ ცრურწმენებს უკავშირებენ.
8. მეწყვილეები აჯგუფებენ ჩარჩოში მოყვანილ ცრურწმენებს და დავალების ა-ზ პუნქტებს.
9. მეწყვილეები გამოთქვამენ ვარაუდებს შეკითხვებზე დაყრდნობით.
10. ვარაუდების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს მორიგ ტექსტს (იხ. 11-ე დონე, მასწავლებლის წიგნი).

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 35 № 6: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალება.

გვ. 36 № 1, 2: სრულდება ენობრივი ტიპის დავალებები.

გვ. 26

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-ვ).
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-ზ, გვ. 27).



## სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში

**I. მთხრობელის სიტყვები შეიძლება:**

ა. უსწრებდეს პირდაპირ ნათქვამს;

ბ. მოსდევდეს მას;

გ. პირდაპირი ნათქვამის შუაში იყოს.

| | |
|---|---|
| **უსწრებს** | *ბეთჰოვენმა სიკვდილის წინ წამოიძახა: – დაუკარით ტაში, კომედია გათავდა!* |
| **მოსდევს** | *– აქ რატომ ზიხარ? – ჰკითხა მოხუცმა ბიჭს.* |
| **შუაშია** | *„როგორც ჩანს, აღარ მოვა!“ – გაიფიქრა მან და დასძინა: – მე მაინც დაველოდები!* |

**II. როგორია სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში, ეს დამოკიდებულია იმაზე, უსწრებს ის პირდაპირ ნათქვამს, მოსდევს მას თუ მის შუაშია.**

1. უსწრებს პირდაპირ ნათქვამს.

| | |
|---|---|
| **S + ზმნა** | *კაცმა ჰკითხა: – რას აკეთებ, აქ რატომ ზიხარ?* |
| **S + O + ზმნა** | *ბიჭმა კაცს უპასუხა: – არ ვიცი, რა გავაკეთო, ცუდ ხასიათზე ვარ.* |
| **S + ზმნა + O** | *კაცმა მიუგო ბიჭს, ყველაფერი ისე არ არის, შენ როგორც გინდაო.* |

**შენიშვნა 1:** *იშვიათად სუბიექტიც შეიძლება შეგვხვდეს ბოლოში:*

*უპასუხა კაცს **ბიჭმა:** „ ... “*

*ბოლოს ჰკითხა **მან:** „ ... ?“*

**შენიშვნა 2:** *თუ გარემოებაც არის წინადადებაში, მაშინ ვითარების გარემოება, ჩვეულებრივ, ზმნის წინ დგას, დროის გარემოება, როგორც წესი, იწყებს წინადადებას, ხოლო ადგილის გარემოება შეიძლება იწყებდეს წინადადებასაც და იდგეს ზმნის წინაც.*

*კაცმა **ალერსიანად** ჰკითხა: „ ...?“*

***მაშინ** კაცმა მიუგო: „ ... “*

***გზიდან** კაცმა დაუძახა: „ ... “*

*მან **სახლიდან** გამოსძახა: „ ... “*

**1. აირჩიე სწორი ვარიანტი და დაასახელე.**

ა. მან სთხოვა იქ მყოფებს, ...?... (*რომ / თუ*) ყურადღებით ყოფილიყვნენ.

ბ. მე ვკითხე მას, ...?... (*რომ / თუ*) სად იყო აქამდე.

გ. მათ სთხოვეს მშობლებს, ...?... (*რომ / თუ*) ეს ფილმი ენახათ.

დ. შენ უბრძანე მათ, ...?... (*რომ / თუ*) არ წასულიყვნენ?

ე. ის დაინტერესდა, ...?... (*რომ / თუ*) სად ვცხოვრობდი ბოლო ორი წლის განმავლობაში.

ვ. ბიჭმა გაიხსენა, ...?... (*რომ / თუ*) ის შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

**2. წაიკითხე ნაწყვეტი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „პატარა ბიჭის წერილი დედას“ და შეასრულე მის ქვემოთ მოცემული მითითებები.**

*„დედა, აქ კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ერთ დღეს მზესუმზირას ვყიდულობდი და გამყიდველს შევეკითხე: საიდან ბრძანდებით-მეთქი. იმან მითხრა, დიდსერიდანო. რა გვარი ბრძანდებით-მეთქი, – ბერიძეო. მე დიდსერში ბებია მყავს-მეთქი. რა გვარიაო? ვუთხარი ჩვენი გვარი. მაშ, შენ ალექსანდრეს შვილიშვილი ხარო? დიახ-მეთქი. რას ამბობო! მე და პაპაშენი დიდი ძმაკაცები ვიყავით, ერთად ვქეიფობდით და სულ ჰარიჰარალოს ვიძახოდითო. ომშიც ერთად წაგვიყვანესო. პაპაშენმა ერთ მიტოვებულ სარდაფში კიტრის მწნილით სავსე კასრი იპოვა და იმდენი ვჭამეთ, კინაღამ დავიხოცენითო...“*

ა. მოძებნე ტექსტში სხვისი სიტყვები და მიუთითე, როგორ არის ის გადმოცემული – პირდაპირი თუ ირიბი ნათქვამით.

ბ. როგორ არის გადმოცემული პირდაპირი ნათქვამი – სიტყვასიტყვით თუ დაერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკები?

გ. ყოველთვის ახლავს თუ არა პირდაპირ ნათქვამს მთხრობელის სიტყვები? მიუთითე შესაბამისი ადგილი.

დ. წაიკითხე მთხრობელის სიტყვები და დაასახელე, რომელი პირია.

ე. მიუთითე, რომელი პირის ნათქვამს გადმოსცემს მთხრობელი?

ვ. დაუბრუნდი მთხრობელის სიტყვებს და მიუთითე მისი ადგილი ცალკეულ შემთხვევაში – *უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, მოსდევს მას თუ მის შუაშია.*

ზ. დააკონკრეტე სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში.

**3. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე შემდეგი დავალებები.**

ა. შეადგინე ბიჭისა და მზესუმზირის გამყიდველს შორის არსებული ორი დიალოგი შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- *პირდაპირი ნათქვამი მოცემულია მთხრობელის სიტყვების გარეშე;*
- *პირდაპირ ნათქვამს ახლავს მთხრობელის სიტყვები.*

ბ. გადააკეთე პირდაპირი ნათქვამები ირიბ ნათქვამებად და ისე გადაწერე ტექსტი რვეულში.

გ. წაიკითხე შენი ნაწერი და დაასახელე, რა შეიცვალა.

დ. **მოისმინე** და შეამოწმე შენი დავალება. დაასახელე, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.

ე. გაასწორე შეცდომები და წაიკითხე.

2. მოსდევს პირდაპირ ნათქვამს ან ჩართულია პირდაპირ ნათქვამში:

| | |
|---|---|
| **ზმნა + S** | – კი, ბატონო, მართალი ბრძანდებით! – *მიუგო დავითმა.*<br>აბა, როგორ? – *ჰკითხა ბიჭმა.* – შენ ხომ ასე მითხარი? |
| **ზმნა + O + S** | გიორგი არ მოსულა? – *ჰკითხა სანდრომ დას.*<br>ჩხუბი მოგივიდა?! – *ჰკითხა მეგობარს სანდრომ.* – რატომ, რა მოხდა? |
| **ზმნა + S + O** | წამოდი, ჩემთან წავიდეთ! – *შესთავაზა მაკამ მეგობარს.*<br>„ალბათ, ეს არის!“ – *გაიფიქრა ბიჭმა და მეგობარს მიუბრუნდა:* – ჩქარა, გავიქცეთ! |

**შენიშვნა:** *თუ ზმნას ახლავს ვითარების გარემოება, ის ან მის წინ დგას, ან მოსდევს მას, ან წინადადების ბოლოშია.*

a. *– რა თქვი? –* ***ჩურჩულით*** *იკითხა ნანამ.*

b. *– ეს როგორ გააკეთე?! – მკითხა* ***გაბრაზებით*** *მამამ.*

c. *– წასულან! – თქვა ბიჭმა* ***სინანულით.***

**II. მთხრობელის ნათქვამი შესაძლებელია, იყოს რთული წინადადება. იმის გათვალისწინებით, უსწრებს თუ მოსდევს ის პირდაპირ ნათქვამს, განსხვავებულია ამ წინადადების სტრუქტურა.**

| |
|---|
| **მთხრობელის ნათქვამი მოსდევს პირდაპირ ნათქვამს.** |
| *აბა, ახლა მომიყევი, რა მოხდა ეზოში? – უთხრა მამამ რეზოს,* ***როცა სახლში შევიდნენ,*** |
| **მთხრობელის ნათქვამი უსწრებს პირდაპირ ნათქვამს.** |
| ***როცა სახლში შევიდნენ,*** *მამამ რეზოს უთხრა: – აბა, ახლა მომიყევი, რა მოხდა ეზოში?* |



გვ. 27

**მოსწავლის წიგნი**

ათვისებული გრამატიკული ცოდნის განსამტკიცებლად სრულდება სავარჯიშოების სერია:

3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების პუნქტები (ა-ე).

გვ. 28

## გამოძიება

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და ენობრივ ცნობარებს. ისინი ეცნობიან ბლეზ პასკალის გამონათქვამს და შეკითხვებზე დაყრდნობით გამოხატავენ პოზიციებს.
2. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად და პასუხობენ ა-ზ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
3. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას ბერძნული და რომაული მითოლოგიური პერსონაჟების, (სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მართლმსაჯულების, სამართლიანობისა და სიმართლის) ქალღმერთების შესახებ. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს.

მოსწავლის რვეული

გვ. 37 № 1 — გვ. 38 № 1: სრულდება კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებული კომბინირებული ტიპის დავლებათა სერია.

თემა 1

## გამოძიება

### 1. სიმართლე და სამართალი

**თემატური ცნობარი**

- თემიდა და იუსტიცია
- ჰამურაბის კანონები
- თამარ მეფის სიტყვა მეფედ კურთხევის დროს
- თითის ანაბეჭდი და მისი ისტორია
- სიცრუის დეტექტორი
- არგუმენტირება
- დეტექტივები
- არტურ კონან დოილის ბიოგრაფია

**ენობრივი ცნობარი**

- კავშირი (აგებულება, ფუნქციები)
- ნაწილაკი (მისი ადგილი წინადადებაში და ფუნქციები)

**1. რა არის სიმართლე და რა არის სამართალი? ვინ და როგორ ადგენს სამართალს? წაიკითხე ფრანგი ფიზიკოსისა და მოაზროვნის, ბლეზ პასკალის, სიტყვები, განმარტე მათი მნიშვნელობა და გამოხატე შენი პოზიცია – ეთანხმები თუ არა? დაასაბუთე სათანადო არგუმენტებით.**

„ის, რაც ალპებს იქით ჭეშმარიტებაა, ალპებს აქეთ სიცრუეა!“

**2. მოამზადე პასუხები მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია შესაბამისი არგუმენტებით.**

ა. რა არის კანონი და ვინ ქმნის მას?
ბ. რისთვის იქმნება კანონები?
გ. რატომ არის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული კანონები განსხვავებული?
დ. რას ნიშნავს სიტყვა „კანონმორჩილი“?
ე. რა მოხდება, ქვეყანაში კანონები რომ არ არსებობდეს?
ვ. რატომ არღვევენ ადამიანები კანონებს?
ზ. შენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კანონი არ დაირღვეს?




**3. ვინ არიან თემიდა და იუსტიცია და რა აკავშირებთ მათ? რას ნიშნავს „თემიდას სამართალი“? წაიკითხე და შეამოწმე შენი ვერსია.**



თემიდაც და იუსტიციაც კანონიერებისა და სამართლიანობის ქალღმერთებად არიან მიჩნეულნი ბერძნულ და რომაულ მითოლოგიებში.

ბერძნულ მითოლოგიაში, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის ნიშნად, თემიდა თვალებახვეულია. თემიდასგან განსხვავებით კი, რომაული მითოლოგიის ქალღმერთს სიმართლის უკეთ დასანახად თვალები ფართოდ აქვს გახელილი.

აღნიშნავენ, რომ ეს განსხვავება სამართლისა და სამართლიანობასთან განსხვავებულ მიდგომაზე მიუთითებს.

თემა 1

**4. სამართლიანობასთან რომელი მიდგომაა შენთვის უფრო სამართლიანი და რატომ?**

**5. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დაასახელე ჰამურაბის კანონების ისტორიული მნიშვნელობა.**

ჰამურაბის კანონები ძველი მესოპოტამიის მთელი ისტორიის განმავლობაში მიიჩნეოდა ეტალონად. მას სწავლობდნენ შემდეგი თაობების იურისტები. იგი საფუძვლად დაედო მის შემდეგ შექმნილ კანონებს. ჰამურაბის ბრძანებით, კოდექსი ქვაზე გამოკვეთეს, რათა ის უცვლელად დარჩენილიყო.

**6. დააკავშირე მოცემული სიტყვები შესაბამის განმარტებებთან.**

*მართლმსაჯულება სასამართლო მოსამართლე ბრალდებული ბრალმდებელი*

ა. პირი, რომელიც სასამართლოს წესით რაიმე საქმეს არჩევს; ვინც ასამართლებს.

ბ. პირი, რომელიც სასამართლოში ბრალდებას ასაბუთებს, ან სამართალში მიცემულ პირს ბრალს სდებს.

გ. იგივეა, რაც სამართალი, კანონიერება

დ. ის, ვისაც ბრალი ედება; სამართალში მიცემული პირი.

ე. სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს.

**„ერთ საქმეზე ორჯერ გადაწყვეტილება არ გამოიტანება!“**

* თუ ერთი მეორეს მკვლელობას დასწამებს, მაგრამ ბრალდებას ვერ დაუმტკიცებს, ბრალმდებელი სიკვდილით დაისჯება.

* თუ ერთი მეორეს ბრალს დასდებს და დაამტკიცებს მას, ბრალმდებელი ფულით უნდა დასაჩუქრდეს!

* თუ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ მოგვიანებით გაირკვევა, რომ ის მცდარი იყო, მან თორმეტჯერ მეტი უნდა გადაიხადოს, ვიდრე ბრალდებულმა და თან მოსამართლის უფლებასაც სამუდამოდ დაკარგავს.

ჰამურაბის კანონთა კრებულიდან

**7. გაეცანი ჰამურაბის კანონთა კრებულიდან მოტანილ მუხლებს და შეასრულე მითითებები.**

ა. დაასახელე, ვის ეხება მოცემული მუხლები?
ბ. რა სასჯელზეა საუბარი და კონკრეტულად, რა შემთხვევაში?
გ. შენი აზრით, არის თუ არა მოცემული კანონები სამართლიანი? მკაცრი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

**8. წაიკითხე თამარ მეფის (1160-1213 წწ.) სიტყვა, რომელიც მან მეფედ კურთხევის დროს წარმოთქვა და შეასრულე დავალებები რვეულში.**



„წმინდა მამანო, კეთილად გამოიძიეთ ყოველივე და დაამტკიცეთ სიმართლე, განდევნეთ უსამართლობა. დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ ბოროტმოქმედნი. დაიწყეთ მართლმსაჯულების აღსრულება თუნდაც ჩემგან, თუკი დამნაშავე ვარ და რამეში მედება ბრალი.

გვირგვინი, რომელიც თავზე მადგას, ნიშანია მეფობისა და არა – ღვთის გმობისა და უსამართლობისა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ნურც წარმომავლობასა და ნურც დიდკაცობას. სამართლიანად მოეპყარით ყველას – გლეხსაც და თავადსაც.

ყველამ ერთად ვიმოქმედოთ ქვეყნის კეთილდღეობისათვის, თქვენ – სიტყვით, მე კი – საქმით; თქვენ – დარიგებით და მე – აღსრულებით ისე, როგორც წესი და რიგია, რათა ყველამ აღასრულოს კანონი!

უშიშრად დავეხმაროთ ერთმანეთს და თვალყური ვადევნოთ სამართლის აღსრულებას!“

გამოძიება 29

## გვ. 29

### მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები მსჯელობენ სამართლისა და სამართლიანობის შესახებ თემიდასა და იუსტიციის მაგალითებზე.
5. ჩარჩოში მოყვანილი ინფორმაციის დახმარებით, მოსწავლეები ეცნობიან ბაბილონელი მეფის, ჰამურაბის მიერ შექმნილი კანონების ისტორიულ მნიშვნელობას.
6. მოსწავლეები აკავშირებენ ჩამოთვლილ სიტყვებს შესაბამის განმარტებებთან (ა-ე პუნქტები).
7. მოსწავლეები ეცნობიან მუხლებს ჰამურაბის კანონთა კრებულიდან და პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ).

### მოსწავლის რვეული

გვ. 38 № 2, 3, 4: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი და ლექსიკური ტიპის სავარჯიშოები.

### მოსწავლის წიგნი

8. მოსწავლეები ეცნობიან თამარ მეფის მიერ მეფედ კურთხევისას წარმოთქმულ სიტყვას და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 39 № 5: სრულდება ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებული კომბინირებული სავარჯიშო.

## გვ. 30

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ ა-ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს რუბრიკაზე “იცით თუ არა, რომ”.

📖 **მოსწავლის რვეული**

გვ. 39 № 6: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალება.

**მოსწავლის წიგნი**

2. შეკითხვებზე დაყრდნობით, კლასში იმართება დისკუსია. გამოთქმული მოსაზრებების გადასამოწმებლად მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ტექსტს. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ) მოსმენილ მასალაზე დაყრდნობით.

📖 **მოსწავლის რვეული**

გვ. 40 № 1 — გვ. 41 № 4: სრულდება მოსმენილი ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები.

თემა 1

**1. წაიკითხე მოცემული ტექსტი და განმარტე, რა არის „ანაბეჭდი“? უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.**

საუკუნეების წინ ის ადამიანები, რომელთაც ხელის მოწერა არ შეეძლოთ, დოკუმენტზე საკუთარი ცერა თითის ანაბეჭდს ტოვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანს განსხვავებული თითის ანაბეჭდი აქვს, უტყუარ სამხილად მისი გამოყენება მხოლოდ 1892 წლიდან დაიწყეს.

1880 წელს სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ადამიანთა იდენტიფიცირებისათვის თითის ანაბეჭდების გამოყენებას ეხებოდა. წერილის პასუხად, ბენგალში ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელმა სერ უილიამ პერშელმა განმარტა, რომ ასეთ სისტემას ის უკვე იყენებდა პატიმართა პიროვნების დასადგენად. ამას მოჰყვა საკითხის მეცნიერული კვლევა, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი სერ ფრენსის გალტონი ხელმძღვანელობდა. მან დაასკვნა, რომ თითის ანაბეჭდი უნიკალური იყო და არ იცვლებოდა, თანაც, არც მემკვიდრეობით გადაეცემოდა. თვით იდენტურ ტყუპებსაც კი განსხვავებული ანაბეჭდები ჰქონდათ.

ამ აღმოჩენის საფუძველზე, თითის ანაბეჭდები სასამართლომ 1892 წელს უტყუარ სამხილად მიიჩნია. ფრანჩეკა როჰარი გახდა პირველი ადამიანი, რომელიც დარწმუნდა თითის ანაბეჭდის, როგორც სამხილის, უტყუარობაში. მან საკუთარი შვილების მკვლელობაში მეზობელი დაადანაშაულა, თუმცა თავად დანაშაული მას შემდეგ აღიარა, რაც მისი სისხლიანი ანაბეჭდები კარის ჩარჩოზე აღმოაჩინეს.

ა. როგორ გესმის „უტყუარი სამხილი“? განმარტე კონტექსტის მიხედვით.
ბ. როდიდან მიიღეს სასამართლოზე თითის ანაბეჭდები უტყუარ სამხილად?
გ. იყენებდნენ თუ არა მანამდე თითის ანაბეჭდებს? მიუთითე, ვინ როდის და რისთვის იყენებდა მას.
დ. ვინ იყო ფრანცის გალტონი და რატომ უკავშირდება კრიმინალისტიკაში ანაბეჭდების გამოყენება მის სახელს?
ე. რით შევიდა ფრანჩეკა როპარი ისტორიაში?

**2. იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო. 🎧 მოისმინე ინფორმაცია და შეადარე შენს ვარაუდებს.**

ა. რა შემთხვევაში იტყუებიან ადამიანები?
ბ. ვინ უფრო ხშირად იტყუება – მამაკაცი თუ ქალი და რა არის მათი ტყუილის მიზეზი ან მიზანი?
გ. შენი აზრით, ტყუილის ამოცნობის ვის უკეთესი უნარი აქვს – მამაკაცს თუ ქალს?

იცი თუ არა, რომ:



- ცოცხალი არსებებიდან მხოლოდ ადამიანსა და კოალას აქვთ კიდურების უნიკალური ანაბეჭდები. ამასთანავე, კოალას ანაბეჭდების გამორჩევა ადამიანის ანაბეჭდებისგან მხოლოდ პროფესიონალ კრიმინალისტებს შეუძლიათ.
- ზრდასრულის თითის ანაბეჭდი რამდენიმე დღე ან უფრო დიდი ხნის განმავლობაში არ იშლება. ბავშვის თითის ანაბეჭდი კი 24 საათის განმავლობაში იშლება.

**3. რა არის სიცრუის დეტექტორი და სად და რისთვის იყენებენ მას? წაიკითხე მოცემული ტექსტი და შეასრულე დავალებები რვეულში.**

ეს არის მოწყობილობა, რომლითაც ამოწმებენ, ამბობს თუ არა ადამიანი სიმართლეს. პროგრამის კითხვარში გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომლებიც ზრდიან დაძაბულობას, რათა დაკითხვის სუბიექტმა თავის საქციელსა და პასუხებზე კონტროლი დაკარგოს. ამიტომაც არის, რომ აშშ-ის მრავალ შტატში სიცრუის დეტექტორით (ანუ პოლიგრაფით) შემოწმების შედეგებს სასამართლო სამხილად არ მიიჩნევს. ამერიკის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2003 წელს საგანგებოდ შეისწავლა პოლიგრაფების შესახებ არსებული სამეცნიერო მონაცემები და ისინი არამეცნიერულად, არასანდოდ და მიკერძოებულად ცნო. მისი დასკვნით, მასობრივი ტესტირებისას მიღებული შედეგები შემთხვევითისგან არაფრით განსხვავდება. მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო თავის მოქმედ და მომავალ თანამშრომლებს პოლიგრაფზე სისტემატურად ამოწმებს. მიუხედავად ამისა, 1945 წლიდან ამერიკის, სულ მცირე, 6-მა მოქალაქემ, რომლებიც სამშობლოს ღალატობდნენ, სიცრუის დეტექტორზე ტესტი წარმატებით ჩააბარა, მათ შორის, ზოგიერთმა – რამდენჯერმეც კი.

30 გამოძიება



Mascavl_Cigni_Done-12 _ 40

**4. რა არის არგუმენტი და რისთვის არის ის საჭირო? როგორ იქმნება არგუმენტი? გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**არგუმენტი** ლათინური სიტყვაა – ARGUERE – და ნიშნავს მსჯელობისათვის „ნათელის მოფენას“, მსჯელობისას ჭეშმარიტების დადგენას.

**არგუმენტირებული საუბარი** გულისხმობს სათქმელის ნათლად, მკაფიოდ, დასაბუთებულად და დამაჯერებლად დამტკიცებას.

მეთოდები

| მეთოდები | ძირითადი აქცენტები |
|---|---|
| სოკრატეს მეთოდი | კითხვების დასმით არგუმენტირებული პასუხების მიღება და ამ პასუხებით სათანადო დასკვნის გაკეთება.<br>აქტუალურად გამოიყენება სასამართლო პროცესებზე დაკითხვისას, აგრეთ-ვე დებატებშიც.<br>მიზანი – ჭეშმარიტების დადგენა |
| დიალოგის მეთოდი | ჰგავს კითხვების დასმის მეთოდს. მიზანი აქაც ჭეშმარიტებასთან მისვლაა. აგებულია მოსაუბრეთა მსჯელობასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე |
| დარწმუნების მეთოდი | ემყარება ლოგიკას. ამ დროს მნიშვნელლოვან ადგილს იკავებს ლოგიკური მსჯელობა და ლოგიკური კავშირები.<br>მიზანი – ოპონენტის (აუდიტორიის) დარწმუნება ჩვენი აზრის უპირატესო-ბაში. |
| მოქმედების მეთოდი | იგი გულისხმობს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ თუ ემოციურ ზემოქმედებას. ლოგიკას არ ემყარება.<br>გამოიყენება, ძირითადად, რეკლამებში, არჩევნებში, ხმის მიცემის წინ.<br>მიზანი – დარწმუნება იმაში, რომ ჩვენ სასარგებლოდ იმოქმედოს. |
| „მხოლოდ საკუთარი თავის“ მეთოდი | ეყრდნობა მხოლოდ საკუთარი აზრის, პოზიციის გამოხატვას. სხვისი აზრი არ გვაინტერესებს. მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოსაზრების გარდა ყველა დანარჩე-ნი მცდარია.<br>როგორც წესი, პოლიტიკოსები იყენებენ თავიანთ გამოსვლებში. |
| „ეფექტის მოხდენის“ მეთოდი: | გამომსვლელისათვის მთავარი ხდება არა ის, თუ რას ამბობს, არამედ ის, თუ ვის ეუბნება. გამომსვლელის ყურადღება მთლიანად აუდიტორიაზე გადა-დის. აქცენტი კეთდება ინტონაციაზე, ჟესტიკულაციასა და მიმიკაზე. |

სტრუქტურა

არგუმენტი სამი მთავარი ელემენტისაგან შედგება და, რაც უფრო მტკიცეა მათ შორის კავშირი, მით უფრო ძლიერია ლოგიკა და, მთლიანობაში, პოზიცია.

დამამტკიცებელი წინადადება, რომელიც განამტკიცებს აზრს.

**აზრი, პირობა, რომელიც საჭიროებს განმტკიცებას**

დასკვნა (არგუმენტირებული პოზიცია), რომელიც ორივე წინადადებიდან გამომდინარეობს.

**გაითვალისწინე!**

- არ არსებობს ისეთი არგუმენტი, რომლის უარყოფაც არ შეიძლება.
- ყველა არგუმენტს გააჩნია თავისი სუსტი მხარეები.
- ძლიერია არგუმენტი, თუ ის გამომდინარეობს მიზეზშედეგობრივი კავშირიდან (რა იყო – რა არის – რა იქნება)



## გვ. 31

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს სიცრუის დეტექტორის შესახებ და ასრულებენ მრავალგვარი დავალებების სერიას მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 42 № 1, 2, 3: სრულდება კონტექსტთან დაკავშირებული დავალებების სერია.

გვ. 43 № 4 — გვ. 44 № 2: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები.

**მოსწავლის წიგნი**

მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები საფუძვლიანად ეცნობიან სქემას არგუმენტირების სხვადასხვა მეთოდის შესახებ და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 44 № 3 — გვ 46 № 1: სახელმძღვანელოში მოყვანილ სქემაზე (გვ. 31) დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ დავალებების მრავალფეროვან სერიას.

გვ. 32

**მოსწავლის წიგნი**

**კავშირი**

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-გ პუნქტები.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ვ პუნქტები.
3. დავალება სრულდება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით.
4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ვ პუნქტები.

თემა 1

## კავშირი და ნაწილაკი

კავშირი

| | |
|---|---|
| შინაარსი | ეს არის დამხმარე სიტყვა, რომელიც აერთებს ორ სიტყვას წინადადებაში ან ორ წინადადებას. |
| აგებულე-ბა | შეიძლება იყოს მარტივი და რთული. |
| ფუნქცია | ფუნქციის მიხედვით ორგვარია: მაე-რთებელი და მაქვემდებარებელი. |

აგებულება:

| **მარტივი** (ერთი სიტყვა) | **რთული** (ორი ან მეტი სიტყვა) |
|---|---|
| და, მაგრამ, რომ, თუ, ხოლო, რათა, რადგან, თუნდაც, თუმცა, ვიდრე... | იმიტომ რომ, ასე რომ, მაშინ როდესაც... არა მარტო – არამედ, კი არა – არამედ, თუმცა – მაგრამ... |

ფუნქციები:

| **მაერთებელი** | აერთებს ორ სიტყვას ან ორ თა-ნასწორ წინადადებას. |
|---|---|
| მაჯგუფებელი | **და, თუ** (მაგ.: *დედა და მამა სახლ-ში არ არიან; ლია და გია ეზოში თამაშობენ; დიდი თუ პატარა ყველა სახლშია...*) |
| მაცალკევებელი | **ხან** (ხან... ხან, ხან – ხან კი), **ან** (ან... ან, ან – ან არადა), **გინდ** (გინდ... გინდ), **თუ, თუნდ** (თუნდ... თუნდ) (მაგ.: *ხან წვიმს, ხან მზეა; გინდ ითამაშე, გინდ – არა; ან წითელი აიღე, ან – შავი...*) |
| მაპირისპირებე-ლი | **მაგრამ, ხოლო, არამედ, თუმცა, კი (კი არ – არამედ), თორემ, ოღონდ, არა მარტო – არამედ, თუ** (მაგ.: *მალე მოდი, თორემ წავალ; უნდოდა, მაგრამ არ იყიდა; ლიამ კი არ თქვა, არამედ – გიამ...*) |
| მაიგივებელი | **ანუ, ე.ი.** (ესე იგი) (მაგ.: *ეს თევზის პატარა კვერცხებია, ანუ ქვირი-თი...*) |

| **მაქვემდებარე-ბელი** | აერთებს არათანასწორ წინა-დადებებს (მთავარს სხვადასხვა შინაარსის დამოკიდებულთან). |
|---|---|
| დროის | თუ არა, სანამ, რაკი, ვიდრე, რომ, რაწამს... |
| მიზეზის | რადგანაც, იმიტომ რომ, რაკი, ვინაიდან... |
| მიზნის | რათა, რომ, იმისათვის რომ... |
| პირობის | თუ, თუკი, რომ, ოღონდ... |
| დათმობის | თუმცა, თუნდაც, თუნდ, გინდ, გინდაც, მიუხედავად იმისა რომ |
| შედეგობითი | ასე რომ, რის გამოც |

**1. გაეცანი მოცემულ ინფორმაციას კავშირის შესახებ და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა არის კავშირის დანიშნულება?

ბ. რით განსხვავდება მაერთებელი და მაქ-ვემდებარებელი კავშირები ერთმა-ნეთისაგან?

გ. დაუბრუნდი მაერთებელ კავშირებს და დაასახელე, რა განსხვავებაა მაჯგუ-ფებელ, მაცალკევებელ, მაპირისპირებელ და მაიგივებელ კავშირებს შორის?

**2. აირჩიე და დაასახელე, ფრჩხილებში მოცე-მული კავშირებიდან რომელი შეესაბამება კონტექსტს და წაიკითხე სრული წინადადე-ბა. შეადარე სხვების ვარიანტებს.**

ა. ისინი წავიდნენ --?-- აქ არიან? (*და, თუ, ხოლო*)

ბ. სამართლიანი იყო დათო, --?-- ცოტა ფიცხი. (*თუმცა, ხოლო, ხან*)

გ. ლია მალე მოვიდა, თამარმა --?-- დაიგვია-ნა. (*თუ, კი, არამედ*)

დ. ძალიან ცვალებადი ხასიათი აქვს – --?--ტირის, --?-- იცინის. (*ხან–ხან, გინდ–გინდ, თუნდ-თუნდ*)

ე. შენი ნებაა, რას იზამ, --?-- დარჩი, --?-- წა-მოდი. (*ხან–ხან, გინდ–გინდ, თუნდ-თუნდ*)

ვ. ყველაფერი მოასწრო, --?-- დილით ძალიან ადრე ადგა. (*ვიდრე, თუმცა, რადგან*)

**3. დაუბრუნდი წინა დავალებას. გადაწერე წინადადებები რვეულში, წაიკითხე და შეა-მოწმე მისი სისწორე.**

**4. მოცემულ წინადადებებში არასწორად არის კავშირები ნახმარი. დაასახელე სწორი ვარიანტები. სწორად გადაწერე წინადადე-ბები რვეულში და წაიკითხე.**

ა. მაშინ მეცადინეობს, მის მაგიდაზე ყოველთვის ქაოსია.

ბ. მართალია, არ მოსწონს, არამედ გიორგის ხათრით უყურებს.

გ. ის ყველგან არის, თუმცა ამის საჭიროება არ იყოს.

დ. მამა არქიტექტორი იყო, სანამ ფერწერი-თაც იყო გატაცებული.

ე. გაზეთში წავიკითხე, რადგან ეგვიპტური პირამიდები კი არ იყო, ოღონდ – ჩინური.

ვ. ვინაიდან ფაქტებს გვერდს ავუვლით, მაშინ ფანტაზიის სფეროში გადავალთ.

32 გამოძიება

5. **გაეცანი ინფორმაციას ნაწილაკის შესახებ და უპასუხე შეკითხვებს.**
   - ა. რით განსხვავდება ნაწილაკი კავშირისაგან?
   - ბ. რის მიხედვით განსხვავდებიან ნაწილაკები ერმანეთისაგან?
   - გ. რა არის თითოეული ჯგუფის ფუნქცია?
   - დ. არის თუ არა ჯგუფში შემავალ ნაწილაკებს შორის სხვაობა? კონკრეტულად რომელ ნაწილაკებს ეხება ეს და რა სხვაობაზეა საუბარი?

6. **წაიკითხე წინადადებები და შეადარე ერთმანეთს. რა განსხვავებაა მათ შორის? მიუთითე, რა ქმნის ამ განსხვავებას. დააკონკრეტე ნაწილაკის ფუნქცია.**

I.
- ა. გიორგი სახლშია.
- ბ. გიორგიც სახლშია.
- გ. გიორგი უკვე სახლშია.

II.
- ა. ნუთუ, ყველაფერი მართალია?
- ბ. ყველაფერი მართალია?!
- გ. იქნებ ყველაფერი მართალია?

III.
- ა. ჩემი ძმა ცოტას კითხულობს.
- ბ. ჩემი ძმაც ცოტას კითხულობს.
- გ. ჩემი ძმა ცოტას როდი კითხულობს!

7. **აირჩიე სათანადო ნაწილაკები კონტექსტის მიხედვით და წაიკითხე წინადადებები. შეადარე ისინი სხვების ვარიანტებს.**
   - ა. ოთხიდან მხოლოდ სამი-?- დარჩა. (*ოდე, ღა, ც*)
   - ბ. ეს --?-- თვითონ იმ კაცმა თქვა? (*თუ, ხომ, კიდეც*)
   - გ. --?-- არც მოვიდეს, ხომ შეიძლება? (*ეგებ, თითქმის, თურმე*)

8. **დაასახელე, რა ფუნქციით იხმარება მოცემული ნაწილაკი.**
   - ა. იქნება, არც ღირს ამაზე ნერვიულობა!
   - ბ. გიას ძალიან უნდა კინოში წასვლა.
   - გ. რატომ ჩავიდა ეზოში, იმეცადინა თუ?
   - დ. პირველ რიგში, უნდა იმეცადინოს!
   - ე. თუ იმეცადინა, შეუძლია, ითამაშოს!
   - ვ. ხვალ აუცილებლად იქნება დარი.

ნაწილაკი

| | |
|---|---|
| შინაარსი | ეს არის ბგერა (**ც**), ბგერათა ჯგუფი (**ოდე**) ან სიტყვა (**მხოლოდ**), რომელიც დაერთვის სიტყვას სხვა ელფერის მისაცემად. |
| ადგილი | შეიძლება იყოს სიტყვის წინ ან მის შემდეგ; იდგეს ცალკე, თან დაეროს სიტყვას ან დეფისით გამოეყოს მას (მაგ.: ***ნუ*** *წახვალ; მას აულია* ***თურმე****; მე**ც** წამოვალ;* ***არ*** *მინდა-**მეთქი**...*) |
| ფუნქცია | ფუნქციის მიხედვით მრავალფეროვანია. ზოგს ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს – ორი ან მეტი. |

ფუნქციები:

| | |
|---|---|
| ჩვენებითი | **ა, აი, აჰა, ჰა** (მიუთითებენ იმა-ზე, რაც მოლაპარაკის თვალწინ არის ან ხდება) |
| კითხვითი | **თუ, ხომ; ნუთუ, განა** (ახლავს გაკვირვებაც) |
| განუსაზღვრელობითი | **მე, ღა, ღაცა** (ვინმე, რაღა, რაღა-ცა) |
| უკუთქმითი | **არ, ვერ, ნუ; როდი** (ახლავს განცვიფრება) |
| მიგებითი | **ჰო, კი, დიახ, არა, ვერა** |
| სიტყვასიტყვითი | **მეთქი, თქო, ო** |
| გაძლიერებითი | **ცა, ც კი, უკვე, მაინც, კიდეც** |
| გამორჩევითი | **ღა** (ესღა), **მხოლოდ, მარტო** |
| ნება-სურვილის, ნატვრის, მოწოდების, ბრძანების | **ნეტავი, ნეტა, მცა, ნეტამც, უნდა, ბარემ, დაე, ვინძლო, აბა, მოდი** |
| შესაძლებლობა-ვარაუდისა და განცვიფრების | **იქნებ (იქნება), ეგებ, შეიძლება** (შესაძლებლობა-ვარაუდი), **რა, არა, აკი არ** (გაკვირვება-განცვიფრება) |
| მიახლოებითი | **კინაღამ, ლამის, თითქმის; ოდე** (იხმარება რიცხვით სახელთან) |

ზოგიერთი ნაწილაკი კონკრეტულ შინაარსს გამოხა-ტავს:

| | |
|---|---|
| **ხოლმე** | მრავალგზისობა |
| **თურმე** | უნახაობა |
| **ვაითუ** | შიში |
| **ვითომ, თითქოს, თითქო** | მსგავსება |
| **ვე** | 1. კვლავ<br>2. ყველა, უკლებლივ |

მიაქციე ყურადღება!

| ნაწილაკი | კავშირი | ზმნა |
|---|---|---|
| **თუ:** წავიდა თუ? | **თუ:** თუ წავიდა, მითხარი. | |
| **უნდა:** უნდა წავი-დეს! | | **უნდა**: მას წასვლა უნდა. |
| **იქნება:** იქნება, მოვიდეს! | | **იქნება:** ის ხვალ იქნება. |



გვ. 33

**მოსწავლის წიგნი**

**ნაწილაკი**

5. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-დ პუნქტები.
6. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების (I, II, III) პუნქტები.
7. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-გ პუნქტები.
8. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ვ პუნქტები.

## გვ. 34

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას თემაზე “დეტექტივი” და პასუხობენ ა-ვ შეკითხვებს.
2. მოსწავლეები აკვირდებიან სამი ცნობილი პერსონაჟის ილუსტრაციებს (შერლოკ ჰოლმსი — ინგლისელი მწერლის, არტურ კონან დოილის დეტექტიური ჟანრის ნოველების პერსონაჟი; ერკიულ პუარო — ინგლისელი მწერლის, აგათა კრისტის დეტექტიური ჟანრის ნოველების პერსონაჟი; ეის ვენტურა — კომედიური ჟანრის ჰოლივუდური დეტექტივების პერსონაჟი, რომელის როლსაც ცნობილი ამერიკელი კომიკოსი, ჯიმ კერი ასრულებს).
3. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს (ა-გ) და მათ ილუსტრაციების შესაბამის პერსონაჟს უკავშირებენ.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 46 № 2 — გვ. 47 № 4: სავარჯიშოები სრულდება წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით.



**1. წაიკითხე და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე.**

ა. რა არის დეტექტივი? სად უწოდებენ ასე პოლიციის აგენტებს?
ბ. გიტაცებს თუ არა დეტექტიური ჟანრი და კონკრეტულად რა გიზიდავს მასში? (მაგ., *საინტერესო სიუჟეტი; მოვლენების განვითარების დაძაბულობა; იდუმალებით მოცული ისტორიები; გამოძიების პროცესი; პერსონაჟები* და სხვა);
გ. კითხულობ თუ არა ამ ჟანრის ლიტერატურას?
დ. რა წაიკითხე ბოლოს და როდის?
ე. რა უფრო გიზიდავს – დეტექტიური ჟანრის წიგნების კითხვა თუ ფილმების ყურება და რატომ?
ვ. რომელია შენი საყვარელი ფილმი, მწერალი, ნაწარმოები, პერსონაჟი?

**2. დააკვირდი ფოტოებს. იცნობ თუ არა მათზე გამოსახულ ადამიანებს? მიუთითე, ვინ გეცნობა და საიდან?**

**3. წაიკითხე მოცემული ინფორმაციები და დააკავშირე შესაბამის ფოტოებთან.**

ა. ის ყველაზე ცნობილი დეტექტივია. მისი სახელი და გვარი დეტექტივის სინონიმადაც კი იქცა. ის არ ენდობა წინაგრძნობას, არ ჰყვება ემოციებს. დიდად არ ეტანება ალკოჰოლს, თუმცა გამოუსწორებელი მწეველია. ყოველთვის საკუთარი გეგმით მოქმედებს. მუდამ სიკეთის მხარესაა და ბოროტებას ამარცხებს. როცა რაიმე საიდუმლოს ამოხსნითაა დაკავებული, მის კაბინეტში ნამდვილი ქაოსია. ფენომენალური მეხსიერებისა და ენციკლოპედიური ცოდნის პატრონია.



ბ. ყოფილი პოლიციელია, ამჟამად კერძო დეტექტივად მუშაობს. ისიც ლონდონში ცხოვრობს, მაგრამ ბელგიელი ემგრანტია (თუმცა ყველას ფრანგი ჰგონია). კარგი გემოვნებით გამოირჩევა და, პირველისგან განსხვავებით, კომფორტიც უყვარს. ვერ იტანს უწესრიგობასა და არეულობას. ყოველთვის კარგად იცვამს. დადის კარგ და ძვირადღირებულ რესტორნებში. ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა დამნაშავის ამოცნობაში ძალიან ეხმარება. ის არანაირ სამხილს არ ეძებს. ჯდება სავარძელში, ფიქრობს და ასე ხსნის საქმეებს. მომცრო ტანისაა, მსხვილი და ასაკოვანი. განსაკუთრებით ამაყობს თავისი ულვაშით.



გ. ცნობილი დეტექტივი. ერთადერთი სპეციალისტია მსოფლიოში დაკარგული საშინაო ცხოველების პოვნაში. ის ყველგან არის, სადაც ამის საჭიროება არსებობს არაორდინალური და სრულიად განსხვავებულია. სიძნელეებს არ გაურბის. მხიარული და ზედმეტად ემოციური. მისი ხასიათი ჩანს ყველაფერში – ვარცხნილობაში, ჩაცმულობასა და მანერებში.



**4. რა იცი არტურ კონან დოილის შესახებ? ვინ იყო და სად მოღვაწეობდა? გაეცანი მის ბიოგრაფიას და მიუთითე, ვინ იყო ედგარ ალან პო და რა აკავშირებდა მასთან კონან დოილს. რით არის არტურ კონან დოილის შემოქმედება მისგან დავალებული?**

**5. დაუბრუნდი ტექსტს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

არტურ კონან დოილი დაიბადა 1859 წლის 22 მაისს შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში. მას ცხრა დედმამიშვილი ჰყავდა. მამა არქიტექტორი იყო, თუმცა ფერწერითაც იყო გატაცებული. დედა წარმოშობით ირლანდიელი იყო. ძალიან უყვარდა ლიტერატურა და, როგორც ამბობენ, კარგი მთხრობელიც ყოფილა.

დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ არტურმა 1875-1881 წლებში სწავლა ედინბურგის უნივერსიტეტში განაგრძო მედიცინის განხრით. როგორც ექიმი, ის ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. პაციენტთა რიცხვის შემცირებამ საშუალება მისცა, უფრო მეტი დრო მწერლობისათვის დაეთმო. მისი პირველი ნაწერები 1879 წელს გამოქვეყნდა, 1887 წელს კი პირველად გამოჩნდა შერლოკ ჰოლმსის პერსონაჟი. არტურ დოილმა სამუდამოდ დაანება თავი ექიმობას და მთელი დრო მწერლობას დაუთმო.

გარკვეული პერიოდი მუშაობდა ექიმად გემზე, სამხედრო ჰოსპიტალში. ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. წერდა პამფლეტებს. 1902 წელს მას რაინდის წოდება მიანიჭეს და გახდა სერ არტურ კონან დოილი.

მართალია, არტურ კონან დოილი განსაკუთრებით ცნობილი შერლოკ ჰოლმსის პერსონაჟით გახდა, თუმცა ის აგრეთვე ისტორიულ მოთხრობებსა და სამეცნიერო ფანტასტიკასაც წერდა, მუშაობდა პარანორმალურ მოვლენებზეც. მთლიანობაში მისი შემოქმედება მოიცავს 50-ზე მეტ წიგნსა და მრავალრიცხოვან ნოველას.

კონან დოილის შემოქმედებაზე განსაკუთრებული გავლენა ცნობილმა ამერიკელმა პოეტმა და ნოველისტმა ედგარ ალან პომ მოახდინა. გარდა იმისა, რომ ედგარ პო ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ნოველისტია, ის ასევე მიიჩნევა დეტექტიური და კრიმინალური ჟანრის ფუძემდებლად. მისი გავლენა იგრძნობა კონან დოილის არა მხოლოდ დეტექტივებში, არამედ, ზოგადად, მის საშინელებათა, მისტიკური და ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებებში.

ედგარ პოს მიხედვით, ნებისმიერ საიდუმლოს რაციონალური ახსნა უნდა ჰქონდეს. კვანძი შემთხვევითობის წყალობით კი არ უნდა გაიხსნას, არამედ – გამომძიებლის დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად. მწერალმა მკითხველს საქმის ვითარება პატიოსნად უნდა გააცნოს და არაფერი დაუმალოს – ყველა სამხილი, რასაც დეტექტივი მიაგნებს, მკითხველისთვისაც უნდა გახდეს ცნობილი.

არტურ კონან დოილი ამბობდა: „პოს ყოველი დეტექტიური ნაწარმოები არის ის ძირი, საიდანაც ვითარდება მთელი ლიტერატურა... სად იყო დეტექტიური ნაწარმოები, ვიდრე პო ჩაუდგამდა სულს?“ საშინელებათა ნაწარმოებების ჟანრის მწერლებმა შემდგომში თავიანთ ჯილდოს, ალან პოს პატივსაცემად, „ედგარი“ დაარქვეს.

1909 წელს ედგარ პოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელიც ლონდონში გაიმართა, სწორედ არტურ კონან დოილი უძღვებოდა. ამდროისათვის ის უკვე სახელგანთქმული მწერალი და ბრიტანეთის იმპერიის რაინდი იყო.

სერ არტურ კონან დოილი 1930 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა.







## გვ. 35

### მოსწავლის წიგნი

4. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას არტურ კონან დოილის შესახებ და პასუხობენ შეკითხვებს.
5. მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციებს, კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 47 № 5 — გვ. 48 № 4: სრულდება დავალებების მრავალფეროვანი სერია წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 36

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად: თავს უყრიან ინფორმაციას არტურ კონან დოილისა და შერლოკ ჰოლმსის შესახებ და პასუხობენ მოცემულ შეკითხვებს.
2. მოსაზრებების გადასამოწმებლად მეწყვილეები ეცნობიან ტექსტს.
3. ტექსტზე დაყრდნობით, ისინი ასრულებენ ა-ბ პუნქტებში მოცემულ ინსტრუქციას.
4. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და პასუხობენ შეკითხვას.



## 2. შერლოკ ჰოლმსი და მისი ისტორია

**1. გაიხსენე ინფორმაციები არტურ კონან დოილისა და მისი მთავარი პერსონაჟის, კერძო დეტექტივ შერლოკ ჰოლმსის შესახებ და მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე პასუხები მოცემულ შეკითხვებზე.**

შენი აზრით:

- ვინ იყო შერლოკ ჰოლმსი? ა. რეალური პიროვნება; ბ. რეალური პიროვნების პროტოტიპი; გ. მწერლის ფანტაზიის ნაყოფი.
- ვინ იყო დოქტორ უოტსონი და რა ურთიერთობა ჰქონდა მას შერლოკ ჰოლმსთან?
- ჰყავს თუ არა უოტსონს პროტოტიპი?

**2. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეამოწმე შენი ვერსია.**

შერლოკ ჰოლმსი არტურ კონან დოილის მიერ შექმნილი ლიტერატურული პერსონაჟია. შერლოკ ჰოლმსზე შექმნილი ნაწარმოებები დეტექტიური ჟანრის კლასიკად ითვლება. თხრობა შერლოკ ჰოლმსის მუდმივ თანამგზავრსა და მეგობარს, ექიმ უოტსონს მიჰყავს. ის აღწერს ჰოლმსის გამოძიებებს, რომლებიც ცნობილი „დედუქციური მეთოდის“ გამოყენებით მიმდინარეობს. თუმცა, გამოძიების პროცესში მას ხშირად არ ესმის, თუ როგორ ხსნის ჰოლმსი ჩადენილ დანაშაულს.

ედინბურგის უნივერსიტეტში სწავლისას არტურ კონან დოილი შეხვდა შოტლანდიელ პროფესორს, ჯოზეფ ბელს. ბელს ძალიან უყვარდა თავსატეხები და სტუდენტებსაც ხშირად „აიძულებდა“ სხვადასხვა თავსატეხის ამოხსნას. „ხედავთ მამაკაცს ქუჩაში, ტროსტით ხელში რომ მისეირნობს? აბა, ვინ მეტყვის, რა პროფესიისა ის კაცი?“ – უსვამდა მსგავს შეკითხვებს სტუდენტებს.

მკვლევართა აზრით, სწორედ იგია შერლოკ ჰოლმსის პროტოტიპი. გარეგნობასთან ერთად ჯოზეფ ბელი ლეგენდარულ დეტექტივს ძიებისა და ანალიზის მეთოდებითაც ჰგავს. „ექიმს **<u>მახვილი თვალი</u>** უნდა ჰქონდეს, – ასწავლიდა ის სტუდენტებს. – სულ მცირე დეტალმაც კი, შეიძლება, პაციენტის მდგომარეობაზე უამრავი რამ გითხრათ, რაც სწორი დიაგნოზის დასმაში დაგეხმარებათ“.

უოტსონს კი ბევრი რამ აქვს საერთო თავად კონან დოილთან: დაბადების ადგილი – შოტლანდია, პროფესია, ულვაში, სამხედრო კარიერა და, რა თქმა უნდა, ლიტერატურულ ნიჭთან ერთად დედუქციის ნიჭი. კონან დოილის დახმარებით ორი უდანაშაულო ადამიანი გამართლდა – ერთს ცხენების დახოცვა ედებოდა ბრალად, მეორეს კი – მოხუცი ქალბატონის ძარცვა და მოკვლა.

**3. მოძებნე ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და დაასახელე.**

ა. სხვასთან ერთად მავალი; ის, ვინც სხვასთან ერთად მგზავრობს.

ბ. რთული, ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა ან გამოცანა.




**4. დაუბრუნდი ტექსტს და განმარტე ხაზგასმული სიტყვები. რას ნიშნავს სიტყვა „მახვილი“ მოცემუკონტექსტში?**

თემა 1

**5. დაუბრუნდი მეორე დავალებაში მოცემულ ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.**



ა. ვინ არიან კონან დოილის თხზულებათა მთავარი პერსონაჟები?
ბ. ვინ იყო ჯოზეფ ბელი პროფესიით და საიდან იცნობდა ის კონან დოილს?
გ. შენი აზრით, ითამაშა თუ ჟოზეფ ბელმა არა გარკვეული როლი კონან დოილის, როგორც დეტექტიური ჟანრის მწერლის, ჩამოყალიბებაში? დაასაბუთე პასუხი, რატომ ფიქრობ ასე.
დ. რით ჰგავს ექიმი და გამომძიებელი, ბელის აზრით, ერთმანეთს?
ე. ვინ არის შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლის მთხრობელი?
ვ. რით არის ცნობილი შერლოკ ჰოლმსი?
ზ. ვინ არის შერლოკ ჰოლმსის პროტოტიპი და რატომ? რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს?
თ. ვისთან აქვს საერთო დოქტორ უოტსონს და რით?

**6. გაეცანი ერთ ეპიზოდს კონან დოილის ცხოვრებიდან და უპასუხე შეკითხვებს.**

ერთხელ კონან დოილი, უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი, პარიზში ჩავიდა. რკინიგზის სადგურიდან გამოსულმა ტაქსი გააჩერა. მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა, მწერლის ჩემოდანი საბარგულში ჩადო, შემდეგ საჭეს მიუჯდა და შეეკითხა:

– მუსიე კონან დოილ, საით წაგიყვანოთ?

– როგორ, თქვენ მე მიცნობთ? – გაოცდა მწერალი.

– არა, პირველად გხედავთ, – მიუგო მძღოლმა.

– მაშ, როგორ მიცანით?

– თქვენს წიგნებში აღწერილი დედუქციის მეთოდი გამოვიყენე. ორი კვირის წინ გაზეთში წავიკითხე, რომ სახელგანთქმული მწერალი არტურ კონან დოილი დასასვენებლად ჩავიდა საფრანგეთის ერთ-ერთ საზღვაო კურორტზე. ის მატარებელი კი, რომელმაც აქ ჩამოგიყვანათ, მარსელისა იყო. ასევე შევამჩნიე, რომ გარუჯული ბრძანდებით. ის, რომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მელნით გაქვთ დასვრილი, მოწმობს, რომ მწერალი ბრძანდებით. მანერები ექიმისა გაქვთ და ინგლისური სტილის კოსტიუმი გაცვიათ. ამ დაკვირვებათა შეჯერების შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ თქვენ არტურ კონან დოილი – სახელგანთქმული შერლოკ ჰოლმსის შემქმნელი ბრძანდებით.

– თქვენ თვითონ ბრძანებულხართ შერლოკ ჰოლმსის ოდენა მაძებარი! – უთხრა გაოგნებულმა მწერალმა.

– ჰო, ერთი დაკვირვების შესახებ გამომრჩა. როდესაც თქვენს ჩემოდანს საბარგულში ვდებდი, ზედ ცარცით მიწერილი თქვენი სახელი და გვარი ამოვიკითხე, – მიუგო მძღოლმა.

ა. რა არის მოცემულ ეპიზოდში გადმოცემული?
ბ. სად შეხვდა კონან დოილი ფრანგ მძღოლს?
გ. საიდან ჩამოვიდა ინგლისელი მწერალი პარიზში?
დ. რამ გააოგნა სახელგანთქმული მწერალი?
ე. რა ნიშნებით ამოიცნო ფრანგმა მძღოლმა შერლოკ ჰოლმსის ავტორი? დაასახელე მისი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მტკიცებულებები.
ვ. რა მიანიშნებს კონან დოილის პროფესიაზე?

**7. როგორც ამბობენ, კონან დოილი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანი იყო და, ამ მხრივ, სრულებით არ ჰგავდა ის თავის ლეგენდარულ პერსონაჟს. შენი აზრით, ადასტურებს თუ არა მოცემული ეპიზოდი მის გულუბრყვილობას? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**

გამოძიება 37

## გვ. 37

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს (გვ. 36) და პასუხობენ დეტალურ შეკითხვებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 49 № 4, 5, 6, 7, 8: დავალებების სერია სრულდება წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით.

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსწავლეები ეცნობიან ეპიზოდს არტურ კონან დოილის ცხოვრებიდან და პასუხობენ შეკითხვებს (ა-ვ).
7. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები მსჯელობენ გამოჩენილი მწერლის შესახებ.

გვ. 38

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში მოყვანილ ინფორმაციას შერლოკ ჰოლმსის შესახებ და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 50 № 1: წაკითხულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასწორებენ ტექსტის მცდარად მოწოდებულ მონაკვეთებს.

გვ. 50 № 2: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშო.

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები კითხულობენ ინფორმაციას და გამოკვეთენ მნიშვნელოვან ასპექტებს.
3. მოსწავლეები უბრუნდებიან ინფორმაციას და პასუხობენ შეკითხვებს.

თემა 1

**1. გამოიყენე შერლოკ ჰოლმსის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**2. წაიკითხე შერლოკ ჰოლმსთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ფაქტი და მიუთითე, რა მოხდა 1891 წლის 4 მაისს და რამ აიძულა კონან დოილი, შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება.**

*მკითხველები რომ არა, დეტექტივ ჰოლმსის სიცოცხლე 1891 წლის 4 მაისს უნდა დასრულებულიყო. ნაწარმოებში – „ჰოლმსისუკანასკნელი საქმე“ – პროფესორი მორიარტი მას კლდიდან ჩანჩქერში აგდებს, მაგრამ მკითხველები აღშფოთდნენ და შერლოკ ჰოლმსის გაცოცხლება მოითხოვეს. კონან დოილი, გამომცემელი და ჟურნალისმთელი რედაქცია წერილების კითხვას ვერ აუდიოდნენ. ზოგი სთხოვდა, ზოგი კი მოითხოვდა, რომ ავტორს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება.ავტორი კარგა ხნის განმავლობაში არ ეპუებოდა მკითხველებს, თუმცა, საბოლოოდ, იძულებული გახდა, დაეთმო და 1901 წლის აგვისტოს ნომერში გამოჩნდა „ბასკერვილების ძაღლი“. მკითხველმა კი მხოლოდ 1903 წელს შეიტყო, რა მოხდა სინამდვილეში 1891 წლის 4 მაისს. 1903 წელს გამოქვეყნებული მოთხრობიდან – „ცარიელი სახლი“ – ირკვევა, რომ ჩანჩქერმა არა დეტექტივი ჰოლმსი, არამედ პროფესორი მორიარტი შთანთქა.*




**3. დაუბრუნდი მკითხველთა რეაქციას და იმსჯელე მოცემულ შეკითხვაზე.**

რატომ ჰქონდათ, შენი აზრით, მკითხველებს ასეთი რეაქცია? შერლოკ ჰოლმსისადმი რა დამოკიდებულება მჟღავნდება ამ დეტალით?



შერლოკ ჰოლმსი

სქესი: მამრობითი

დაბ. თარიღი: 6 იანვარი, 1854 წელი

გარდ. თარიღი: 1923 წლის შემდეგ

სპეციალობა: დედუქციური მეთოდის სპეციალისტი

პროფესია: დეტექტივ-კონსულტანტი

ოჯახი: უფროსი ძმა – მაიკროფტ ჰოლმსი

მისამართი: ლონდონი, ბეიკერ-სტრიტი, სახლი 221ბ (*ეს სახლი საერთოდ არ არსე ბობდა. ის მოგვიანებით ააშენეს, რათა შერლოკ ჰოლმსის მუზეუმიგაეხსნათ*)

ეროვნება: ინგლისელი

ძირითადი შტრიხები:

*არის მაღალი და ხმელი აღნაგობისა, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერია. კარგად ფლობს აღმოსავლურ ორთაბრძოლებს. როგორც მოყვარული მოკრივე, რინგზეც არაერთხელ გამოსულა. შესანიშნავად ისვრის მიზანში, ფლობს ფარიკაობის ილეთებსაც.*

*აქვს კარგი იუმორის გრძნობა. არის საკმაოდ განათლებული, ფლობს ლათინურს, კარგად იცნობს რომაელ პოეტებსა და გოეთეს, ძველ დამწერლობებს. არის სხვადასხვა თემაზე შექმნილი რამდენიმე სამეცნიერო წიგნის ავტორი. ჩინებულად იცის გეოგრაფია და ისტორია. კარგად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიასაც. აქვს მუსიკალური განათლებაც. უყვარს ვაგნერი და კარგად უკრავს ვიოლინოზე. შესანიშნავი ქიმიკოსი და ბოტანიკოსია. მისი ბოლო გატაცება მეფუტკრეობაა.*

დამატებითი ინფორმაცია:

პირველი გამოჩენა: 1887-1888

შემქმნელი: არტურ კონან დოილი

ეპიზოდების რაოდენობა: 4 რომანი, 56 მოთხრობა

38 გამოძიება

**4. ვინ არის ენდრიუ ლეინი და რა კავშირი აქვს მას შერლოკ ჰოლმსთან და საქართველოსთან?**

**სწრაფად ჩაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.**

**5. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაციის სისწორე ტექსტის მიხედვით. წაიკითხე ფრაზა, რომელიც შენს პასუხს დაასაბუთებს.**

ა. ენდრიუ ლეინმა შერლოკ ჰოლმსის ბავშვობისა და ახალგაზრდობისდროინდელი ამბების შექმნა არტურ კონან დოილის თხოვნით გადაწყვიტა.

ბ. კონან დოილის შერლოკ ჰოლმსსა და ენდრიუ ლეინის შერლოკ ჰოლმსს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.

გ. ენდრიუ ლეინმა გამოიყენა შერლოკ ჰოლმსის შესახებ არსებული ის ინფორმაცია, რომელიც მის ადრეულ წლებს ეხება.

დ. ენდრიუ ლეინი პირადად გაიცნო ქართველმა მკითხველმა.

ე. ახალგაზრდა შერლოკ ჰოლმსს საერთოდ არ აინტერესებდა კრიმინალისტიკა.

ვ. შერლოკ ჰოლმსს ბავშვობიდან იზიდავდა მრავალფეროვანი ცხოვრება..

**6. დაუბრუნდი წინა დავალებას და გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში (გვ. , დავალება № ).**

**7. წაიკითხე მოცემული განმარტებები და დააკავშირე ხაზგასმულ სიტყვებთან.**

ა. ის, რაც დავას არ იწვევს; უეჭველი, უდავო;
ბ. იგივეა, რაც ხიფათი, საშიშროება;
გ. რისამე ნიშნება, მითითება;
დ. დასანახად ხდის, აჩენს, ამჟღავნებს;

**8. გამოიყენე კონტექსტი და დაასახელე, მოცემული მნიშვნელობებიდან, რომელს გამოხატავს სიტყვა „გაკვრით“? (II აბზაცი, პირველი ხაზი)**

ა. სწრაფად, გაჩქარებით;
ბ. სხვათა შორის; ზერელედ, ზედაპირულად.

**9. განმარტე კონტექსტის მიხედვით. როგორ გესმის ფრაზა:** ***სიკვდილსაც უშიშრად შეჰყურებს თვალებში?***



ართურ კონან დოილის შერლოკ ჰოლმსი უკვე ჩამოყალიბებული დეტექტივია. პირველ მოთხრობაში ის 33 წლისაა, ბოლო მოთხრობაში კი – დაახლოებით, სამოცისა; საგამომძიებლო საქმეს აღარ ეწევა და სასექსის სანაპიროზე ფუტკრები ჰყავს მოშენებული.

ართურ კონან დოილი მხოლოდ გაკვრით ახსენებს ჰოლმსის ადრეულ წლებს. ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ დედის მხრიდან ის ფრანგი მხატვრის, ორას ვერნეს შთამომავალი იყო და ჰყავდა ძმა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაში ჩანს.

თანამედროვე ინგლისელმა მწერალმა ენდრიუ ლეინმა კი შექმნა მთელი სერია წიგნებისა, რომლებშიც მოთხრობილია, როგორი იყო შერლოკ ჰოლმსი მანამ, ვიდრე ართურ კონან დოილი გააცნობდა მას მსოფლიოს; რომელ სკოლაში დადიოდა; ვინ იყვნენ მისი მეგობრები; სად და როდის ისწავლა ის ყველაფერი, რასაც მოგვიანებით ავლენდა – ლოგიკური აზროვნება, კრივი, ფარიკაობა, ვიოლინოზე დაკვრა; როდის იმოგზაურა უცხოეთში; რის ეშინოდა და ვინ უყვარდა...

„საშუალება მომეცა, შემექმნა შერლოკის წარსული კონან დოილისეული მცირეოდენი მინიშნების საფუძველზე, რასაც უცილობლად მივყავართ იმ კაცისაკენ, რომელსაც ართურ კონან დოილი გვიხატავს“, – განაცხადა ენდრიუ ლეინმა.

„სიკვდილის ღრუბელი“ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი დეტექტივის პირველი „საქმეა“, რომლის გახსნასაც 14 წლის შერლოკ ჰოლმსი თავის თანატოლ ბიჭთან, მეთიუ არნეტთან, ერთად ცდილობს. შერლოკი დიფდენის ვაჟთა სკოლაში სწავლობს და თავის ასაკთან შედარებით ზედმეტად ჭკვიანი და სერიოზულია. საფრთხეს არასდროს უშინდება და სიკვდილსაც უშიშრად შეჰყურებს თვალებში.

2011 წლის 16-18 ნოემბერს ენდრიუ ლეინი საქართველოს ეწვია და მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში თავის ახალგაზრდა მკითხველებს შეხვდა.



## გვ. 39

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ზედაპირულად ეცნობიან ტექსტს და ასახელებენ ენდრიუ ლეინის ვინაობას და მის კავშირს საქართველოსთან.
5. ტექსტის ხელახალი, დეტალური შესწავლის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ ა-ვ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
6. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და ასრულებენ დავალებას მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 51 № 3:გსრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალება.

**მოსწავლის წიგნი**

7. მოსწავლეები ასრულებენ ლექსიკური ტიპის დავალებას.
8. ა-ბ პუნქტებზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვას.
9. მოსწავლეები განმარტავენ მითითებულ ფრაზას კონტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 40

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ნაწყვეტს არტურ კონან დოილის ნოველიდან “ბასკომბის ველის საიდუმლოება” და ასრულებენ ინსტრუქციებს.
2. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებასთან დაკავშირებით, ისმენენ ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები) ვერსიების გადასამოწმებლად და პასუხობენ შეკითხვებს.

თემა 1

ბასკომბის ველის საიდუმლოება”

**1. წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და შეასრულე მითითებები.**

მეუღლესთან ერთად დილის საუზმეს შევექცეოდი, როცა მოსამსახურემ ჰოლმსის გამოგზავნილი დეპეშა შემომიტანა. დეპეშაში ეწერა: „ბასკომბის ველზე მომხდარი ტრაგედიის გამო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გამომიძახეს. შეგიძლიათ თუ არა, ორი დღით განთავისუფლდეთ? ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩემთან ერთად წამოხვალთ. თანხმობის შემთხვევაში, პადინქტონიდან 11.15 წუთზე გავემგზავრებით“.უცებ მოვემზადე და პადინგტონისკენ გავწიე. შერლოკ ჰოლმსი ბაქანზე გამოსულიყო და ბოლთას სცემდა. მაღალი და გამხდარი ჰოლმსი რუხი ფერის კოსტიუმში გამოწყობილიყო და იმაზე უფრო მაღალი და გამხდარი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

– რა კარგი ქენით, რომ მოხვედით, უოტსონ, – მითხრა ჰოლმსმა. – ახლა სანდო ადამიანი ჰაერივით მჭირდებოდა. ასეთ დროს ადგილობრივი პოლიცია ან მცდარ გზას ადგას ხოლმე, ან სრულ უმოქმედობას იჩენს. თუ მატარებელში კუთხის ადგილებს დაიკავებთ, მე ბილეთების ასაღებად გავეშურები.

მატარებელში ჩავსხედით თუ არა, ჰოლმსმა თან წამოღებულ გაზეთებს კირკიტი დაუწყო. ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა. ხანდახან კითხვას წყვეტდა, უბის წიგნაკში რაღაცას ჩაინიშნავდა და მერე ფიქრს ეძლეოდა. უცებ გაზეთებს თავი ანება და მომიბრუნდა:

– გსმენიათ რამე, უოსტონ, ამ საქმეზე?

– არა, გაზეთები რამდენიმე დღეა, თვალით არ მინახავს, – ვუპასუხე მე.

– ლონდონის პრესა ამ ამბის შესახებ დაწვრილებით არაფერს წერს. სწორედ ახლა გადავათვალიერე ყველა გაზეთი იმ მიზნით, რომ წვრილმანებში გავრკვეულიყავი. რა ცნობებიც გამაჩნია, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, ეს მეტად ჩვეულებრივი შემთხვევაა, მაგრამ გამოსაძიებლად ყველაზე ძნელი იქნება.

– თქვენი მსჯელობა პირდაპირ პარადოქსულია.

– მაგრამ ნამდვილად ჭეშმარიტი კია. გამორჩეულ, განსაკუთრებულ საქმეებს გასაღებიც თან ახლავს ხოლმე, ჩვეულებრივი დანაშაული კი ძალიან ძნელი გამოსაძიებელია.

**უპასუხე შეკითხვებს.**

ა. ვინ არის ამბის მთხრობელი?
ბ. სად იმყოფება ის მოთხრობის დასაწყის ში, ვისთან ერთად და რას აკეთებს?
გ. დღის რომელი მონაკვეთია?
დ. სად გაემგზავრა უოტსონი, რომელ საათზე, ვისთან ერთად და რით?
ე. სად შეხვდნენ შერლოკ ჰოლმსი და უოტსონი ერთმანეთსს?
ვ. ჰოლმსის რომელი ფრაზა იყო უოტსონისათვის უცნაური?
ზ. რა არის, შენი აზრით, ამ ფრაზაში უჩვე- ულო?
თ. რატომ არის ჩვეულებრივი შემთხვევა რთული გამოსაძიებელი და რით განსხვავდება ის განსაკუთრებული საქმეებისაგან?
ი. განმარტე, როგორ გესმის ფრაზები:
   - ბოლთას სცემდა;
   - ჰაერივით სჭირდებოდა;
   - ფიქრს ეძლეოდა.




**2. დაუბრუნდი მომხდარ ტრაგედიას. შენი აზრით, კონკრეტულად რა მოხდა ბასკომბის ველზე? მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

**როგორია შერლოკ ჰოლმსის პირველი შეფასება? რის გამო იკავებს ის თავს კონკრეტული შეფასებებისაგან? გამომძიებლის რა თვისებაზე მეტყველებს ეს?**

40 გამოძიება

**3. წაიკითხე, რა ინფორმაცია აქვს ამ ამბავთან დაკავშირებით შერლოკ ჰოლმსს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

ქვეყნის ამ ნაწილში, სადაც ბასკომბის ველი მდებარეობს, ყველაზე დიდი მემამულე მისტერ ჯონ ტერნერია, რომელმაც ფული ავსტრალიაში იშოვა და ცოტა ხანია, რაც ინგლისში დაბრუნდა. მან ჰათერლეიში მდებარე ერთერთი ფერმა იჯარით მისცა ავსტრალიიდანვე ჩამოსულ მისტერ ჩარლზ მაკართის. მათ ერთმანეთი კოლონიაში გაიცნეს და სავსებით ბუნებრივია, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე მეზობლად დასახლდნენ. მართალია, ტერნერი გამდიდრდა, მაკართი კი მისი მოიჯარე იყო, მაგრამ ამას მათ მეგობრობაზე გავლენა არ მოუხდენია.

მაკართის თვრამეტი წლის ვაჟიშვილი ჰყავდა, ტერნერს კი – ამავე ასაკის ერთადერთი ქალიშვილი. ცოლები ორივეს გარდაცვლილი ჰყავდა. მაკართებს მისვლამოსვლა არავისთან ჰქონდათ, თუმცა სპორტი ძალიან უყვარდათ და დოღზეც სისტემატურად დადიოდნენ.

სამ ივნისს, გასულ ორშაბათს, მაკართი, დაახლოებით, სამ საათზე სახლიდან ბასკომბის ტბორის მიმართულებით წასულა. იმ დილით, სახლიდან გამოსვლის წინ, მსახურისთვის უთქვამს, ძალიან უნდა ვიჩქარო, რადგან სამ საათზე საქმიანი შეხვედრა მაქვს დანიშნული და მანამდე უნდა მოვასწრო როსში ჩასვლა და მობრუნებაო. ამ შეხვედრის შემდეგ ის ცოცხალი აღარ უნახავთ.



ჰათერლეის ფერმიდან ბასკომბის ტბორისკენ მიმავალი ორმა ადამიანმა ნახა – მოხუცმა ქალმა და მისტერ ტერნერის მეტყევემ. ორივე მოწმემ დაადასტურა, მისტერ მაკართი მარტო მიდიოდაო. მეტყევე მაკართისთან შეხვედრის შემდეგ, ცოტა ხანში, მის ვაჟს, ჯეიმსს, გადაჰყრია. მისი აზრით, ალბათ, მამას მისდევდა. ბიჭს მხარზე თოფი ჰქონია ჩამოკიდებული. „ამ შეხვედრაზე აღარც მიფიქრია, მაგრამ საღამოს მომხდარი ტრაგედიის ამბავი რომ გავიგე, მაშინ გამახსენდაო", – უთქვამს მეტყევეს.

მამაშვილი სხვასაც უნახავს ერთად. ბასკომბის ტბორის გარშემო ხშირი, დაბურული ტყეა, ტბორის ნაპირი კი ლერწმითაა დაფარული. სწორედ ამ ტბორის ნაპირთან უნახავს ისინი მეველის თორმეტი წლის ქალიშვილსაც, რომელიც იმ დროს ტყეში ყვავილების საკრეფად ყოფილა წასული. გოგონას ჩვენებით, ისინი თურმე საშინლად ჩხუბობდნენ. მას თავისი ყურით გაუგონია, რა უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მამა საკუთარ ვაჟს და დაუნახავს, როგორ გაიწია შვილმა მამაზე. ბავშვს ისე შეშინებია, რომ შინ გაქცეულა და მათი ჩხუბის ამბავი დედისთვის უამბია. გოგონას დასრულებული არ ჰქონია სათქმელი, რომ მეველის სახლში ჯეიმს მაკართი შევარდნილა ყვირილით, მამაჩემი ტყეში ვიღაცამ მოკლაო. ძალიან აღელვებული ყოფილა. უთოფოდ და უქუდოდ შეჭრილა, ხელზე შეუმშრალი სისხლის ლაქებიც ჰქონია. მეველე გაჰყოლია ბიჭს და ტბორის ნაპირას უფროსი მაკართის გვამი უნახავს. მოკლულს თავის ქალა რაღაც ბლანტი და მძიმე საგნით ჰქონია ჩაჩეჩქვილი. შესაძლებელია, ასეთი რამ მის შვილს თოფის კონდახის ჩარტყმით ჩაედინა. თვითონ თოფი იქვე, გვამიდან რამდენიმე იარდის დაშორებით ეგდო.

გამოძიებას განზრახ მკვლელობაში ჯეიმს მაკართი უცვნია დამნაშავედ. ასეთია ის ფაქტები, რომლებიც პოლიციისა და ძიებისათვის არის ცნობილი.



## გვ. 41

### მოსწავლის წიგნი

3. მოსწავლეები კითხულობენ ნაწარმოების შემდეგ მონაკვეთს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 51 № 4, 5, 6, 7 - გვ. 53 № 6, 7, 8: სრულდება წაკითხულის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებების სერია.

გვ. 51 № 6; გვ. 53 № 3, 4, 5: სრულდება ლექსიკური ტიპის დავალებები.

გვ. 42

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები უბრუნდებიან წაკითხულ ეპიზოდს და პასუხობენ შეკითხვებს.
2. მოსწავლეები კითხულობენ ნაწარმოების მორიგ მონაკვეთს და ეცნობიან ექიმი უოტსონის პოზიციას.
3. წინა დავალებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს.
4. მოსწავლეები ისმენენ წაკითხული დიალოგის გაგრძელებას და პასუხობენ შეკითხვას.
5. მოსწავლეები ეცნობიან პერსონაჟების მოსაზრებებს და თემასთან დაკავშირებით აყალიბებენ საკუთარ პოზიციებს.

თემა 1

1. **დაუბრუნდი შერლოკ ჰოლმსის ხელთ არსებულ ინფორმაციას. გამოიყენე მოცემული ფაქტები და გარემოებები და იმსჯელე ამ საქმის გარშემო.**
    - რეალურად იკვეთება თუ არა შვილის ბრალეულობა და რატომ?
    - შენი აზრით, რა შეიძლება გამოდგეს აქედან რეალურ სამხილად და რა – არა? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.
    - მეტყველებს თუ არა ჯეიმსის სასარგებლოდ რამე? დაასაბუთე შენი პოზიცია.
    - შენი აზრით, არის თუ არა საქმე მარტივად გამოსაძიებელი და რატომ?
2. **წაიკითხე, რას ფიქრობს ამის შესახებ ექიმი უოტსონი და როგორ ეხმიანება მის პოზიციას შერლოკ ჰოლმსი.**

– ამაზე უფრო საძაგელი და ამაზრზენი საქმე არ მსმენია, – ვთქვი მე. – ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ყველა საბუთი შვილის სამხილებლად გამოდგება.

– არაპირდაპირ მამტკიცებელ საბუთებს ძიება ხშირად არასწორი გზით მიჰყავს ხოლმე, – მიპასუხა ჩაფიქრებულმა ჰოლმსმა. – ისინი ხშირად ერთი მიმართულებით მიუთითებენ რაღაცას, თუმცა საქმის ძიება სხვას ადასტურებს. ამჟამადაც ყველა და ყველაფერი თითქოს ჯეიმს მაკართის წინააღმდეგ მეტყველებს, თუმცა მის მეზობლებში არიან ისეთებიც, რომელთაც მისი უდანაშაულობის სჯერათ. მათ შორისაა ტერნერის ქალიშვილი, რომელმაც ჩვენი ნაცნობი მაძებარი ლესტრეიდი მოიწვია ბიჭის ინტერესების დასაცავად. ვინაიდან საქმე რთული აღმოჩნდა, ლესტრეიდმა მისი გამოძიება მე მომანდო.

– საქმე იმდენად ნათელია, რომ ვშიშობ, ჩვენი ჩასვლით ბრალდებულს რაიმე ეშველოს, – ვთქვი მე.

– ყველაზე მატყუარა სწორედ ეს ნათელი ფაქტებია, – მიპასუხა სიცილით ჰოლმსმა. – გარდა ამისა, ძიების პროცესში, შესაძლოა, ისეთ რამეს მივაგნოთ, რაც მისტერ ლესტრეიდმა ვერ შენიშნა. თქვენ ძალიან კარგად მიცნობთ და ჩემს სიტყვებს კვეხნაში არ ჩამომართმევთ. შესაძლოა, არც კი ვისარგებლო ლესტრეიდის მიერ შეკრებილი მამხილებელი მასალებით. თავად ლესტრეიდს უჭირს ამ ფაქტების გამოყენება, თუნდაც მათში გარკვევა.

3. **დაუბრუნდი შერლოკ ჰოლმსისა და უოტსონის დიალოგს და უპასუხე შეკითხვებს.**
    - რას ნიშნავს არაპირდაპირი მტკიცება?
    - როგორ უყურებს შერლოკ ჰოლმსი არაპირდაპირ სამხილებს და რატომ?
    - საიდან ჩანს, რომ ის ახალი გამოძიების ჩატარებას აპირებს?
    - რატომ არ ენდობა შერლოკ ჰოლმსი გამოძიების მასალებს?
    - რის იმედი აქვს შერლოკ ჰოლმსს და რატომ არის ის ამაში დარწმუნებული?
    - როგორ აფასებს საკუთარ ძალებს შერლოკ ჰოლმსი?
4. **მოისმინე შერლოკ ჰოლმსისა და უოტსონის დიალოგის გაგრძელება და დაასახელე, რა არის ჰოლმსის წარმატების საიდუმლო?**
5. **საქმის მასალებში ჯეიმს მაკართის დაპატიმრების ეპიზოდიცაა. მასში აღმოჩნდა ისეთი დეტალები, რომელთა შესახებ შერლოკ ჰოლმსსა და უოტსონს განსხვავებული პოზიციები აქვთ. გაეცანი მათ და შეაფასე ისინი. როგორია შენი პოზიცია?**

*დაპატიმრების შესახებ ინსპექტორის სიტყვებს ჯეიმს მაკართიზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით, მშვიდად უთქვამს, სასჯელს ისედაც ვიმსახურებო. შემდეგ ჯეიმსს განუცხადებია, თავს დამნაშავედ არ ვცნობო.*

უოტსონი ფიქრობს, რომ ეს აღიარებაა და ამდენი სამხილის შემდეგ ჯეიმსის მორიგი განცხადება არაფერს ნიშნავს.

შერლოკ ჰოლმსს კი მიაჩნია, რომ ეს სიტყვები ბუნებრივია, ვინაიდან ჯეიმსი გრძნობდა, რომ ვეღარასოდეს გამოისყიდდა იმ ცოდვას, რომელიც მის მიერ მშობლის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გამოიხატა. ამ საქციელის მონანიება და დაგმობა მისი ჯანმრთელი სულის გამომხატველია და არა – დანაშაულის აღიარება.

42 გამოძიება

თემა 1

**6. დაკითხვის ოქმის გაცნობამ უოტსონს პოზიცია გაუმყარა. მისი აზრით, *„მაკართის პასუხები ძალიან დამამძიმებლად იმოქმედებს მასზე“.* ყურადღებით 🎧 მოისმინე ჯეიმს მაკართის დაკითხვის სრული ვერსია და ჩაინიშნე: რას ემყარება უოტსონის ვარაუდი?**

**7. 🎧 მოისმინე უოტსონის ვარაუდი და შეადარე შენს ვერსიებს. იმსჯელე, რამდენად მტკიცეა ეს არგუმენტები.**

**8. წაიკითხე მორიგი ნაწყვეტი და შეასრულე დავალებები რვეულში.**

დაახლოებით, ოთხი საათი იქნებოდა, როცა პატარა, მაგრამ კოპწია ქალაქ როსში შევედით. ბაქანზე გამხდარი, ცბიერი და მზაკვრული შესახედაობის კაცი გველოდებოდა. მე მაშინვე ვიცანი სკოტლენდიარდელი ლესტრეიდი.

სასტუმროში დავბინავდით.

– თქვენ ალბათ უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ თქვენი პოზიცია ამ საქმეზე, – უთხრა ლესტრეიდმა შერლოკ ჰოლმსს. – ყველაფერი დღესავით ნათელია. მის ტერნერს ძალიან აინტერესებს, რა აზრისა იქნებით, თუმცა მე კი ვუთხარი, იმაზე მეტის გაკეთებას, რაც გავაკეთე, ვერც ის შესძლებს-მეთქი.

ლესტრეიდს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ოთახში ულამაზესი გოგონა შემოიჭრა. აღელვებისაგან თავს ვერ იკავებდა.

– ოჰ, მისტერ შერლოკ ჰოლმს, როგორ მიხარია, რომ ჩამოხვედით! მჯერა, რომ ჯეიმსი ამას არ ჩაიდენდა. მინდა, ძიების დაწყებამდე ყველაფერი იცოდეთ, რაც ვიცი. მთავარია, ეჭვადაც კი არ გაივლოთ ჯეიმსის დამნაშავეობა. ჩვენ ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს და ღრმად მწამს, რომ უდანაშაულოა. ბრალდება, რომელიც წაუყენეს, აშკარა აბსურდია იმათთვის, ვინც მას იცნობს.

– იმედი მაქვს, ნათელს მოვფენთ ამ საქმეს, მის ტერნერ, – უთხრა შერლოკ ჰოლმსმა. – დარწმუნებული იყავით, ძალღონეს არ დავიშურებ.

– მაგრამ თქვენ ხომ წაიკითხავდით მის ჩვენებებს და, ალბათ, საკუთარი აზრიც გაქვთ უკვე! როგორ ფიქრობთ, იმედი უნდა ვიქონიოთ თუ არა? თქვენ გჯერათ მისი უდანაშაულობის?

– შეიძლება ასეც იყოს.

– აი, ხედავთ! – წამოიყვირა მან და ლესტრეიდს შეხედა. – გაიგონეთ, რაც მითხრა? ლესტრეიდმა მხრები აიჩეჩა.

– ვფიქრობ, რომ ჩემი კოლეგის დასკვნა ნაადრევია, – წარმოთქვა მან.

– მაგრამ ის მართალია. ჯეიმსი ამას არასოდეს ჩაიდენდა! რაც შეეხება მამასთან მომხდარ უსიამოვნებას, ამაზე იმიტომ დუმს, რომ ეს მე მეხება.

– თქვენ რა შუაში ხართ? – იკითხა ჰოლმსმა.

– ჩემ გამო ჯეიმსს ძალიან დიდი უსიამოვნება ჰქონდა მამასთან. მისტერ მაკართის გულით უნდოდა, რომ დავქორწინებულიყავით. ჯეიმსსა და მე ერთმანეთი და-ძმასავით გვიყვარს. ის ძალიან ახალგაზრდაა, ცხოვრებაში გამოუცდელია და ამიტომაც ჯერ ვერ წყვეტს ამ ამბავს. დარწმუნებული ვარ, როგორც ადრე, ახლაც ამაზე მოუვიდოდათ ჩხუბი.

– მამათქვენი რა აზრის იყო თქვენს ქორწინებაზე?

– ისიც წინააღმდეგი გახლდათ. მისტერ მაკართის გარდა, ამ ქორწინების მომხრე არავინ იყო. – გოგონას ღაწვები შეუფაკლდა, როცა ჰოლმსმა გამომცდელად შეხედა.

– გმადლობთ ინფორმაციისათვის! – უთხრა მან მის ტერნერს.

– შევძლებ თუ არა მამათქვენის ნახვას, ხვალ რომ შემოგიაროთ?

– მგონი, ექიმი ამის ნებას არ დაგრთავთ. მამა უკანასკნელ წლებში ძალიან მოტყდა, ამ ამბის გაგონებაზე კი ლოგინად ჩავარდა. ექიმი ამბობს, მძიმე ნერვული ტრავმა აქვს მიღებულიო. მისტერ მაკართი ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მამას ჯერ კიდევ ავსტრალიიდან, ვიქტორიიდან, იცნობდა.

– ჰა! ვიქტორიიდანო? ასე თქვით, არა? ეს ძალიან საყურადღებოა!

– დიახ, მაღაროებიდან.

– ეს ის ოქროს საბადოებია, სადაც მისტერ ტერნერმა კაპიტალი დააგროვა? – იკითხა ჰოლმსმა.

– რაღა თქმა უნდა.

– გმადლობთ, მის ტერნერ, თქვენ ძალიან დამეხმარეთ.

– თქვენ მაგივრად მრცხვენია, ჰოლმს! – უთხრა ამაყად ლესტრეიდმა მის ტერნერის წასვლის შემდეგ. – რატომ აძლევთ ახალგაზრდა ქალს ფუჭ იმედს?

– ვფიქრობ, რომ ჯეიმს მაკართის გადავარჩენ, – დარწმუნებით უპასუხა ლესტრეიდს ჰოლმსმა.

გამოძიება 43

## გვ. 43

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 55 № 1: დავალება სრულდება ტექსტის (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები) მოსმენამდე.

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები) და პასუხობენ შეკითხვას.
7. მოსწავლეები ისმენენ ექიმი უოტსონის ვერსიას და ადარებენ საკუთარ ვარაუდებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 55 № 2 — გვ. 56 № 2: სრულდება დავალებების სერია მოსმენილ მასალაზე დაყრდნობით.

**მოსწავლის წიგნი**

8. მოსწავლეები ეცნობიან მორიგ მონაკვეთს ნაწარმოებიდან და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 56 № 3 — გვ. 57 № 4: დავალებები სრულდება წაკითხულ ეპიზოდზე დაყრდნობით.

გვ. 44

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები ეცნობიან ნაწარმოების სიუჟეტის მსვლელობას, კითხულობენ მონაკვეთებს (1, 2, 3), ასრულებენ ა-გ პუნქტებში მოცემულ მითითებას და პასუხობენ შეკითხვებს.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 57 № 5 — გვ. 58 № 1: სრულდება დავალებების სერია ტექსტის 3 მონაკვეთზე დაყრდნობით.



**1. გაეცანი მოცემულ სიტუაციას და შეასრულე მითითებები.**

*მის ტერნერთან საუბრის შემდეგ შერლოკ ჰოლმსმა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ჯეიმსი ციხეში მოინახულა. ამასობაში, ექიმმა უოტსონმა ჯერ ცოტა ხანს ქალაქის ქუჩებში გაისეირნა, შემდეგ სასტუმროში დაბრუნდა და მომხდარ ამბავზე ფიქრი დაიწყო. საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა.*

ა. წაიკითხე ტექსტები და დაასახელე, ვის ეკუთვნის მოცემული ინფორმაციები.
ბ. ვინ რა სიახლე შეიტანა საქმის გამოძიებაში?
გ. შენი აზრით, რამდენად დაეხმარება ახალი გარემოებები გამოძიებას და რატომ?

1

მეგონა, იცოდა, ვინც მოკლა მამამისი და ამ ამბავს მალავდა, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თვითონაც საგონებელშია ჩავარდნილი და მკვლელობის გარშემო არაფერი იცის. მომეჩვენა, რომ წესიერი ახალგაზრდა უნდა იყოს. იმ ყმაწვილს მის ტერნერი სიგიჟემდე უყვარს. წარმოიდგინეთ, რა სულიერი ტკივილების ამშლელი იქნებოდა ის გარემოება, რომ ჯეიმსს აძალებდნენ იმ ქალზე დაქორწინებას, რომლისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებდა. მან იცოდა, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო.





2

ქირურგის ჩვენებით, დაზიანება ბლაგვი იარაღის დარტყმით იყო მიყენებული. დაზიანების ადგილი ხელის მოსმით საკუთარ თავზე მოვძებნე. კეფის ძვლების ასე დაზიანება მხოლოდ უკნიდან განხორციელებული დარტყმით იყო შესაძლებელი. ეს ნაწილობრივ ხსნიდა ეჭვმიტანილს ბრალდებას, ვინაიდან იგი ჩხუბის დროს მამასთან პირისპირ მდგარი ნახეს. თუმცა ისიც შეიძლებოდა, რომ მოხუცი მაკართი შვილისკენ ზურგით შებრუნებულიყო.

მერე მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვა – „თაგვი“ – გამახსენდა. რისი თქმა სურდა მომაკვდავს? ყოველ შემთხვევაში, ეს ბოდვა არ უნდა ყოფილიყო. ადამიანი, რომელიც უეცარი დარტყმის შედეგად კვდება, არასოდეს ბოდავს.

გავიხსენე რუხი მოსასხამიც. თუ ჯეიმსი მართალს ამბობდა, მაშასადამე, მკვლელს დანაშაულის ადგილზე მოსასხამი დავარდნია და შემდეგ მის ასაღებად დაბრუნებულა.

3

ქალაქში სასწავლებლად წასული ჯეიმსი, რომელსაც მის ტერნერი ხუთი წელი თვალით არ ენახა, ვიღაც ბრისტოლელ მებუფეტე ქალს გადაჰყრია და მასზე ჯვარი დაუწერია.

დაპატიმრებამდე უკანასკნელი სამი დღე ჯეიმსი ბრისტოლში თავის ცოლთან ყოფილა. მამას კი არ სცოდნია, სად იყო მისი ვაჟი. როგორც კი ბრისტოლელმა მებუფეტე ქალმა გაზეთებიდან შეიტყო ჯეიმსის ამბავი, მისთვის წერილი გაუგზავნია ციხეში და სიმართლე ულიარებია, ჩემი პირველი ქმარი ცოცხალია და ბერმუდის დოკებში მუშაობსო. ასე რომ, ჯეიმსთან მას აღარაფერი აკავშირებდა. ამ ამბავმა ჯეიმსი სულიერად გაამხნევა და ყველა სატანჯველი გადაავიწყა.





Mascavl_Cigni_Done-12 _ 54

**2. გაიხსენე შერლოკ ჰოლმსისა დაადგილობრივი გამომძიებლის, ლესტრეიდის, დიალოგი (მისტერ ნერთან შეხვედრის წინ და მისინასვლის შემდეგ) და უპასუხე მოცემულ შეკითხვებს. დაასაბუთე შენი პასუხები სათანადო არგუმენტებით.**

ა. როგორია ლესტრეიდის პოზიცია საქმესთან დაკავშირებით?
   1. დარწმუნებულია, რომ საქმე გახსნილია;
   2. ფიქრობს, რომ გამოძიება ჩიხშია შესული;
   3. უჭირს რაიმეს თქმა.

ბ. როგორია მისი დამოკიდებულება ეჭვმიტანილთან დაკავშირებით?
   1. დარწმუნებულია, რომ ის არის მკვლელი;
   2. ფიქრობს, რომ შვილი არაფერ შუაშია;
   3. უჭირს რაიმეს თქმა.

**3. დაახასიათე გამომძიებელი ლესტრეიდი. გაამყარე შენი პოზიცია არგუმენტებით, რატომ ფიქრობ, რომ ასეა?**

ა. დაასახელე თვისებები, რომლებიც, შენი აზრით, მას ახასიათებს;

ბ. გაიხსენე, რას ამბობს მის შესახებ უოტსონი, როცა პირველად ხვდება და მიუთითე, რამ შეუქმნა მას ამგვარი წარმოდგენა;

გ. ეთანხმები თუ არა უოტსონს მის შეფასებაში? რატომ?

დ. მიგაჩნია თუ არა, რომ პირველი შთაბეჭდილებები, როგორც წესი, ყოველთვის იცვლება ან არასოდეს არ იცვლება? დაასაბუთე კონკრეტული მაგალითით.

ე. რამდენად ძლიერი გამომძიებელია ლესტრეიდი?

**4. წაიკითხე მორიგი დიალოგი და შეავსე ლესტრეიდის პორტრეტი. კიდევ რა ჩანს ახალი?**



– ძალიან სერიოზული ამბებია, – წამოიწყო საუბარი ლესტრეიდმა, – ამბობენ, მისტერ ტერნერი ისე ავადაა, დიდხანს ვერ გაატანსო.

– ძალიან ხანდაზმულია? – იკითხა ჰოლმსმა.

– სამოცსაა მიღწეული, მაგრამ კოლონიიდან ჯანგატეხილი დაბრუნდა და ხშირად ავადმყოფობს. ამ საქმემ ძალიან იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. მაკართის დიდი მეგობარი იყო და ჭირსა და ლხინში უანგაროდ ეხმარებოდა. როგორც დავადგინე, მაკართი ჰათერლეის ფერმის გადასახადსაც კი არ იხდიდა.

– მართლა?! ეს კი ძალზე საინტერესოა, – დაურთო ჰოლმსმა.

– ოჰ, დიახ! მაკართის ათასგვარად უმართავდა თურმე ხელს. ყველას სალაპარაკოდ აქვს მისტერ ტერნერის სიკეთე და უანგარობა.

– კეთილი, მაგრამ... ნუთუ, ოდნავ მაინც არ დაგაეჭვათ იმ ფაქტმა, რომ ასეთი მცირე საკუთრების პატრონი, თანაც სხვის მიწაზე სამადლოდ შეხიზნული მაკართი მისტერ ტერნერის ქალიშვილზე აპირებდა თავისი ვაჟიშვილის დაქორწინებას? თან, როგორი ამბიციით! თითქოს მხოლოდ ჯეიმს მაკართის სურვილი იყო ამისათვის საკმარისი. ეს ძალიან უცნაური ამბავია, მით უფრო, რომ მისტერ ტერნერს ამ ქორწინებაზე კრინტის დაძვრაც არ სურდა. ეს ხომ თვითონ მის ტერნერმა თქვა. აქედან საკმაოდ უტყუარი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს.

– ჩვენ ბევრი რამ გამოვიყენეთ. თუ ფაქტებს გვერდს ავუვლით, მაშინ ფანტაზიის სფეროში გადავალთ, – თქვა ლესტრეიდმა.

– თქვენ მართალი თქვით, ფაქტების გვერდის ავლა არ შეიძლება, – ირონიულად ჩაურთო ჰოლმსმა.

– როგორც არ უნდა იყოს, მე ერთი ისეთი ფაქტი მაინც დავადასტურე, რომლის გვერდის ავლა და უარყოფა არ შეიძლება, – ნაწყენი კაცის კილოთი წარმოთქვა ლესტრეიდმა.

– რომელი ფაქტი?

– ის, რომ შვილმა მამა საკუთარი ხელით მოკლა და ყველაფერი, რაც ამ ფაქტს ეწინააღმდეგება, ლიტონი სიტყვები და სისულელეა.



## გვ. 45

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები იხსენებენ ჰოლმსისა და ლესტრეიდის დიალოგს და პასუხობენ ა-ბ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
3. შეკითხვებზე (ა-ე) დაყრდნობით, მოსწავლეები ახასიათებენ გამომძიებელ ლესტრეიდს.
4. მოსწავლეები კითხულობენ მორიგ დიალოგს და ადგენენ ლესტრეიდის ლიტერატურულ პორტრეტს.

## გვ. 46

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან სიუჟეტის მსვლელობას და პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ).
2. მოსწავლეები ეცნობიან ჰოლმსის ვარაუდებს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 58 № 2, 3: დავალებები სრულდება სქემაზე დაყრდნობით (გვ. 46, № 2).

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას, აღწერენ ჰოლმსის მოქმედებას და პასუხობენ შეკითხვებს. ისინი ეცნობიან მორიგ მონაკვეთს ნაწარმოებიდან.



**1. გაეცანი სიტუაციას და შეასრულე მითითებები.**

*უოტსონს შერლოკ ჰოლმსის რწმენა იმედს აძლევდა, რომ ჯეიმს მაკართი, მართლაც, უდანაშაულო აღმოჩნდებოდა. მისი აზრით, ყოველი ახალი ფაქტი ჰოლმსის მოსაზრებას ამყარებდა. შერლოკ ჰოლმსმა კი, განსაკუთრებით, ორ გარემოებას მიაქცია ყურადღება.*

ა. გაიხსენე, რა ფაქტებს გულისხმობს უოტსონი?
ბ. შენი აზრით, რომელ გარემოებებს მიაქცია ყურადღება შერლოკ ჰოლმსმა?
გ. შენ რას მიაქცევდი ყურადღებას და რატომ?

**2. წაიკითხე შერლოკ ჰოლმსის ვარაუდები და ახსენი ამის მიზეზი. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ასე ყოფილიყო? შეასრულე დავალება რვეულში.**

მოკლულს ტბორის ნაპირზე შეხვედრა ჰქონდა დანიშნული ვიღაც კაცთან და ეს ვიღაც არ შეიძლებოდა, მისი შვილი ყოფილიყო. → რატომ?

„გოიი", რასაც ყვიროდა მოკლული, ასევე არ შეიძლებოდა მისი შვილი ყოფილიყო. → რატომ?

**3. შერლოკ ჰოლმსმა საქმის ძიება დაიწყო. დააკვირდი სურათს და დაასახელე, რას აკეთებს ცნობილი ინგლისელი დეტექტივი და რატომ? რას ეძებს და რის გარკვევა სურს მას?**



ისინი ჰეთერლეის ფერმასთან მივიდნენ. ჰოლმსმა მოსამსახურისგან მამაშვილ მაკართების ის ფეხსაცმელები მოითხოვა, რომლებიც შემთხვევის დღეს ეცვათ. ჰოლმსმა კვალის ძებნა დაიწყო. თავი დახრილი ჰქონდა, მხრებში მოღუნულიყო, ტუჩები მოეკუმა და ძარღვები დაბერვოდა. ცხვირის ნესტოები უთრთოდა. ამ მიყრუებულ, დატბორილ ადგილას ათასგვარი ნაფეხური მოჩანდა. ჰოლმსი ხან აჩქარდებოდა, ხან ძალიან ნელა მოქმედებდა. ლესტრეიდი და მე უკან მივყვებოდით. სკოტლანდიარდელი მაძებარი მის საქმიანობას აგდებულად და უყურადღებოდ ეკიდებოდა, მე კი ჩემს მეგობარს დიდი ინტერესით შევყურებდი, რადგან მწამდა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი სიმართლის დადგენას შეუწყობდა ხელს.

ლესტრეიდმა ზუსტად გვიჩვენა ის ადგილი, სადაც გვამი იპოვეს. ნიადაგი ისეთი სველი იყო, რომ გვამის დაცემის ადგილი მეც კარგად გავარჩიე. ჰოლმსს თვალებში ეტყობოდა, რომ მისთვის ბევრი რამ გახდა ნათელი. იგი ლესტრეიდს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– რა სამძებრო სამუშაო ჩაატარეთ ტბორთან?

– მთელი ტბორი გადავჩხრიკეთ. ვფიქრობდი, რამე იარაღს ან კვალს წავაწყდებოდი, მაგრამ როგორც თქვენ...

– ოჰ, კმარა, კმარა! დრო აღარ ითმენს! თქვენ მარცხენა ფეხს რაღაცნაირად ატრიალებთ და მის კვალს ყველგან ტოვებთ... ოჰ, რა მარტივად ვიპოვიდით ყველაფერს, იმ კამეჩებისათვის რომ აქ მოსვლა დამესწრო. აი, აქ მეველის საყარაულოდან მოსულები მდგარან. ირგვლივ ყველაფერი გადაუთელავთ.

შერლოკ ჰოლმსმა ლინზა ამოიღო, წყალგაუმტარ მოსასხამზე დაწვა, რომ უფრო ახლოს ენახა ნაკვალევები და ისე განაგრძო საუბარი:

– აი, ახალგაზრდა მაკართის ნაფეხურები, ორჯერ გავლილი ჩანს... ერთხელ ისე გაურბენია, რომ ტერფის წინა ნაწილის კვალი მიწას კარგად დამჩნევია. ქუსლების კვალი კი სულ არ იძებნება. ეს მის მონათხრობს ადასტურებს. აქვეა გარდაცვლილის ნაფეხურები. ეს კი თოფის კონდახის კვალია. ჰო, ჯეიმს მაკართი აქ მდგარა, როცა მამის საყვედურებს ისმენდა. ეს რა არის? ფეხის წვერების კვალი! რა უცნაური ოთხკუთხა ფეხსაცმელი სცმია! მოსულა, წასულა და ისევ დაბრუნებულა. ჰო, ალბათ, მოსასხამისთვის დაბრუნდა, მაგრამ საიდან მოვიდა?

ჰოლმსი კვალს გაჰყვა. ის ტყის პირას მდგარი ბებერი წიფლის ხესთან მივიდა. მან აქაც იპოვა მის მიერ მკვლელობაში ეჭვმიტანილის კვალი. ისევ პირქვე დაწვა და ნაფეხურებს ყურადღებით დააშტერდა. ფოთლები და ხმელი ტოტები შეაგროვა, მტვრის სინჯიც აიღო, გამადიდებელი მინით მიწა გასინჯა და ხის ქერქიც წამოკრიფა. შემდეგ იქვე ხავსზე დაგდებული ერთი უსწორმასწორო, დაკბილული ქვა აიღო და კარგა ხანს ათვალიერა. მერე ტყეში მიმავალ ბილიკს მიჰყვა და გზამდე გავიდა. იქ კი კვალი იკარგებოდა.

ათი წუთის შემდეგ ეტლს უკვე როსისაკენ მივყავდით. ჰოლმსს ისევ ის ქვა ეჭირა ხელში, რომელიც წიფლის ხის ქვეშ იპოვა.

**4. დაუბრუნდი მოცემულ ეპიზოდს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**5. გაეცანი სიტუაციას და შეასრულე მითითებები მეწყვილესთან ერთად.**

*ცნობილი დეტექტივი დარწმუნებულია, რომ ბასკომბის ველის საიდუმლო ამოხსნა. ამის შესახებ მან ადგილობრივ გამომძიებელს უთხრა. შერლოკ ჰოლმსმა მას დაუსახელა მკვლელობის იარაღი და აღუწერა მკვლელის გარეგნობა.*

ა. გაითვალისწინეთ შერლოკ ჰოლმსის მიერ ჩატარებული გამოძიების ყველა დეტალი და დაასახელეთ:

1. მკვლელობის იარაღი;
2. შეადგინეთ მკვლელის პორტრეტი. აღწერეთ, თქვენი აზრით, როგორ გამოიყურებოდა მკვლელი (*ფიზიკური მონაცემები, ჩაცმულობა, დამახასიათებელი დეტალები* და ა.შ.)

**ჰოლმსის მიერ ჩატარებული გამოძიების დეტალები:**

- დაკითხვებით მოპოვებული ინფორმაციები;
- მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებსაც ასახელებს;
- დანაშაულის ადგილის შესწავლა.

ბ. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები და გაამყარეთ სათანადო არგუმენტებით.

**6. მოისმინე შერლოკ ჰოლმსისა და ადგილობრივი გამომძიებლის, ლესტრეიდის, დიალოგი და შეადარე თქვენს ვერსიას. შეასრულე დავალებები რვეულში.**



## გვ. 47

### მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და ასრულებენ დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 58 № 4: მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს წაკითხულ ეპიზოდზე დაყრდნობით.

### მოსწავლის წიგნი

5. მოსწავლეები ეცნობიან სიტუაციას და განაგრძობენ მუშაობას მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 59 № 5: მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად და ასრულებენ ინსტრუქციებს.

### მოსწავლის წიგნი

6. მოსწავლეები ისმენენ დიალოგს (იხ. მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები) შერლოკ ჰოლმსსა და გამომძიებელ ლესტრეიდს შორის და განაგრძობენ დავალებების შესრულებას მოსწავლის რვეულში.

### მოსწავლის რვეული

გვ. 59 № 6: სრულდება მოსასმენი ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული დავალება.

გვ. 60 № 1: სრულდება ლექსიკური ტიპის სავარჯიშო.

გვ. 48

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან მორიგ ეპიზოდს, დიალოგს ჰოლმსსა და უოტსონს შორის, პასუხობენ ა-გ პუნქტებში მოცემულ შეკითხვებს და ისმენენ დ პუნქტით გათვალისწინებულ მოსასმენ ტექსტს (იხ. მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

**მასწავლებლის კომენტარი**

თემა 1

**1. სასტუმროში დაბრუნებისა და დანაყრების შემდეგ შერლოკ ჰოლმსსა და უოტსონს შორის დიალოგი გაიმართა. წაიკითხე დიალოგის პირველი ნაწილი და შეასრულე ქვემოთ მოცემული მითითებები.**

– ძვირფასო უოტსონ, რჩევა მინდა გკითხოთ. პირდაპირ არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

– დიდი სიამოვნებით მოგისმენთ.

– ხომ გახსოვთ ის ორი გარემოება, რომლებიც მოგახსენეთ? ერთი იყო ის, რომ მამამ შვილის დანახვამდე დაიძახა „გოიი“, ხოლო მეორე ის, რომ მისი უკანასკნელი სიტყვებიდან შვილმა მხოლოდ „ერეტ“ გაიგონა. დავუშვათ, რომ ბრალდებულმა ძიებას აბსოლუტური სიმართლე უთხრა.

– მაშინ საკითხავია, რას ნიშნავს „გოიი“? – იკითხა უოტსონმა.

– ფაქტია, რომ ის შვილს არ ეძახდა, ვინაიდან ის ბრისტოლში ეგულებოდა. ამ ძახილზე შვილის გამოცხადება მამისთვისაც მოულოდნელი იყო. „გოიი“-ს ის იმ ადამიანის ეძახდა, ვისთანაც შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. ეს ავსტრალიური სიტყვაა და „მოდი, გელი“-ს ნიშნავს. როგორც ჩანს, ის ისეთ ადამიანს ელოდა, რომელსაც ავსტრალიასთან ჰქონდა შეხება.

– სიტყვა „ერეტი“ რაღას უნდა ნიშნავდეს?

შერლოკ ჰოლმსმა ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

– ეს კოლონია ვიქტორიის რუკაა. – თქვა ჰოლმსმა და რუკის ერთ ნაწილს ხელი დააფარა, მერე მომიბრუნდა და მკითხა: – აბა, რა წაიკითხეთ?

„ერეტ“ წავიკითხე-მეთქი, ვუთხარი. მერე ხელი აწია და თავიდან წაკითხვა მთხოვა. ამჯერად წავიკითხე „ბალერეტ“.

– როგორც ჩანს, მომაკვდავს შვილისთვის უნდოდა ეთქვა, ვინ იყო მკვლელი. დიახ, მკვლელს ან ბალერეტი ჰქვია, ანდა ბალერეტიდანაა.

– შესანიშნავად მიგნებული ამბავია, – წამოვიძახე მე.

– ადგილობრივი მცხოვრებია, რადგან ტბორს, ფერმისა და მისტერ ტერნერის სახლის გარდა, გარშემო არაფერი აკრავს.

– მაგრამ როგორ დაადგინეთ მკვლელის ვინაობა?

– თქვენ იცნობთ ჩემს მეთოდს. ის ხომ უმნიშვნელო წვრილმანთა ერთობლიობასა და მათ ურთიერთდაპირისპირებას ემყარება.

**ა. უპასუხე შეკითხვებს.**

- რა იყო დიალოგის დაწყების მიზეზი?
- დიალოგის მიხედვით, სადაურია ეჭვმიტანილი? მოიყვანე სათანადო არგუმენტი.
- რა ადასტურებს მის კავშირს ავსტრალიასთან?
- შენი აზრით, გაურკვეველი და უშინაარსო სიტყვა „ერეტი“, ზოგადად, იძლევა თუ არა ავსტრალიასთან კავშირის საფუძველს და რატომ?
- როგორ ფიქრობ, რამ მიიყვანა გამომძიებელი ავსტრალიასთან? გაიხსენე წინა ეპიზოდებიც და დაასახელე ყველა არგუმენტი.

**ბ. დაუბრუნდი დიალოგს. გამოიყენე წინა ეპიზოდები და მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად, როგორ მივიდა შერლოკ ჰოლმსი კონკრეტულ პასუხებამდე.**

*როგორ დაადგინა მან სავარაუდო დამნაშავის:*

- სიმაღლე?
- ხეიბრობა?
- ის, რომ ცაციაა?
- და, რომ მუნდშტუკით ინდურ სიგარებს ეწევა?

**გ. გააცანი კლასელებს შენი და შენი მეწყვილის მოსაზრებები და დაასაბუთე.**

**დ. მოისმინე დიალოგის დასასრული და შეადარე თქვენს ვერსიებს.**

48 გამოძიება

**2. მის ტერნერის შემდეგ შერლოკ ჰოლმსთან თავად მისტერ ტერნერი მივიდა. შენი აზრით, როგორ და რატომ დაუკავშირდა ის მისტერ ჰოლმსს?**

- ა. მას აინტერესებს, როგორ მიდის მისი მეგობრის მკვლელობის გახსნის საქმე;
- ბ. მას სურს, რომ დაეხმაროს შერლოკ ჰოლმსს მკვლელობის სწრაფად გახსნაში;
- გ. შერლოკ ჰოლმსმა თავად დაიბარა მისტერ ტერნერი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადასაცემად.

**3. წაიკითხე მოცემული ნაწყვეტი და შეამოწმე შენი ვერსია.**



მისტერ ჯონ ტერნერი, – მოგვახსენა სასტუმროს მსახურმა და ჯონ ტერნერს შემოუძღვა.

ოთახში შემოსულს უცნაური და დიდად შთამბეჭდავი შესახედაობა ჰქონდა. კოჭლობა და ჩამოყრილი მხრები მნახველის თვალში მას მოხუცებულის იერსახეს აძლევდა. უზარმაზარი სხეული და უხეში სახის ნაკვთები კი მის ძლიერ ხასიათსა და დიდ ფიზიკურ ძალაზე მეტყველებდა. გაწეწილი წვერი, ჭაღარ თმა და ხშირი წარბები ამაყი და ძალაუფლებისმოყვარე კაცის შეხედულებას აძლევდა. სახეზე მოთეთრო ნაცრისფერი გადაჰკრავდა და ცხვირის ნესტოების ბოლოებსა და ტუჩებზე სილურჯე მორეოდა.

სავარძელში დაბრძანდით, – უთხრა ზრდილობიანად ჰოლმსმა, – ალბათ, ჩემი წერილი მიიღეთ.

– დიახ, მეველემ მომიტანა. მწერდით, რომ თქვენთან მოვსულიყავი, რათა თავიდან ამეცილებინა შერცხვენა და აურზაური.

– ვფიქრობ, ხალხში ერთი მითქმა-მოთქმა დაიწყება, თუკი სასამართლოში გამოსვლა დამჭირდება.

– რაში დაგჭირდებათ? – სასოწარკვეთილი ხმით იკითხა ტერნერმა.

– მაკართის მკვლელობის ამბავი წვრილად ვიცი, – უპასუხა ჰოლმსმა.

**4. დაუბრუნდი ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.**

- ა. კიდევ ერთხელ წაიკითხე ჯონ ტერნერის დახასიათება და შეადარე ის სავარაუდო მკვლელის შერლოკ ჰოლმსისეულ აღწერილობას. არის თუ არა მათ შორის მსგავსება? დააკონკრეტე პასუხი.
- ბ. როგორ ფიქრობ, რატომ დაიბარა შერლოკ ჰოლმსმა ჯონ ტერნერი?
- გ. რა მისწერა ჰოლმსმა ტერნერს და რატომ? რის თქმა სურს ამით ჰოლმსს?
- დ. როგორ ფიქრობ, მართალია თუ არა ჰოლმსი? ზუსტად მიუთითე ტექსტიდან სიტყვა ან სიტყვები, რომლებიც შენს პოზიციას გაამყარებს.



გვ. 49

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

2. მოსწავლეები ირჩევენ შეკითხვის პასუხის ა-გ ვარიანტებიდან ერთ-ერთს.
3. ისინი კითხულობენ მორიგ ეპიზოდს და ამოწმებენ საკუთარი ვერსიის სისწორეს.
4. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-დ).

## გვ. 50

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები იხსენებენ წაკითხულ დიალოგს და ირჩევენ შეკითხვის პასუხის ა-გ ვარიანტებიდან ერთ-ერთს.
2. მოსწავლეები კითხულობენ დიალოგის გაგრძელებას და პასუხობენ შეკითხვებს.
3. მოსწავლეები კითხულობენ მორიგ ეპიზოდს, პასუხობენ შეკითხვებს და ასრულებენ დავალებას მოსწავლის რვეულში.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 60 № 3 — გვ. 61 № 6: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.



**1. გაიხსენე შერლოკ ჰოლმსსა და მისტერ ჯონ ტერნერს შორის გამართული საუბრის დასაწყისი და განმარტე, შენი აზრით, რატომ უნდა ჰქონოდა ჯონ ტერნერს ასეთი რეაქცია გამომძიებლის სიტყვებზე? აირჩიე შენთვის მისაღები ვარიანტი და დაასაბუთე.**

ა. ჯონ ტერნერმა იფიქრა, რომ მას მეგობრის მკვლელობაში უსამართლოდ სდებენ ბრალს;
ბ. ნერვიულობს, მისი ქალიშვილი ხომ არ არის ამ საქმეში გარეული?
გ. მიხვდა, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამჟღავნდა.

**2. წაიკითხე მათი დიალოგი ბოლომდე და შეამოწმე შენი ვერსია. უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.**

მოხუცმა სახე ვეება ხელებში ჩარგო.

– ღმერთო, მიშველე! – წამოიძახა მან. – ყმაწვილი კაცის დაღუპვას არც ვაპირებდი. პატიოსან სიტყვას გეუბნებით, მზად ვიყავი, რომ თუკი საქმე ნაფიც მსაჯულებს გადაეცემოდათ, ყველაფერი მეღიარებინა.

– მოხარული ვარ, ამას რომ ამბობთ, – მკაცრად თქვა ჰოლმსმა.

– ჩემი პატარა გოგონა რომ არა, ყველაფერს ახლაც ვიტყოდი, მაგრამ სიმართლის გაგება მას გულს გაუხეთქავს. ჩემი დაპატიმრება მისთვის ძალიან რთული გადასატანი იქნება.

– შეიძლება, არც დაგაპატიმრონ! – წარმოთქვა ჰოლმსმა.

– როგორ?

– მე ხომ პოლიციის ოფიციალური თანამშრომელი არ ვარ. მე სწორედ თქვენმა ქალიშვილმა მომიწვია აქ და მისი ინტერესები უნდა დავიცვა. ახალგაზრდა მაკართი საპყრობილიდან უნდა გამოვიდეს.

– მე მომაკვდავი ვარ, – თქვა მოხუცმა ტერნერმა. – კარგა ხანია, რაც დიაბეტი მაქვს. ექიმის აზრით, ალბათ, ერთ თვესაც ვერ გავატან, მაგრამ საპატიმროში სულის ამოხდას მაინც ჩემს ჭერქვეშ სიკვდილი მირჩევნია. ჰოლმსი წამოდგა, კალამი აიღო, ქაღალდი მოიმარჯვა და მაგიდასთან მივიდა.

– აბა, მოყევით ყველაფერს და მოკლედ ჩავიწერ. თქვენ ხელს მოაწერთ, უოტსონი კი დაამოწმებს. თქვენს ჩვენებას სასამართლოში მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენებ, თუ ახალგაზრდა მაკართი ისე ვერ გავათავისუფლე. თუ აუცილებელი უკიდურესობა არ მაიძულებს, თქვენი საიდუმლო ჩემთან ერთად დაიმარხება.

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა მოხუცმა და დაიწყო.

**3. როგორ ფიქრობ, რა უნდა მომხდარიყო მათ შორის? რა გახდა მკვლელობის მიზეზი? წაიკითხე, რას ჰყვება ჯონ ტერნერი და შეასრულე დავალებები რვეულში.**

ა. დაუბრუნდი პირველ წინადადებას. ჯონ ტერნერის რა სულიერ მდგომარეობაზე მიანიშნებს ამ ქცევით ავტორი?
ბ. რამ გამოიწვია მისი ამგვარი მდგომარეობა?
გ. როგორ შეხვდა ტერნერი უდანაშაულო ახალგაზრდა მაკართის დაპატიმრებას?
დ. რა შემთხვევაში აპირებდა ის დანაშაულის აღიარებას?
ე. რის გამო იკავებს ტერნერი სიმართლის დაუყოვნებლივ თქმისაგან თავს? ვის უფრთხილდება ის და რატომ?
ვ. რას ითხოვს შერლოკ ჰოლმსი მისგან და რატომ?
ზ. რა შემთხვევაში აპირებს ის მისი ჩვენების გამოყენებას?

მაკართი კაცი კი არა, ნამდვილი სატანა გახლდათ. მის კლანჭებში მოხვედრას მტერს არ ვუსურვებდი. ბოლო ოცი წელი სიცოცხლე მომიწამლა. ეს ამბავი ამ საუკუნის სამოციან წლებში ოქროს საბადოებზე დაიწყო. მაშინ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კაცი ვიყავი. სისხლი მიდუღდა და ყველაფერზე მივდიოდი. ცუდ წრეში მოვხვდი და სმა დავიწყე. შრომა შევიძულე და შარაგზის მძარცველად ვიქეცი. ექვსნი ვიყავით. ხან რკინიგზის სადგურს ვძარცვავდით, ხანაც – ოქროს საბადოებიდან მომავალ ფურგონებს. სწორედ მაშინ შემარქვეს ბალერეტელი შავი ჯეკი.
ერთხელ ბალერეტიდან მელბურნისაკენ ოქრო გააგზავნეს. ჩვენ ჩავუსაფრდით და თავს დავესხით. ექვსკაციანი დაცვა ჰყავდათ, ჩვენც ექვსნი ვიყავით. პირველი გასროლით ოთხი მცველი მოვკალით, მაგრამ, როცა ნადავლს დავეპატრონეთ, სამნიღა დავრჩით. რევოლვერის ლულა მეეტლეს შუბლზე მივაბ-

თემა 1

ჯინე და ადგილიდან დაძვრა ვუბრძანე. ის მეეტლე მაკართი გახლდათ. ნეტა, მაშინვე მომეკლა, მაგრამ დავინდე, თუმცა შევნიშნე, რომ ავი თვალებით მიყურებდა, ჩემი სახის დამახსოვრებას ცდილობდა.

ასე დავეპატრონეთ ოქროს, გავმდიდრდით და სამშობლოში გამოვემგზავრეთ. ჩემს ძველ ამფსონებთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე და წესიერი ცხოვრება დავიწყე. ეს მამული ვიყიდე. ვცდილობდი, წესიერი ცხოვრებითა და საქმიანობით ის დანაშაული გამომესყიდა. დავქორწინდი. ცოლი ახალგაზრდობაშივე გარდამეცვალა, მაგრამ პატარა ალისა დამრჩა. სწორედ მისმა პაწაწა, უსუსურმა ხელებმა დამაბა პატიოსან გზაზე და ავსა და ბოროტ საქმეს ამაცდინა. მისმა გაჩენამ საბოლოოდ ამაღებინა ხელი ბოროტებაზე. ჩემსა და ჩემს წარსულს შორის ღრმა უფსკრული გაჩნდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე მაკართის არ ჩავუვარდი კლანჭებში. სრულიად შემთხვევით გადავეყარე ქალაქში ძონძებში ჩაცმულს.

– ჩვენ აქ ვართ, ჯეკ! მე და ჩემი ბიჭი ამიერიდან შენ უნდა შეგვინახო, თორემ ინგლისი კანონების მოყვარული მშვენიერი ქვეყანაა და პოლიციელებითაა სავსე, – მითხრა მან.

ასე ჩასახლდა ის აქ. ასე ჩაიგდო ხელში ჩემი მამულის საუკეთესო ნაწილი და ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფალი ცხოვრობდა უზრუნველად, თანაც მემუქრებოდა. მისგან მოსვენება აღარ მქონდა. სადაც წავიდოდი, კუდში დამდევდა. ალისა რომ წამოიზარდა, მაკართიმ შენიშნა, როგორ ვუფრთხილდებოდი ბავშვს, რომ არაფერი გაეგო ჩემს წარსულზე. ის კი ამით სარგებლობდა. რასაც მოისურვებდა – ფული იქნებოდა, სახლი თუ მიწა – ყველაფერს ვაძლევდი, ვიდრე ბოლოს არ მოისურვა ის, რისი მიცემაც არ შემეძლო. გათავხედებულმა ალისა მომთხოვა თავისი შვილისთვის. ამ გზით მაკართიმ მთელი ჩემი ქონების დაპატრონება განიზრახა. არ მინდოდა, რომ მაკართის ბინძური სისხლი ჩემსას შერეოდა – არა იმიტომ, რომ მისი ვაჟიშვილი არ მომწონდა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბიჭის ძარღვებში მამის სისხლი ჩქეფდა და მის შესაძულებლად ჩემთვის ესეც საკმარისი იყო. მე სასტიკ უარზე ვიყავი. მაშინ მაკართი დამემუქრა. ჩვენ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს ტბორთან, ჩვენი სახლებიდან თანაბარ მანძილზე.

როცა დანიშნულ ადგილზე მივედი, დავინახე, რომ შვილს ელაპარაკებოდა. სიგარა გავაბოლე და დაველოდე, როდის დარჩებოდა მარტო. მაკართი შვილს ჩემს ქალიშვილზე დაქორწინებას აძალებდა. ბიჭი უარზე იდგა, ის კი უყვიროდა და ძალას ატანდა ისე, რომ არც კი აინტერესებდა ჩემი შვილის აზრი. იმან, რომ მე და ჩემი შვილი, რომელიც სიცოცხლეზე ძვირფასია ჩემთვის, ამ კაცის ხელში უნდა ჩავვარდნილიყავით, გამაცოფა. გადავწყვიტე, რომ ბოლო მომეღო ყველაფრისათვის. მე მოვკალი მაკართი და მისი გაცოცხლება რომ შეიძლებოდეს, კვლავ მოვკლავდი. მართალია, ცოდვილი ვიყავი, მაგრამ ჩემი ტანჯვაწამებით საკუთარი დანაშაული ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდე. მაკართი მოვკალი და სინდისი არ მქენჯნის. მაკართის ყვირილმა მისი ვაჟი უკან დააბრუნა. მე ტყეში დავიმალე, თუმცა ჩემი მოსასხამის წამოსაღებად მივბრუნდი იქ. ასე იყო ეს ამბავი, ყოველივე გულახდილად მოგახსენეთ!

**4. დაუბრუნდი ჯონ ტერნერის ნაამბობს და ისაუბრე მაკართისა და ჯონ ტერნერის შესახებ. შეაფასე მათი ქმედებები და დაასაბუთე შენი პოზიცია სათანადო არგუმენტებით.**

ა. როგორ ფიქრობ, აქვს თუ არა ძალადობის ნებისმიერ ფორმას გამართლება?
ბ. იმსახურებენ თუ არა თანაგრძნობას მაკართი და ტერნერი (ან რომელი იმსახურებს და რომელი – არა) და რატომ?
გ. შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო ჯონ ტერნერი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

**5. წაიკითხე, რით დამთავრდა ეს ამბავი და შეასრულე დავალებები რვეულში.**

– თქვენთვის მსჯავრის გამოტანა ჩემს მოვალეობაში არ შედის, – თქვა ჰოლმსმა, როცა მისტერ ტერნერმა ჩვენებას ხელი მოაწერა, – მე მგონია, საქმის სასამართლოსთვის გადაცემა არ დაგვჭირდება. თქვენს აღიარებას საიდუმლოდ შევ ნახავ, თუკი ჯეიმს მაკართის დასაცავად არ მაიძულეს სიმართლის გამხელა. თქვენ კი, თქვენი ჯანმრთელობის შემხედვარე, ძალიან მალე წარსდგებით უფრო მაღალი მსაჯულის წინაშე, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოა.

– მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენ სიმშვიდე და ნათელი შეიტანეთ ჩემს სულში! – წარმოთქვა მოხუცმა და აცახცახებული უზარმაზარი სხეული ბარბაცით გაიტანა ოთახიდან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, ჰოლმსის მიერ წარდგენილი აურაცხელი გამამართლებელი საბუთის საფუძველზე, ჯეიმს მაკართი გაათავისუფლა. მოხუცი ტერნერი ამ შემთხვევიდან შვიდი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

გამოძიება 51

## გვ. 51

**მოსწავლის წიგნი**

1. ა-ბ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ ნაწარმოების პერსონაჟების — მაკართისა და ტერნერის შესახებ; საუბრისას ისინი ასაბუთებენ მოსაზრებებს, იშველიებენ არგუმენტებს.

📖 მოსწავლეები ეცნობიან ნაწარმოების დამაგვირგვინებელ ეპიზოდს და ასრულებენ როლურ თამაშს (იხ. მოსწავლის რვეული).

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 62 № 1: მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები ინაწილებენ როლებს (მოსამართლე, ნაფიცი მსაჯულები, ბრალდებული — ტერნერი, მოწმეები — ჯეიმსი, მეტყევე და სხვ.) და გაითამაშებენ ჯონ ტერის სასამართლო პროცესს მოსწავლის რვეულში მოცემული დაცვისა და ბრალდების სქემის მიხედვით.

გვ. 52

## ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და ენობრივ ცნობარს. ისინი კითხულობენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის სიტყვებს, რომლებიც ჩარჩოშია მოყვანილი, და პასუხობენ ა-ვ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
2. მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციის 1-3 პუნქტებს და პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 63 № 1, 2, 3: სრულდება თემასთან დაკავშირებული სამეტყველო და წერითი აქტივობები.

ადამიანი და გარემო

## ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

### 1. საზოგადოება და სახელმწიფო

თემატური ცნობარი

- სახელმწიფო და მისი ატრიბუტიკა
- მათ შექმნეს ისტორია (სოკრატე, პლატონი, მაკიაველი, კონფუცი)
- ალექსანდრე მაკედონელი
- ტერმიტების იმპერია

ენობრივი ცნობარი

- რთული წინადადება (წინადადებათა თანწყობა და ქვეწყობა; აზრობრივი მიმართებები თანწყობილ წინადადებაში; დამოკიდებული წინადადების ადგილი ქვეწყობილ წინადადებაში)

**1. გამოიყენე მოცემული მასალა, გაიხსენე ინფორმაციები ისტორიიდან და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა არის სახელმწიფო?
ბ. ჩამოთვალე სახელმწიფო ატრიბუტიკა.
გ. აუცილებელია თუ არა სახელმწიფოს არსებობა? საერთოდ, უნდა არსებობდეს თუ არა ის?
დ. შენი აზრით, რა ფუნქცია აქვს მას?
ე. როგორ შეიქმნა პირველი სახელმწიფო?
ვ. როგორ გესმის იდეალური სახელმწიფო და, შენი აზრით, არსებობს თუ არა მსოფლიოში იდეალური სახელმწიფო?

„სახელმწიფო დაიწყო მაშინ, როცა ვილაცამ შემოღობა ტერიტორია და თქვა, ჩემიაო“.
პლატონი


დროშა


გერბი

**2. გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს.**

თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებისათვის აუცილებელია:
1. ხალხი;
2. ტერიტორია და საზღვრები;
3.ქცევის ნორმები, ანუ კანონები (აუცილებლობას არ წარმოადგენს კონსტიტუციის არსებობა. შესაძლოა, მართვა შეთანხმების საფუძველზე ხდებოდეს, რომლის დაცვაც ასევე სავალდებულოა. ასე ხდება ინგლისსა და ისრაელში. მათ კონსტიტუცია დაწერილი სახით არ გააჩნიათ).
4. უნდა არსებობდეს ხელისუფლება, ჯარი.


ჯარი


ჰიმნი

ა. შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოს კანონმდებლობის გარეშე არსებობა?
ბ. რა არის კონსტუტიცია?
გ. ყველა სახელმწიფოს აქვს თუარა კონსტიტუცია დაწერილი სახით?


ხელისუფლება


ფული

52 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!



Mascavl_Cigni_Done-12 _ 62

**3. რა იცი ამ ადამიანების შესახებ? ვინ იყვნენ ისინი, სად და როდის მოღვაწეობდნენ?**



სოკრატე



პლატონი



მაკიაველი



კონფუცი

**4. წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის პიროვნებასთან. დაასახელე, ვის ეხება მოცემული ინფორმაცია.**

ა. მისმა სწავლებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაზე. ამბობენ, რომ ჩაის სმის სახელგანთქმული რიტუალიც კი მისი დადგენილია. ლეგენდის თანახმად, მისი დაბადება მარტორქამ იწინასწარმეტყველა: „დაიბადება კრისტალივით სუფთა ბავშვი იმისათვის, რომ დასუსტებული დინასტია გააძლიეროს და გახდეს მეფე სამეფოს გარეშე“. მიიჩნევდა, რომ „ქვეყანა ქვეყნის მმართველმა უნდა მართოს. მამა მამა უნდა იყოს და შვილი – შვილი“. მისი აზრით, ერი მაშინ იქნება ბედნიერი, თუკი ტრადიციის მიხედვით იცხოვრებს.

ბ. ის ბერძენი ფილოსოფოსი იყო. ციხეში ყოფნისას მას გაქცევის ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, თუმცა ეს არ გაუკეთებია. ციხიდან გაუქცევლობით მან დაიცვა და თვალნათლივ აჩვენა ყველას კანონის უზენაესობის იდეა. მისი აზრით, მხოლოდ ფილოსოფოსი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც მართვის მორალური უფლება აქვს. ის ღიად ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიას და არა მარტო დემოკრატიას, არამედ მმართველობის ნებისმიერ ფორმას, რომელიც არ შეესაბამებოდა მისეულ იდეალს.

გ. ის სოკრატეს მოწაფე იყო. არის ავტორი ცნობილი ნაშრომისა, „სახელმწიფო“, რომელშიც გვთავაზობს სახელმწიფოს იდეალურ ტიპს. როგორც თავის მასწავლებელს, მასაც მიაჩნდა, რომ სახელმწიფო ფილოსოფოსებმა უნდა მართონ. უფრო მეტიც, ის მიიჩნევდა, რომ ქალებსაც ისევე შეეძლოთ სახელმწიფოს მართვა, როგორც კაცებს – ხელისუფალნი ხომ გონებით მართავენ! მის იდეალურ სახელმწიფოში მმართველებსა და მეომრებს არ შეიძლება ჰყავდეთ ოჯახი ან ჰქონდეთ კერძო საკუთრება.

დ. ის იყო ცნობილი იტალიელი პოლიტიკოსი, დიპლომატი, ჰუმანისტი, ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი. მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ინტერესების დაცვისთვის ნებისმიერი საშუალების გამოყენება მართებული იყო. მისი აზრით, წარმატებისათვის ბრძოლაში მორალი გვერდით უნდა გადადო და არც გრძნობებს უნდა აჰყვე. მისი აზრით, მორალზე ფიქრი პოლიტიკაში უპასუხისმგებლობის ტოლფასია. მმართველს ამის უფლება არ აქვს, ვინაიდან მას ხალხის ბედი აბარია. მისი აზრით, მმართველს შეეძლო ქვეყნის ინტერესებისათვის გამოეყენებინა ყველა და ყველაფერი, მათ შორის ადამიანების სიცოცხლეც.

**5. დაუბრუნდი მოცემულ ტექსტებს და შეასრულე დავალებები რვეულში.**



## გვ. 53

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

3. მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციებს და მასწავლებლის დახმარებით, თავს უყრიან ინფორმაციას ცალკეული ფილოსოფოსის შესახებ (კონფუცი, სოკრატე, პლატონი, მაკიაველი).
4. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთებს (ა-დ) და უკავშირებენ მათ ცალკეულ ილუსტრაციას.
5. ტექსტის მონაკვეთებზე დაყრდნობით სრულდება დავალებები მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 64 № 1 — გვ. 67 № 5: სრულდება წაკითხულის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები.

გვ. 67 № 6 — გვ. 68 № 2: სრულდება ლექსიკური სამუშაო.

გვ. 54

<u>**მოსწავლის წიგნი**</u>

1. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ და ასწორებენ მცდარად მოწოდებულ ინფორმაციას.
2. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 68 № 3 - გვ. 69 - № 5: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი დავალება.

გვ. 69 № 6, 7: სრულდება ენობრივი სამუშაო.

<u>**მოსწავლის წიგნი**</u>

3. მოსწავლეები ეცნობიან ეპიზოდს ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან და მითითებული სიტყვების მეშვეობით ახასიათებენ მხედართმთავარს.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 70 № 1, 2: სრულდება წაკითხულის გაგებაზე ორიენტირებული დავალებები.



**1. ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელი, რა გააკეთა და რით შევიდა ის ისტორიაში? მოცემულ ტექსტში დაშვებულია უზუსტობები. წაიკითხე და ჩაინიშნე მცდარი ინფორმაცია ფურცელზე. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.**

ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიის სამეფოს დედაქალაქ პელაში დაიბადა. ტახტზე მამის გარდაცვალებიდან 13 წლის შემდეგ ავიდა და სამეფოს 20 წლის განმავლობაში მართავდა.

ალექსანდრემ ეგვიპტეში ერთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი: დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობას სრულ თავისუფლებას აძლევდა.

ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე მხიარული მხედართმთავარი. მან იმდროისათვის ცნობილი მსოფლიოს თითქმის ნახევარი დაიპყრო. ტრიუმფით შევიდა იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს და უმდიდრეს ქალაქ ბაბილონშიც. შექმნა უდიდესი იმპერია, რომელშიც შედიოდა მაკედონია, ეგვიპტე, სირია, სპარსეთი და მცირე აზია.

324 წელს, როცა ალექსანდრე მაკედონელი ათწლიანი ლაშქრობის შემდეგ ქალაქ სუზაში შევიდა, მან თავისი სარდლები და 10 000 მეომარი სპარსელ ქალებზე დააქორწინა. ზოგიერთი მემატიანის აზრით, მას ძალიან უყვარდა აღმოსავლური კულტურა და განსაკუთრებით მოსწონდა სპარსელი ქალები.

ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ალექსანდრე მაკედონელი
(ძვ. წ.აღ. 356 წ. 20 ივლისი – 323 წ. 11 ივნისი).

**2. დაუბრუნდი წინა დავალებას და გაასწორე მცდარი ინფორმაცია. 🎧 მოისმინე და შეამოწმე შენი დავალება. რა დაემთხვა და რა – არა? შეასრულე დავალებები რვეულში.**

**3. გაეცანი პატარა ეპიზოდს ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან. მიუთითე, ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომლები ახასიათებს ალექსანდრეს? მოიტანე დამარწმუნებელი არგუმენტები ტექსტიდან.**

*მიზანდასახული ეშმაკი საზრიანი სულსწრაფი დაკვირვებული*



როდესაც ალექსანდრე 10 წლის იყო, მამამისს, ფილიპეს, ერთმა თესალიელმა ვაჭარმა ცხენი მიჰგვარა. მისი მოთვინიერება ვერავინ შეძლო და ამიტომ ფილიპე მის უკან დაბრუნებას აპირებდა. ამ დროს ალექსანდრემაც სცადა ბედი და ცხენი მოათვინიერა.

პლუტარქეს გადმოცემით, ალექსანდრემ შეამჩნია, რომ ცხენს თავისი ჩრდილის ეშინოდა. ამიტომ ის მზისკენ შეაბრუნა და დაუბრკოლებლად დაიმორჩილა.

საბოლოოდ, ფილიპემ ცხენი შვილს უყიდა და უთხრა: „მაკედონია შენ ვერ დაგიტევს, შენთვის უფრო ვრცელი საბრძანებელი ქვეყანა უნდა ეძიო“.

ალექსანდრემ ცხენს ბუცეფალი დაარქვა, რაც ხარისთავას ნიშნავს.

**4. გაიხსენე, ვინ იყო დიოგენე და სად ცხოვრობდა ის? წაიკითხე ალექსანდრე მაკედონელის დიოგენესთან შეხვედრის ეპიზოდი და მოიფიქრე: რა უპასუხა, შენი აზრით, დიოგენემ მას და რა ჩაილაპარაკა ალექსანდრემ? 🎧 მოისმინე და შეამოწმე, დაემთხვა თუ არა.**

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების აღების შესახებ ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, მაკედონელმა ერთ-ერთ ქალაქში ყოფნისას გამოჩენილი ფილოსოფოსი დიოგენე მოინახულა. დიოგენე მზეს ეფიცხებოდა, როდესაც ალექსანდრე თავისი სარდლების თანხლებით თავზე წამოადგა.

– მე ალექსანდრე ვარ! – უთხრა მეფემ.

– მე კი დიოგენე! – უპასუხა ფილოსოფოსმა.

– მითხარი, რაც გინდა და შენს ნებისმიერ სურვილს ავასრულებ, – მიმართა ალექსანდრემ.

– ----?----, – უპასუხა დიოგენემ.

ამგვარმა პასუხმა სარდლები მეტად აღაშფოთა, თუმცა ალექსანდრემ ისინი დააშოშმინა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მე რომ ალექსანდრე არ ვიყო, ----?----!






**5. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.**

ფილიპემ ალექსანდრეს მასწავლებლად მიიწვია პლატონის მოსწავლე, არისტოტელე, რომელიც იმ დროს ყველაზე განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა. არისტოტელეც დათანხმდა. ცნობილია, რომ არისტოტელეს პატივსაცემად ფილიპემ თავიდან ააშენა მის მიერვე სასტიკად დანგრეული მისი მშობლიური ქალაქი სტაგირე. შვილის აღსაზრდელად კი უბოძა მიეზასთან ახლოს მდებარე ნიმფების ტაძარი, რომელიც შემდეგ სხვა წარჩინებული ოჯახების შვილების სკოლად გადაიქცა. არისტოტელე ამ სკოლაში ასწავლიდა ფილოსოფიას, მედიცინას, ფიზიკას, მათემატიკას, ლოგიკას, ლიტერატურას, მუსიკას, ხელოვნებასა და სხვა.

ალექსანდრეს არისტოტელეს შესახებ უთქვამს: „მე არისტოტელეს მამის გვერდით ვაყენებ: მამამ სიცოცხლე მომანიჭა, არისტოტელემ კი – ის, რაც სიცოცხლეს აზრს აძლევს“.

ალექსანდრე მაკედონელსა და არისტოტელეს შორის ახლო ურთიერთობა ბოლომდე გაგრძელდა. საბრძოლო ლაშქრობაში ყოფნისას ალექსანდრე ხშირად უგზავნიდა თავის მასწავლებელს სხვადასხვა სახის ეგზოტიკურ მცენარეებსა და ცხოველებს, უზიარებდა შთაბეჭდილებებს უცხო ქვეყნების შესახებ, არისტოტელე კი ბრძნულ და საინტერესო დარიგებებს აძლევდა მას.

როგორც მემატიანეები გადმოგვცემენ, მაკედონელს უთქვამს: „ფილიპესგან დავალებული ვარ იმით, რომ ვცხოვრობ, ხოლო არისტოტელესგან – იმით, რომ ღირსეულად ვცხოვრობ“.

ა. ვინ იყო არისტოტელე და რა როლი ითამაშა მან მაკედონელის პიროვნების სრულყოფაში?
ბ. როგორ აფასებდა ალექსანდრე მაკედონელი არისტოტელეს?
გ. საიდან ჩანს, რომ ფილიპე განსაკუთრებულ პატივს სცემდა არისტოტელეს?
დ. როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მასწავლებელსა და მოსწავლეს?

**6. დაახასიათე ალექსანდრე მაკედონელი მოცემული ეპიზოდის მიხედვით.**



## გვ. 55

### <u>მოსწავლის წიგნი</u>

4. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას დიოგენეს შესახებ და კითხულობენ მისი და მაკედონელის შეხვედრის ეპიზოდს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტში გამოტოვებული რეპლიკების თაობაზე. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს მოსასმენ ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 70 № 3: სრულდება ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალება.

### <u>მოსწავლის წიგნი</u>

5. მოსწავლეები ეცნობიან მორიგ ტექსტს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ და პასუხობენ შესაბამის შეკითხვებს (ა-დ).
6. მოსწავლეები ახასიათებენ მხედართმთავარს მოცემული ეპიზოდის მიხედვით.

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 71 № 5: მოსწავლეები ასრულებენ მოსასმენ აქტივობას. ჩ

გვ. 70 № 4: სრულდება მოსმენილის გაგებაზე ორიენტირებული დავალება.

გვ. 72 № 1: მოსწავლეები ავსებენ ცხრილს მოსმენილ და წაკითხულ ტექსტებზე დაყრდნობით.

გვ. 73 № 2, 3: სრულდება სამეტყველო აქტივობები.

გვ. 56

**მოსწავლის წიგნი**

რთული წინადადება

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა—ზ/ა—ნ პუნქტები.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა—ვ პუნქტები.
3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა—დ პუნქტები.

თემა 1

### რთული წინადადება

რთული წინადადება ორი ან მეტი წინადადებისაგან შედგება და აზრობრივად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. მიიღება ორი გზით: **თანწყობით** და **ქვეწყობით**.

თანწყობა

| | |
|---|---|
| რაობა | გულისხმობს ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორი წინადადებების შეერთება-დაკავშირებას. |
| აზრობრივი მიმართება | თანწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილები (ქვეწინადადებები) გამოხატავენ მოქმედებათა **ერთდროულობას, თანამიმდევრობას, დაპირისპირებას.** |
| შეერთების საშუალებები | **კავშირიანი** – გამოიყენება მაერთებელი კავშირები. იმის მიხედვით, როგორია ქვეწინადადებებ შორის აზრობრივი მიმართება, ვარჩევთ შესაბამის კავშირს.<br><br>**უკავშირო** – წერის დროს გამოიყენება მძიმე, მეტყველების დროს – პაუზა, ინტონაცია. |

აზრობრივი მიმართება

| | |
|---|---|
| **ერთდროულობა** | 1. ყველა ქვეწინადადებაში მოქმედება ხდება ერთდროულად.<br>მაგ.: *ლია წიგნს კითხულობს და რეზო ტელევიზორს უყურებს.*<br><br>2. ქვეწინადადებათა ადგილის შეცვლა შესაძლებელია.<br>მაგ.: *რეზო ტელევიზორს უყურებს და ლია წიგს კითხულობს.* |
| **თანამიმდევრობა** | მეორე ქვეწინადადებით გამოხატული მოქმედება არის შედეგი პირველისა.<br>მაგ., *ბიჭმა კარი გააღო და ოთახში შევიდა; ზაფხული მოვა და ზღვაზე წავალთ...* |
| **დაპირისპირება** | ქვეწინადადებები ერთმანეთს აზრობრივად უპირისპირდებიან.<br>მაგ.: *ტელევიზორის ყურება მინდა, მაგრამ დრო არ მაქვს; რეზო დარჩება აქ, შენ კი უნდა წახვიდე...* |

**1. გამოიყენე მოცემული ინფორმაცია და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა არის რთული წინადადება და რისგან შედგება ის?
ბ. რით განსხვავდება მარტივი და რთული წინადადებები ერთმანეთისაგან? დაასახელე თითო წინადადება.
გ. დაუბრუნდი რთული წინადადების სტრუქტურას. როგორ გესმის ფრაზა: *რთული წინადადება შედგება ორი ან მეტი წინადადებისაგან?* დაასაბუთე პასუხი კონკრეტული მაგალითებით.
დ. რას გულისხმობს თანწყობა რთულ წინადადებაში?
ე. რა ურთიერთობა აქვს თანწყობილი წინა-დადებების ქვეწინადადებებს?
ვ. როგორ უკავშირდებიან ეს ქვეწინადადებები ერთმანეთს?
ზ. რა შემთხვევებში იხმარება რთულ თანწყობილ წინადადებაში მძიმე?

**2. წაიკითხე მოცემული წინადადებები და შეასრულე მითითებები.**

I. დაასახელე:

- *რა აზრობრივი მიმართება არსებობს ქვეწინადადებებს შორის?*
- *როგორ უკავშირდებიან ქვეწინადადებები ერთმანეთს?*
- *რა არის კონკრეტული კავშირის ფუნქცია?*

II. მიუთითე, სად აკლია მძიმე.

ა. კარგია სოფელში დასვენება მაგრამ მე მაინც ზღვაზე მირჩევნია.
ბ. გიორგი გვიანობამდე დარჩა იქ სანდრო კი ადრე წავიდა სახლში.
გ. ალექსანდრემაც სცადა ბედი და ცხენი მოათვინიერა.
დ. ვერავინ შეძლო ბუცეფალის მოთვინიერება ალექსანდრემ კი ეს მოახერხა.
ე. ალექსანდრე თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა მასწავლებელს არისტოტელე კი საინტერესო დარიგებებს აძლევდა მას.
ვ. დიოგენეს პასუხმა სარდლები აღაშფოთა თუმცა ალექსანდრემ ისინი დააშოშმინა და თავისთვის ჩაილაპარაკა.

**3. შეადარე თანწყობა და ქვეწყობა ერთმანეთს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა განსხვავებაა თანწობასა და ქვეწყობას შორის?
ბ. როგორია ქვეწინადადებების დაკავშირების ხერხი ცალკეულ შემთხვევაში?

56 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

თემა 1

გ. გარდა მაქვემდებარებელი კავშირებისა, შეერთების კიდევ რა საშუალებები არსებობს ქვეწყობაში?

დ. თანწობისაგან განსხვავებით, რა აზრობრივი მიმართებაა ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ ქვეწინადადებებს შორის?

**4. გამოიყენე მარჯვნივ მოცემული ინფორმაცია, წაიკითხე წინადადებები და შეასრულე მითითებები:**

- *დაასახელე მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.*
- *მიუთითე დამოკიდებულის ადგილი წინადადებაში.*
- *დაასახელე, შეერთების რა საშუალებებია გამოყენებული.*
- *მიუთითე კავშირის ფუნქცია კონკრეტულ შემთხვევაში.*

ა. ფილიპემ მასწავლებლად მიიწვია არისტოტელე, რომელიც იმ დროს ყველაზე განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა.

ბ. დიოგენე მზეს ეფიცხებოდა, როდესაცთავზე ალექსანდრე წამოადგა.

გ. მმართველს ამის უფლება აქვს, ვინაიდან მას ხალხის ბედი აბარია.

დ. როცა ალექსანდრე ქალაქ სუზაში შევიდა, თავისი მეომრები სპარსელ ქალებზე დააქორწინა.

ე. მაკედონელი, როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი, ისე შევიდა ისტორიაში.

ვ. ვინაიდან საქმე რთული აღმოჩნდა, მისი გამოძიება მე მომანდეს.

ზ. მკითხველები, რომლებიც აღაშფოთა შერლოკ ჰოლმსის დაღუპვამ, ავტორისაგან გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვდნენ.

ქვეწყობა

| | |
|---|---|
| რაობა | გულისხმობს ერთმანეთის მიმართ გრამა-ტიკულად არათანასწორი წინადადებების დაკავშირებას. |
| აზრობრივი მიმართება | ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი ნაწილები (ქვეწინადადებები) სხვადასხვა უფლებით სარგებლობენ: ერთი მთავარია, აზრობრივად დამოუკიდებელი, სხვა მას-ზე დამოკიდებულია და ცალკე აღებული დასრულებულ აზრს ვერ გამოხატავს. |
| შეერთების საშუალებები | **მაქვემდებარებელი კავშირები** – *რომ, ვინაიდან, თუ, რადგან, რათა, თუმცა, სანამ...*<br>**წევრ-კავშირები:**<br>**ა.** მიმართებითი ნაცვალსახელები – *ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...*<br>**ბ.** მიმართებითი ზმნიზედები – *სადაც, საიდანაც, როდესაც, როგორც...*<br>**უკავშიროდ.** |

**ქვეწყობა**

**მთავარი** — დამოკიდებული

| | |
|---|---|
| აქ არის ძირითადი ინფორმაცია | აქ არის საჭირო ცნობა (განმარტება) ძირითადი ინფორმაციის შესახებ |

მაგალითად:

ა. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.
**რა მოხდა?** → ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.

ბ. ის მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა.
**რას მიხვდა?** → იმას, რომ ცუდად მოიქცა.

დამოკიდებული წინადადების ადგილი:

**1. წინ**

*რომ უნდა გაჩერებულიყო*, ვერ გაიგო ბიჭმა.

**2. უკან**

ბიჭმა ვერ გაიგო, *რომ უნდა გაჩერებულიყო*.

**3. შუაში**

ბიჭმა, *რომ უნდა გაჩერებულიყო*, ვერ გაიგო.

**ზოგჯერ დამოკიდებული წინადადებისათვის ადგილის შე-ცვლა შეუძლებელია. ამას განაპირობებს:**

| | |
|---|---|
| **სინტაქსური ფუნქცია** | თუ უკავშიროდ შეერთებული დამოკიდებუ-ლი წინადადება დროზე მიუთითებს, ის თავშია, თუ მიზეზზე – ბოლოში. |
| **მთავართან შეერთების საშუალება** | ყოველთვის მთავარი წინადადების უკანაა: იმიტომ რომ, ასე რომ, ისე რომ. |

ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას! 57

გვ. 57

**მოსწავლის წიგნი**

ქვეწყობა

4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა—ზ პუნქტები

გვ. 58

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას ტერმიტების შესახებ და აცნობენ მას თანაკლასელებს.
2. ვერსიების გადასამოწმებლად სრულდება მოსასმენი აქტივობა.
3. მოსწავლეები მსჯელობენ ილუსტრაციაზე გამოსახული ობიექტის შესახებ.
4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ წინა დავალებაში დასმულ შეკითხვებს.
5. ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-დ).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 73 № 4 — გვ. 74 № 1: სრულდება კონტექსტთან დაკავშირებული დავალებების სერია.



ტერმიტების იმპერია

1. **რა არის „ტერმიტი“ და რა იცი მასზე. მოიფიქრე პასუხები მეწყვილესთან ერთად და გააცანი კლასელებს. მიუთითე, საიდან გაქვს ეს ინფორმაცია.**

   რისი სახეობაა ტერმიტები? რას უწოდებენ მათ სხვაგვარად? სად ბინადრობენ ისინი? როგორია მათი სოციალური სტრუქტურა? როგორ ინაწილებენ ტერმიტები ფუნქციებს?

2. **მოისმინე ინფორმაცია მათ შესახებ და შეამოწმე შენი პასუხები.**
3. **დააკვირდი ფოტოს და ისაუბრე მის შესახებ – რა არის მასზე გამოსახული? რისგან არის ის აგებული? რა სიმაღლისაა? შენი აზრით, როგორია მისი შიდა არქიტექტურა? რა არის შიგნით განლაგებული? რის საშუალებით უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს?**
4. **გაეცანი მარჯვნივ მოცემულ ტექსტს და შეამოწმე შენი ვერსია. თავიდან უპასუხე წინა დავალებაში დასმულ შეკითხვებს.**
5. **დაასაბუთე მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.**

საიდან ჩანს, რომ:

ა. ტერმიტების საცხოვრებელი კომფორტული, დახვეწილი და ფუნქციურად გამართულია?
ბ. ტერმიტებიც განსხვავდებიან საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით?
გ. ტერმიტებს საკუთარი მეურნეობებიც აქვთ?
დ. ისინი განსაკუთრებულად იცავენ საკუთარ „იმპერიას“?



ცნობილია, რომ მთელ ფლორასა და ფაუნაში ტერმიტები ყველაზე უფრო დახვეწილ, ფუნქციურად გამართულ და კომფორტულ საცხოვრისებს იშენებენ. მათი ეს ინჟინრული ნიჭი დღემდე გამოცანად რჩება მკვლევართათვის. ყველაზე გამორჩეული მშენებლები კი ნიგერიული ტერმიტები არიან.

ბუდეებს კონუსის ფორმის გოდოლების სახე აქვს. ტერმიტები მათ მონელებული საკვებითა და მიწით აგებენ. მათი სიმაღლე, როგორც წესი, 8 მეტრამდე აღწევს. თავად ტერმიტის სიგრძე კი ნახევარი სმ-ია. ეს იგივეა, ადამიანმა 1,5 კმ-ზე მეტი სიმაღლის ცათამბჯენი რომ ააგოს (ბურჯ ხალიფა, მაგალითად, 830 მეტრია). გასაოცარია ბუდის შიდა არქიტექტურა თავისი ვენტილაციისა და გათბობა-გაგრილების სისტემებით, რომლებსაც სპეციალური არხებით ქმნიან. ამ სისტემების წყალობით, ტერმიტების „სასახლეში“ წლის ნებისმიერ დროს სასიამოვნო კლიმატია.

„სასახლის“ შიგნით ათასობით „ოთახი“, ოთახების დამაკავშირებელი „დერეფანი“, „დარბაზი“, „საწყობი“ და „საკუჭნაოა“. მთელი ბუდე ლაბირინთებითაა სავსე. აქვთ საბავშვო ოთახები (მატლებისათვის), ბაღები (სპეციალური სოკოს მოსაშენებლად, რომელსაც საკვებად იყენებენ), გზები, არხები და სანიტარული სისტემები. მოკლედ, მათ აქვთ ყველაფერი, რაც არსებობისათვის აუცილებელია. ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ყოველივე ამის ამშენებლი ტერმიტები ბრმები არიან.

მეცნიერებისათვის დიდი ხნის განმავლობაში გამოცანად რჩებოდა, როგორ ატყობინებდნენ ისინი ერთმანეთს საფრთხის შესახებ შორ მანძილზე. აღმოჩნდა, რომ შეამჩნევენ თუ არა „მცველი“ ტერმიტები საფრთხეს, არც მეტი და არც ნაკლები, საბუდრის შესასვლელს გამძაფრებით ურტყამენ თავს. დანარჩენებს ეს ხმაური ესმით და საომრად ემზადებიან.

მეცნიერებმა ასეთი ცდა ჩაატარეს: ბუდის შესასვლელში ხმის ჩამხშობი მასალა ამოფინეს. როცა მცველმა ტერმიტებმა საფრთხის მოახლოება იგრძნეს, განგაში ატეხეს, მაგრამ ბუდეში სიგნალი ვერ მიიღეს და მტერმაც ადვილად შეაღწია მათ სამფლობელოში.

**6.** **დააკვირდი ფოტოს და ისაუბრე ტერმიტების შესახებ: ვინ არიან ტერმიტების „სახელმწიფოს“ ბინადარნი და რა ჰქვიათ მათ? რით განსხვავდებიან ისინი გარეგნულად?**




**7.** **წაიკითხე მოცემული ინფორმაციები და დააკავშირე ფოტოსთან. დაასახელე, ტერმიტების საზოგადოების რომელი წევრი იგულისხმება.**

- **ა.** ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი მთავარი საქმიანობა კვერცხების დადებაა.
- **ბ.** ისინი სკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ დედოფალს.
- **გ.** მათ ევალებათ ბუდეების აშენება, შთამომომავლობის მოვლა და სუფთად შენახვა.
- **დ.** ასე უწოდებენ კვერცხებიდან ახალგამოჩეკილტერმიტებს.

**8.** **დაუბრუნდი ფოტოს. გამოიყენე პირველი ტექსტიც და ისაუბრე ტერმიტების საზოგადოების თითოეული წევრის როლსა და ფუნქციაზე.**

- **ა.** როგორ ინაწილებენ ფუნქციებს?
- **ბ.** კონკრეტულად ვის რა ევალება და რას აკეთებს?
- **გ.** რომელია ტერმიტების საზოგადოებაში წამყვანი წევრი?
- **დ.** შენი აზრით, აქვთ თუ არა ცალკეულ „სახელმწიფოებს“ ერთმანეთთან ურთიერთობები და რა სახის ურთიერთობებია ეს?

**9.** **წაიკითხე მოცემული ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხები. თავიდან უპასუხე წინა დავალებაში დასმულ შეკითხვებს. შეასრულე დავალებები რვეულში.**

ტერმიტების საზოგადოებაში მატრიარქატია გამეფებული. ჭიანჭველებისთვის ყველაზე ძვირფასი დედოფალია, რომელიც „კოშკის“ ცენტრში ბინადრობს. სხვებისგან განსხვავებით, ის ძალიან დიდი ზომისაა. უმოძრაოდ წევს და განუწყვეტლივ დებს კვერცხებს. მუშები მას კვებავენ, უვლიან და კვერცხები სპეციალურ განყოფილებაში – „ინკუბატორში“ გადააქვთ. შემდეგ კი, როგორც კი მატლები გამოიჩეკებიან, მათზე ზრუნვას იწყებენ.

ზოგიერთ სახეობაში კასტები უფრო რთულადაა განაწილებული. მაგალითად, ერთ კოლონიაში დედოფალთან ერთად შეიძლება იყვნენ მუშები, ძიძები, ჯარისკაცები და მზვერავები. მათთვის უცხო არ არის სხვისი შრომის გამოყენება. „მონების“ მოსაპოვებლად მეომარი ჭიანჭველები რაზმებად ეწყობიან, გამოდიან ბუდიდან და მეზობელი ბუდისაკენ მიემართებიან. იწყება სასტიკი ბრძოლა, რომელშიც უამრავი ჭიანჭველა იღუპება. გამარჯვებული ჭიანჭველები შეიჭრებიან მოწინააღმდეგის ბუდეში, იტაცებენ ჭუპრებს და თავის სამფლობელოში მიჰყავთ. ზოგ ჭუპრს ჭამენ, ზოგსაც ზრდიან და შემდეგ „მონებად“ იყენებენ.

მონა ჭიანჭველები პერიოდულად ამბოხსაც აწყობენ, რომელიც მუდამ კრახით მთავრდება. თუმცა, მათი მიზანია, რაც შეიძლება, მეტი ზარალი მიაყენონ მონათმფლობელებს, შეამცირონ მათი რიცხვი.

ზოგიერთ სახეობას საკუთარი ე.წ. „საქონელი“ ჰყავს – ბუგრების მსგავსი მცენარის ტილები. ისინი მცენარის წვენის გადამუშავების შედეგად ტკბილ სეკრეტს გამოყოფენ, რითაც ჭიანჭველებს კვებავენ. მათი თანამშრომლობა ისეა განვითარებული, რომ ჭიანჭველებს ეს მწერები ერთი მცენარიდან მეორეზე გადაჰყავთ, უვლიან, მალავენ წვიმის დროს და, რაც მთავარია, იცავენ მათ.



## გვ. 59

**მოსწავლის წიგნი**

6. ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები ახასიათებენ ტერმიტების კოლონიის წყობას.
7. ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა-დ).
8. ტექსტსა (გვ.58) და ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ დავალების შეკითხვებს (ა-დ).
9. ტექსის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები თავიდან პასუხობენ წინა დავალების შეკითხვებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 74 № 2, 3: სრულდება დავალებების სერია ტექსტზე დაყრდნობით.

## გვ. 60

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და ლექსიკურ ცნობარს. მოსწავლეები აკვირდებიან და ამოიცნობენ ილუსტრაციებზე გამოსახული პერსონაჟების ვინაობასა და ცალკეულ საკომუნიკაციო სიტუაციას.
2. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად: ამზადებენ პასუხებს ა-ვ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებზე.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 75 № 29: დავალება სრულდება მეწყვილესთან ერთად.

**მოსწავლის წიგნი**

მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას მოსწავლის რვეულში (გვ. 75 № 33) და ასრულებენ შესაბამის დავალებას.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 75 № 4: სრულდება საკომუნიკაციო ტიპის დავალება.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსმენილი ტექსტის მიხედვით (იხ. მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები), მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს და იშველიებენ არგუმენტებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 76 № 1, 2: სრულდება დავალებები კონტექსტზე დაყრდნობით.

თემა 2

### 2. ურთიერთობის ხელოვნება

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • კამათის ხელოვნება<br>• სოკრატეს მეთოდი<br>• დებატების საიდუმლო<br>• რას ვჭამთ? – გენმოდიფიცირებული პროდუქტები<br>• ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონის ტელედებატები | • დამოკიდებული წინადადებები და მათი ფუნქციები |



1. **დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ. ვინ არიან მათზე გამოსახული და რას აკეთებენ ისინი. დააკონკრეტე საკომუნიკაციო სიტუაციები (სად ხდება, ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის და, დაახლოებით, განსაზღვრე საუბრის/კამათის/დებატის თემა). გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.**

2. **მეწყვილესთან ერთად მოამზადე პასუხები მოცემულ შეკითხვებზე და გააცანი კლასელებს. დაასაბუთე თქვენი პოზიციები სათანადო არგუმენტებით.**
   ა. რატომ კამათობენ ადამიანები?
   ბ. რას ნიშნავს „უსარგებლო“ და „სარგებლის მომტანი“ კამათი?
   გ. როდის არის კამათი უსარგებლო და რა შემთხვევაში აქვს კამათს აზრი?
   დ. რა იწვევს საუბრის გადაზრდას უსარგებლო კამათში?
   ე. რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ საუბარი უსაგნო (უსარგებლო) კამათში არ გადაიზარდოს?
   ვ. გაიხსენე, რა არის „სოკრატეს მეთოდი“?

3. **გაეცანი რვეულში მოცემულ ინფორმაციას (გვ. ) და შეასრულე მითითებული დავალებები.**

4. **მოისმინე და დაასახელე, რის შესახებ კამათობენ ბიჭები? სარგებლის მომტანია მათი კამათი თუ უსარგებლო? დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით. შეასრულე დავალებები რვეულში.**

60 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

**5. დაუბრუნდი „სოკრატეს მეთოდს“. შენი აზრით, რა არის მისი საიდუმლო? გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და მიუთითე, რა მიაჩნდა სოკრატეს აუცილებელ პირობად „უსარგებლო“ კამათის თავიდან ასაცილებლად.**

- **ა.** დაასახელე, რა არის „სოკრატეს მეთოდის“ მიზანი?
- **ბ.** რა სტრატეგიებს იყენებდა სოკრატე მიზნის მისაღწევად?

სოკრატე კარგად ფლობდა ადამიანთა დარწმუნების ხელოვნებას და მათ არავითარ შემთხვევაში არ ეუბნებოდა: „არა, თქვენ მართალი არ ხართ!“ იგი ეთანხმებოდა მათ აზრს და ამის შემდეგ იყენებდა თავის მიერ შემუშავებულ შეკითხვების დასმის ტექნიკას, რომელსაც დღეს „სოკრატეს მეთოდს“ უწოდებენ.

სოკრატეს შეკითხვები გათვლილია იმაზე, რომ მოსაუბრისაგან დადებითი პასუხი მიიღოს. მოსაუბრე თავისივე პასუხებით მიდის იმ დასკვნამდე, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ თავადვე უარყოფდა.

სოკრატეს მეთოდის მიზანია, აიძულოს ადამიანი, შეაფასოს საკუთარი შეხედულებები და მათი საფუძვლიანობა.

**6. წაიკითხე მოცემული ისტორია და უპასუხე შეკითხვებს.**

ერთხელ სოკრატესთან ერთი კაცი მივიდა და უთხრა:

– გინდა, გითხრა, რა გავიგე შენი მეგობრის შესახებ?

– ერთი წუთით მოითმინე, – უთხრა მას სოკრატემ. – ვიდრე რამეს მეტყოდე, ერთი პატარა ტესტი მინდა ჩაგიტარო. ტესტს სამმაგი ფილტრაცია ჰქვია.

– სამმაგი ფილტრაცია?

– დიახ, დიახ, სამმაგი! – უპასუხა სოკრატემ. – თუ შენ ჩემი მეგობრის შესახებ რამე ინფორმაციის მოწოდება გსურს, ურიგო არ იქნებოდა, გაგვეფილტრა ის.

– გაგვეფილტრა? ეს როგორ? – გაუკვირდა კაცს.

– პირველ ფილტრს სიმართლე ჰქვია. დარწმუნებული ხარ, რომ ის, რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა? – ჰკითხა მას სოკრატემ.

– არა, ახლახან გავიგე და... – დაიბნა კაცი.

– კარგი. დავადგინეთ, რომ არ იცი, შენი სათქმელი სიმართლეა თუ – არა. ახლა შემდეგ ფილტრზე გადავიდეთ. მას ავკარგიანობის ფილტრი ჰქვია. ის, რაც ჩემი მეგობრის შესახებ უნდა მითხრა, კარგია? – ჰკითხა სოკრატემ.

– არა, პირიქით! – უპასუხა კაცმა.

– კარგი, – უთხრა სოკრატემ კაცს. – გამოდის, რომ ჩემს მეგობარზე ცუდის თქმას აპირებ, თანაც, სიმართლეში დარწმუნებული არ ხარ! თუმცა, კიდევ ერთი ფილტრი დაგვრჩა. თუ მას წარმატებით გაივლი, უფლებას მოგცემ, მითხრა ის, რისი თქმაც გსურდა. ბოლო ფილტრს ინფორმაციის სარგებლიანობის ფილტრი ჰქვია. მიგაჩნია, რომ ის, რის თქმასაც აპირებ, სასარგებლო ინფორმაციაა და მისი ცოდნა მე რამეს შემმატებს?

– არა, არა მგონია, ასე იყოს! – უპასუხა კაცმა სოკრატეს.

– კარგი! – დაასრულა სოკრატემ და ღიმილით მიუბრუნდა კაცს: – თუკი ის, რისი თქმაც გსურს, არც მართალია, არც კარგი და არც რაიმე სარგებლის მომტანი ჩემთვის, როგორ ფიქრობ, ღირს კი, რომ საერთოდ მითხრა?!

- **ა.** ვინ მივიდა სოკრატესთან და რისთვის?
- **ბ.** როგორი იყო სოკრატეს რეაქცია? რის გაკეთება გადაწყვიტა მან ინფორმაციის მოსმენამდე?
- **გ.** რას ნიშნავს „ფილტრაცია“? რისი გაფილტვრა სურდა სოკრატეს?
- **დ.** რა ჰქვია სოკრატეს „ფილტრებს“ და რას ამოწმებს ისინი?
- **ე.** როგორ, რა ფორმით ფილტრავს სოკრატე ინფორმაციას?
- **ვ.** რა აჩვენა სოკრატეს ტესტმა? როგორი ინფორმაციის მიწოდებას აპირებდა ის კაცი?
- **ზ.** როგორია სოკრატეს დასკვნა?
- **თ.** რას ფიქრობ მოცემულ შემთხვევასა და, ზოგადად, სოკრატეს მეთოდთან დაკავშირებით?



## გვ. 61

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები უბრუნდებიან ე.წ. “სოკრატეს მეთოდს”, კითხულობენ ტექსტს და და პასუხობენ ა-ბ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ შესაბამის შეკითხვებს (ა-თ).

მოსწავლის რვეული

გვ. 76 № 3, 4: სრულდება დავალებები კონტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 62

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი იშველიებს არისტოტელეს ციტატას და მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს.
2. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს (ა-ე).
3. შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ დებატების შესახებ.
4. შეკითხვებზე დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ საკითხზე.

თემა 2

### დებატების საიდუმლო

*„მთავარია სიმართლე და არა – დებატებში გამარჯვება!“*

არისტოტელე

1. **რა არის დებატები? ვინ, როდის და რატომ (ან რისთვის) აწყობს დებატებს? საჭიროა თუ არა დებატები? რა შემთხვევაში აქვს ან არ აქვს დებატებს აზრი?**

2. **წაიკითხე, რას ამბობს არისტოტელე და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე.**
   ა. იზიარებ თუ არა არისტოტელეს აზრს?
   ბ. რაში ეთანხმები ან არ ეთანხმები მას?
   გ. ფიქრობ თუ არა, რომ დებატებში გამარჯვება თავისთავად გულისხმობს სიმართლის გამარჯვებას?
   დ. შენი აზრით, ყოველთვის მართლები არიან თუ არა დებატებში გამარჯვებულები?
   ე. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ დებატებში გაიმარჯვო?

3. **ყოფილხარ თუ არა დებატების მონაწილე? გაიხსენე, ბოლოს როდის იყავი, სად, ვისთან ერთად და რა თემაზე? შეგიძლია, გადმოსცე, როგორ, რა წესებით წარიმართა დებატები? კმაყოფილი ხარ თუ არა და რატომ?**



4. **იცი თუ არა, საიდან იღებს დებატები სათავეს? შეიცვალა თუ არა დებატების მიმართ მიდგომა? არსებობდა თუ არა რაიმე წესი ან განსაკუთრებული მოთხოვნა დებატების ჩასატარებლად? სად და როდის შედგა პირველი ტელედებატები? წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და თავიდან უპასუხე შეკითხვებს.**

დებატები არის მოვლენა, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს, როცა ადამიანებს შორის პირველად წარმოიშვა უთანხმოება.

ფორმალურად კი, დებატები სათავეს ძველი საბერძნეთიდან იღებს, სადაც ის დემოკრატიის ინსტიტუტის ნაწილს წარმოადგენდა. ბერძენი პოლიტიკოსები დებატებს შეთავაზებულ კანონებზე მართავდნენ.

მოდებატეთა ნაწილი, რომელთაც სოფისტებს უწოდებდნენ, მიზნად ისახავდა არა სიმართლის დამტკიცებას, არამედ, უბრალოდ, დებატების მოგებას. შესაბამისად, მათთვის მთავარი აუდიტორიის დარწმუნება იყო.

სოფისტებს არ ეთანხმებოდა არისტოტელე. ის მიიჩნევდა, რომ კარგი არგუმენტი იყო ის, რომელიც სიმართლის დადგენას უწყობდა ხელს. მისთვის მთავარი სწორედ სიმართლე იყო და არა – დებატებში გამარჯვება.

ბერძნების კვალდაკვალ, დებატების გამართვა დაიწყეს რომაელებმაც.

შუა საუკუნეების ევროპაში დებატებს განსაკუთრებული როლი ეკავა ორატორული ხელოვნების განვითარებაში. სტუდენტები პრაქტიკას საკუთარი იდეების დაცვითა და საწინააღმდეგო შეხედულებების კრიტიკით გადიოდნენ.

მოდებატეთა საზოგადოებები, როგორც წესი, უნივერსიტეტებში იქმნებოდა.

ორატორთა უმრავლესობა საკუთარ გამოსვლას დებატების დაწყებამდე ამზადებდა და გამზადებულ ტექსტს აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს იყენებდა.

1920 წლის დასაწყისში ამერიკული უნივერსიტეტების დებატები ერთდროულად რამდენიმე უნივერსიტეტს შორის იმართებოდა. ამ დებატებში მსმენელებს თანდათან ჩაენაცვლნენ მოსამართლეები, თუმცა მათთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა დებატების მკაფიო კრიტერიუმები.

რაც შეეხება პირველ ტელედებატებს, ის აშშ-ში 1960 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონს შორის გაიმართა. ამ ტელედებატებმა, გარდა პოპულარობისა, დიდი როლი ითამაშა, ზოგადად, დებატების შემდგომ განვითარებასა და დახვეწაში.

62 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

**5. გაეცანი წარმატებული დებატებისათვის აუცილებელ პირობებს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

დებატების ეტაპები

მომზადება → ჩატარება → დასრულება → შეჯამება და შეფასება

1. მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეებთან განიხილეთ და დაამტკიცეთ დებატების წესები; ჩამოაყალიბეთ და წარმოადგინეთ თეზისი (დებულება); აირჩიეთ მოდერატორი (პირი, რომელიც წარმართავს დებატებს) და ჟიურის წევრები;
2. შეიმუშავეთ სტრატეგია, გამოკვეთეთ პოზიცია, მოიფიქრეთ და შესთავაზეთ მყარი არგუმენტები;

   არგუმენტირებისას დაიცავით შემდეგი პრინციპები:

   - **პირველ წინადადებაში** ჩამოაყალიბეთ აზრი, რომელიც უნდა დაამტკიცოთ (მაგ. საზოგადოების გარეშე სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია).
   - **მეორე წინადადებით** დაამტკიცეთ/გაამყარეთ პირველ წინადადებაში მოცემული აზრი (*ვინაიდან / იმიტომ, რომ / რადგან...*) (მაგ. ადამიანი ქმნის საზოგადოებას, საზოგადოება – ერს, ერი – სახელმწიფოს). შეგიძლიათ, ერთზე მეტი დამამტკიცებელი წინადადება დაასახელოთ.
   - **ბოლო წინადადებით** გამოიტანეთ დასკვნა (*მაშასადამე / როგორც ვხედავთ...*) (მაგ., თუ არ იქნება ადამიანი, არ იქნება არც ადამიანთა ერთობა, ანუ საზოგადოება და, მაშასადამე, არ იარსებებს არც სახელმწიფო).
3. ჟიურის წევრები გამოავლენენ გამარჯვებულს;
4. განიხილეთ დებატების ძირითადი მომენტები (მაგ. *დაირღვა თუ არა დებატების წესები, რომელმა მხარემ დაარღვია, კონკრეტულად რა დაირღვა...*) და, ზოგადად, ამ დებატების მნიშვნელობა.

ოქროს წესები

- გახსოვდეს, რომ პირველი შთაბეჭდილება ყველაზე მნიშვნელოვანია;
- მოერიდე მკვეთრ და გამაღიზიანებელ ფრაზებს, ტონს!
- არ დაკარგო კონტაქტი ოპონენტთან (როგორც ვერბალური – შესაბამისი ფრაზები: *გეთანხმებით, ვერ დაგეთანხმებით, როგორ ბრძანეთ...*, ისე არავერბალური – მიმიკა, ჟესტიკულაცია).
- მართე საკუთარი ემოცია; შეეცადე, გამოიყენო იუმორი!
- ისაუბრე ნელა და პაუზებით!
- გამოსვლამდე უპასუხე რამდენიმე კითხვას:
  1. **რა გინდა, რომ თქვა?** (რა არის ყველაზე მთავარი შენს სიტყვაში?)
  2. **რატომ გინდა ამის თქმა?** (რის დამტკიცებას ცდილობ?)
  3. **ვის უნდა უთხრა შენი სიტყვა?** (ვინ არის შენი მსმენელი?)
  4. **როდის გინდა ამის თქმა?** (შეარჩიე დრო და დაელოდე მშვიდად. არ დაასწრო მოვლენებს!)
  5. **სად გინდა ამის თქმა?** (ფართო / ვიწრო წრეში; ნაცნობ / უცნობ აუდიტორიასთან)
  6. **როგორ გინდა ამის თქმა?** (რა ფორმით, რის გამოყენებით?)



## გვ. 63

**მოსწავლის წიგნი**

5. მოსწავლეები ეცნობიან დებატების სქემას და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 77 № 5 — გვ. 78 № 3: სრულდება დავალებების სერია ზემოხსენებულ სქემაზე დაყრდნობით.

გვ. 79 № 4, 5, 6: მოსწავლეები წყვილებად ასრულებენ სამუშაოს თემაზე “დებატები”.

გვ. 64

**მოსწავლის წიგნი**

## დამოკიდებული წინადადებები

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ე პუნქტები.
2. სრულდება დავალება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით.
3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ვ პუნქტები.

თემა 1

### დამოკიდებული წინადადებები

ფუნქციები

I. დამოკიდებული წინადადება აკონკრეტებს, აზუსტებს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს.

| | |
|---|---|
| ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმევ (არ არის და იგულისხმება) ქვემდებარეს. *ვინ? რა? ვის? რას? რამ?* | *ვინც აქ არის, ყველა წამოვა. ყველაფერი ახდა, რაც ვთქვი. სირცხვილი ის არის, ასე რომ იქცევი. ის, რომელსაც ქუდი ახურავს, ჩემი ბიძაშვი-ლია...* |
| ნაცვალსახელით გამოხატულ ან ნაგულისხმევ დამატებას. *ვინ? რა? ვის? რას?* | *დღეს გავიგე ის, რაც მაინტერესებდა. ვერ გავარკვიე, რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა. რას ნიშნავდა იმის საუბარი, ვერ მივხვდი...* |
| ზმნიზედით გამოხატულ ან ნაგულისხმევ გარემო-ებას. *სად? საიდან? როდის? როგორ? რანაირად? რატომ? რის გამო? რისთვის? რა მიზნით?* | *ეზოში რომ დიდი ხე დგას, იქ დავსხდეთ. იქ, სადაც ახლა ეს სახლია, ადრე მინდორი იყო. ცხრა იყო, სახლში რომ მივედი. ვიდრე ამას დაწერ, მოვალ. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი...* |
| შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, რომელიც გამოხატულია ნაც-ვალსახელით. *როგორია? ვინ არის? რა არის? როგორი აქვს?..* | *ის აღარ ვარ, რაც ადრე ვიყავი. სამსახურიც ისეთი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს. ისეთი დრო იყო, ვერაფერს გააკეთებდი...* |

II. დამოკიდებული წინადადება რაიმე ნიშნით ახასიათებს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს.

| | |
|---|---|
| არსებითი სახელით (და სახელზმნით) გამოხატულ რომელიმე წევრს. *რომელი? როგორი? რანა-ირი? რამდენი?..* | *ბიჭები, რომლებიც მოვიდნენ, ჩემი მეგობრები არიან. ჩემს ოთახს აივანი ჰქონდა, რომელიც პატარა იყო. ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის ხმას გაიგონებდი ...* |

III. დამოკიდებული წინადადება გამოხატავს კონკრეტულ შინაარსს.

| | |
|---|---|
| დათმობითი | აქ გადმოცემული ამბავი, მოვლენა უპირისპირდება მთავარში წარმოდ-გენილ ამბავსა თუ მოვლენას. *მიუხედავად იმისა, რომ ქარი ქროდა, მაინც საშინლად ცხელოდა. ყველამ რომ უარი თქვას, მე მაინც წავალ...* |
| პირობითი *რა პირობებში? რა შემთხვევაში?* | გვიჩვენებს, თუ რა პირობაა საჭირო იმისათვის, რომ შესრულდეს ან არ შესრულდეს მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედება. *თუ კარგად მოიქცევა, წავიყვან. ვერ წავალთ, თუ მთელი ღამე ასე იწვიმა...* |
| შედეგობითი | გვიჩვენებს, მთავარში გამოხატული მოქმედების შედეგს. *ყველაფერს კარგად გადააფარეს, ასე რომ აღარაფერი ჩანდა. ცუდად იქცეოდა, რის გამოც დაისაჯა...* |

1. **გამოიყენე მოცემული ინფორმაცია და უპასუხე შეკითხვებს.**
   ა. რა ფუნქცია აქვს დამოკიდებულ წინადადებას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში?
   ბ. რა მიმართება არსებობს დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარი წინადადების იმ წევრს შორის, რომელსაც ის აზუსტებს ან ახასიათებს?
   გ. რომელი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არ არის მსგავსი მიმართება?
   დ. რა არის ამ ტიპის დამოკიდებული წინადადების ფუნქცია?
   ე. რომელ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში უპირისპირდებიან ერთმანეთს მთავარი და დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთს?
2. **დაუბრუნდი სვეტში მოცემულ წინადადებეს და შეასრულე მითითებები.**
   - *დაასახელე მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.*
   - *მიუთითე დამოკიდებული წინადადების ადგილი.*
   - *დაასახელე, შეერთების რა საშუალებებია გამოყენებული და მიუთითე ისინი.*
   - *დააკონკრეტე კონკრეტული კავშირის ფუნქცია.*
   - *დაასახელე მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც მიემართება დამოკიდებული წინადადება.*
3. **წინადადებებში გამოტოვებულია კავშირები. აღადგინე ისინი კონტექსტის მიხედვით. შრულად გადაწერე წინადადებები რვეულში და წაიკითხე.**
   ა. ცხოველებმა აღმოაჩინეს, --?-- რძე სადღაც ქრებოდა.
   ბ. საუზმეს მოსდევდა ცერემონიალი, --?-- ჩატარებაც წესად ჰქონდათ.
   გ. ის ღიად ეწინააღმდეგებოდა არა მარტო დემოკრატიას, --?-- მმართველობის ნებისმიერ ფორმას, --?-- არ შეესაბამებოდა მისეულ იდეალს.
   დ. ის ყველგან არის, --?-- ამის საჭიროება არსებობს.
   ე. მას ხშირად არ ესმის, --?-- როგორ ხსნის ჰოლმსი დანაშაულს.
   ვ. --?-- თქვენს ჩემოდანს საბარგულში ვდებდი, ზედ ცარცით მიწერილი თქვენი გვარი ამოვიკითხე.

64 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!





**4. გაეცანი პირველ ინფორმაციას და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. სად არის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:
*მისათითებელი სიტყვა?*
*მაქვემდებარებელი კავშირი?*
*წევრ-კავშირი?*

ბ. ყოველთვის ახლავს თუ არა მისათითებელ სიტყვას შესაბამისი კავშირი?

გ. რაზე მიუთითებენ მოცემული წინადადებების დამოკიდებული ქვეწინადადებები?

**5. წაიკითხე და დაასახელე სწორი ვარიანტი. დააკავშირე შესაბამის წინადადებასთან.**

გამოხატავს მსგავსება-შედარებას; გვიჩვენებს როგორობას, ზომა-ოდენობასა და ჯერობას იმისას, რაზედაც საუბარია მთავარ წინადადებაში.

**6. გაეცანი სვეტში მოცემულ ინფორმაციას სრულად და შეასრულე მითითებები.**

ა. უპასუხე შეკითხვებს.
- *რას გამოხატავს შედეგობითი, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებები?*
- *რა მსგავსება და განსხვავებაა*
- *მიზეზის გარემოებით და შედეგობით დამოიდებულ წინადადებებს შორის?*
- *რა მსგავსება და განსხვავებაა პირობით და დათმობით დამოკიდებულ წინადადებებს შორის?*

**7. ჩასვი სათანადო კავშირები კონტექსტის მიხედვით და მიუთითე, რას გამოხატავს მოცემული დამოკიდებული წინადადება?**

ზაფხულის ღამეში ნამი მხოლოდ --?--ჩნდება, --?-- დღისით ძლიერ თბილა და ღამით --?-- მეტად გრილა.

დაიმახსოვრე!

**ა.** თუ მთავარში არის მისათითებელი სიტყვა, როგორც წესი, დამოკიდებულშიც უნდა იყოს შესაბამისი მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი.

შენიშვნა: იშვიათად, მაგრამ შესაძლებელია, დამოკიდებ-ულში ასეთი სიტყვა არ იყოს (საუბარია, „რომ" კავშირზე):

- *ისე სწრაფად გავიქეცი, (~~რომ~~) ვერავინ დამეწია.*
- *ისეთი კონცერტი იყო, (~~რომ~~) ყველა აღფრთოვანებული დარჩა..*

**ბ.** შედეგობითი დამოკიდებული წინადადების მთავართან ურთიერთობა, დაახლოებით, ისეთივეა, როგორიც მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულის შემთხვევაში.

განსხვავება:

1. მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მიზეზი ჩანს დამოკიდებულში, მთავარში დასახელებულია შედეგი.

შედეგი მიზეზი
- *იმიტომ დაისაჯა, რომ ცუდად მოიქცა.*

*მთავარი დამოკიდებული*

2. შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში პირიქითაა: დამოკიდებული გადმოგვცემს შედეგს, მთავარში დასახელებულია მიზეზი.

მიზეზი შედეგი
- *ცუდად მოიქცა, ასე რომ დაისაჯა კიდეც.*

*მთავარი დამოკიდებული*

**გ.** პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ასეთი ურთიერ-თობაა: პირობა დასახელებულია დამოკიდებულში, შედეგი – მთავარში.

- *თუ კარგად მოისმენ, (მაშინ) ყველაფერს გაიგებ*

*რა შემთხვევაში მიიღებ შედეგს? – თუ კარგად მოისმენ.*

**დ.** დათმობითი დამოკიდებული წინადადება ზოგი ნიშნით ემსგავსება პირობით დამოკიდებულ წინადადებას: ორივე დამოკიდებული გამოხატავს პირობას.

განსხვავებულია მთავარი წინადადების მიმართება ამ პირობისადმი:

1. დათმობითობის შემთხვევაში, მთავარში გადმოცემული ამბავი საპირისპიროა დამოკიდებულში არსებული პირობისა.

- *თუნდაც გაწვიმდეს, მაინც წავალ.*

*რას ვიზამ თუ გაწვიმდება? – მაინც წავალ.*

2. პირობითობის შემთხვევაში კი, მთავარში გადმოცე-მული მოქმედება შეესაბამება პირობას.

- *თუ გაწვიმდება, ვერ წავალ.*

*რა შემთხვევაში ვერ წავალ? – თუ გაწვიმდება.*



გვ. 65

**მოსწავლის წიგნი**

4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-გ პუნქტები.
5. დავალება სრულდება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით.
6. დავალება სრულდება გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით.

## გვ. 66

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად: მასწავლებლის დახმარებით, თავს უყრიან ინფორმაციას ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატების, შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტების, ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონის შესახებ, პასუხობენ დასმულ შეკითხვას და პასუხს ასაბუთებენ არგუმენტებით.
2. ვერსიების გადასამოწმებლად მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს ზემოხსენებული დებატების შესახებ და პასუხობენ შესაბამის შეკითხვებს (ა-ვ).
3. ტექსტის ხელახალი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ ა-ბ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს და იშველიებენ არგუმენტებს.

თემა 2

### ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონის ტელედებატები

1. **მე-20 საუკუნის II ნახევარში პრეზიდენტობის კანდიდატებს – ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონს – შორის გამართული დებატები დღემდე ითვლება ყველაზე საინტერესო და ისტორიული მნიშვნელობის მქონე დებატებად.**
   **როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა ამ დებატების განსაკუთრებულობა? მოიფიქრე პასუხი მეწყვილესთან ერთად და დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**




2. **წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეადარე შენს ვერსიას. უპასუხე ინფორმაციის ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.**

1960 წლის 26 სექტემბერს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის პირველი სატელევიზიო დებატები გაიმართა. 70-მილიონიანი ტელეაუდიტორიის წინაშე ერთმანეთის პირისპირ ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და სენატორი ჯონ კენედი წარდგნენ. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა მხოლოდ 179 მილიონი იყო.

დებატების შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვებმა აზრი ორად გაყო. სრულიად განსხვავებული იყო რადიომსმენელების პოზიცია იმათგან, ვინც ამ დებატებს ტელევიზიის საშუალებით ადევნებდა თვალყურს.

ისინი, ვინც რადიოთი უსმენდა პრეზიდენტობის კანდიდატების პაექრობას, უპირობო გამარჯვებას ნიქსონს ანიჭებდნენ. ტელემაყურებლებმა კი გამარჯვება კენედის მიაკუთვნეს.

საბოლოოდ, ტელედებატებში გამარჯვებამ კენედის არჩევნებში გამარჯვება მოუტანა. თავად დებატებმა კი ყველას დაანახა, რომ არჩევნებში წარმატების მიღწევა მხოლოდ გამომსვლელთა სიტყვების შინაარსზე როდი იყო დამოკიდებული.

ა. სად და როდის გაიმართა დებატები?
ბ. რამდენად დიდი ინტერესი გამოიწვია ამ დებატებმა ამომრჩეველთა შორის და რატომ?
გ. ვის შორის გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა გამართულმა დებატებმა?
დ. რით დამთავრდა დებატები? ვისი ფავორიტი გახდა ნიქსონი და ვისი – კენედი?
ე. საბოლოოდ, ვინ გაიმარჯვა არჩევნებში და როგორ ფიქრობ, რატომ?
ვ. რა აჩვენა თავად დებატებმა?

3. **დაუბრუნდი ტექსტს და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე.**

ა. როგორ ფიქრობ, რამ მოხიბლა, ერთ შემთხვევაში, რადიომსმენელი და მეორე შემთხვევაში, ტელემაყურებელი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.
ბ. შენი აზრით, რამ განსაზღვრა, საბოლოოდ, არჩევნებში გამარჯვება?

66 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

**4. მოძებნე პასუხები წერილში და დაასახელე.**

ა. ვინ უზრუნველყო ტელედებატების ჩვენება?
ბ. ვინ არის დონ ჰევიტი და რა კავშირი ჰქონდა მას ამ დებატებთან?
გ. საიდან ჩანს, რომ ნიქსონი სერიოზულად არ აღიქვამდა დებატებს?
დ. რის გამო იყო ნიქსონი დაღლილი?
ე. რამ წააგებინა დებატებში ნიქსონს, დონ ჰევიტის აზრით?
ვ. რაში არ ეპარებოდათ ეჭვი რადიომსმენელებს?

**5. დაადასტურე ან უარყავი მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთე წერილის მიხედვით.**

ა. კენედი საგანგებოდ მოემზადა ტელედებატებისათვის.
ბ. წერილის ავტორი ტელემაყურებელთა ინფორმაციას ეყრდნობა.
გ. ტელემაყურებელზე გავლენა კანდიდატთა ვიზუალურმა მხარემ მოახდინა.
დ. მკვლევარებსა და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ნიქსონს მყარი არგუმენტები არ ჰქონდა.
ე. ნიქსონს, როგორც წესი, დატვირთული დღის განრიგი ჰქონდა.

**6. კიდევ ერთხელ წაიკითხე წერილი და თავიდან უპასუხე მესამე დავალებაში დასმულ შეკითხვებს.**

**7. წაიკითხე და დაასახელე, ვინ იგულისხმება ხაზგასმულ ნაცვალსახელებში?**

**მისი** არგუმენტაცია უფრო დამაჯერებელი იყო, ამიტომაც დაიმსახურა **მან მათი** უმრავლესობის მოწონება, მაგრამ **ის** უფრო კარგად გამოიყურებოდა, კარგად ეჭირა თავი და ამიტომაც **მათ** ხარჯზე **მან** დებატები მოიგო.

„დებატები ტელეკომპანია სიბიესის ეთერში შედგა. მოგვიანებით სიბიესის ნიუსის მთავარი პროდიუსერი ,დონ ჰევიტი, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში იხსენებდა ამ დებატების დეტალებს:

„მე ვფიქრობ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა, იყო ის, რომ კენედიმ ეს ყველაფერი სერიოზულად აღიქვა. კენედიმ იცოდა, რომ ტელევიზია მნიშვნელოვანი რამ იყო. იმ შუადღისას მან კარგად დაისვენა, ნიქსონმა კი, პირიქით, ჩვეულ რეჟიმში პროფკავშირებთან შეხვედრა გამართა ჩიკაგოში. ის დაღლილი იყო, იყო ავად, ინფექცია ჰქონდა, ეს დებატები კი, უბრალოდ, კამპანიის ნაწილად მიაჩნდა. ამიტომ გადმოხტა მანქანიდან და სტუდიაში შევარდა. ტკივილი აწუხებდა, სახე მომწვანო-მოყვითალო, გაუპარსავი ჰქონდა“.

ნიქსონმა გრიმის გაკეთებაზეც უარი თქვა. „ნიქსონი საშინლად გამოიყურებოდა. მათ, ვინც ტელედებატებს უყურა, იფიქრეს, რომ ნიქსონმა წააგო“.

სიბიესის მთავარი პროდიუსერის აზრით, მაყურებელზე გავლენა ამ თემებზე კანდიდატთა პასუხების შინაარსს არ გაუპირობებია: „ყველაზე დიდი გავლენა, მე ვფიქრობ, გრიმმა იქონია. გრიმმა, საერთოდ, იმ არჩევნებში გადამწყვეტი როლი შეასრულა“.

იგივე საპრეზიდენტო დებატები გადაიცემოდა ასევე რადიოსიხშირეებითაც. იგივე ხმა, ბუნებრივია, იგივე ტემბრი, იგივე თემები და იგივე კანდიდატები, ოღონდ – გამოსახულების გარეშე, უბრალოდ, ხმა. მკვლევარებმა, რომლებიც ამ თემაზე მოგვიანებით მუშაობდნენ, დაასკვნეს, რომ მათ, ვინც ამ დებატებს რადიოთი უსმინა, ტელევიზიისაგან განსხვავებული შთაბეჭდილება დარჩათ. „მათ, ვინც ნიქსონკენედის დებატებს რადიოთი უსმენდა, უმრავლეს შემთხვევაში, ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ დებატებში ნიქსონს გაცილებით დიდი უპირატესობა ჰქონდა კენედისთან შედარებით“, – მარშალი მაკლუჰენი, კომუნიკაციების კანადელი თეორეტიკოსი“.

**დავით ჩაგანავა**
*ნაწყვეტი წერილიდან „რეალობის ფილტრაცია“,*
*რადიო თავისუფლება,*
2010, 10.09





გვ. 67

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები ეცნობიან ნაწყვეტს დ. ჩაგანავას წერილიდან “რეალობის ფილტრაცია” და პასუხობენ შესაბამის შეკითხვებს (ა-ვ).
5. წერილის ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასრულებენ წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებას — პასუხობენ ა-ე პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
6. ტექსტის დეტალური შესწავლის შემდეგ მოსწავლეები ხელახლა პასუხობენ ზემოთ მოყვანილ შეკითხვებს.
7. მოსწავლეები ასახელებენ ნაცვალსახელებში ნაგულისხმევ მხარეებს.

## გვ. 68

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან ენობრივ და თემატურ ცნობარს. ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები ასახელებენ პერსონაჟების ვინაობას და უთითებენ მათ ემოციებს.
2. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად და პასუხობენ შეკითხვებს თემაზე "ლიდერი".
3. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას BBC-ს (ბრიტანეთის ტელე და რადიო სამაუწყებლო კორპორაცია), ბენიტო მუსოლინის (იტალიის მთავრობის მეთაური მეორე მსოფლიო ომის დროს) და ენრიკო კარუზოს (ცნობილი იტალიელი საოპერო მომღერალი) შესახებ, კითხულობენ ჩარჩოში მოყვანილ ტექსტს და პასუხობენ ა-დ პუნქტებში წარმოდგენილ შეკითხვებს.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 80 № 1, 2: სრულდება მოსმენილის გაგების შესამოწმებელი სავარჯიშოები.

გვ. 80 № 3 , 4: მოსწავლეები ეცნობიან ნაცისტური გერმანიის ლიდერის, ადოლფ ჰიტლერის სიტყვებს და ასრულებენ შესაბამის დავალებას.

თემა 2

### 3. ჩვენ ვირჩევთ, ისინი მართავენ!

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • რატომ და რისთვის ირჩევს საზოგადოება ლიდერს?<br>• მგელი – „სოციალური" ცხოველი<br>• სახელმწიფოს მართვა და მმართველობის ფორმები<br>• ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა" | |

1. **დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ. ვინ არიან და რას აკეთებენ ამ ფოტოებზე გამოსახული ადამიანები? მიუთითე მათი ემოციები.**
2. **მეწყვილესთან ერთად მოამზადე პასუხები მოცემულ შეკითხვებზე და გააცანი კლასელებს. დაასაბუთე თქვენი პოზიციები სათანადო არგუმენტებით.**
   ა. რას ნიშნავს სიტყვა „ლიდერი"?
   ბ. რა არის საჭირო იმისათვის, რომ გახდე ლიდერი? ჩამოთვალე ლიდერის მთავარი თვისებები.
   გ. როდის და რატომ კარგავს ის ძალაუფლებას?
   დ. რატომ და რისთვის ირჩევს საზოგადოება ლიდერს? რას ელის საზოგადოება მათგან?
   ე. ეთანხმები თუ არა შეხედულებას: „ლიდერი ვერ გახდები, ლიდერად უნდა დაიბადო!"
3. **გაეცანი მოცემულ ინფორმაციას და შეასრულე მითითებები.**

BBC დოკუმენტურ ფილმში „მეორე მსოფლიო ომი" აღნიშნავს: „ხალხი მუსოლინის ისე უსმენდა მოედანზე, როგორც კარუზოს, ტკბებოდა მისი „ტენორით". უფრო ყურადღებით რომ მოესმინათ, რასაც ის ამბობდა, ...?...

   ა. ვინ არიან მუსოლინი და კარუზო?
   ბ. რა ნიშნით ადარებს BBC მუსოლინის და კარუზოს?
   გ. ლიდერის რა თვისებები ჩანს მუსოლინის პიროვნებაში ამ ეპიზოდის მიხედვით?
   დ. დაასრულე ფრაზა. შენი აზრით, რა მოხდებოდა, ხალხს უფრო ყურადღებით რომ მოესმინა მისთვის?



68 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

**4.** 🎧 **მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. შეასრულე დავალებები რვეულში.**

**5. რა იცი მგლების შესახებ? გაიხსენე (ან მოიძიე) ინფორმაცია მათ შესახებ და ისაუბრე: როგორი ცხოველები არიან? როგორია მათი ცხოვრების წესი? რა კანონები მოქმედებს მგლების სამყაროში? და ა.შ.**



**6. წაიკითხე მოცემული ტექსტი და შეადარე შენ მიერ მოძიებულ ინფორმაციას. უპასუხე კითხვებს.**

ა. რა განსაზღვრავს ლიდერობას მგლების ხროვაში?
ბ. რა თვისებებით გამოირჩევა ლიდერი მგელი?
გ. შეუცვლელია თუ არა ლიდერი მგლების „საზოგადოებაში“?

მგელი „სოციალური“ ცხოველია და თავის ოჯახში ე.წ. „რანგების“ დამცველია. მგლების ხროვაში მგლური კანონი მოქმედებს და მისი დარღვევის უფლება არავის აქვს.

ხროვას, რომელიც, საშუალოდ, 6-8 წევრისაგან შედგება, ხვადი (ანუ, მამრი) მგელი უძღვება.

ლიდერობისათვის ბრძოლა ყოველთვის აქტუალურია მგლებს შორის, თუმცა ზოგჯერ იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან ხროვაში თითოეულმა მგელმა იცის თავისი ადგილი. მგლების ხროვაში ხშირია ე.წ. „სოციალური რიტუალები“, რომელთა დროსაც მთავარმა მგელმა უნდა დაამტკიცოს თავისი უპირატესობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეცვლის ხროვის სხვა წევრი. ხშირ შემთხვევაში, „გადაყენებული“ მეთაურები თავს ანებებენ მშობლიურ ხროვას და სხვა ცხოვრებას იწყებენ.

ლიდერი ხროვაში ყველაზე ძლიერი უნდა იყოს. მას ყოველთვის ზევით აქვს კუდი აღმართული. ხვად ლიდერს ძალაუფლების შენარჩუნებაში ძუ ეხმარება.

*მგლური კანონის ზალადა*
*ბაბილონიდან,*
*რომიდან,*
*სულაც არ ვამბობ ტყუილს,*
*და კიდევ უფრო შორიდან*
*მგლური კანონი ყმუის.*

*მიწაზე,*
*წყალში, ჰაერში*
*მგლური კანონი მეფობს,*
*ომებისა და თარეშის*
*მწარე ვკითხულობთ ეპოსს.*

*თუ ტყეში მშიერ მგლივით*
*არ გაძუნძულდა შიში,*
*ირმებისა და შველ-ნუკრის*
*გადაშენდება ჯიში.*

*შოთა ნიშნიანიძე*

**7. წაიკითხე შოთა ნიშნიანიძის ლექსი და შეასრულე დავალებები რვეულში.**





**8. რას ნიშნავს „მგლური კანონები“ და მოქმედებს თუ არა „მგლური კანონები“ ადამიანთა საზოგადოებაში? დაასაბუთე შენი პოზიცია სათანადო არგუმენტებით.**



## გვ. 69

### მოსწავლის წიგნი

4. ვარაუდების გადასამოწმებლად მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).
5. მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას მგლების ცხოვრების წესისა და მათი სამყაროს შესახებ.
6. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს (ა-გ).
7. მოსწავლეები კითხულობენ შოთა ნიშნიანიძის ლექსს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### 📖 მოსწავლის რვეული

გვ. 81 № 5- გვ. 82 №23: დავალებები სრულდება ტექსტში მოცემული ინფორმაციის გასააზრებლად.

გვ. 82 № 3 - გვ. 83 № 7: სრულდება ლექსიკური სამუშაო.

### მოსწავლის წიგნი

8. მოსწავლეები მსჯელობენ თემაზე „მგლური კანონები“ და იშველიებენ არგუმენტებს.

გვ. 70

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები მსჯელობენ ტერმინებზე: „დემოკრატია“, „დიქტატურა“, „მონარქია“.
2. მოსწავლეები ეცნობიან ილუსტრაციებს და თითოეულ მათგანს უკავშირებენ ზემოხსენებულ ცნებებს.
3. მოსწავლეები ეცნობიან დავალების ა-გ პუნქტებს და უკავშირებენ მათ ცალკეულ ილუსტრაციას.
4. მოსწავლეები მსჯელობენ დავალებაში მოცემული ისტორიული პირების შესახებ ზემოხსენებულ ილუსტრაციებზე დაყრდნობით.
5. მოსწავლეები ეცნობიან დავალების ა-გ პუნქტებს და უკავშირებენ მათ № 4 დავალების ილუსტრაციებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 83 № 8: სრულდება კონტექსტთან დაკავშირებული დავალება.

გვ. 84 № 1- გვ. 85 № 4: მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს ძველი ბერძენი მხედართმთავრისა და ცნობილი ორატორის, პერიკლეს შესახებ და ასრულებენ წაკითხულის გაგების შესამოწმებელ დავალებებს.

გვ. 86 № 1: სრულდება პროექტის ტიპის სამუშაო (სასურველია აქტივობის ინტეგრაცია ისტორიის/სამოქალაქო აღზრდის დისციპლინასთან). პროექტი გრძელდება 2-3 გაკვეთილის განმავლობაში. მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას თამარ მეფის შესახებ (ბიოგრაფიული მონაცემები, ჩატარებული რეფორმები და სხვ.) და წარსდგებიან კლასის წინაშე ილუსტრირებული პრეზენტაციებით. აქტივობის წარმართვის დეტალები იხ. ქვეთავში „პროექტი“.

თემა 2

1. **რას ნიშნავს, შენი აზრით, „დემოკრატია“, „დიქტატურა“ და „მონარქია“? განსხვავდებიან თუ არა ისინი ერთმანეთისაგან? რა ნიშნები ახასიათებს თითოეულ მათგანს?**
2. **დააკვირდი მოცემულ ფოტოებს და ისაუბრე მათ შესახებ. აღწერე ისინი ცალ-ცალკე და შემდეგ შეადარე ერთმანეთს. დაასახელე, რომელი გამოხატავს დემოკრატიას, რომელი – დიქტატურას და რომელი – მონარქიას?**





3. **წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და დააკავშირე პირველ დავალებასთან. მიუთითე, მმართველობის რომელი ფორმაა.**
   ა. ძალაუფლება ერთი ადამიანის, მეფის ან დედოფლის, ხელშია. ის მემკვიდრეობით უფროს ვაჟზე გადადის. თავდაპირველად კი მას ხალხი ირჩევდა.
   ბ. ქვეყნის მმართველს კანონით შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს. ეს არის მართვა ხალხის თანხმობის გარეშე.
   გ. ძალაუფლება, უშუალოდ, ხალხს ან მის წარმომადგენლებს ეკუთვნით. მისი უმთავრესი მოთხოვნა არჩევითობა და მოკლევადიანობაა.
4. **დააკვირდი ფოტოებს და დააკავშირე მეორე დავალებაში მოცემულ ფოტოებთან. სახელმწიფო მმართველობის რომელ ფორმასთან ასოცირდებიან ისინი? რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს?**





5. **მოცემული ინფორმაციები დააკავშირე ფოტოებთან. დაასახელე, ვისზეა საუბარი. შეასრულე დავალებები რვეულში.**
   ა. სიკვდილის წინ უთქვამს, არცერთ ათენელს ჩემი მიზეზით თალხი არ ჩაუცვამსო. მისი სიკვდილის შემდეგ ათენის დიდება წარსულს ჩაბარდა.
   ბ. მან არა მარტო შეინარჩუნა ერთიანი საქართველო, არამედ თავისი მმართველობის პერიოდი ოქროს ხანად აქცია.
   გ. ის მსოფლიო ისტორიას ხედავდა, როგორც „ძლიერისა“ და „სუსტის“ ბრძოლას. იყო მეორე მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის მთავარი ინიციატორი.

70 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

თემა 2

ჯორჯ ორუელი „ცხოველების ფერმა“

**6. დააკვირდი სურათს და ისაუბრე მის შესახებ – რა არის მასზე გამოსახული? აღწერე საკომუნიკაციო სიტუაცია: სად ხდება მოქმედება, ვინ არიან და რას აკეთებენ ისინი?**



**7. წაიკითხე მოთხრობის დასაწყისი და დააკავშირე სურათთან.**

„ფერმა „მამულის“ მეპატრონემ, ბ-მა ჯოუნსმა, შებინდებისთანავე მიხურა საქათმის კარი, მაგრამ გვარიანად მთვრალი იყო და ჩარაზვა არ გახსენებია. ბარბაცით გადაჭრა ეზო. სახლის უკანა კართან ყელიანი ფეხსაცმელი მოისროლა, სამზარეულოში ერთი ჭიქა ლუდიც დაცალა და საძილე ოთახს მიაშურა, სადაც კარგა ხანია, ხვრინავდა ქ-ნი ჯოუნსი.

ჩაქრა თუ არა შუქი, ეზოში ერთი წრიალი და ჩოჩქოლი ატყდა. ჯერ კიდევ დღისით დაირხა ხმა – ბებერ ტახ მეიჯერს უცნაური სიზმარი ენახა და მისი გაზიარება სურდა სხვა ცხოველებისათვის. გადაწყდა, როგორც კი ბ-ნ ჯოუნსს დაძინებულს დაიგულებდნენ, ბეღელში მოეყარათ თავი. ბებერ მეიჯერს ყველა დიდ პატივს სცემდა და მზად იყვნენ, ერთი საათის ძილიც კი მოეკლოთ და მისთვის მოესმინათ.

ბეღლის ერთ ბოლოში, შემაღლებულზე, უკვე მოეკალათებინა მეიჯერს. იგი 12 წლისა გახლდათ, ბოლო ხანს ზედმეტად ჩასუქებულიყო, თუმცა დიდებული იერი მაინც შერჩენოდა. მალე სხვა ცხოველებმაც იწყეს თავმოყრა. ლამპრის შუქზე ჯერ სამი ძაღლი – ბლუბელი, ჯესი და ფინჩერი – გამოჩნდა. შემდეგ ღორები შემოვიდნენ და მეიჯერის წინ ჩალაზე გაგორდნენ. ქათმები ფანჯრის რაფაზე შემოსხდნენ, მტრედები ძელზე შემოსკუპდნენ, ცხვრები და ძროხები ღორების უკან გაწვნენ და ცოხნას შეუდგნენ. ორი ზორბა ცხენი, ბოქსერი და ქლოუვერი, ერთად შემოვიდა. ქლოუვერი ფაშფაშა და გულკეთილი ფაშატი გახლდათ. ბოქსერი ღონით ერთად აღებულ ორ ცხენს უდრიდა. დიდად არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ჭკუით, თუმცა ყველა დიდ პატივს სცემდა მტკიცე ხასიათისა და იშვიათი შრომისმოყვარეობის გამო. ცხენებს თეთრი თხა მურიელი და ვირი ბენჯამენი მოჰყვნენ. ბენჯამენი ყველაზე მხცოვანი და ყველაზე მძიმე ხასიათისა გახლდათ. იშვიათად ლაპარაკობდა და მაშინაც მხოლოდ ორაზროვან შენიშვნას იტყოდა ხოლმე. ერთადერთი, ვისკენაც გული მიუწევდა, ბოქსერი იყო. როგორც წესი, კვირა დღეებს მასთან ატარებდა ხოლმე, თუმცა სიტყვას არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს. მოხდენილი ნაბიჯითა და შაქრის ლეჭვით შემოვიდა მოლიც – ლამაზ-ლამაზი ფუქსავატი თეთრი ფაშატი ფაფარში ჩაწნული წითელი ბაფთებით. დასასრულ, კატაც შემოვიდა და ბოქსერსა და ქლოუვერს შორის მოკალათდა.

ამგვარად, ყველა ცხოველმა მოიყარა თავი, მოშინაურებული ყვავის, მოსეს გარდა, რომელსაც კარს უკან, ქანდარაზე, ეძინა. მეიჯერმა ჩაახველა და დაიწყო“.

ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას! 71

გვ. 71

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

6. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები მსჯელობენ ილუსტრაციაზე გამოსახული საკომუნიკაციო სიტუაციის შესახებ.
7. მოსწავლეები კითხულობენ ნაწყვეტს ცნობილი ინგლისელი მწერლისა და პუბლიცისტის, ჯორჯ ორუელის მოთხრობიდან „ცხოველების ფერმა“.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 87 № 2, 3: სრულდება წაკითხული ტექსტის გაგების შესამოწმებელი დავალება.



Mascavl_Cigni_Done-12 _ 81

## გვ. 72

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი კლასს ასმენინებს მეიჯერის სიტყვას (იხ. მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები). სრულდება შესაბამისი დავალებების სერია მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 87 № 4 — გვ. 88 № 1: სრულდება მოსმენილ ტექსტზე ორიენტირებული დავალებები.

გვ. 88 № 2: კონტექსტზე დაყრდნობით სრულდება კომბინირებული ენობრივი სავარჯიშო.

**მოსწავლის წიგნი**

2. მოსწავლეები კითხულობენ მორიგ ეპიზოდს მოთხრობიდან „ცხოველების ფერმა“.

მოსწავლის რვეული

გვ. 89 № 3 — გვ. 90 № 1: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ეცნობიან მორიგ მონაკვეთს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 90 № 2, 3: სრულდება წაკითხული მონაკვეთის გაგებაზე ორიენტირებული და სამეტყველო დავალებები.

გვ. 90 № 4: სრულდება საკითხავი დავალება.



თემა 2

1. **მოისმინე მეიჯერის სიტყვა და შეასრულე დავალებები რვეულში.**
2. **რა მოხდა ამის შემდეგ? აჯანყდნენ თუ არა ცხოველები? წაიკითხე მორიგი ნაწყვეტი და შეამოწმე შენი ვერსია.**

„იმ საიდუმლო შეკრებიდან სამი დღის შემდეგ, ღამით, ბებერმა მეიჯერმა სული განუტევა. იგი ბაღის ბოლოში დაასაფლავეს. მარტის დასაწყისი იყო. მომდევნო სამი თვის განმავლობაში ცხოველებს საიდუმლო საქმიანობა ჰქონდათ გაჩაღებული. საორგანიზაციო საქმეები ღორებს დაევალათ, ვინაიდან ისინი საყოველთაოდ აღიარებულნი იყვნენ ყველაზე ჭკვიან ცხოველებად. მათგან გამოირჩეოდა ორი ახალგაზრდა ტახი – სნოუბოლი და ნაპოლეონი. ნაპოლეონი მრისხანე გარეგნობისა იყო, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და დამოუკიდებლობით გამოირჩეოდა. მართალია, სნოუბოლი, მასთან შედარებით, უფრო გამჭრიახი და მკვირცხლი იყო, მაგრამ მიაჩნდათ, რომ ხასიათის სიმტკიცით მას ვერ შეედრებოდა. იყო კიდევ ერთი პატარა და ჩასუქებული ღორი, სახელად სქუილერი – მრგვალლოყიანი, თვალებხამხამა, ცქვიტი მიხვრა-მოხვრითა და მკივანა ხმით. ენაწყლიანი იყო და კამათისას ჩვევად ჰქონდა კუდის ქიცინი და ფეხიდან ფეხზე გადახტომა, რაც დიდ დამაჯერებლობას ანიჭებდა მის ნათქვამს. ამბობენ, სქუილერს შეუძლია დაგიმტკიცოს, რომ შავი თეთრიაო.

ამ სამეულმა მეიჯერის ნააზრევი კარგად შეისწავლა და ახალი მოძღვრება – ენიმალიზმი ჩამოაყალიბა. ყოველ ღამით იკრიბებოდნენ ცხოველები და ეცნობოდნენ ენიმალიზმის პრინციპებს. საიდუმლო კრების დასასრულს კი, როგორც წესი, მღეროდნენ სიმღერას – „ინგლისის ცხოველებს“.

დიდი ხნის ნანატრი რევოლუცია სრულიად მოულოდნელად მოხდა.

ბ-ნ ჯოუნსს ბედმა უმტყუნა და დიდძალი თანხა დაკარგა. ამ ამბავმა ყველაფრის ხალისი დააკარგვინა ჯოუნსს, დღენიადაგ სვამდა და მთელი დღეები უსაქმოდ გაჰყავდა. მისი შემყურე მსახურებიც სულ გათაღლითდნენ. უპატრონო მინდვრებს სარეველა მოედო, სახურავიდან წყალი ჟონავდა, უჭმელ-უსმელი ეყარა საქონელიც. ამასობაში, ივნისიც დადგა. ერთ კვირა დღეს ისე მოსაღამოვდა, რომ ცხოველებისთვის ლუკმის მიმწოდებელი არავინ გამოჩნდა. მეტის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ერთ-ერთმა ძროხამ რქებით გაარღვია გომურის კარი და დამშეული ცხოველები საჭმელს დაეცხრნენ. ხმაურმა ბ-ნი ჯოუნსი გამოაღვიძა და მათრახის ქნევით მსახურებთან ერთად ბოსელში შეიჭრა. ამან სულ გადარია ცხოველები, გამწარებულები დაერივნენ თავიანთ მწვალებლებს და ატყდა დიდი ამბავი – ზოგი ურქენდა, ზოგი წიხლებს აზელდა პატრონსაც და მსახურებსაც. ცხოველების ამბოხმა თავზარი დასცა ბ-ნ ჯოუნსსა და მის სახლიკაცებს. მალე მიხვდნენ, რომ ვერაფერს გახდებოდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოუსვეს. ცხოველებმა საზეიმო ყიჟინა დასცხეს. ფერმა „მამულს“ ცხოველები დაეპატრონნენ.

ნაპოლეონი ცხოველებს საწყობში გაუძღვა და ყველას მარცვლეულის ორმაგი ულუფით გაუმასპინძლდა. მერე „ინგლისის ცხოველები“ დააგუგუნეს შვიდჯერ და დასაძინებლად მიმოიფანტნენ“.

3. **დაუბრუნდი ტექსტს და დაასახელე, რამ გამოიწვია ცხოველთა ამბოხი. რა მოხდა შემდეგ? წაიკითხე და შეასრულე დავალებები რვეულში.**

„შემდეგ მთელ კარმიდამოს შემოუარეს. გასუსულები უცქერდნენ ხნულებს, მდელოებს, ბაღს, გუბურას, ტყე თითქოს პირველად ხედავდნენ, ვერ დაეჯერებინათ, რომ ყოველივე ამის პატრონები თვითონ იყვნენ. ბოლოს დაეწყვნენ და ჯოუნსის სახლს მიაშურეს. ნაპოლეონმა და სნოუბოლმა მხრებით შეაღეს კარი და შევიდნენ. ყველაფერს სინჯავდნენ, ათვალიერებდნენ. ბოლოს ყველანი ერთად გამოვიდნენ გარეთ და იქვე ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ჯოუნსის სახლი მუზეუმად გადაექციათ. შეთანხმდნენ, რომ არცერთი ცხოველი არასოდეს არ იცხოვრებდა იქ. სნოუბოლმა ჭიშკარზე გაკეთებული წარწერა – „მამული“ – წაშალა და, მის ნაცვლად, „ცხოველების ფერმა“ დააწერა. სნოუბოლმა და ნაპოლეონმა ენიმალიზმის პრინციპები შვიდამდე დაიყვანეს და კედელზე დააწერეს. სწორედ ამ მკაცრი კანონებით უნდა ეცხოვრათ ცხოველებს“.

1. ყველა, ვინც ორ ფეხზე დადის, ცხოველის მტერია.
2. ყველას, ვისაც ოთხი ფეხი ან ფრთები აქვს, ცხოველის მეგობარია.
3. არცერთმა ცხოველმა არ უნდა ატაროს ტანსაცმელი.
4. არცერთმა ცხოველმა არ უნდა დაიძინოს ლოგინში.
5. არცერთმა ცხოველმა არ უნდა მიიღოს ალკოჰოლი.
6. არცერთმა ცხოველმა არ უნდამოკლას მეორე ცხოველი.
7. ყველა ცხოველი თანასწორია.

72 ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!

**4. დააკვირდი სურათს და ისაუბრე ცხოველების „სახელმწიფოზე“ – როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ, ვის აქვს უპირატესობა, ვინ არიან ლიდერები?**



**5. წაიკითხე მორიგი ნაწყვეტი და დააკავშირე სურათთან თავიდან უპასუხე წინა დავალებაში დასმულ შეკითხვებს.**

„ცხოველები ადამიანებზე უკეთ ართმევდნენ თავს ყველაფერს. რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, შრომობდნენ. მარტო ღორები არ მუშაობდნენ. ისინი სხვების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ.

კვირა დღე უქმად იყო გამოცხადებული. ამ დღეს ჩვეულებრივზე ერთი საათით გვიან საუზმობდნენ. საუზმეს მოსდევდა ცერემონიალი, რომლის ჩატარებაც წესად ჰქონდათ და არც ერთხელ არ გამოუტოვებიათ. ცერემონიალი დროშის აღმართვით იწყებოდა. სნოუბოლმა სარდაფში მაგიდის ძველი მწვანე ფერის გადასაფარებელი აღმოაჩინა და მას თეთრი საღებავით ჩლიქი და რქა დაახატა. დროშის მწვანე ფერი, სნოუბოლის თქმით, ინგლისის მდელოებს გამოხატავდა, ხოლო თეთრი ჩლიქი და რქა მომავალი რესპუბლიკის სიმბოლო იყო, ანუ იმ დროისა, როდესაც ადამიანების რასა საბოლოოდ დაემხობოდა. დროშის აღმართვის შემდეგ ცხოველები ბეღლისკენ მიემართებოდნენ და სხდომებს ატარებდნენ.

ერთ დღესაც ცხოველებმა აღმოაჩინეს, რომ რძე სადღაც ქრებოდა. როგორც გაირკვა, მთელ რძეს ღორები თავიანთი ფაფებისათვის იყენებდნენ. ვაშლებსაც მხოლოდ ღორები მიირთმევდნენ. ამან ცხოველებში უკმაყოფილება გამოიწვია. ნაპოლეონმა და სნოუბოლმა ცხოველებთან ახსნა-განმარტებისათვის სქუილერი გაგზავნეს“.

**6. რატომ დაევალა ეს მისია ღორ სქუილერს? გაიხსენე, რით იყო ის გამორჩეული და ისე უპასუხე შეკითხვას. წაიკითხე, რა მოჰყვა სქუილერის სიტყვას. შენი აზრით, რა უთხრა მან ცხოველებს ისეთი, რომ მათი უკმაყოფილება დაცხრა?**

„ერთადერთი, რაშიც დარწმუნებულები იყვნენ ცხოველები, იყო ის, რომ ჯოუნსის დაბრუნება არავის სურდა. უდავოდ უნდა მოფრთხილებოდნენ ღორების ჯანმრთელობას. კამათის გაუგრძელებლად შეთანხმდნენ, რომ რძე და ვაშლები მხოლოდ ღორებისთვის უნდა გადაენახათ“.

**7. 🎧 მოისმინე სქუილერის სიტყვა და შეამოწმე შენი ვერსია.**



## გვ. 73

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები აღწერენ „ცხოველების სახელმწიფოს“ და პასუხობენ შეკითხვებს.
5. მოსწავლეები კითხულობენ მორიგ ნაწყვეტს ნაწარმოებიდან და ხელახლა პასუხობენ შეკითხვებს წინა დავალებიდან.
6. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს სიუჟეტის განვითარების შესახებ და პასუხობენ შეკითხვებს.
7. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 91 № 5, 6: სრულდება მოსმენილის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები.

გვ. 74

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს ნაწარმოების მორიგი ეპიზოდის შესახებ და ვარაუდების გადასამოწმებლად კითხულობენ ტექსტის შემდგომ ეპიზოდს.
2. მოსწავლეები ისმენენ სქუილერის სიტყვას და ასრულებენ შესაბამის დავალებას მოსწავლის რვეულში.

მოსწავლის რვეული

გვ. 91 № 5, 6: სრულდება მოსმენილის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები.

**მოსწავლის წიგნი**

3. ილუსტრაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ ენიმალიზმის პრინციპებზე და „ცხოველების ფერმის“ სახეცვლილებაზე.



**1. გაიხსენე ცხოველების პირველი უკმაყოფილება და განმარტე, რატომ შეიცვალნენ ღორები? შენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები „ცხოველების ფერმაში“? რატომ ფიქრობ ასე? წაიკითხე და შეამოწმე შენი ვერსია.**

„ოქტომბრის დამლევს ცხოველებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ადამიანებზე. „ბოსლის ბრძოლაში“ დაღუპული მებრძოლი ცხოველები საზეიმოდ მიაბარეს მიწას და ერთხმად გადაწყვიტეს „ცხოველთა გმირის პირველი ხარისხის“ სამხედრო ჯილდოს დაწესება, რომელიც დროდადრო ენიჭებოდა ხან სნოუბოლს, ხან კი ნაპოლეონს.

დაზამთრდა. „ცხოველების ფერმის“ პოლიტიკის წარმართვა, ერთობლივი გადაწყვეტილებით, ღორებმა ითავეს და საგაზაფხულო სამუშაოების დაგეგმვა დაიწყეს. დაიწყო სნოუბოლსა და ნაპოლეონს შორის გაუთავებელი კინკლაობა. ნებისმიერი საკითხი დავის საგანი ხდებოდა. თითოეულ მათგანს თავისი მომხრეები ჰყავდა და რამდენჯერმე მხარეებს შორის ძლიერი შეჯახებაც მოხდა. სნოუბოლი, როგორც წესი, თავისი მჭევრმეტყველებით ყრილობაზე უმრავლესობას იმხრობდა, ნაპოლეონი კი წარმატებას უფრო ყრილობებს შორის აღწევდა“.

*საბოლოოდ, ნაპოლეონმა, თავისი გამოზრდილი და ერთგული ძაღლების წყალობით, სნოუბოლი გააძევა და „ცხოველების ფერმის“ ერთპიროვნული მმართველი გახდა. ცხოველები გაოგნებულები იყვნენ სნოუბოლის გაძევების გამო.*

„ნაპოლეონმა საკვირაო სხდომები გააუქმა. მისი თქმით, ამის საჭიროება აღარ არსებობდა, ვინაიდან ყველა საკითხს ღორების კომიტეტი გადაწყვეტდა მისივე ხელმძღვანელობით. ჩვენ ცალკე მოვითათბირებთ და შემდეგ გადაწყვეტილებას გაგაცნობთ... ყოველგვარი დებატები შეწყვეტილია! – დასძინა ნაპოლეონმა. ცხოველები ამ ცვლილებებმა ააფორიაქეს, თუმცა ნაპოლეონის გარშემო შემოკრებილმა ძაღლებმა ყოველგვარ დისკუსიას წერტილი დაუსვეს.

ცხოველებისათვის ახალი წესების განმარტება კვლავ სქუილერს დაევალა“.

**2. რა სიტყვა თქვა სქუილერმა? მოისმინე მისი მორიგი გამოსვლა და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**3. დააკვირდი სურათს, გაიხსენე ენიმალიზმის პრინციპები და ისაუბრე „ცხოველების ფერმაზე“ – რა შეიცვალა და როგორ?**



4. 🎧 მოისმინე სქუილერის მორიგი განმარტებები და შეასრულე დავალებები რვეულში.

5. წაიკითხე მოცემული ტექსტები და დააკავშირე მესამე დავალებასთან. თავიდან შეასრულე იქ მოცემული მითითება.

ცხოველები სულ სხვა რამეზე ოცნებობდნენ, როდესაც ადამიანთა მოდგმის დამხობა დაიწყეს. განა, იმ ღამეს ბებერმა მეიჯერმა პირველად რომ მოუწოდა რევოლუციისკენ, ვინმე წარმოიდგენდა, რომ ასეთ ტერორსა და ჟლეტას მოესწრებოდა? ვერავინ ბედავს საკუთარი აზრის გამოთქმას, გარშემო გამძვინვარებული ძაღლები დარბიან და ასო-ასო კუწავენ თანამოძმეებს.

რეპრესიებით გამოწვეული შიში შენელდა. „ცხოველების ფერმაში“ კანონად იქცა ყველაფრისათვის ნაპოლეონის ქება-დიდება, ხოლო რომელიმე ცხოველს გზაზე ღორი თუ შემოხვდებოდა, განზე უნდა გამდგარიყო და გზა მისთვის დაეთმო.

აპრილში „ცხოველების ფერმა“ რესპუბლიკად გამოცხადდა და აუცილებელი გახდა პრეზიდენტის არჩევა. კანდიდატი მხოლოდ ერთი იყო – ნაპოლეონი, რომელიც ერთხმად აირჩიეს.

1. არცერთმა ცხოველმა არ უნდა დაიძინოს თეთრეულით გაწყობილ საწოლში!
2. არცერთმა ცხოველმა არ უნდა მოკლას მეორე ცხოველი უმიზეზოდ!
3. არცერთმა ცხოველმა არ უნდა დალიოს ალკოჰოლი უზომო რაოდენობით!
4. ოთხი ფეხი კარგია, ორი – უკეთესი!
5. ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი უფრო თანასწორია!

6. დააკვირდი სურათს და ისაუბრე მის შესახებ. რამ გააერთიანა ადამიანები და ღორები? რის სადღეგრძელოს ამბობს ადამიანი? 🎧 მოისმინე და შეადარე შენს ვერსიას.



7. წაიკითხე მოთხრობის დასასრული და შეასრულე დავალებები რვეულში.

„ცხოველები უკან გაბრუნდნენ, მაგრამ ოციოდე ნაბიჯის გავლაც ვერ მოასწრეს, რომ სახლიდან ხმამაღალი ყვირილი მოისმა. ცხოველები უკანვე გაიქცნენ ფანჯრებისაკენ. ოთახში საშინელი აყალმაყალი ამტყდარიყო. ღრიალებდა ყველა – ღორებიცა და ადამიანებიც. ერთმანეთს ეჭვიან მზერას ესროდნენ, მაგიდას მუშტებს ურტყამდნენ. ზოგი გაშმაგებული იმუქრებოდა, ზოგიც თავს იმართლებდა. აურზაური კი იმან გამოიწვია, რომ ნაპოლეონი და ერთ-ერთი ფერმერი ერთსა და იმავე კარტს – ყვავის ტუზს – ჩამოვიდნენ.

ფანჯარასთან გაყუჩებული ცხოველები ხან ღორებს აკვირდებოდნენ, ხან – ადამიანებს და ველარ არკვევდნენ, ვინ ვინ იყო: რომელი იყო ღორი და რომელი – ადამიანი!“



გვ. 75

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები) მოსწავლეები ისმენენ სქუილერის მორიგ განმარტებებს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 91 № 7: სრულდება დავალება კონტექსტზე დაყრდნობით.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

5. მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობის მონაკვეთს და აკავშირებენ მას მესამე დავალების (გვ. 74) პუნქტებთან.
6. მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობის დასასრულს და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

გვ. 76

**მოსწავლის წიგნი**

წაკითხულის გააზრება



## წაკითხულის გააზრება



***უინსტონ ჩერჩილი*** *(1874-1965) XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსია, რომელიც ორჯერ იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერებს შორის ჩერჩილი გამოირჩეოდა თავისი მრავალმხრივი ნიჭითა და ინტერესებით — იგი იყო ჟურნალისტი, მხატვარი, ბრწყინვალე ორატორი, ისტორიკოსი და მწერალი. შესანიშნავი ისტორიული და ბიოგრაფიული ნაწარმოებების შექმნისათვის უინსტონ ჩერჩილმა 1953 წელს მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.*

*მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) უმძიმეს წლებში უინსტონ ჩერჩილი მტკიცედ მეთაურობდა დიდ ბრიტანეთის ბრძოლას ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. იგი წარმოადგენდა თავის ქვეყანას 1943-1945 წლებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ლიდერები: იოსებ სტალინი (საბჭოთა კავშირი), ფრანკლინ რუზველტი, ჰარი ტრუმენი (ამერიკის შეერთებული შტატები). ამ კონფერენციებზე განიხილებოდა XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები: ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, ევროპის მოწყობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.*

*ქვემოთ მოცემულია უინსტონ ჩერჩილის სიტყვა, წარმოთქმული 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხის უნივერსიტეტში (შვეიცარია). ესაა ბრიტანელი პოლიტიკოსის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოსვლა, რომელშიც მან წამოაყენა ევროპის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანების იდეა. ჩერჩილის აზრით, ევროპის ქვეყნების გაერთიანების შემთხვევაში აღარ იარსებებდა ახალი ომის დაწყების საფრთხე და ადამიანები შეძლებდნენ ბედნიერად ცხოვრებას.*

**1. გაეცანით უინსტონ ჩერჩილის სიტყვას და შეასრულე დავალებები რვეულში.**

მინდა გესაუბროთ ევროპის ტრაგედიაზე, ტრაგედიაზე იმ კეთილშობილი კონტინენტისა, რომელიც წარმოადგენს დასავლეთის სამყაროს მშობელი რასების სამშობლოს, ... ძველი და თანამედროვე დროის კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და მეცნიერების აკვანს... მაგრამ ევროპაში გაჩნდა საზარელი ნაცისტური მოძრაობაც – ამ მოძრაობამ მე-20 საუკუნეში ნათლად დაგვანახა მშვიდობისა და კაცობრიობის სამომავლო პერსპექტივების რღვევა.

რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ევროპა? -კონტინენტის უზარმაზარ ნაწილში დარჩა უამრავი გაწამებული, მშიერი, პრობლემებით გატანჯული, დაბნეული და დამფრთხალი ადამიანი, მშობლიური ქალაქებისა და სახლების ნანგრევებიდან შიშით რომ გაჰყურებს ბნელ ჰორიზონტს და ტირანიისა და ტერორის ახალ გამოვლინებას ელის. გამარჯვებულები ხმამაღლა ზეიმობენ, ხოლო დამარცხებულთა შორის უიმედობაა გამეფებული. ერთმანეთის დაქუცმაცების და ნგრევის შედეგად სწორედ ეს მიიღეს უძველესი ისტორიის მქონე სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრებმა ევროპელებმა და, მათ შორის, გერმანელებმა.

**მასწავლებლის კომენტარი**



მიუხედავად ამისა, არსებობს ხსნის გზა. თუ ადამიანების უმრავლესობა საყოველთაოდ და ნებაყოფლობით მიიღებს და დაადგება ამ გზას, ეს სასწაულებრივად შეცვლიდა მთლიან სურათს და სულ რამდენიმე წელიწადში მთელი ევროპა ან მისი უდიდესი ნაწილი ისეთივე თავისუფალი და ბედნიერი გახდებოდა, როგორიც დღეს შვეიცარიაა. რას წარმოადგენს ეს არაჩვეულებრივი გზა? ეს არის ევროპული შენობის შეძლებისდაგვარად აღდგენა და მისი იმგვარად მოწყობა, რომ ადამიანებს მიეცეთ მშვიდობიანად, უსაფრთხოდ და თავისუფლად ცხოვრების საშუალება. ჩვენ უნდა ავაშენოთ ევროპის შეერთებული შტატები. თავად ეს პროცესი მარტივია. უბრალოდ, ასეულობით მილიონმა ადამიანმა მართებულად მოქმედება უნდა მოისურვოს... ... დაუსრულებელი უბედურებისა და საბოლოო დაღუპვისაგან ევროპის გადასარჩენად ევროპულმა ოჯახმა უნდა გამოხატოს ნდობა და დავიწყებას მისცეს წარსულის დანაშაულები. დაე, დამკვიდრდეს სამართლიანობა, გულმოწყალება და თავისუფლება. თუ ადამიანები ამას მოინდომებენ, უსათუოდ მიაღწევენ გულის წადილს.

ალბათ, გაგაოცებთ ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ. პირველი ნაბიჯი ევროპული ოჯახის აღდგენის გზაზე უნდა იყოს პარტნიორობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ევროპა ვერ აღორძინდება სულიერად ძლიერი საფრანგეთისა და სულიერად ძლიერი გერმანიის გარეშე. ევროპის შეერთებული შტატების სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, რომ ცალკეული სახელმწიფოების მატერიალურ ძლიერებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდეს. მცირე ერებსაც ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როგორც დიდებს, და თავიანთ ღირსებას ისინი იმ წვლილის მიხედვით უნდა იხვეჭდნენ, რომელიც საერთო საქმეში შეაქვთ...

ახლა ვეცდები შევაჯამო თქვენთვის წარმოდგენილი წინადადებები. ჩვენი მუდმივი მიზანი უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენება და გაძლიერება. მსოფლიო მასშტაბის ამ კონცეფციის გათვალისწინებით ჩვენ ხელახლა უნდა შევქმნათ ევროპული ოჯახი რეგიონული სტრუქტურით, რომელსაც შეიძლება დაერქვას ევროპის შეერთებული შტატები, ხოლო პირველი პრაქტიკული ნაბიჯი უნდა იყოს ევროპის საბჭოს ჩამოყალიბება. თუ თავდაპირველად ევროპის ყველა სახელმწიფო არ ისურვებს ან არ ექნება შესაძლებლობა, შეუერთდეს ამ კავშირს, უნდა გავაერთიანოთ ისინი, რომლებსაც ექნებათ ამის სურვილი და შესაძლებლობა. ამ გადაუდებელ სამუშაოს წინ საფრანგეთი და გერმანია უნდა გაუძღვნენ. დიდმა ბრიტანეთმა, ბრიტანულმა თანამეგობრობამ, ძლევამოსილმა ამერიკამ და, ჩემი ღრმა რწმენით, საბჭოთა რუსეთმა (ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ყველაფერი კარგად იქნება) ახალ ევროპას მეგობრობა და თავდებობა უნდა გაუწიონ და დაიცვან მისი არსებობის უფლება. ამიტომ მოგიწოდებთ: «ავაშენოთ ევროპა!"

(სიტყვა დაბეჭდილია შემოკლებით. სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე:
http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/archives/index383e_ge.asp)



გვ. 78

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ეცნობიან თემატურ და ენობრივ ცნობარს.
2. მოსწავლეები მსჯელობენ კულტურის შესახებ ბრჭყალებში მოყვანილ ფრაზაზე დაყრდნობით და იშველიებენ არგუმენტებს.

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 94 № 1: კლასი იყოფა ჯგუფებად და ასრულებს დავალებას.

გვ. 94 № 2: ჯგუფები მუშაობენ ცხრილზე კულტურული განსხვავებების გამოსააშკარავებლად.

გვ. 95 № 3, 4: ჯგუფები მსჯელობენ თემაზე.

გვ. 95 № 5, 6, 7: სრულდება დავალებების სერია კულტურულ და სოციოკულტურულ კონტექსტზე დაყრდნობით.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

3. მოსწავლეები აკვირდებიან აისბერგის ილუსტრაციას და პასუხობენ შეკითხვებს.
4. მოსწავლეები კითხულობენ ინფორმაციას აისბერგის შესახებ და ასრულებენ დავალების ა—დ პუნქტებს.
5. ვერსიების გადასამოწმებლად მასწავლებელი მათ ასმენინებს შესაბამის ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტი № ).

📖 <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 97 № 1, 2, 3: სრულდება დავალებები კულტურული და სოციოკულტურული ცოდნის გასამყარებლად.

თემა 3

## ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

### 1. კულტურათა დიალოგი

**თემატური ცნობარი**

- კულტურის ხილული და უხილავი მხარეები
- სტერეოტიპები და კულტურული შოკი
- დასავლეთი და აღმოსავლეთი
- საქართველო – დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭე!
- იაპონია – ყველაზე ტრადიციული და ყველაზე თანამედროვე ქვეყანა!

**ენობრივი ცნობარი**

- მიმართებითი სიტყვები და წევრ-კავშირები (ზოგიერთი მიმართებითი სიტყვისა და წევრ-კავშირის ფუნქცია წინადადებაში; წევრ-კავშირი „რომელიც“ და მასთან დაკავშირებული საკითხები)

**1. რა არის კულტურა და რისგან შედგება ის? როგორ გესმის მოცემული ფრაზა: *„კულტურა, ყველაზე ფართო გაგებით, არის ის, რის გამოც შენ უცხოდ იქცევი, როგორც კი შენს სახლს დატოვებ“*. დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული არგუმენტებით.**

**2. დააკვირდი ფოტოს და ისაუბრე აისბერგის შესახებ: რა არის აისბერგი და რა არის მისი განსაკუთრებულობის მიზეზი? მიუთითე, რომელია აისბერგის ხილული და უხილავი ნაწილები და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან?**

**3. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და შეასრულე მითითებები.**

*აისბერგის მსგავსად, კულტურასაც აქვს თავისი ხილული და უხილავი მხარეები. აისბერგის მოდელი საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის წარმოქმნილი გაუგებრობების მიზეზები.*

ა. რა კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას განსხვავებულ კულტურათა „შეჯახებისას“?

ბ. გქონია თუ არა განსხვავებულ კულტურასთან შეხება? რა იყო ისეთი, რამაც გაუგებრობა გამოიწვია შენში?

გ. ჩამოთვლილთაგან დაასახელე, რომლებია, შენი აზრით, კულტურის ხილული და უხილავი ნაწილები?



ხელოვნება თავმდაბლობის ცნება სილამაზის აღქმა ლიტერატურა ჟესტების ენა მუსიკა ბავშვის აღზრდის იდეალები თავაზიანობა ურთიერთობების ნიმუშები ჩაცმულობა თეატრი წარსულისა და მომავლის გაგება ლიდერობის ცნება ხალხური ცეკვა კომუნიკაციის ნიმუშები სხვადასხვა კონტექსტში სამზარეულო...

დ. კულტურის რომელი ნაწილის გაცნობა და გაანალიზება უწყობს ხელს ამ გაუგებრობების თავიდან აცილებას? დააკონკრეტე, რას გულისხმობ.

**4. მოისმინე და შეადარე შენს ვერსიებს. შეასრულე დავალებები რვეულში.**

78 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

### სტერეოტიპები და კულტურული შოკი

**5. მეწყვილესთან ერთად მოამზადე პასუხები მოცემულ შეკითხვებზე და იმსჯელეთ კლასელებთან ერთად.**

ა. რა არის სტერეოტიპები და რა აყალიბებს მათ საზოგადოებაში, ადამიანებში?
ბ. არსებობს თუ არა ცხოვრება სტერეოტიპების გარეშე?
გ. გაიხსნე და იმსჯელე ჩვენს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებზე.
დ. კონკრეტულად, რას გულისხმობს სტერეოტიპული დამოკიდებულება, მაგალითად, ადამიანის, საზოგადოების ან კულტურის შეფასებისას?
ე. შეიცავს თუ არა სტერეოტიპები საფრთხეებს?
- დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითე, რა საფრთხეებს შეიცავს და რა შეიძლება გაკეთდეს მათ თავიდან ასაცილებლად.
- დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითებით.

ვ. შენი აზრით, აბრკოლებენ თუ არა სტერეოტიპები კულტურათა ურთიერთობებს? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.
ზ. როგორ ფიქრობ, მხოლოდ ნეგატიური სტერეოტიპები არსებობს, თუ შეიძლება ისინი პოზიტიურიც იყოს? მოიტანე პოზიტიური სტერეოტიპის კონკრეტული მაგალითი.
თ. რას ნიშნავს „კულტურული შოკი“ და, როგორც წესი, ვის ემართება ის და როდის?
ი. შენ თუ დაგმართია კულტურული შოკი? გაიხსენე, რამ გამოიწვია ის შენში და როგორი იყო შენი რეაქცია.

**6. მოისმინე ინფორმაცია სტერეოტიპების შესახებ და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**7. წაიკითხე ქვემოთ მოცემული შემთხვევა (მაგალითი აღებულია მსოფლიო კულტურის სახელმძღვანელოდან, გვ. 190) და განსაზღვრე გოგონას ქცევის მოტივი. დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.**

„საერთაშორისო საზაფხულო ბანაკში ყოფნისას ზაზა დაუმეგობრდა ერთ იაპონელ გოგონას, რომელმაც წამოსვლის დღეს მას იაპონური სუვენირი აჩუქა. ზაზამ „ქართული რაინდობა“ გამოიჩინა, ფული ისესხა და განშორების დღეს გოგონას ძვირფასი საჩუქარი მიართვა. ამის შემდეგ გოგონამ ზაზასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა.



**8. მოისმინე რეალური მიზეზი და შეადარე შენს ვერსიას.**

**9. შენი აზრით, რატომ შეაფასა გოგონამ ზაზას საქციელი ამგვარად? მოისმინე და შეადარე შენს ვერსიას.**

**10. უპასუხე შეკითხვებს.**

- რამ გამოიწვია გაუგებრობა?
- შეეძლო თუ არა ზაზას ამ გაუგებრობის თავიდან აცილება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითე, როგორ? რა უნდა გაეკეთებინა? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ახსენი, რატომ ვერ აიცილებდა?
- შენი აზრით, როგორ უნდა ავიცილოთ მსგავსი გაუგებრობები თავიდან და, ზოგადად, შესაძლებელია თუ არა მსგავსი „კულტურული გაუგებრობების“ თავიდან აცილება?



## გვ. 79

**მოსწავლის წიგნი**

6. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად, აყალიბებენ მოსაზრებებს და მსჯელობენ დავალების ა—ი პუნქტებზე დაყრდნობით.
7. მოსწავლეები ისმენენ მოსასმენ ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 98 № 1: სრულდება მოსმენილის გააზრებაზე ორიენტირებული კომპლექსური დავალება.

გვ. 99 № 2, 3: დავალებები სრულდება კონტექსტზე დაყრდნობით.

**მოსწავლის წიგნი**

8. მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში მოყვანილ მაგალითს და ასაბუთებენ მოსაზრებებს.
9. ვერსიების გადასამოწმებლად მოსწავლეები ისმენენ ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 100 № 1, 2: სრულდება საკითხავი და წაკითხულის გააზრებაზე ორიენტირებული დავალებები.

გვ. 80

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები ეცნობიან ინგლისელი მწერლის, რადიარდ კიპლინგის სიტყვებს და მსჯელობენ მათ მნიშვნელობაზე.
2. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად და ამზადებენ პასუხებს ა—ვ შეკითხვებზე, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით აცნობენ მოსაზრებებს თანაკლასელებს.
3. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს კულტურული გაუგებრობების შესახებ და იშველიებენ ნაცნობ მაგალითებს.

მოსწავლის რვეული

გვ. 101: 3, 4: დავალებები სრულდება კონტექსტზე დაყრდნობით.

თემა 3

1. **წაიკითხე ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის პირველი ინგლისელი ლაურეატის, რადიარდ კიპლინგის, სიტყვები და განმარტე. შენი აზრით, რაზე მიანიშნებს ამ სიტყვებით მწერალი?**

*„დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი კი აღმოსავლეთი. ისინი ვერასოდეს შეერთდებიან...“ – რადიარდ კიპლინგი*

2. **მეწყვილესთან ერთად მოამზადე პასუხები მოცემულ შეკითხვებზე და იმსჯელეთ კლასში. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები კონკრეტული არგუმენტებით.**

შენი აზრით:

ა. რა განასხვავებს დასავლეთს აღმოსავლეთისაგან?

ბ. როგორია დასავლური და აღმოსავლური კულტურების დამოკიდებულებები სოციალური ურთიერთობების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებასთან და სხვა?

გ. არსებობს თუ არა განსხვავებები ღირებულებებსა და ფასეულობებს შორის?

დ. როგორია დროისადმი დამოკიდებულება? რამდენად აისახება დროის მოთხოვნები დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში?

ე. რომელი კულტურისაკენ მიისწრაფვიან, ერთ შემთხვევაში, ეგზოტიკისა და, მეორე შემთხვევაში, მაქსიმალური კომფორტის მოყვარულები და რატომ?





3. **გაეცანი კონკრეტულ ფაქტებს და იმსჯელე, რა შემთხვევებში შეიძლება მოხდეს „კულტურული გაუგებრობები“? დაასახელე, კონკრეტული სიტუაციები.**

„მიაჩნიათ, რომ დასავლური კულტურები ზუსტად განსაზღვრავენ დროს და დაგვიანებას დანაშაულად თუ არა, არასერიოზულ საქციელად მიიჩნევენ მაშინ, როცა აზიის რიგ ქვეყნებში დაგვიანებით ვერავის გააკვირვებ.

არაბები ყავის სმასა და საუბარს საქმის კეთებად მიიჩნევენ, ამერიკელები კი მას დროის ფუჭ ფლანგვად თვლიან.

ჩინელები და იაპონელები უდიდეს პატივს სცემენ იერარქიულ ურთიერთობებს, ამერიკელები კი თანასწორობის ხაზგასმას ცდილობენ.

იაპონელებს პრინციპულად არ შეუძლიათ „არა“-ს თქმა, რადგან ეს მათ კულტურაში უზრდელობად მიიჩნევა. ამიტომ მოლაპარაკებების დროს ისინი ათასგვარი ზრდილობიანი ფორმით ცდილობენ უარის თქმის თავიდან აცილებას, რასაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს მათი დასავლელი პარტნიორები“.

80 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

საქართველო — დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭე!

4. რას ნიშნავს გვერდის სათაურად მოცემული ფრაზა და რატომ მიიჩნევენ საქართველოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭედ? მოამზადე მეწყვილესთან ერთად პასუხი მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.
   - ა. რის გზაგასაყარზე მდებარეობს საქართველო?
   - ბ. რას ნიშნავს „აბრეშუმის გზა“ და სად და როდის შეიქმნა ეს ტერმინი?
   - გ. რა ფუნქცია ჰქონდა „აბრეშუმის გზას“ ისტორიულად?
   - დ. რა კავშირი ჰქონდა საქართველოს ამ გზასთან?
   - ე. რა იცი დმანისის არქეოლოგიური გათხრების შესახებ და როგორ უკავშირდება ის საქართველოს ევროპელობას?
5. მოისმინე ინფორმაცია და შეამოწმე შენი პასუხები. შეასრულე დავალებები რვეულში.
6. წაიკითხე და გამოკვეთე კონკრეტული ტექსტის მთავარი სათქმელი. რა იწვევს თითოეული ავტორის განცვიფრებას? შეასრულე დავალებები რვეულში.

„ეს ის ქვეყანაა, რომლის გავლითაც ალექსანდრე მაკედონელი დასავლეთში უნდა გაბრუნებულიყო, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. ამის მიზეზია არა მარტო გზათა სივიწროვე, არამედ მთასა და ზღვას შორის გაწოლილი ქვეყნის მცხოვრებთა სიმამაცე. ამიტომ ალექსანდრემ ვერ შეძლო მისი გავლა და ააგო სიმაგრე, რომელსაც რკინის კარი (დარუბანდი) ეწოდა...“

**მარკო პოლო** (1254-1324)

ვენეციელი ვაჭარი, იმოგზაურა ჩინეთში, სადაც 17 წელი (1275-1292) დაჰყო. მის ცნობილ წიგნში მცირე ადგილი დაეთმო საქართველოსაც, რომელიც გზად გაიარა.

„მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალების კონტრასტია მწვანე ხეობა, რომლის შუაგულშიც გადაშლილა დიდად მშვენიერი ქალაქი. ეს გახლავთ თბილისი! დიდებული სახლები ჭადრაკის ფიგურებს მოგვაგონებენ. დიდი ქუჩები თითქოს უზარმაზარ ფიანდაზებში ჩაწნული ნატიფი ბაფთებია. ვდგავარ შუაგულ თბილისში და შევყურებ მთებს, ყოველი მხრიდან რომ გალავნად ახლავს ქართველთა ძველ სატახტოს, შორს კი აქლემის ზურგივით აწვდილი ყაზბეგი ღრუბლებზე ამაღლებულა. ქაიროს შემდეგ აღმოსავლეთის არც ერთი ქალაქი არ გვთავაზობს იმდენ საინტერესო, ცვალებად სურათს, რამდენსაც თბილისი. აღმოსავლეთი და დასავლეთი, ეგზომ განსხვავებული ორი სამყარო ამ ერთ ვიწრო უბანზე ხვდება ერთიმეორეს. აღმოსავლეთად განკიდეგანებულ ერთ ქალაქში ევროპის კულტურა იფურჩქნება...“

**რობერტ ბლაიხშტაინერი** (1891-1954)

ავსტრიელი ქართველოლოგი, ენათმეცნიერი, მთარგმნელი.

„საქართველო მშვენიერი ქვეყანაა. ჩემი თანამემამულეები ხშირად მეკითხებიან, ლეგენდებით მდი-დარმა ქვეყანამ, აზიასა და ევროპას შორის კუნძულივით რომ ჩამჯდარა, რით მომაჯადოვა. უამრავი რამით! უცხოელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა კეთილშობილური სტუმართმოყვარეობა. თან გადაგყვებიან, ყოველ ნაბიჯზე გხვდებიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გახარებენ... ქუჩაში საკუთარ მანქანას გაგიჩერებენ, რესტორანში ღვინოს გამოგიგზავნიან, სანაქებო სუფრას გაგიშლიან, ენამჭევრი თამადა მოგხიბლავს...“

**როზენარია კულინგ-ლიტშკე**



## გვ. 81

### მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები ეცნობიან ქვეთემის სათაურს და პასუხობენ შეკითხვებს (ა—ე).
5. ინფორმაციის გადასამოწმებლად ისინი ისმენენ ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები).

### 📖 მოსწავლის რვეული

გვ. 102 № 1: სრულდება ენობრივი დავალება.

გვ. 102 № 2 — გვ. 103 № 5: სრულდება მოსასმენი ტექსტის გაგების შემოწმებაზე ორიენტირებული დავალებები.

### მოსწავლის წიგნი

6. მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოში მოყვანილ სამ ტექსტს საქართველოს შესახებ და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

### 📖 მოსწავლის რვეული

გვ. 103 № 6—8: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

გვ. 104 № 1 — 5: სრულდება ლექსიკური ტიპის დავალებათა სერია.

გვ. 82

**მოსწავლის წიგნი**

მიმართებითი სიტყვები და წევრ-კავშირები

1. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ზ პუნქტები.
2. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ზ პუნქტები.



### მიმართებითი სიტყვები და წევრკავშირები

I. მთავარ წინადადებაში ხშირად არის ისეთი სიტყვები (ჩვეულებრივ, ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები), რომლებსაც აზუსტებს, აკონკრეტებს დამოკიდებული წინადადება.

არსებობს ე.წ. მყარი მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფს წინადადების სწორ სინტაქსურ აგებულებას.

დაიმახსოვრე!

| მთავარ წინადადებაში | დამოკიდებულ წინადადებაში |
|---|---|
| ის | ვინც |
| ის ბიჭი | რომელიც |
| ისე | როგორც |
| ისეთი | როგორიც |
| იქ | სადაც |
| იქით | საითაც |
| იმ წიგნში | რომელშიც |
| მაშინ | როცა |
| მით უფრო | რაც უფრო |
| იმდენჯერ | რამდენჯერაც |
| იმდენად | რამდენადაც |

II. ზოგიერთი მიმართებითი სიტყვისა და წევრ-კავშირის ფუნქცია წინადადებაში.

| | |
|---|---|
| იმდენად – რომ<br>იმდენად – რამდენადაც | აზუსტებს ზომა-ოდენობის ხასიათს, მის ხარისხს. |
| იმდენჯერ – რამდენჯერაც | გადმოგვცემს მოქმედების განმეორებას, ჯერობას. |
| მით უფრო – რაც უფრო | გამოხატავს მთავარში გადმოცემული მოქმედების ინტენსიურ გაძლიერებას. |
| ისე – თითქოს<br>ისე – ვითომც | გამოხატავს ისეთ სიახლოვესა და ვარაუდს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. |
| ისე – როგორც<br>ისე – ვით | გამოხატავს შედარებას. |

III. მიზეზი (რატომ? რა მიზეზით?) თუ მიზანი (რისთვის? რა მიზნით?)?

- მიზეზიც და მიზანიც მოცემულია დამოკიდებულ წინადადებებში.
- მიზეზი წინ უსწრებს მთავარში გადმოცემულ ფაქტს.
- მიზანი არის ის, რაც უნდა შესრულდეს მთავარში გადმოცემული ფაქტის შემდეგ.

| გამოხატავს მიზეზს | გამოხატავს მიზანს |
|---|---|
| იმიტომ – რომ<br>იმის გამო – რომ | იმისათვის – რომ |
| რაკი – ამიტომ<br>რაკი – ამის გამო | იმ მიზნით – რომ |
| რადგან | რათა |

1. **წაიკითხე მოცემული წინადადებები და დაასახელე მოცემული მიმართებითი სიტყვებისა და წევრ-კავშირების ფუნქციები.**

ა. მამაჩემი ისე უვლიდა ვენახს, როგორც დედა უვლის თავის შვილს.
ბ. ისე ხმამაღლა ლაპარაკობს, თითქოს არ გვესმოდეს.
გ. რამდენჯერაც საჭირო იქნება, იმდენჯერ უნდა წაიკითხო.
დ. რაც უფრო უახლოვდებოდა მიზანს, მით უფრო ეცლებოდა ღონე.
ე. ისე უჭირავს თავი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.
ვ. იმდენად მინდოდა ამ ფილმის ნახვა, რომ უარი ვერ ვუთხარი შემოთავაზებაზე.
ზ. ორი წუთის წინ გაიქცა იქით, საითაც ის მოხუცი მიდის.

2. **წაიკითხე და ზეპირად გაასწორე მიმართებით სიტყვასა და წევრ-კავშირთან დაშვებული უზუსტობები. სწორად გადაწერე წინადადებები რვეულში.**

ა. ის ფეხსაცმელი მომეწონა ძალიან, რაც იმ მაღაზიაში ვნახეთ.
ბ. ჩემი ძმაც ისეთივე მხიარულია, როგორც მე.
გ. იქ ხომ არ დავსხდეთ, საითაც დიდი ჩრდილია?
დ. ამის შესახებ სწორედ იმ ოთახში გვითხრეს, სადაც ნახევარი საათის წინ ვიყავით.
ე. რამდენჯერაც მშვენიერია გარეგნულად, იმდენჯერ უკეთესი ხასიათი აქვს.
ვ. რამდენადაც ცუდად მოიქცევი, იმდენად დაისჯები.
ზ. იმისათვის დააგვიანა სახლში, რომ კინოში იყო.

თემა 3

**3. წაიკითხე წინადადებები და შეასრულე ქვემოთ მოცემული მითითებები.**

ა. პირველი ადამიანი, რომელიც დარწმუნდა თითის ანაბეჭდის უტყუარობაში, ფრანჩესკა როჰარი იყო.
ბ. მათ ისეთი მეთოდები გამოიყენეს, რომლებიც ყველასთვის მიუღებელი იყო.
გ. ედგარ პოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელიც ლონდონში გაიმართა, კონან დოილი უძღვებოდა.
დ. ის აღწერს ჰოლმსის გამოძიებებს, რომლებიც ცნობილი „დედუქციური მეთოდის“ გამოყენებით მიმდინარეობს.
ე. ის მატარებელი, რომელმაც აქ ჩამოგიყვანათ, მარსელისა იყო.
ვ. მის მეზობლებში არიან ისეთებიც, რომელთაც მისი უდანაშაულობისა სჯერათ.

- დაასახელე მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.
- მიუთითე დამოკიდებული წინადადების ადგილი.
- მიუთითე მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც ეწყობა წევრ-კავშირი რიცხვში.
- დაასახელე დამოკიდებული წინადადების ის წევრი, რომელსაც ეწყობა წევრ-კავშირი ბრუნვაში.
- დაუბრუნდი წინადადებაში მოცემულ წევრ-კავშირს და დაასახელე, რომელ ბრუნვაშია ის ცალკეულ შემთხვევაში.

**4. მოძებნე ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დაშვებული შეცდომები და დაასახელე. სწორად გადაწერე წინადადებები რვეულში და წაიკითხე.**

ა. ხომ გახსოვს ის ორი გარემოება, რომელიც მოგახსენეთ?
ბ. ის ბრალდებები აშკარად აბსურდი იყო, რომელიც წაუყენეს ჯეიმსს.
გ. ის კაცი ბაქანზე გველოდებოდა, რომელიც მაშინვე ვიცანი.
დ. მაგიდას, რომელსაც ისინი შემოუსხდნენ, ძველებური იყო.
ე. რამდენიმე ბიჭი, რომელიც ეზოში იყო, ძალიან ხმამაღლა საუბრობდა.

წევრ-კავშირი „რომელიც“

I. იხმარება ორივე მრავლობითის (ებიანი და ნარ-თანიანი) ფორმით:

*რომლები – რომელნი; რომლებმა – რომელთა...*

II. სინტაქსურად ორ წევრს უწევს ანგარიშს:

რიცხვში ის მთავარი წინადადების იმ წევრს ეწყობა, რომელსაც მიემართება:

*ის – რომელიც, ისინი – რომლებიც;*
*მან – რომელმაც, მათ – რომელთაც.*

ბრუნვაში ეწყობა დამოკიდებული წინადადების იმ წევრს, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია:

*ის ბიჭი, რომელსაც შენ ხედავ, ჩემი კლასელია.*

ხედავ შენ მას – ანუ: ბიჭს / რომელს(აც)

III. „რომელიც“ ყველა ბრუნვის ფორმით იხმარება, გარდა ვითარებით-წოდებითისა:

- *ქალი, რომელიც კითხულობს, დეიდაჩემია.*
- *ქალი, რომელმაც იკითხა, დეიდაჩემია.*
- *ქალი, რომელსაც ჰკითხეს, დეიდაჩემია.*
- *ქალი, რომლის სახლშიც ვცხოვრობ, დეიდაჩემია.*
- *ქალი, რომლითაც ვამაყობ, დეიდაჩემია.*

IV. რიცხვში შეწყობასთან დაკავშირებით, დამატებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა. თუ იმ წევრს, რომელსაც ეწყობა, ახლავს სიმრავლის გამომხატველი სიტყვა (ორი, ბევრი, მრავალი, რამდენიმე, ყველა...), მაშინ ის წევრი დგას მხოლობითში და წევრ-კავშირი „რომელიც“ – მრავლობითში.

*არ ვიცნობ იმ ორ ბავშვს, რომლებიც ეზოში თამაშობენ.*

ბ. წევრ-კავშირი მრავლობითში დგას მაშინაც, თუ ის ერთზე მეტ წევრს მიემართება.

*ძალიან მომწონს ის ჩანთა და კალამი, რომლებიც ვიყიდე.*
*იმ ქალ-ვაჟს, რომლებიც აქეთ მოდიან, კარგად ვიცნობ.*

V. წევრ-კავშირის ადგილი წინადადებაში.

ა. როგორც წესი, წევრ-კავშირი მოსდევს იმ სიტყვას, რომელსაც მიემართება.

*გზაზე შეხვდა ერთ კაცს, რომელიც გაბრაზებული ჩანდა.*

ბ. შესაძლებელია მათ შორის ზმნის ხმარებაც.

*გზაზე ერთ კაცს შეხვდა, რომელიც გაბრაზებული ჩანდა.*

ვისწავლოთ ცხოვრება ერთად 83

გვ. 83

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

3. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ვ პუნქტები.
4. გრამატიკულ ცნობარზე დაყრდნობით სრულდება დავალების ა-ე პუნქტები.

გვ. 84

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

1. მოსწავლეები ეცნობიან გამონათქვამს იაპონიის შესახებ და ილუსტრაციებზე დაყრდნობით მსჯელობენ წაკითხული დებულების შესახებ.
2. ჩარჩოში მოყვანილი ინფორმაციის დახმარებით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს იაპონიის შესახებ.
3. მოსწავლეები ისმენენ შესაბამის ტექსტს (იხ. 🎧 მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციები) და ადარებენ მოსმენილს საკუთარ ვერსიებს.

თემა 3

იაპონია – ყველაზე ტრადიციული და ყველაზე თანამედროვე ქვეყანა!

1. **დააკვირდი ფოტოებს. გაეცანი მოცემულ დებულებას და წარმოადგინე შენი პოზიცია შესაბამისი არგუმენტების გამოყენებით. განმარტე ფრაზა და დაადასტურე ან უარყავი მოცემული აზრი.**

*ამბობენ, რომ იაპონია საუკეთესო მაგალიათია იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი ძველი და ახალი ცივილიზაციების შერწყმა.*



2. **რამდენად კარგად იცნობ იაპონურ კულტურასა და, ზოგადად, იაპონელებს? მოცემული მასალიდან შეარჩიე ის, რომელსაც სწორად მიიჩნევ და ისე უპასუხე შეკითხვებს: ვინ არიან იაპონელები? რა პიროვნული თვისებებით გამოირჩევიან? რა აყალიბებს მათ ხასიათსა და ცხოვრების წესებს? და ა.შ.**

<u>გარემო:</u> ხშირი და სასტიკი ბუნებრივი კატაკლიზმები, ურთულესი გეოგრაფიული გარემო, სოციალური პირობები, სახელმწიფო მართვის ფორმები...

<u>თვისებები:</u> განსაკუთრებული დისციპლინა, ავტორიტეტის ერთგულება, პასუხისმგებლობა, მოვალეობის მაღალი შეგნება, თავაზიანობა და წესიერება, გამბედაობა, ამტანობა, მოთმინება, თავშეკავება, საზრიანობა, შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, მორჩილება, სიბეჯითე, გამძლეობა, ცოდნისმოყვარეობა, გულგრილობა, ოპტიმიზმი, პესიმიზმი, აგრესია, დაუდევრობა...

<u>გამოვლინება:</u> ქცევა, ყოფითი საქმიანობა, აზროვნება, ურთიერთობები...

3. **მოისმინე ინფორმაცია იაპონელების შესახებ და შეადარე შენს ვერსიებს.**

84 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად



თემა 3

**4. გაეცანი მოცემულ მასალას და დააკავშირე მეორე დავალებასთან. დაასახელე, კონკრეტულად, რის შესახებ მიანიშნებს თითოეული ტექსტი.**

1. იაპონურ ოჯახში, როგორი ღარიბიც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის არის ქოთანი მცენარეებით და საგანგებო ნიშა („ტოკონო-მა"), სადაც კიდია „კაკემონო" (გრაგნილი) – სურათი ან იეროგლიფებით გადმოცემული გამონათქვამი.

**2.** იაპონიაში ბავშვები სრული თავისუფლებით იზრდებიან – არავითარი დატუქსვა, არავითარი სიმკაცრე, არანაირი აკრძალვა, თითქმის არ არსებობს ფიზიკური დასჯა, მხოლოდ გაფრთხილება. როცა ერთ უცხოელ ქალს, რომელმაც დიდ ხანს იცხოვრა იაპონიაში, ჰკითხეს, თუ რას ფიქრობდა ამაზე, უპასუხა: „მე რომ არჩევის საშუალება მქონოდა, სად გამეტარებინა ბავშვობა, უთუოდ იაპონიას ავირჩევდი".

3. ბავშვების ჩხუბში უფროსები თითქმის არ ერევიან, რადგან მიაჩნიათ, რომ კოლექტივთან თანაცხოვრება ყველამ თვითონ უნდა ისწავლოს. იაპონელთა აზრით, კონფლიქტიდან საუკეთესო გამოსავალი კომპრომისის გამონახვაა. ჯერ კიდევ იაპონიის უძველეს კონსტიტუციაში ეწერა, რომ მოქალაქის ყველაზე დიდი ღირსება წინააღმდეგობებისაგან თავდახსნის უნარია.

**4.** როგორც ქალები, ასევე მამაკაცები კიმონოს დღესასწაულებსა და განსაკუთრებულ დღეებში იცვამენ. იაპონელები დიდ ყურადღებას აქცევენ, თუ რა არის გამოსახული კიმონოზე. იაპონელი ქალი არასოდეს ჩაიცვამს კიმონოს, თუ ზედ გამოსახულია ზამთარი და ბამბუკის ხეები და ამ დროს ზაფხულია.

**5.** სტუმარი შესვლისთანავე ბოდიშს იხდის, რომ ვიზიტით შეაწუხა დიასახლისი. დიასახლისი კი, თავის მხრივ, ბოდიშს უხდის სტუმარს, შედარებით, ღარიბულად მიღებისათვის. ხანგრძლივი რიტუალური გამოთქმების შემდეგ სტუმარი იხდის ფეხსაცმელს და რბილ საშინაო ქოშებს იცვამს, ან უბრალოდ, წინდებით შედის.

ჭამის წინ აუცილებლად იწმენდს ხელებს ნამიანი ხელსახოცით. ჭამის დროს სავსე პირით საუბრობს, რითაც დიასახლისს აგრძნობინებს, რომ კერძი ძალიან მოსწონს.

**5. გაეცანი მოცემულ ტექსტს და შეასრულე დავალებები რვეულში.**

„იაპონური სკოლა საფეხურებად არის დაყოფილი. დაწყებით სკოლაში (1-6 კლასი) მთელი აქცენტი იეროგლიფების შესწავლასა და კალიგრაფიაზე, საყოფაცხოვრებო კულტურის ჩამოყალიბებასა და ფიზიკურ განვითარებაზეა გადატანილი. საბაზო სკოლაში (7-9 კლასი) კი მეტი დატვირთვა აქვს იაპონურ ენასა და ლიტერატურას, ასევე, საფუძვლიანად ისწავლება იაპონიისა და მსოფლიოს ისტორია და გეოგრაფია, პოლიტეკონომია და ესთეტიკური მეცნიერებები. საშუალო სკოლაში (10-12 კლასი) მათემატიკური და ტექნიკური საგნები განსაკუთრებული სირთულით ისწავლება. საშუალო სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად, მოსწავლეები 5 გამოცდას აბარებენ, მათ შორის გასაუბრებაც შედის. საშუალო სკოლაში სწავლა ფასიანია.

ყველა სკოლას აქვს საკუთარი ტრადიციები. ასევე, ბევრ მათგანს აქვს საკუთარი მეურნეობა, სახელოსნო და მაღაზია. სკოლის კუთვნილ მაღაზიაში მოსწავლეები ყიდიან თავიანთ ნაკეთობებსა და ნაწარმს. მოგებას თავადაც იღებენ და მნიშვნელოვან ნაწილს ქველმოქმედებას ახმარენ.

იაპონელი ბავშვები ზაფხულში მხოლოდ 40 დღეს ისვენებენ. წლის განმავლობაში ისინი სკოლაში 240 დღეს ატარებენ. სწავლის გარდა, მასწავლებელთა დახმარებითა და მეთვალყურეობით, თავად ასუფთავებენ და ალაგებენ ყველაფერს – საკლასო ოთახებს, დერეფნებს, ეზოსა და საპირფარეშოებსაც კი.

ყველა კლასში მოსწავლეები სწავლობენ „საზოგადოებათმცოდნეობასა" და „მორალს". თვეში ორჯერ უტარდებათ გაკვეთილი ადამიანის უფლებების შესახებ, ხოლო კვირაში ორჯერ მართავენ დისკუსიებსა და პრეზენტაციებს".

**6. წარმოიდგინე, რომ იაპონიაში აღმოჩნდი. კონკრეტულად, რა გამოიწვევს შენში კულტურულ შოკს და რატომ?**

ვისწავლოთ ცხოვრება ერთად 85

გვ. 85

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. მოსწავლეები ეცნობიან 5 ტექსტს და მოკლედ აყალიბებენ თითოეულის შინაარსს.
5. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს იაპონური სასკოლო სისტემის შესახებ და ასრულებენ დავალებას მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 105 № 6: ტექსტზე დაყრდნობით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას იაპონური სასკოლო სისტემის შესახებ და ავსებენ ცხრილს.

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

6. მოსწავლეები მსჯელობენ კულტურული შოკის შესახებ იაპონურ კონტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 86

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებელი ყურადღე-ბას ამახვილებს ენობრივ და გრამატიკულ ცნობარებზე. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას საქართვე-ლოში მცხოვრები ერების შესახებ.
2. მოსწავლეები მსჯელობენ ტოლერანტობის ცნებაზე, ეცნობიან მოცემულ სიტუ-აციას და წარმოდგენილ სტატისტიკურ ცნობებს.

**მოსწავლის რვეული**

გვ. 106 № 1: დავალება სრულ-დება № 2 დავალებაში მოცემულ სტატისტიკურ ცნობებზე დაყრდ-ნობით.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ისმენენ ტე-ქსტს კვლევის შედეგების შესახებ (იხ. მოსასმენი ტექსტების ტრანსრიპციე-ბი).

**მოსწავლის რვეული**

გვ. 106 № 2: მოსწავლეები ირჩევენ სწორ ვარიანტს.

**მოსწავლის წიგნი**

4. მოსწავლეები მსჯელობენ შეკითხვებზე დაყრდნობით და იშველიებენ არგუმენ-ტებს.

თემა 3

## 2. ტოლერანტობა

| თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი |
|---|---|
| • რას ფიქრობს საზოგადოება?<br>• ღია საუბარი<br>• ეთმოცენტრიზმიდან რასიზმამდე<br>• იუნესკოს „ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია“<br>• ბოშათა პორტრეტები | |

**1. საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა. რა იცი საქართველოში მცხოვრები ერების-სა და მათი ტრადიციების, ისტორიისა და კულტურის შესახებ?**

**2. რას ნიშნავს, შენი აზრით, სიტყვა „ტოლერანტობა”? გაეცანი სიტუაციას და შეასრულე მოცემული მითითება.**

ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა ეისითიმ 2010 წლის ოქტომბერში ჩაატარა კვ-ლევა იმის გასარკვევად, საქართველოს ზრ-დასრული მოსახლეობის რამდენმა პროცენტმა იცის სიტყვა „ტოლერანტობის“ მნიშვნელობა.

კვლევაში მონაწილეობდა თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების 1200 ზრდასრული მაცხ-ოვრებელი.



გაეცანი რესპონდენტების პასუხებს და დააკავშირე მოცემულ შკალასთან. შენი აზ-რით, რამდენმა პროცენტმა რა პასუხი გას-ცა?

ა. შემწყნარებლობა;
ბ. სხვისი აზრის პატივისცემა;
გ. თანასწორობა;
დ. უბრალოდ, მოდური სიტყვა;
ე. განსხვავებული აზრის ქონის უფლე-ბა;
ვ. ეთნიკური უმცირესობების მიმართ გატარებული პოლიტიკა;
ზ. არ ვიცი.




**3. მოისმინე კვლევის შედეგები და შეადარე შენს ვერსიას.**

**4. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კაცობრიობა არასაკმარისად ტოლერ-ანტულია. ეთანხმები თუ არა ამ აზრს? დააკონკრეტე, რაში გამოიხატება, შენი აზრით, „არასაკმარისი ტოლერანტობა“ და დაასაბუთე კონკრეტული მაგალითებით.**

86 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

**5.** **გაეცანით ფორუმს და გამოხატეთ თქვენი პოზიციები ფორუმელთა შეხედულებებზე. ვის აზრს ეთანხმებით და ვისას – არა? დაასაბუთეთ, რატომ? როგორია თქვენი აზრი ამ თემასთან დაკავშირებით?**

| ტოლერანტობა | |
|---|---|
| ეკა ნინუა | განსხვავებების მიუხედავად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს ისე, როგორც მას სურს. სირცხვილია, XXI საუკუნეში რომ კიდევ ტოლერანტობის პრობლემა დგას. |
| ანდრო | გეთანხმები. უფრო მეტიც, არ გეჩვენება, რომ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა? მეჩვენება, რომ არატოლერანტულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. |
| კობა ზ | სრულად ვეთანხმები ეკას და ნაწილობრივ ვეთანხმები ანდროს, ანუ ტოლერანტობა მართლაც არის XXI ს-ის გამოწვევა, თუმცა ჩვენი საზოგადოების შეფასება ნამდვილად გაზვიადებულია. ტოლერანტები რომ არ ვიყოთ, მრავალეთნიკური არ იქნებოდა ეს ქვეყანა. ერთეულებით არ უნდა გაიზომოს ხალხისა და ქვეყნის ტოლერანტობა! |
| ანდრო | ნუ დაგავიწყდება, ერთეულები ქმნიან საზოგადოებას! ხომ არ ჯობია, იმაზე ვიფიქროთ, როგორ გავხდეთ უფრო მეტად შემწყნარებლები? |
| ლალი | მეც ვერ დავეთანხმები ანდროს. გადაჭარბებულია მისი შეფასება. მეც პირიქით მგონია. ანდრო, სად ხედავ, რომ შეუწყნარებელ საზოგადოებაში ვცხოვრობთ?! რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობს, მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც ფიქრობ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს აქ არ ცხოვრობ. |
| ანდრო | მე მაინც ჩემს აზრზე ვრჩები. ჩვენ სიყვარული გვაკლია, პატივისცემის გრძნობა გვაკლია, ჰუმანიზმი გვაკლია! პრობლემა თითოეულ ჩვენგანშია. ტოლერანტობის პრობლემა არ ვრცელდება არც მარტო ერთეულებზე და არც მარტო ერთ რომელიმე ჯგუფზე, ეს ყველას ეხება! |
| ეკა ნინუა | მართალია ანდრო. უნდა დავაფასოთ და მივიღოთ თითოეული ჩვენგანი ისეთი, როგორიც არის. |

**6.** **მოისმინე დიალოგი და შეასრულე მოცემული მითითებები.**

ა. დააკონკრეტე საკომუნიკაციო სიტუაცია (*ვინ არიან თანამოსაუბრეები, სად საუბრობენ ისინი და რა არის მათი საუბრის ძირითადი თემა?*);
ბ. დაასახელე მიზეზი, რამ განაპირობა ამ თემაზე საუბარი;
გ. ისაუბრე თითოეული თანამოსაუბრის შესახებ (*გამოკვეთე მისი პოზიცია; დაასახელე კონკრეტული თანამოსაუბრის არგუმენტები*);
დ. შეაფასე ცალკეული მოსაუბრის არგუმენტები (*რა არის არგუმენტად გამოყენებული – კონკრეტული ფაქტი (ცხოვრებისეული გამოცდილება, სტატისტიკური მონაცემები...) თუ ავტორიტეტები (ცნობილი ადამიანების პოზიციები...); არის თუ არა ეს არგუმენტები მყარი და დამაჯერებელი*).

**7.** **იმსჯელე, როგორ გესმის მოცემული ფრაზები. გაამყარე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითით.**

- „ტოლერანტობა – ეს არის თავისუფლება მრავალფეროვნებაში!“
- „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ“



გვ. 87

## <u>მოსწავლის წიგნი</u>

5. მოსწავლეები ეცნობიან ფორუმში გამოხატულ მოსაზრებებს და პასუხობენ შეკითხვებს.

## <u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 106 № 3: ფორუმზე დაყრდნობით სრულდება კომპლექსური დავალება.

## <u>მოსწავლის წიგნი</u>

6. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს და ასრულებენ ა—დ პუნქტებში მოცემულ მითითებებს.
7. მოსწავლეები მსჯელობენ ტოლერანტობის ცნების შესახებ.

გვ. 88

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის დახმარებით და ა—გ პუნქტებზე დაყრდნობით, მოსწავლეები აყალიბებენ მოსაზრებებს ჩამოთვლილ ცნებებთან დაკავშირებით.
2. მოსწავლეები იხსენებენ კულტურის აისბეგრის მოდელს და პასუხობენ ა—გ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს.
3. ჩარჩოში მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ თემაზე.
4. ილუსტრაციებზე დაყრდნობით, მოსწავლეები მსჯელობენ ეთნოცენტრიზმსა და რასიზმზე.

მოსწავლის რვეული

გვ. 108 № 1— გვ. 109 № 4; სრულდება დავალებების სერია კონტექსტზე დაყრდნობით.

თემა 3

## ეთნოცენტრიზმიდან რასიზმამდე

*„ბარბაროსი ისაა, ვისაც საკუთარი ტომის წესები ბუნების კანონები ჰგონია“.*
ბერნარდ შოუ

1. **როგორ გესმის სიტყვების – *დისკრიმინაცია, ეთნოცენტრიზმი, რასიზმი* – მნიშვნელობა? წაიკითხე მოცემული განმარტებები და დააკავშირე შესაბამის სიტყვებთან.**
   ა. ის ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მთავარ განმსაზღვრელად გენეტიკურ ფაქტორებს მიიჩნევს.
   ბ. უარის თქმა სხვა ადამიანების უფლებებზე, შესაძლებლობების რეალიზაციაზე.
   გ. საკუთარი ეთნიკური ჯგუფისა და კულტურის უპირატესობის აღიარება სხვასთან შედარებით.
2. **გაიხსენე კულტურის აისბერგის მოდელი და იმსჯელე მოცემულ შეკითხვებზე.**
   ა. რა არის ის, საერთო, რაც ყველა ან თითქმის ყველა საზოგადოებასა და კულტურას ახასიათებს? რა შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. კულტურის უნივერსალიებად (მაგ., *ოჯახი, ბავშვებზე ზრუნვა, ქორწინება, რელიგია* და სხვ.)?
   ბ. როგორ გამოიხატება სხვადასხვა კულტურაში ეს უნივერსალიები და რა ქმნის ამ განსხვავებულ მიდგომებს, წარმოდგენებს?
   გ. რა განაპირობებს, შენი აზრით, ეთნოცენტრიზმს? უკავშირდება თუ არა ის ადამიანთა წინასწარ განწყობებსა და ცრურწმენებს?
3. **გაეცანი ეთნოცენტრიზმის მაგალითებს ისტორიიდან და გაავლე პარალელები თანამედროვე სამყაროსთან. როგორ ფიქრობ, ახასიათებს თუ არა ეთნოცენტრიზმი თანამედროვე სამყაროსა და თითოეულ ჩვენგანს? დაასაბუთე პოზიცია სათანადო არგუმენტებით.**

ძველი ბერძნები კაცობრიობას ელინებად და ბარბაროსებად ყოფდნენ. ისინი გამართლებულად და სწორად მხოლოდ საკუთარი ცხოვრების წესს მიიჩნევდნენ, დანარჩენი სამყარო კი მათთვის არაცივილიზებული და ბარბაროსული იყო.

ეთნოცენტრიზმის გამოხატულება იყო ევროპელი მისიონერების დამოკიდებულება ამერიკის ადგილობრივ მოსახლეობას – აბორიგენ ინდიელებთან. ისინი ახლად აღმოჩენილი კონტინენტის მკვიდრ მოსახლეობას „პრიმიტიულად“ და „ჩამორჩენილად“ მიიჩნევდნენ.

4. **რა საერთო აქვს ეთნოცენტრიზმსა და რასიზმს? რა არის რასიზმის საფუძველი? რას ნიშნავს რასობრივი დისკრიმინაცია? დააკვირდი მოცემულ ფოტოებს და შეადარე ერთმანეთს. დაასახელე მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.**




88 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

**5. როგორ შევუწყოთ ხელი ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რასობრივი დისკრიმინაცია?**

**6. გაეცანი ამონარიდებს იუნესკოს ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაციიდან და შეასრულე დავალებები რვეულში.**

იუნესკოს „ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია"

პრეამბულა

იუნესკოს 1945 წლის 16 ნოემბერს მიღებული წესდების პრეამბულაში ნათქვამია: „იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მშვიდობა, იგი უნდა დაეფუძნოს კაცობრიობის ინტელექტუალურ და ზნეობრივ სოლიდარობას!"

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აცხადებს: „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა" (მუხლი 18), „აზრისა და გამოხატვის თავისუფლებისა" (მუხლი 19); განათლებამ „ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას" (მუხლი 26).

წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან: დაამკვიდრონ და ხელი შეუწყონ ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას რასის, სქესის, ენის, ეროვნული წარმომავლობის, რელიგიისა თუ შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე განსხვავების გარეშე და ებრძოლონ შეუწყნარებლობას!

უნდა განვახორციელოთ ყველანაირი პოზიტიური ზომა ჩვენს საზოგადოებებში ტოლერანტობის დამკვიდრების ხელშესაწყობად, ვინაიდან ტოლერანტობა არა მარტო უმნიშვნელოვანესი პრინციპია, არამედ – აუცილებლობაც იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მშვიდობა.

ტოლერანტობის პრინციპები

ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში. ეს მარტო მორალური ვალი კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა სათნოებაა, რომელიც ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს. ტოლერანტობა არ არის დათმობა, მოწყალება ან შეწყნარება. ის სხვა ადამიანების საყოველთაო უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებაა. ტოლერანტობა პასუხისმგებლობაა, რომელიც გულისხმობს პლურალიზმის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ჯგუფისა და ცალკეული წევრის მიმართ თანასწორი დამოკიდებულებები და თანაბარი შესაძლებლობები. ტოლერანტობის გარეშე შეუძლებელია მშვიდობა, ხოლო მშვიდობის გარეშე შეუძლებელია განვითარება ან დემოკრატია.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს აქვთ შესაძლებლობა, კონსტრუქციული როლი შეასრულონ თავისუფალი და ღია დიალოგისა და დისკუსიის ხელშესაწყობად. უზრუნველყოფილი უნდა იქნას არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფების კულტურისა და ფასეულობების პატივისცემა; მათი სოციალური და პროფესიული წინსვლისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთგაგების, სოლიდარობისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს შორის. მან უნდა აღზარდოს ისეთი მოქალაქეები, რომლებსაც ექნებათ უნარი, აღიქვან სხვა კულტურები, დააფასონ თავისუფლება, პატივი სცენ ადამიანის ღირსებასა და განსხვავებულობას; თავიდან აიცილონ კონფლიქტები ან გადაჭრან ისინი არაძალადობრივი საშუალებებით.



## გვ. 89

**მოსწავლის წიგნი**

5. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების საწინდრის შესახებ.
6. მოსწავლეები ეცნობიან ამონარიდებს გაეროს ბავშვთა ფონდის დეკლარაციიდან და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 110 № 1 — გვ. 111 № 6: სრულდება დავალებების სერია კონტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 90

**მოსწავლის წიგნი**

1. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები თავს უყრიან ინფორმაციას ბოშების შესახებ და პასუხობენ ა—ვ პუნქტებში მოცემულ შეკითხვებს.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ამოწმებენ ვერსიების პასუხების სისწორეს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 112 № 1, 2: სრულდება წაკითხულის გაგების შესამოწმებელი დავალებები.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას ჰიმნის შესახებ და ასრულებენ დავალების ა—დ და ა—ბ პუნქტებს.

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 112 № 3— გვ. 113 № 5: სრულდება კონტექსტთან მჭიდროდ დაკავშირებული კომბინირებული დავალებები.

თემა 3

ბოშათა პორტრეტები

**1. რა იცი ბოშების შესახებ? გაეცანი მოცემულ შეკითხვებს და უპასუხე.**

შენი აზრით:

ა. რით არიან ბოშები გამორჩეულები?
ბ. რა ჰქვია მათ სამშობლოს?
გ. საქართველოს გარდა, მსოფლიოს კიდევ რომელ ქვეყნებში არიან ისინი განსახლებულები?
დ. აქვთ თუ არა მათ საკუთარი სახელმწიფო?
ე. რას გამოხატავს ბოშების დროშის ფერები და მასზე გამოსახული ბორბალი?
ვ. რა ენაზე საუბრობენ ბოშები?

**2. წაიკითხე მარჯვნივ მოცემული ტექსტი და შეამოწმე შენი ვერსიები. თავიდან უპასუხე პირველ დავალებაში მოცემულ შეკითხვებს.**

**3. წაიკითხე ინფორმაცია ჰიმნის შესახებ და შეასრულე მოცემული მითითება.**

ბოშების ჰიმნი დაწერილია ხალხური სიმღერის საფუძველზე. ჰიმნის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული მელოდია და ყოველი შემსრულებელი მას საკუთარი ინტერპრეტაციით ასრულებს. არსებობს ტექსტის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაც მხოლოდ პირველი სტროფი და მისამღერი აქვს ერთნაირი. ბოშები სიმღერის ყველა ვარიანტს აღიარებენ ჰიმნად.

უპასუხე შეკითხვებს.

ა. ვინ არის ჰიმნის ავტორი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.
ბ. რა თავისებურებები ახასიათებს ჰიმნის მელოდიას?
გ. რა აქვს საერთო ჰიმნის ტექსტებს ერთმანეთთან?

წაიკითხე და დაასახელე სწორი ვარიანტი.რა არის ამდენი განსხვავების საფუძველი?

ა. ბოშათა მსოფლიო კონგრესმა გადაწყვიტა ასე;
ბ. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ბოშებს მეტნაკლებად განსხვავებული მუსიკალური კულტურა აქვთ.



ბოშები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრები ხალხია. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით, მათი რიცხვი მსოფლიოში 2,5-დან 12 მილიონამდე მერყეობს. უმეტესად, უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, რუმინეთში, ბულგარეთსა და რუსეთში სახლობენ.

1971 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბოშათა მსოფლიო კავშირი შეიქმნა, რომელიც ევროპის ბოშური ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს. ბოშათა საერთაშორისო დღე, რომელიც 8 აპრილს აღინიშნება, 1971 წელს ლონდონში შეკრებილმა ბოშათა პირველმა საერთაშორისო კონგრესმა დააწესა. 30 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს ნაციონალური სიმბოლოები: დროშა და ჰიმნი – „ჯელემ, ჯელემ“ (ანუ, წავედით, წავედით).

დროშა ორფერიანია და ლურჯი და მწვანე ფერები, სიმბოლურად, ცასა და მიწას გამოხატავს. დროშის ცენტრში მოთავსებულია წითელი ჩაკრა (ბორბალი), რომელიც ბოშების ინდოარიულ წარმოშობაზე მიუთითებს (ანალოგიური ჩაკრა ინდოეთის დროშაზეც არის გამოსახული).

ბოშები საუბრობენ ბოშების ენაზე, რომელიც რამდენიმე დიალექტად იყოფა. ასევე საუბრობენ იმ ერების ენებზეც, რომელთა შორისაც მომთაბარეობენ და ცხოვრობენ.

მიიჩნევა, რომ ბოშები წარმომავლობით ინდოეთიდან არიან. ვარაუდობენ, რომ მათ წინაპრებს ინდოეთი პირველი ათასწლეულის ბოლოს უნდა დაეტოვებინათ. სავარაუდოდ, ისინი პირველად დღევანდელი ირანის, ეგვიპტისა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში განსახლდნენ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულისკენაც დაიძრნენ. XV-XVI საუკუნეებში ბოშები უკვე ევროპასა და ჩრდილო აფრიკაში, XIX ს-ში კი – ამერიკის კონტინენტსა და ავსტრალიაშიც სახლდებიან.

90 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

გვ. 91



**4. რა იცი საქართველოში მცხოვრები ბოშებისა და მათი კულტურის შესახებ? ისაუბრე მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.**

ა. სად სახლობენ ისინი?
ბ. როდიდან ცხოვრობენ ისინი საქართველოში?
გ. როგორია მათი ცხოვრების სტილი? ჩაცმულობა? საქმიანობა?
დ. იცნობ თუ არა მათ ტრადიციებს? რას მიიჩნევენ ბოშები ყველაზე დიდ შეურაცხყოფად?
ე. როგორია მათი სოციალური ურთიერთობები?
ვ. ცხოვრობენ თუ არა ბოშები შენს რეგიონში / ქალაქში / სოფელში?
ზ. გქონია თუ არა მათთან ურთიერთობა?
თ. სწავლობენ თუ არა ისინი შენს სკოლაში?

**5. გაეცანი მარჯვნივ მოცემულ ტექსტს და შეამოწმე შენი ვერსიები.**

**6. დაუბრუნდი ტექსტს და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რას ნიშნავს „მომთაბარე“ ცხოვრება? „ბანაკებად დასახლება“?
ბ. ვინ წარმართავს ბოშათა ბანაკის ცხოვრებას?
გ. ვის აქვს ბელადობის უფლება?
დ. რა არის „სენდო“, ვინ არიან მისი წევრები და რა დანიშნულება აქვს „სენდოს“?
ე. როგორია ბოშების დამოკიდებულება „სენდოსადმი“ და საიდან ჩანს ეს?



### ბოშები საქართველოში

ბოშების საქართველოში ჩამოსახლების ზუსტი ისტორიული თარიღი უცნობია. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ ბოშათა მომთაბარე ჯგუფები საქართველოში პირველად XIX ს-ის დამდეგს გამოჩნდნენ. მათ ძირითად საქმიანობას მცირე ვაჭრობა და მკითხაობა წარმოადგენდა. ბოშათა დიდი ნაკადი კი 1930-იან წლებში, ძირითადად, უკრაინიდან და მოლდოვიდან შემოვიდა. ისინი, უმთავრესად, შავი ზღვის სანაპიროსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსდნენ.

ამჟამად ბოშათა უმრავლესობა, დაახლოებით, 250-300 ადამიანი, თბილისშია დასახლებული. ბოშები ცხოვრობენ აგრეთვე იმერეთში, აჭარაში, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში როგორც პატარა სოფლებში, ასევე სხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებსა თუ ქალაქებში.

### ცხოვრების სტილი

მომთაბარე ცხოვრების სტილმა განაპირობა ის, რომ ბოშები, ძირითადად, ბანაკებად ცხოვრობდნენ. როგორც წესი, ბანაკი 10-დან 25 ოჯახს ითვლიდა. კაცები ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ხაზგასმულ პატივს მიაგებდნენ ოჯახის უფროს წევრებსაც. ბანაკს ხელმძღვანელობდა ბელადი, როგორც წესი, უფროსი თაობის ადამიანი. კონფლიქტებსა და სადავო საკითხებს განიხილავდა სასამართლო („სენდო“), რომელშიც უფროსი თაობის წარმომადგენლები შედიოდნენ. „სენდოს“ გადაწყვეტილება უსიტყვოდ სრულდებოდა.

### კულტურა და ტრადიციები

ერთობლივი ჭამა ბოშებისთვის სხვისი პატივისცემის, მეგობრობისა და თანასწორობის ნიშანია. გამასპინძლებაზე უარის თქმა კი შეურაცხყოფის ტოლფასია.

ბოშები სახელგანთქმულები არიან, როგორც კარგი მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები. მათი ფოლკლორი განსაკუთრებით პოპულარულია სამხრეთაღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მათი ნაციონალური სადღესასწაულო საკვებია: ფქვილში მომზადებული კომბოსტოს, ბრინჯისა და ხორცის შეჭამანდი („შახ ტულიარდო“); სქელი წვნიანი ხორცით, წიწაკითა და პომიდვრით („პაპრიკაში“); ხაჭოთი, ქიშმიშითა და შაქრით მომზადებული რულეტი („სავიაკო“).

*მომზადებულია ტოლერანტობის ცენტრის მასალებზე დაყრდნობით, „ეთნოსები საქართველოში“, 2008 წელი.*



## მოსწავლის წიგნი

4. მოსწავლეები პასუხობენ ა—თ პუნქტებში მოყვანილ შეკითხვებს საქართველოში მცხოვრები ბოშების შესახებ.
5. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტებს და ამოწმებენ თავიანთ მოსაზრებებს.
6. ტექსტებზე დაყრდნობით, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს (ა—ე პუნქტები).

გვ. 92

**მოსწავლის წიგნი**

1. მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას და მსჯელობენ გადმოცემული ინფორმაციის შესახებ.
2. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს (ა—ვ).

📖 მოსწავლის რვეული

გვ. 114 №1, 2: სრულდება დავალებები ტექსტზე დაყრდნობით.

**მოსწავლის წიგნი**

3. მოსწავლეები მსჯელობენ დავალების ა—ბ პუნქტებზე დაყრდნობით.

თემა 3

**1. დააკვირდი ფოტოს და ისაუბრე მის შესახებ. რის შესახებ იძლევა მოცემული ფოტო ინფორმაციას? მიუთითე ფოტოზე, რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს.**

**2. მოძებნე მოცემულ შეკითხვებზე პასუხები ტექსტში და დაასახელე.**

ა. რით იქცევდნენ ბოშები ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღებას?
ბ. როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის პირველი განწყობა მათ მიმართ და რატომ?
გ. შენი აზრით, ბოშების სილაღე და უდარდელობა პოზიტიური სტერეოტიპია თუ ნეგატიური?
დ. როგორ ფიქრობ, რამ შეუწყო ხელი ამ სტერეოტიპის ჩამოყალიბებას?
ე. რამ შეცვალა ადგილობრივი მოსახლეობის თავდაპირველი კეთილგანწყობა და რაში გამოიხატა ეს?
ვ. სადამდე ნივიდა ბოშების დისკრიმინაცია საბოლოოდ?



ევროპაში მომთაბარე ბოშები ხალხის ინტერესს იწვევდნენ. ისინი შავგვრემნები იყვნენ, შავი თვალები და თმა ჰქონდათ. ენით, ჩაცმულობითა და ქცევით ძალიან განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ერთი შეხედვით, ლაღი და მოხეტიალე ბოშები სიხარულსაც და მწუხარებასაც სიმღერითა და ცეკვით გამოხატავდნენ.

ბოშების მიმართ თავდაპირველი კეთილგანწყობა მალე მათი დევნით შეიცვალა. ბოშები გარიყეს საზოგადოებისაგან. მათ უფლება აღარ ჰქონდათ, სოფლებში დაბანაკებულიყვნენ. წინასწარ შექმნილი სტერეოტიპები მათი დევნის მიზეზი გახდა. ბოშებს კანონგარეშე პირებად აცხადებდნენ და ქვეყნის საზღვრებ გარეთ ასახლებდნენ. მრავალსაუკუნოვანი დევნისა და დისკრიმინაციის ისტორია მე-20 ს-ის I ნახევარში ფაშისტური გერმანიის სისასტიკით დაგვირგვინდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში 500 ათასზე მეტი ბოშა დაიღუპა.

„ისტორიის მანძილზე ისინი იყვნენ ძალადობრივი ასიმილაციის საგანი; ბოშების ენა აკრძალული იყო ზოგიერთ ქვეყანაში და შვილებს ძალით ართმევდნენ მშობლებს... ბევრ ქვეყანაში გამოცემული იყო კანონები, რომლებიც აიძულებდა მათ ერთ ადგილას დასახლებას. დღესაც ბოშების საზოგადოება კვლავ არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის, დევნისა და იზოლაციის საგანი ყველა ევროპულ ქვეყანაში“ (ენციკლოპედიური ლექსიკონი).

2012 წელს ევროკავშირმა, მსოფლიო ბანკმა და გაერომ ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ბოშების შესახებ კვლევა ჩაატარეს. კვლევაში მონაწილეობა 22 ათასზე მეტმა აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში მცხოვრებმა ადამიანმა მიიღო. კვლევის შედეგების თანახმად, ევროპაში მცხოვრები ბოშების 90%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. რაც შეეხება განათლებას, ამ უნცირესობის მხოლოდ 15%-ს აქვს სრულად მიღებული საშუალო განათლება.

დოკუმენტის თანახმად, სამიდან მხოლოდ ერთ ბოშას აქვს ანაზღაურებადი სამუშაო, ხოლო ბოშათა, დაახლოებით, 20%-ს არ აქვს სამედიცინო დაზღვევა. მათი 45% ცხოვრობს ისეთ საცხოვრებელში, რომელსაც აკლია სულ მცირე ერთი ძირითადი მოხმარების საგანი, მაგალითად, ელექტროგაყვანილობა.

ბოშათა თითქმის ნახევარი აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში თავად იყო დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი.

**3. დაუბრუნდი ტექსტს და ისაუბრე ბოშების დღევანდელ მდგომარეობაზე ევროკავშირის, მსოფლიო ბანკისა და გაეროს მიერ 2012 წელს ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით.**

ა. ვინ მიიღო კვლევაში მონაწილეობა და რამდენად მასშტაბური იყო ეს კვლევა?
ბ. როგორია კვლევის შედეგები სოციალური დაცვის, განათლების, ეკონომიკური მდგომარეობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით?

92 ვისწავლოთ ცხოვრება ერთად

**4. წაიკითხე ნაწყვეტი წერილიდან და შეასრულე დავალებები რვეულში.**

*„რაჯასტანიდან ანდალუზიამდე“*

„მცხუნვარე მზისგან გამომშრალ ქვიშაში მცირერიცხოვანი ქარავანი რაჯასტანის უდაბნოში წყლისკენ იკვლევს გზას. ქარავანი ჭასთან ახლოს ბინავდება. ქალები და გოგონები ისეთ ლაჟღაჟა ტანისამოსში არიან გამოწყობილნი, როგორსაც მხოლოდ სიზმარში თუ ნახავთ. მოქარვნეთა ყოფა იმდენად რეალისტური და ყოფითია, რომ, როცა მთელ ამ უდაბნოში ერთადერთ ხესთან საზეიმო სამოსში გამოწყობილი ქალი თავბრუდამხვევად იწყებს ცეკვას გამყინავი ხმის მქონე ბიჭის სიმღერაზე, რთულია იმის გარკვევა, სინამდვილეში რა ხდება ეკრანზე.

ასე იწყება ფილმი-მიუზიკლი „კეთილი მგზავრობა“ (გატცჰო დრომ), რომელიც 1993 წელს გადაიღო შესანიშნავმა ფრანგმა რეჟისორმა, ბოშურ-ბერბერული წარმოშობის ტონი გატლიფმა, რომლის თითქმის ყველა ფილმი ბოშურ თემატიკას ეძღვნება.

ათასობით წლის წინ ინდოეთის უდაბნოში დაწყებული ბოშების მოგზაურობის ისტორია ესპანურ ფლამენკოში გაჟღერებული თანამედროვე შიდაევროპული მიგრაციით მთავრდება. ფილმის ძირითად ნაწილში დიდი და ხმაურიანი ორომტრიალია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს აურზაური შემთხვევით მოხვდა ოპერატორის კამერაში, რომელიც მომთაბარეებს მისდევს უკან განსხვავებული ეპოქების ზღვარზე...

ეს სამყარო მართლაც საოცარია. რაღაცნაირი „შავტუხა“ პატარა ბიჭები „მდიდარი“ ბიძების ფეხსაცმელს წმენდენ, მოზარდები ერთმანეთს ეპრანჭებიან, ხალხმრავალ მოედანზე მამაკაცი დათვთან ერთად ართობს პუბლიკას. არაბულ მოტივებზე მოცეკვავეები ცეცხლს ანთებენ, ღრმად მოხუცი ბებიები კი ყველგან თამბაქოს ახრჩოლებენ არამიწიერი უსაქმურობით...

სურათი თითქოს მთელი ხალხის დიდ საიდუმლოს განდობს და გეუბნება, რომ ეს ბუნება, ეს მტრული კლიმატი, საცხოვრებლებში დაუდგრომელი აყალმაყალი და მთელი ეს სამყარო ნამდვილია.

ეს უნიკალური, უძველესი, მრავალფეროვანი და მოხეტიალე ფოლკლორია, რომელსაც შესაფერისი ადგილი არცერთ მუზეუმში არ მოეძებნება.

**სოსო ხაჩიძე**
tsigani.blogspot.com.s3.gvirabi.com/











გვ. 93

**<u>მოსწავლის წიგნი</u>**

4. მოსწავლეები კითხულობენ ნაწყვეტს ს. ხაჩიძის წერილიდან „რაჯასტანიდან ანდალუზიამდე“ და ასრულებენ შესაბამის დავალებებს მოსწავლის რვეულში.

<u>მოსწავლის რვეული</u>

გვ. 114 № 3 — გვ. 115 № 4: სრულდება დავალებები ტექსტზე დაყრდნობით.

გვ. 115 № 5: მოსწავლეები მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას ბოშების შესახებ და მოძიებულ მასალას გააცნობენ თანაკლასელებს.

გვ. 94

**მოსწავლის წიგნი**

წაკითხულის გააზრება



## წაკითხულის გააზრება



*თანამედროვე ამერიკელი მწერალი ქალის, ჰარპერ ლის რომანი "ნუ მოკლავ ჯაფარას" [1] რასიზმის თემაზე დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია. რომანში აღწერილია აშშ-ის სამხრეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქის, მაიკომის ცხოვრება XX საუკუნის 30-იან წლებში. ესაა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ის პერიოდი, როდესაც შავკანიანი მოსახლეობის — აფრიკელი ამერიკელების უფლებები ძალზე შეზღუდული იყო. აფრიკელ ამერიკელებს უფლება არ ჰქონდათ, თეთრკანიანი მოსახლეობის გვერდით დამსხდარიყვნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სასამართლოში, ეკლესიაში; ესწავლათ სკოლაში, მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ყოფილიყვნენ სასამართლოს ნაფიცი მსაჯულები; დაუშვებელი იყო ქორწინება თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის.*

*ჰარპერ ლის რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, თეთრკანიანი ადვოკატი ატიკუს ფინჩი, ქალაქ მაიკომის სასამართლოში იცავს შავკანიან მუშას, ტომ რობინსონს, რომელსაც თეთრკანიანი რობერტ იუელი და მისი ქალიშვილი მძიმე დანაშაულში სდებენ ბრალს. ატიკუს ფინჩმა სასამართლოზე დამაჯერებლად დაამტკიცა ტომ რობინსონის უდანაშაულობა.*

*ქვემოთ მოყვანილია 2 ფრაგმენტი წიგნიდან:*

I. *სიტყვა, რომლითაც ატიკუს ფინჩმა მიმართა სასამართლოს ნაფიც მსაჯულებს განაჩენის გამოტანის წინ;*

II. *ატიკუს ფინჩისა და მისი შვილების საუბრის ნაწილი.*

**1. წაიკითხეთ მოცემული ფრაგმენტები და შეასრულე დავალებები რვეულში.**

**I.** ჯენტლმენებო, თავს არ შეგაწყენთ, ... მაგრამ მინდა დარჩენილ დროში შეგახსენოთ, რომ ეს საქმე უაღრესად მარტივია და ჩახლართული ფაქტების გულდასმით კვლევას არ საჭიროებს... გამოძიებამ არ წარმოადგინა არავითარი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ტომ რობინსონმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული. ბრალდება დაეყრდნო მხოლოდ ორი მოწმის, იუელების, ძალზე საეჭვო ჩვენებებს, რომლებიც ტომ რობინსონმა სავსებით უარყო.

მოწმეები თქვენ წინაშე წარდგნენ თავხედური რწმენით, რომ მათ ჩვენებაში ვერავინ შეიტანდა ეჭვს და რომ თქვენ ყველანი გაიზიარებდით მათ მოსაზრებას, მახინჯ მოსაზრებას, თითქოსდა ყველა ზანგი მატყუარაა, ყველა ზანგი უზნეოა; თითქოსდა თეთრკანიან ქალბატონებს ყოველი შავკანიანი მამაკაცისა უნდა ეშინოდეთ. ასეთი მოსაზრება კი მხოლოდ ხსენებული მოწმეების დონის ადამიანმა თუ შეიძლება გაიზიაროს. .. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს თავისთავად სიცრუეა, სიცრუე, რომელიც გამოაშკარავებასაც კი არ საჭიროებს, რადგან ჭეშმარიტება ყველას მშვენივრად მოეხსენება. ის, რომ ზოგი ზანგი ტყუის, ზოგი კი უზნეოა — ჭეშმარიტებაა, რომელიც მთელ კაცობრიობაზე ვრცელდება და არა მხოლოდ რომელიმე ცალკეულ რასაზე. ამ დარბაზში შეუძლებელია, იჯდეს თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, ვისაც არც ერთხელ არ უთქვამს ტყუილი, არასოდეს მოქცეულა უზნეოდ...

1. თომას ჯეფერსონი (1743-1826 წწ.) — ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორი, ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი.

ერთხელ თომას ჯეფერსონმა თქვა, რომ ადამიანები განგებამ თანასწორუფლებიანები გააჩინა..., თუმცა ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად დაჯილდოებული არ იბადება: ერთი ნიჭიერი იბადება, მეორეს გარემო პირობები უწყობს ხელს წარმატებაში, მესამეს სხვებზე უკეთ ეხერხება ფულის შოვნა; ზოგი ქალი სხვებზე უკეთ აცხობს ნამცხვრებს; არიან ადამიანებიც, რომლებიც განგებამ დაბადებითვე გამორჩეული ნიჭით დააჯილდოვა.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოში არსებობს საშუალება ყველა ადამიანის გასათანასწორებლად. იგი მათხოვარს როკფელერს უთანაბრებს, შლის ზღვარს ბრიყვსა და აინშტაინს შორის, უმეცარსა და უნივერსიტეტის რექტორს შორის. ესაა, ბატონებო, ჩვენი სასამართლო. სულ ერთია, იქნება ეს შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო, ყველაზე უფრო მიყრუებული უბნის სასამართლო თუ ეს პატივცემული სასამართლო, რომელსაც თქვენ ემსახურებით. თუმცა, ჩვენი მართლმსაჯულების სისტემაც არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისგან, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სასამართლო გვევლინება უდიდეს გამაწონასწორებლად — აქ ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია.

მე იდეალისტი არ ვარ და ამიტომ დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ არსებული სასამართლო უნაკლოა. მე მას იდეალურად ვერ მივიჩნევ, ვინაიდან იგი ცოცხალი,

მოქმედი სინამდვილეა. ჯენტლმენებო, სასამართლო არ შეიძლება იყოს იმათზე უკეთესი, ვინც მსაჯულთა მოვალეობას ასრულებენ. სასამართლო იმდენადაა სანდო, რამდენადაც სანდოა მსაჯულთა საბჭო; მსაჯულთა საბჭოს სამართლიანობას კი მასში შემავალი ცალკეული პირების სამართლიანობა განაპირობებს. მე ღრმად მწამს, ბატონებო, რომ თქვენ ყოველგვარი მიკერძოებისა და ანგარების გარეშე განსჯით, აწონ-დაწონით მტკიცებულებებს, სწორ დასკვნას გამოიტანთ და უდანაშაულო ადამიანს თავის ოჯახს დაუბრუნებთ. ღვთის გულისათვის, პირნათლად აღასრულეთ თქვენი ვალი!





*ატიკუს ფინჩის მცდელობის მიუხედავად, ქ. მაიკომის სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა ტომ რობინსონი დამნაშავედ მიიჩნიეს: მათთვის წარმოუდგენელი იყო იმის აღიარება, რომ სიმართლე შავკანიანის მხარეზეა, რომ თეთრკანიანი ტყუის და ცილს სწამებს შავკანიანს. მოგვიანებით ადვოკატმა ატიკუს ფინჩმა ამ სიტყვებით დაამშვიდა თავისი შვილები, რომლებიც აღშფოთებული იყვნენ უსამართლო*

*განაჩენით:*

**II.** „მსაჯულებმა რამდენიმე საათს იფიქრეს... განაჩენის გამოტანაზე ფიქრს მსაჯულები, ჩვეულებრივ, რამდენიმე წუთზე მეტს არ ანდომებენ, ამჯერად...კი ერთ-ერთ მსაჯულს დიდი გაჭირვებით შეაცვლევინეს თავისი გადაწყვეტილება: თავიდან თურმე ტომ რობინსონის გათავისუფლებას ითხოვდა. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ, ვინ იცის, იქნებ, ეს დასაწყისიც კია...".






გვ. 95

**მასწავლებლის კომენტარი**

# 9
# მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიპციები

## გამოძიება

### სიმართლე და სამართალი

**მოსწ. წიგნი, მე-3 გვერდი: დავალება №2 მოისმინე ინფორმაცია და შეადარე შენს ვარაუდებს.**

კვლევების თანახმად, ადამიანთა უმრავლესობა დღეში ერთხელ მაინც ცრუობს. გარკვეულ პირობებში და გარკვეული ხარისხის ზეწოლისას ტყუილს ნებისმიერი ადამიანი ამბობს, თუმცა სიცრუისადმი მიდრეკილება სხვადასხვა ასაკსა თუ სოციალური ურთიერთობისას სხვადასხვანაირია. ისიც კი, ვისაც პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს, ნაკლებად, მაგრამ მაინც ამჟღავნებს სიცრუისადმი მიდრეკილებას. ასევე ნაკლებად იტყუებიან დეპრესიით დაავადებულები.

სტატისტიკის მიხედვით, ორივე სქესი დაახლოებით თანაბარი სიხშირით ცრუობს, ოღონდ ქალები სიმართლეს უმეტესად იმიტომ მალავენ, რომ სხვების გრძნობებს უფრთხილდებიან. კაცები კი უფრო ხშირად საკუთარი თავის შესახებ ჰყვებიან ტყუილებს.

სტატისტიკამ ისიც აჩვენა, რომ ტყუილის ამოცნობის უნარი, მამაკაცებთან შედარებით, ქალებს უკეთესი აქვთ.

### „ბასკომბის ველის საიდუმლოება"

მე-5 გვერდი

**დავალება №2 რა მოხდა ბასკომბის ველზე? მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.**

ჰოლმსი და უოტსონი:

– ეს მკვლელობა ძალიან აწეწილ-დაწეწილი საქმეა – შვილს მამის მკვლელობას აბრალებენ.

– მაშ, მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად მივდივართ?

– ასე ვარაუდობენ. მე კი ვიდრე პირადად არ დავადგენ ფაქტებს, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. თუ გსურთ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ ამ საქმეზე ჩემს აზრს.

მე-7 გვერდი

**დავალება№4 მოისმინე და დაასახელე, რა არის ჰოლმსის წარმატების საიდუმლო?**

– აი, თუნდაც ერთ მაგალითს მოგიყვანთ, რაც ახლა გამახსენდა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს საწოლ ოთახში ფანჯარა მარჯვენა მხარესაა, იმას კი ვერ გეტყვით, ასეთ ცხად ფაქტს ლესტრეიდი მიხვდებოდა თუ არა.

– ნამდვილად ასეა, მაგრამ ღვთის გულისათვის, მითხარით, როგორ გამოიცანით, რომ ფანჯარა ჩემი საწოლის მარჯვნივაა?

– ჩემო ძვირფასო, მე თქვენ ძალიან კარგად გიცნობთ. ვიცი, რომ სამხედრო კაცის სიზუსტე და სიფაქიზე გახასიათებთ, ამიტომ პირს ყოველ დილით იპარსავთ, წელიწადის ამ დროს კი მზის ამოსვლის მერე იპარსებით. ამავე დროს ვამჩნევ, რომ სახის მარცხენა მხარე მარჯვენაზე ცუდად გაპარსული გაქვთ და, თუ მარცხენა ნაწილს ავიღებთ, იგი სრულიად უყურადღებოდ გაპარსული ჩანს. აქედან შემიძლია, დავასკვნა: პარსვის დროს ეს მხარე უფრო ცუდადაა განათებული, ვიდრე სახის მარჯვენა მხარე. თქვენი ხასიათი ვიცი და ვერ წარმომიდგენია, რომ სახეზე ერთნაირად გეცემოდეთ სინათლე და ასეთი შედეგით დაკმაყოფილდეთ. სწორედ ესაა ხოლმე ჩემი წარმატების საიდუმლოება და იქნებ ამ შემთხვევაშიც ბედმა გაგვიღიმოს.

მე-8 გვერდი

**დავალება №6 მოისმინე ჯეიმს მაკართის დაკითხვის სრული ვერსია და შეასრულე წიგნში მოცემული მითითება.**

მაისიდან შინ არ ვყოფილვარ. ბრისტოლიდან, სადაც სამი დღით ვიყავი, სწორედ ორშაბათს, სამში, დავბრუნდი. მამა სახლში არ დამხვდა. მოსამსახურე გოგომ მითხრა, მეჯინიბე ჯონთან ერთად როსში გაემგზავრაო. მალე ორთვალას ბორბლების ხმა მომესმა. ფანჯრიდან რომ გადავიხედე, თვალი მოვკარი მამას, რომელიც სწრაფად გავიდა ეზოდან. ავიღე თოფი და ბასკომბის ველზე კურდღლებზე სანადიროდ გავემართე. გზაზე უილიამ კრაუდერი შემომხვდა, მაგრამ მეტყევე ცდება, როცა ამბობს, თითქოს მამას უკან მივყვებოდი. მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ის ჩემ წინ მიდიოდა. ტბორამდე ასი ნაბიჯი იყო დარჩენილი, უეცრად რომ გავიგონე: „გუიი!" ასე ვეძახდით ხოლმე მე და მამაჩემი ერთმანეთს. წინ გავქანდი და დავინახე, რომ ტბორის წინ იდგა. შევატყვე, ჩემმა გამოჩენამ გააკვირვა და მკვახედ მკითხა, აქ რას აკეთებო. წავლაპარაკდით და კინაღამ ხელით შევეხეთ ერთმანეთს. მამა ძალიან ფიცხი კაცი იყო. როცა შევატყვე, რომ ადვილად არ დამშვიდდებოდა, გაცლა ვამჯობინე და ჰათერლეის ფერმის მიმართულებით გავწიე. ალბათ, ორმოცდაათი იარდიც არ მექნებოდა გავლილი, საზარელი ყვირილის ხმა მომესმა და უკან მოვბრუნდი. ადგილზე რომ მივედი, ვნახე, რომ მიწაზე თავგაჩეჩქვილი ეგდო მამაჩემი. ჯერ ისევ ცოცხალი იყო. თავი ავუწიე თუ არა, ხელებში ჩამაკვდა. იქ არავინ დამხვედრია და არ ვიცი, ვის უნდა მოეკლა. რამდენიმე წამს ასე დაჩოქილი ვიყავი, მერე ავდექი და მისტერ ტერნერის, მეველის სახლისკენ გავწიე. ყველაზე ახლოს სწორედ მისი სახლია.

მამაჩემი თავისებურ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. რამდენადაც ვიცი, აშკარა მტრებიც არ ჰყავდა. ამის მეტს ამ საქმეზე ვერაფერს ვიტყვი.

გამომძიებელი: – გითხრათ თუ არა მამათქვენმა რამე სიკვდილის წინ?

მოწმე: – რაღაც წაიბუტბუტა, მაგრამ მხოლოდ ერთი გავარჩიე, მგონი, თაგვიო, მითხრა.

გამომძიებელი: – რას უნდა ნიშნავდეს თაგვი?

მოწმე: – ჩემთვის არაფერს. მე მგონი, უკვე აბოდებდა.

გამომძიებელი: – რა იყო თქვენ შორის ტბორთან მომხდარი ჩხუბის მიზეზი?

მოწმე: – ამაზე მირჩევნია, არ გიპასუხოთ.

გამომძიებელი: – მე მოვითხოვ, რომ მიპასუხოთ!

მოწმე: – ნამდვილად არ შემიძლია მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა. ისე კი გარწმუნებთ, ჩვენს შელაპარაკებას იმ სამწუხარო ამბავთან, რაც მოხდა, კავშირი არ აქვს.

გამომძიებელი: – ამას სასამართლო გადაწყვეტს. მე მგონი, ზედმეტია იმის ახსნა, რომ ამ კითხვაზე თქვენი დუმილი თქვენს საწინააღმდეგოდვე იმოქმედებს.

მოწმე: – მე მაინც დუმილს ვარჩევ.

გამომძიებელი: – სიტყვით „გუიი" ერთმანეთს მიმართავდით, არა?

მოწმე: – დიახ.

გამომძიებელი: – მაშ, როგორ მოხდა, რომ მამათქვენს არ დაუნახიხართ და გეძახდათ, ან უფრო უარესი – იცოდა, რომ ბრისტოლში იყავით და გეძახდათ?

მოწმე: (შეშფოთებული) – არ ვიცი.

ნაფიცი მსაჯული: როცა მამა თავგაჩეხილი ნახეთ, საეჭვო არაფერი გინახავთ?

მოწმე: – განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია.

გამომძიებელი: რას გულისხმობთ განსაკუთრებულში, მაინც რა ნახეთ?

მოწმე: როცა ტყიდან გამოვვარდი, ისეთი აღელვებული ვიყავი, მამის გარდა არაფერზე ვფიქრობდი. მართალია, ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ მამასთან რომ მივირბინე, ჩემგან მარცხნივ მიწაზე რაღაც ეგდო. მაშინ ისე მომეჩვენა, თითქოს რუხი მოსასხამი, პლედი თუ რაღაც ამდაგვარი იყო. როცა ფეხზე წამოვდექი, მინდოდა მენახა, მაგრამ იქ უკვე აღარ იყო.

გამომძიებელი: – თქვენი აზრით, ის მანამდე გაქრა, ვიდრე მშველელის დასაძახებლად წახვიდოდით?

მოწმე: – დიახ, მანამდე.

გამომძიებელი: – მაინც არ შეგიძლიათ გარკვეულად თქვათ, რა იყო?

მოწმე: – არა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იქ რაღაც ეგდო.

გამომძიებელი: – გვამიდან რა მანძილით იქნებოდა დაცილებული?

მოწმე: – მე მგონია, თორმეტი იარდით, ცოტა მეტით ან ნაკლებით.

გამომძიებელი: – ტყიდან?

მოწმე: – ასეთივე მანძილით.

გამომძიებელი: – მაშასადამე, როცა ის ნივთი თუ რაღაც საგანი გაქრა, თქვენგან თორმეტი იარდით იყო დაცილებული, არა?

მოწმე: – სწორედ აგრეა, მაგრამ მე მისკენ ზურგშექცევით ვიყავი".

## 🎧 დავალება №7 მოისმინე უოტსონის ვარაუდი და შეადარე შენს ვერსიებს.

ერთი, რომ მამა შვილს ეძახდა ისე, რომ არც დაუნახავს, თანაც ბრალდებულმა უარი უთხრა გამომძიებელს მამასთან უსიამოვნო წალაპარაკების მიზეზის დასახელებაზე. ასევე ვერანაირი საგულისხმო ახსნა ვერ მისცა მან გამოძიებას მომაკვდავი მამის უკანასკნელ სიტყვებთან დაკავშირებით.

### მე-12 გვერდი

## 🎧 დავალება №6 მოისმინე შერლოკ ჰოლმსისა და ადგილობრივი გამომძიებლის – ლესტრიედის დიალოგი და შეადარე შენს ვერსიას.

– ამ ქვამ თქვენში გარკვეული ინტერესი უნდა აღძრას. ლესტრიედ, მკვლელობა სწორედ ამ იარაღითაა ჩადენილი, – უთხრა გამომძიებელს ჰოლმსმა.

– მაგრამ არავითარი კვალი ამას არ ამჩნევია!

– დიახ, არ ამჩნევია.

– აბა, როგორ გაიგეთ, რომ მკვლელობა ამ ქვით მოხდა?

– ქვის ქვეშ ბალახი ისევე თავისუფლად იყო ამოზრდილი, როგორც მის გარშემო.

– მკვლელი ვინღაა?

– იგი მაღალია, ცაცია, მარჯვენა ფეხით კოჭლობს, მონადირის ჩექმებს ატარებს, რუხი მოსასხამი ახურავს, მუნდშტუკით ინდურ სიგარებს ეწევა და ჯიბეში ბლაგვი დანა უდევს.

ლესტრეიდმა ჩაიცინა.

– მე ჯერ სკეპტიკურად ვუყურებ თქვენს ნამოღვაწარს, – უთხრა მან ჰოლმსს. – ძალიან კარგი თეორიაა, მაგრამ გავიწყდებათ, რომ ჩვენ საქმე უნიჭო ინგლისელ ნაფიც მსაჯულებთან გვექნება.

– ვნახოთ, – მშვიდად უპასუხა ჰოლმსმა. – თქვენ მუშაობის თქვენი მეთოდი გაქვთ, მე კიდევ – ჩემი. მგონია, საღამოს მატარებლით დღეს ლონდონში დავბრუნდები.

– და საქმეს შუა გზაზე მიატოვებთ?

– არა, დავამთავრებ.

– საიდუმლოება რომ ამოხსნილი არაა?

– ამოხსნილია.

– მკვლელი ვინაა?

– ის ჯენტლმენი, რომელიც მე აგიღწერეთ.

– სახელდობრ, ვინ?

– იგი არც ისე ძნელი მოსაძებნია. აქ ახლომახლო ბევრი ხალხი არ ცხოვრობს.

ლესტრეიდმა მხრები აიჩეჩა.

– მე არ შემიძლია ძებნა დავუწყო კაცს, რომლის შესახებაც მარტო ის ვიცი, რომ ცაციაა და მარჯვენა ფეხით კოჭლობს. მაშინ ხომ მთელი სკოტლენდ-იარდის სასაცილო შევიქმნები.

– კეთილი, – სწრაფად გამოეპასუხა ჰოლმსი, – მე გასაღები მოგეცით, თუ საქმეში ჩახედვა არ გინდათ, ძალას ვერ დაგატანთ. კარგად ბრძანდებოდეთ, წასვლის წინ წერილს მოგწერთ.

მე-13 გვერდი

**დავალება №1, დ. მოისმინე შერლოკ ჰოლმსისა და უოტსონის დიალოგის დასასრული და შეადარე შენს ვერსიას.**

– დიახ, ალბათ, მისი სიმაღლე ნაბიჯის საშუალებით გამოიანგარიშეთ, ხოლო ფეხსაცმლის გარკვევაში კვალი დაგეხმარათ. მისი ხეიბრობა საიდანღა დაადასტურეთ?

– მის მარჯვენა ფეხს უფრო მსუბუქი ნაკვალევი აქვს, ვიდრე მარცხენას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ იგი ტანის მთელი სიმძიმით მარჯვენა ფეხს არ აწვებოდა, ე.ი. კოჭლი უნდა იყოს.

– ცაციააო, ეს საიდანღა მოიტანეთ?

– ქირურგის ჩვენებაში დაზიანების აღწერამ თქვენ თვითონვე გაგაოცათ. უეცარი დარტყმა უკანა მხრიდან ჰქონდა მიყენებული და ისიც მარცხენა მხარეს. ასე მხოლოდ ცაციას შეეძლო დაერტყა. მამა-შვილის წალაპარაკების დროს ის ხის ქვეშ მდგარა და სიგარაც გაუბოლებია. ადგილზე სიგარის ფერფლი აღმოვაჩინე და მივხვდი, რომ მკვლელი ინდურ სიგარას ეწეოდა. ას ორმოცი სხვადასხვაგვარი თამბაქოს ფერფლი მაქვს შესწავლილი და გამოკვლეული. ფერფლს რომ წავაწყდი, სიგარის ნამწვავიც იქვე ვიპოვე. დიახ, ის მართლაც როტერდამში დამზადებული ინდური სიგარა გამოდგა.

– მუნდშტუკი?

– ნამწვს რომ დავაკვირდი, ზედ ნაკბილარები არ ემჩნეოდა. ე.ი. მკვლელი სიგარას მუნდშტუკით ეწეოდა. ნამწვის ბოლო კი უსწორმასწოროდ იყო მოჭრილი და ამიტომ ვივარაუდე, ჯიბეში ბლაგვი დანა უნდა ჰქონდეს-მეთქი.

– ჰოლმს, – ვუთხარი მე, – თქვენ დაუმსახურებელი სასჯელისაგან იხსენით უდანაშაულო ადამიანი. ჯეიმს მაკართი თქვენ პირდაპირ სახრჩობელადან ჩამოხსენით. მე გეტყვით მკვლელის სახელსა და გვარს...

## ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას

### სახელმწიფო და საზოგადოება

მე-3 გვერდი

**დავალება №2 მოისმინე ტექსტი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ და შეამოწმე შენი დავალება.**

ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიის სამეფოს დედაქალაქ პელაში დაიბადა. ტახტზე მამის გარდაცვალების შემდეგ, 20 წლისა ავიდა და სამეფოს 13 წლის განმავლობაში მართავდა.

ალექსანდრემ ეგვიპტეში ერთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი: დაყრობილ ტერიტორიებზე აარსებდა ქალაქებს, რომელთაც ალექსანდრიას არქმევდა.

ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მხედართმთავარი. მან იმ დროისათვის ცნობილი თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო. ტრიუმფით შევიდა იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს და უმდიდრეს ქალაქ ბაბილონშიც. შექმნა უდიდესი იმპერია, რომელშიც შედიოდა მაკედონია, ეგვიპტე, სირია, სპარსეთი და მცირე აზია.

324 წელს, როცა ალექსანდრე მაკედონელი ათწლიანი ლაშქრობის შემდეგ ქალაქ სუზაში შევიდა, მან თავისი სარდლები და 10 000 მეომარი სპარსელ ქალებზე დააქორწინა. ზოგიერთი მემატიანის აზრით, მას ამ გზით აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გაერთიანება სურდა. ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მე-4 გვერდი

**დავალება №4 მოისმინე ტექსტი ალექსანდრე მაკედონელისა და დიოგენეს შეხვედრის შესახებ და შეამოწმე შენი ვერსია.**

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ალების შესახებ ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ალექსანდრემ ერთ-ერთ ქალაქში ყოფნისას გამოჩენილი ფილოსოფოსი დიოგენე მოინახულა. დიოგენე მზეს ეფიცხებოდა, როდესაც ალექსანდრე თავისი სარდლების თანხლებით თავზე წამოადგა.

– მე ალექსანდრე ვარ! – უთხრა მეფემ.

– მე კი დიოგენე! – უპასუხა ფილოსოფოსმა.

– მითხარი, რაც გინდა და შენს ნებისმიერ სურვილს ავასრულებ, – მიმართა ალექსანდრემ.

– ცოტა გვერდით გადექი, მზეს ნუ მიჩრდილავ, – უპასუხა დიოგენემ.

ამგვარმა პასუხმა სარდლები მეტად აღაშფოთა, თუმცა ალექსანდრემ ისინი დააშოშმინა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მე რომ ალექსანდრე არ ვიყო, დიოგენეობას ვისურვებდი!

**რვეულში:**

ამერიკელმა მეცნიერებმა ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის საიდუმლო ამოხსნეს. აღმოჩნდა, რომ იგი შხამიანი წყლით მოწამლეს. მეცნიერთა ვერსიით, ის ბერძნული მდინარე სტიქსის წყლით მოწამლეს. მდინარე, რომელიც ბერძნული მითოლოგიით, მიწისქვეშა სამეფოშია (სადაც გარდაცვლილთა სულები განისვენებენ), სინამდვილეში დღესაც არსებობს. იგი პელოპონესის ნახევარკუნძულის მთებში მოედინება და მავრონერს, ანუ „შავ წყალს“ უწოდებენ.

ექსპერტები მივიდნენ მოსაზრებამდე, რომ დიდი მხედართმთავრის სიკვდილის მიზეზი განსაკუთრებით შხამიანი ბაქტერია იყო. „ეს ბაქტერია განსაკუთრებით ტოქსიკურია. ძველი ბერძნული მითოლოგიით, ღმერთები ადამიანებს ფიცს მდინარე სტიქსის ნაპირას ადებინებდნენ. მას, ვინც იტყუებოდა, ზევსი აიძულებდა, მდინარის წყალი დაელია. ლეგენდის თანახმად, ასეთი ადამიანე-

ბი მუნჯდებოდნენ და სიარულის უნარიც ერთი წლით ერთმეოდათ", – მიუთითებს გამოკვლევის ერთ-ერთი თანაავტორი, სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერ-ტოქსიკოლოგი ანტუანეტა ჰეისი.

„ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი სიმპტომი და ალექსანდრე მაკედონელის დაავადების მიმდინარეობა შეესაბამება სტიქსის შესახებ ძველბერძნულ მითებს. მან ხმაც დაკარგა და კომაში ჩავარდა, ანუ მოხდა ზუსტად ის, რაც ამ მდინარის წყლის დალევის შემდეგ ხდებოდა", – ამბობს გამოკვლევის კიდევ ერთი თანაავტორი, სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი ადრიენა მეიორი.

მკვლევრები არაფერს ამბობენ იმაზე, როგორ და ვის უნდა ჩაეტანა პელოპონესის ნახევარკუნძულის მთებიდან მდინარე სტიქსის წყალი შორეულ ბაბილონში, სადაც ალექსანდრე მაკედონელი იმყოფებოდა.

ალექსანდრე მაკედონელი ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ, ბაბილონში, ნაბუქოდონოსორის სასახლეში ღამეული ლხინის შემდეგ დაავადდა. მან ღვიძლის მოულოდნელი და მწვავე ტკივილი იგრძნო და ლოგინად ჩავარდა. 12 დღის განმავლობაში მაღალი სიცხე და სახსრების ტკივილი სტანჯავდა. შემდეგ კომაში ჩავარდა და გარდაიცვალა.

მე-7 გვერდი

**<u>დავალება №2 მოისმინე ინფორმაცია ტერმიტების შესახებ და შეამოწმე პასუხები.</u>**

ტერმიტები მწერების ერთ-ერთი სახეობაა. მათ თეთრ ჭიანჭველებსაც უწოდებენ, თუმცა მეცნიერები მათ ტარაკანების კლასს მიაკუთვნებენ. ჟიულ ვერნი მათ გიგანტურ ჭიანჭველებსაც უწოდებდა. ტერმიტები ძირითადად აფრიკის კონტინენტზე ბინადრობენ, თუმცა დედამიწის სხვა ადგილებშიც მრავლად ვხვდებით, მაგალითად, აზიასა და ავსტრალიაში.

ტერმიტებს ადამიანის მსგავსი კოლექტიურობა ახასიათებთ. ერთ ბუდეში, საშუალოდ, მილიონამდე ტერმიტი ბინადრობს. ისინი კოლონიებად ცხოვრობენ. თითოეული კოლონია მკაცრ სოციალურ სტრუქტურას ექვემდებარება. თანრიგით ყველაზე მაღლა დედოფალი და მამა ტერმიტი დგანან, რომელთა ძირითად და ერთადერთ ფუნქციას გამრავლება წარმოადგენს. შემდეგ მოდიან მუშა ტერმიტები, რომელთა ფუნქციები მოიცავს საკვების შოვნას, მის შენახვა-დაბინავებას, მშენებლობასა და სხვა. მესამე კასტას შეადგენენ ჯარისკაცები, რომელთა ფუნქციაც საკუთარი კოლონიის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა.

## ურთიერთობის ხელოვნება

1-ლი გვერდი

**<u>დავალება№4 მოისმინე და შეასრულე წიგნში მოცემული მითითება.</u>**

– კარგი რა, არც ერთი პოლიტიკოსის არ მჯერა. დღეს ერთს ამბობენ, ხვალ – მეორეს. სულ იტყუებიან. მე რომ მკითხო, არც ერთს არ უნდა მოუსმინო.

– სისულელეს ნუ ამბობ, რა!

– რა სისულელეს? ასე არ არის?

– სისულელეს ამბობ-მეთქი. კონკრეტულად მითხარი მაშინ, ვინ რა თქვა და არ შეასრულა!

– რა უნდა გითხრა კონკრეტულად, ყველა ასეა. მარტო დაპირებებს იძლევიან და მერე აღარ ახსოვთ.

– ეგ ტყუილთან რა შუაშია? კაცს რომ დაპირდები და მერე არ შეასრულებ, ეგ სხვა რამეა. მერე რაღაცით თავი ხომ უნდა გაიმართლოს, არა?

– ჰოდა, თავის მართლება მოტყუება არ არის?

– აუუ! კიდევ იმას ამბობ! თავის მართლება თავის მართლებაა და ტყუილი ტყუილია! მაშინ დაასახელე, კონკრეტულად ვინ რა მოიტყუა.

– კონკრეტულად რა მახსოვს? ჩართე ტელევიზორი და მოუსმინე!

– აუ, შენთან კამათს აზრი არ აქვს, რა!

– შენთან ხომ – რას ამბობ?!

## ჩვენ ვირჩევთ, ისინი მართავენ!

1-ლი გვერდი

**<u>დავალება №4. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია.</u>**

BBC თავის დოკუმენტურ ფილმში „I მსოფლიო ომი" აღნიშნავს: „ხალხი ისე უსმენდა მოედანზე მუსოლინის, როგორც კარუზოს; ტკბებოდა მისი „ტენორით". უფრო ყურადღებით რომ მოესმინათ, რასაც ის ამბობდა, შემდეგ ასეთი გაოცებულნი არ დარჩებოდნენ იმ კატასტროფით, რაც თავს დაატყდა ქვეყანას".

**რვეულში:**

**<u>მოისმინე რეპლიკები და დაასახელე, როგორია თითოეული მოქალაქის ქვეყანაში პოლიტიკური მართვის ფორმა.</u>**

I. იქ, საიდანაც მე ჩამოვედი, პოლიტიკა და მთავრობა არავის აინტერესებს. ხელისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენთან არ ხდება.

II. ჩვენთანაც აღარავის აინტერესებს პოლიტიკა. ადრე სხვაგვარად იყო. ვცდილობდით, მონაწილეობა მიგვეღო ქვეყნის მართვაში, მაგრამ ისინი, ვინც ქვეყნის სათავეში იდგნენ, ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ და მუდმივად გვემუქრებოდნენ. ნებისმიერი განსხვავებული აზრი ისჯებოდა. ხალხი დაიღალა და დღეს ხმას უკვე ველარ იღებს.

III. ჩვენი მთავრობა არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში. უმრავლესობამ გადაწყვიტა, ვინ უნდა მოსულიყო. ყოველთვის ასეა. თუ მთავრობა ვერ ასრულებს იმ დაპირებას, რასაც იძლევა, იცის, რომ აუცილებლად შეიცვლება.

## ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“

### მე-5 გვერდი

**დავალება №1 მოისმინე მეიჯერის სიტყვა და შეასრულე დავალებები რვეულში.**

მეგობრებო, სიზმარზე მოგვიანებით მოგახსენებთ, ჯერ სხვა რამ მაქვს სათქმელი. კარგა ხნის ვარ, მეგობრებო, ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ჰოდა, სანამ იმქვეყნად გავეშურებოდე, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემი სიბრძნე გაგიზიაროთ.

რაში მდგომარეობს, მეგობრებო, ჩვენი ცხოვრების არსი? მოდით, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცხოვრება დუხჭირი, დამქანცველი და ხანმოკლეა. მთელ ინგლისში ვერ ნახავთ ცხოველს, ბედნიერება რომ იცოდეს, რა არის. არც ერთი ცხოველი ინგლისში თავისუფალი არ არის. ტანჯვა და მონობა – აი, სინამდვილე, აი, ჩვენი ხვედრი!

მაგრამ, იქნებ ეს ბუნებრივიც არის? იქნებ დედამიწა არ არის ისეთი მდიდარი, რომ ყველამ ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს? არამც და არამც, მეგობრებო! ამ მიწა-წყალს შეუძლია გამოკვებოს ცხოველთა ჩვენზე გაცილებით მეტი რაოდენობა. მაშ, რატომ ვიმყოფებით ასეთ გაჭირვებაში? იმიტომ, რომ თითქმის მთელ ჩვენს ნაშრომს ადამიანები ითვისებენ. აი, რაშია, მეგობრებო, საქმე! ადამიანია თავი და თავი ჩვენი უბედურებისა! იგია ჩვენი ერთადერთი ნამდვილი მტერი. გაყარეთ ადამიანები და შიმშილისა და ტანჯვის მიზეზიც სამუდამოდ მოისპობა. გავთავისუფლდეთ ადამიანებისაგან და ჩვენი ნაშრომი ჩვენვე დაგვრჩება. თითქმის ერთ ღამეში შეიძლება გავხდეთ მდიდრებიცა და თავისუფლებიც!

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ? აჯანყება – აი, ჩემი მოწოდება! არ ვიცი, როდის მოხდება ეს – ერთ კვირაში თუ ასი წლის შემდეგ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს!

ოღონდ გახსოვდეთ, თქვენი სიმტკიცე ვერაფერმა ვერ უნდა შეარყიოს. არ დაიჯეროთ, თუ ვინმე გეტყვით, რომ ადამიანსა და ცხოველს საერთო ინტერესები აქვთ. ეს სიცრუეა! ნებისმიერი ადამიანი ჩვენი მტერია, ნებისმიერი ცხოველი კი – ჩვენი მოყვარე! და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანთან ბრძოლისას არ უნდა დავემსგავსოთ მას!

მაშინაც კი, როდესაც დაამხობთ ადამიანს, არ გადმოიღოთ მისი მანკიერი თვისებები. არასდროს არც ერთმა ცხოველმა არ უნდა იცხოვროს ბინაში, არ უნდა დაიძინოს საწოლში, არ უნდა ატაროს ტანისამოსი, არ უნდა დააკაროს პირი ალკოჰოლს, არ უნდა მოწიოს თამბაქო, არ უნდა შეეხოს ფულს და არ უნდა ჩაებას ვაჭრობაში! და, რაც მთავარია, არც ერთმა ცხოველმა არ უნდა დაჩაგროს თავისი თანამოძმე. არასდროს არც ერთმა ცხოველმა არ უნდა მოკლას მეორე ცხოველი! ყველა ცხოველი თანასწორია!

### მე-6 გვერდი

**დავალება №7 მოისმინე სქუილერის სიტყვა და შეამოწმე შენი ვერსია.**

იმედია, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ღორები პრივილეგიებით სარგებლობენ. ჩვენ გვძაგს ვაშლიც და რძეც, მაგრამ ჯანმრთელობის გასამაგრებლად ვილებთ. ჩვენ გონებრივ მუშაობას ვეწევით. ამ მთელი მეურნეობის მოვლა-პატრონობა და ორგანიზაცია ჩვენს მხრებზე გადადის. დღედაღამ თქვენს კეთილდღეობაზე ვზრუნავთ. თქვენი სიკეთისთვის ვსვამთ რძეს. თქვენ რომ კარგად იყოთ, ამიტომ ვჭამთ ვაშლს. იცით, რა მოხდება, თუ ვერ შევასრულებთ ჩვენზე აღებულ მოვალეობას? რა და, ჯოუნსი დაბრუნდება, დიახ, ჯოუნსი! იმედია, ჯოუნსის დაბრუნება არავის სურს. დამიჯერეთ, ნამდვილად ასე იქნება!

### მე-7 გვერდი

**დავალება №2 მოისმინე სქუილერის მორიგი გამოსვლა და შეასრულე დავალებები რვეულში.**

– ამხანაგებო, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ცხოველი ჯეროვნად აფასებს იმ მსხვერპლს, ნაპოლეონმა რომ გაიღო, როცა საკუთარ თავზე ეს ზედმეტი ტვირთი აიღო. ნუ იფიქრებთ, რომ ლიდერობა სიამოვნებაა! პირიქით, ეს სერიოზული და მძიმე პასუხისმგებლობაა. ნაპოლეონზე უკეთესად ვინ იცის ის, რომ ყველა ცხოველი თანასწორია. იგი მხოლოდ ბედნიერი იქნებოდა, რომ თქვენი საქმეების მოგვარება თქვენთვისვე მოენდო, მაგრამ თქვენ, შესაძლოა, ზოგჯერ ვერც კი მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება და მაშინ? რა გვეშველებოდა მაშინ? ვთქვათ და მხარი დაგეჭირათ სნოუბოლისათვის, მერე? სნოუბოლი ვინც ბრძანდება, ყველამ ხომ კარგად გაიგეთ. იგი ბოროტმოქმედია და სხვა არაფერი!

– სნოუბოლი მამაცურად იბრძოდა „ბოსლის ბრძოლაში“.

– სიმამაცე არ კმარა, მთავარია ერთგულება და მორჩილება. დისციპლინა, ამხანაგებო, რკინის დისციპლინა! აი, რა უნდა იქცეს დღევანდელობის დევიზად. ერთი მცდარი ნაბიჯი და დამარცხებულები ვართ. ბოლოს და ბოლოს, გვინდა ჯოუნსის დაბრუნება?

**დავალება №4 მოისმინე სქუილერის მორიგი განმარტებები და შეასრულე წიგნში მოცემული მითითება.**

აუცილებელია, რომ ღორებს, ვინაიდან ისინი გონებრივ მუშაობას ეწევიან, სამუშაოდ წყნარი ადგილი ჰქონდეთ. გარდა ამისა, ბელადის ღირსებას ბინაში ცხოვრება უფრო შეშვენის, ვიდრე უბრალო საღორეში! მერე რა, რომ ღორებს საწოლებში გვძინავს?! თქვენ რა, გგონიათ, რომ საწოლებს რაიმე კანონი კრძალავს? კანონი საწოლს კი არა, თეთრეულს კრძალავს. რაო? დასვენების უფლებასაც გვართმევთ? გინდათ, რომ გადავიღალოთ და ჩვენი მოვალეობები ვერ შევასრულოთ? დაიმახსოვრეთ, ამიერიდან ღორები ერთი საათით გვიან ადგებიან ხოლმე! დარწმუნებული



Mascavl_Cigni_Done-12 _ 110

ვარ, ჯოუნსის დაბრუნება არავის სურს.

ნუ დაივიწყებთ, მაშინ მონები იყავით, ახლა კი თავისუფლები ხართ!

მე-8 გვერდი

**დავალება №6. მოისმინე სადღეგრძელო და შეადარე შენს ვერსიას.**

მე, ისევე როგორც, დარწმუნებული ვარ, ყველა აქ დამსწრეს, უზარმაზარ კმაყოფილებას მანიჭებს, რომ დასრულდა უნდობლობისა და გაუგებრობის ხანგრძლივი პერიოდი. ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული... ბევრი უბედური შემთხვევაც კი მოხდა. ხალხს მიაჩნდა, რომ დაუშვებელია, არანორმალურია, რომ ქვეყანას მართავდნენ, ეპატრონებოდნენ ღორები. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ შევცდით. ჩვენ დავათვალიერეთ ყველაფერი და რა ვიხილეთ? მოწინავე მეთოდები, სანიმუშო დისციპლინა და წესრიგი. მე მგონი, არ შევცდები, თუ იმასაც აღვნიშნავ, რომ ცხოველები აქ გაცილებით მეტს მუშაობენ და გაცილებით ნაკლებს ჭამენ, ვიდრე ჩვენში. მერწმუნეთ, ბატონებო, ვეცდებით, აქ ნანახი, რაც შეიძლება, სწრაფად დავნერგოთ ჩვენთან.

ბოლოს და ბოლოს, ღორებსა და ადამიანებს შორის არასოდეს ყოფილა და არც იქნება რაიმე სერიოზული დაპირისპირება. გაუმარჯოს „ცხოველების ფერმას"! გაუმაჯოს მის შემდგომ აყვავებას!

## ვისწავლოთ ერთად ცხოვრება

### კულტურათა დიალოგი

1-ლი გვერდი

**დავალება №4 მოისმინე ინფორმაცია კულტურისა და გავრცელებული „აისბერგის მოდელის" შესახებ და შეადარე შენს ვერსიას.**

სხვადასხვა კულტურის ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვაგვარად აზროვნებენ, განიცდიან და იქცევიან, ხშირად უჭირთ ერთმანეთის გაგება.

სიტყვა „კულტურას" მრავალი მნიშვნელობა აქვს. ზოგი მას ხელოვნებასთან აიგივებს, ზოგი – ზრდილობასა და ქცევის წესებთან.

კულტურა მოიცავს ყველაფერს: ყოფას, ცხოვრების სტილს, მსოფლმხედველობას, ნორმებს, ფასეულობებს, ტრადიციებს, ხელოვნებას, ლიტერატურას... კულტურაა ის, რაც ადამიანთა ერთ ჯგუფს აერთიანებს და ამავე დროს, სხვებისაგან განასხვავებს, მაგალითად, ენა და ჟესტები, რელიგია და სოციალური ურთიერთობები, ტრადიციები და სხვა.

ყველა კულტურა უნიკალური და თავისებურია.

რამდენი კულტურაცაა, იმდენი განსხვავებული ახსნა და შეფასება შეიძლება ჰქონდეს ერთსა და იმავე მოვლენას, სიტუაციას, ჟესტსა თუ სახის გამომეტყველებას. სხვადასხვა საზოგადოებასა და კულტურაში სხვადასხვაგვარია მისალმების წესი, კეთილგანწყობისა თუ უნდობლობის გამოხატვის ფორმები...

კულტურულ მსგავსებებსა და განსხვავებებს მხოლოდ მაშინ „აღმოვაჩენთ" ხოლმე, როცა საკუთარ კულტურას სხვას ვადარებთ.

კულტურის ანალიზისას ძირითადად აისბერგის მოდელს იყენებენ. აისბერგის ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი წყლის ქვეშ არის მოქცეული და უხილავია, წყლის ზემოთ კი მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ჩანს.

კულტურაც აისბერგივითაა. მისი ზოგიერთი ელემენტი ხილვადია, მაგალითად, არქიტექტურა, ხელოვნება, სამზარეულო, მუსიკა, ენა და ა.შ., მისი ფუნდამენტური ნაწილის დანახვა კი შედარებით რთულია. უხილავია, მაგალითად, ქცევის ნორმები, სოციალური ურთიერთობები, ღირებულებები და ფასეულობები, შეხედულებები და დამოკიდებულებები და სხვა.

აისბერგის მოდელი საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის წარმოშობილი გაუგებრობების მიზეზები.

კულტურათა დიალოგი გულისხმობს სწორედ ამ კულტურების უხილავი ნაწილების გაცნობასა და ანალიზს.

მე-2 გვერდი

**დავალება №6 მოისმინე ინფორმაცია სტერეოტიპების შესახებ და შეასრულე დავალებები.**

სტერეოტიპი ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით „მყარ ანაბეჭდს" ნიშნავს. სტერეოტიპები ხელს უშლიან და აბრკოლებენ კულტურათა დიალოგს, ადამიანებს შორის ურთიერთობებს.

როგორც წესი, ჩვენ გვჯერა არა იმის, რასაც ვხედავთ, არამედ ვხედავთ იმას, რისიც გვჯერა. ადამიანები, სწორედ წინასწარი წარმოდგენების შედეგად, ხშირად ხედავენ იმას, რაც უნდათ, რომ დაინახონ, ან რისი დანახვის მოლოდინიც აქვთ.

სტერეოტიპები ეყრდნობა არა ფაქტებსა და მსჯელობებს, არამედ ხშირად სხვათა მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

სტერეოტიპული დამოკიდებულებაა, მაგალითად, როცა მიგვაჩნია, რომ ყველა გერმანელი პუნქტუალურია, ან ყველა შავკანიანი ჯაზის საუკეთესო შემსრულებელია.

სტერეოტიპი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური. მაგალითად, პოზიტიურია გერმანელთა შრომისმოყვარეობა, ხოლო ნეგატიურია ის, რომ ქალი აუცილებლად დიასახლისი უნდა იყოს.

**დავალება №8 მოისმინე იაპონელი გოგონას ქცევის რეალური მიზეზი და შეადარე შენს ვერსიას.**

ზაზას საჩუქრის შემდეგ იაპონელმა გოგონამ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა –

დაბლოკა მისი ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. მან ჩათვალა, რომ ზაზამ მას განზრახ მიაყენა შეურაცხყოფა.

**დავალება №9 მოისმინე იაპონელი გოგონას მიერ ზაზას საქციელის ამგვარი შეფასების საფუძველი და შეადარე შენს ვერსიას.**

საჩუქართან დაკავშირებით, იაპონიაში მკაცრი წესები არსებობს. თუ ერთმა იაპონელმა მეორეს რამე აჩუქა, აუცილებელია საპასუხო საჩუქარი, ოღონდ ის ზუსტად იმავე საფასურის უნდა იყოს. უფრო ძვირფასი საპასუხო საჩუქარი ძალიან დამამცირებლად და შეურაცხმყოფლად მიიჩნევა. ამით ეუბნები, მე შენზე მაგარი და მდიდარი ვარ, შენ მხოლოდ იაფფასიანი ნივთების ყიდვა შეგიძლიაო.

მე-4 გვერდი

**დავალება №5 მოისმინე ინფორმაცია საქართველოს შესახებ და შეამოწმე შენი პასუხები.**

*საქართველო ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ევრაზიის კონტინენტის „აზიურ" ნაწილს ესაზღვრება. ამგვარმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ მას განსაკუთრებული ფუნქცია შესძინა. ამ ფუნქციას, ისტორიულად, ე.წ. „დიდი აბრეშუმის გზა" ასრულებდა.

ტერმინი „აბრეშუმის გზა" XIX ს-ის ბოლოს გერმანულ მეცნიერებაში შეიქმნა და ჩინეთსა და დასავლეთს შორის უძველესი სავაჭრო გზის აღსანიშნად იხმარებოდა. ამ გზით სხვა საქონელთან და ნაწარმთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთში უპირატესად სწორედ ჩინური აბრეშუმი შედიოდა.

* გათხრები დმანისის ნაქალაქარში 1936 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. 1991 წელს ქართველებს შეუერთდნენ გერმანელი არქეოლოგები. მოგვიანებით ამ სამუშაოებმა საერთაშორისო კვლევითი პროექტის ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობენ გერმანელი, ამერიკელი, ფრანგი და ესპანელი არქეოლოგებიც.

დმანისის ნაქალაქარის უნიკალურობა განსაკუთრებით იმაში გამოიხატება, რომ მის ცენტრალურ ნაწილში შუა საუკუნეების ნაგებობების ქვეშ არსებულ დანალექ ფენებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით უძველესი (დღეს გადაშენებული) ცხოველების (მარტორქა, სპილო, ჟირაფი, გიგანტური სირაქლემა, ხმალკბილა ვეფხვი და სხვა) და ადამიანის ძვლები (5 თავის ქალა, 4 ქვედა ყბა და 60-მდე სხვა ნაწილები).

აღმოჩენილი ადამიანის ნაშთები 1,8-1,7 მილიონი წლით თარიღდება. პირველ ევროპელებს არქეოლოგებმა ზეზვა და მზია დაარქვეს. უკვე ჩამოყალიბდა აზრი მთელ მსოფლიოში, რომ დმანისი პირველი ევროპელის სამშობლოა.

გვერდები 7–8

**დავალება №3. მოისმინე ინფორმაცია იაპონელების შესახებ და შეადარე შენს ვერსიებს.**

იაპონელს დაბადებიდან დაჰყვება საზოგადოებრივი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მისი ცხოვრების მთავარი მიზანია. აქედან გამომდინარეობს ის საოცარი მორჩილება, რომელიც იაპონელებს ახასიათებთ.

ისინი განთქმულნი არიან საოცარი შრომისმოყვარეობით, ორგანიზებულობით, სიბეჯითით, გამძლეობითა და ცხოვრების პირობების მიმართ ნაკლები პრეტენზიულობით. რთული გეოგრაფიული პირობები დიდწილად განსაზღვრავდა იაპონელების ამ თვისებების ჩამოყალიბებას.

იაპონია დღეს მსოფლიოს მეორე სახელმწიფოა ცხოვრების დონით აშშ-ის შემდეგ. თუმცა ახლის შეთვისებასთან ერთად დავიწყებას როდი მისცემია ძველი. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, იაპონელები უარს ვერ ამბობენ იმაზეც კი, რაც თავადვე მოძველებულად მიაჩნიათ. სწორედ ეს სიძველეებია მათი მარადიულობის სიმბოლო.

იაპონია ადგილობრივისა და შემოსულის მუდმივი დიალოგის ადგილია. იაპონური ტრადიციები და უცხო ხალხის ზნე-ჩვეულებები ერთმანეთს ამდიდრებს და ქმნის სრულიად უნიკალურ ახალ კულტურას. ამიტომაც არის ის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და, ამავდროულად, თანამედროვე ქვეყანა.

ტოლერანტობა

1–ლი გვერდი

**დავალება №3 მოისმინე ეისითის კვლევის შედეგები და შეადარე შენს ვერსიას.**

ტოლერანტობის ზუსტი განმარტება რესპონდენტთა მხოლოდ 34% იცის, მოსახლეობის 10%-ისთვის ტოლერანტობა სხვისი აზრის პატივისცემაა. ტოლერანტობის განმარტება არ იცის საქართველოს ურბანული მოსახლეობის 42%-მა. მათ შორის, ვინც არ იცის ტოლერანტობის მნიშვნელობა, უმრავლესობა ახალგაზრდაა.

**მოსწავლის რვეულში:**

**მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხები.**

სიტყვა „ტოლერანტი" ლათინურიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ატანას (მოთმინებას) ნიშნავს.

ტოლერანტობის დღის აღნიშვნა 1996 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით დაიწყო. მსოფლიო ტოლერანტობის საერთაშორისო დღე ყოველი წლის 16 ნოემბერს აღინიშნება. ამ აქტით მსოფლიოს ყველა მაცხოვრებელს კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის პატივისცემის, დიალოგისა და თანამშრომლობის აუცილებლობას ახსენებენ.

## დავალება №6

– იცი, რაღაც მგონია, რომ ადამიანებმა მართლა დაკარგეს სიყვარულის უნარი, ან... იქნებ არც ჰქონიათ არასოდეს?

– ვერ გავიგე, რაზე ლაპარაკობ?

– სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემაზე, თანაგრძნობაზე, შემწყნარებლობაზე...

– კი, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ! არ გეჩვენება, რომ ადამიანებს სითბო დააკლდათ?

– რა ვიცი, რა გითხრა.

– გუშინ ფორუმზე ვკითხულობდი. ერთ-ერთი ბლოგერი წერდა... სახელი აღარ მახსოვს... მაჩვენება, რომ არატოლერანტულ საზოგადოებაში ვცხოვრობთო.

## 10
## მიზნებისა და შინაარსის რუკა

| თემატური ერთეული | თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი | რას შევძლებთ? |
|---|---|---|---|
| პირველი ნაბიჯები | • ცხოვრება ქუჩაში<br>(რატომ გადიან ბავშვები ქუჩაში? იუნისეფი და ქუჩის ბავშვები; კეთილი ნების ელჩები; )<br>• ადამიანი და გარემო (ეკოლოგიური საფრთხეები; „ბიოლოგიის საუკუნე“; დაცული ტერიტორიები)<br>• სულხან საბა ორბელიანის „გლახაკი და ძილა ერბო“<br>• დაზღვევა და საბანკო ურთიერთობები<br>• ცრურწმენები და ფობიები | • აბზაცი და მისი სტრუქტურა (აბზაცის ძირითადი წინადადებები; წინადადებების ურთიერთობა აბზაცში; აბზაცების ურთიერთობა ტექსტში)<br>• განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები<br>• სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში | • ფოტოების „წაკითხვას“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვას.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას; ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთებას.<br>• საკომუნიკაციო დიალოგებისა და ტექსტების მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• სხვადასხვა პრობლემაზე მსჯელობას, სათანადო პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• ვარაუდების გამოხატვასა და არგუმენტირებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| | | **გამოძიება** | |
| სიმართლე და სამართალი | • თემიდა და იუსტიცია<br>• ჰამურაბის კანონები<br>• თამარ მეფის სიტყვა მეფედ კურთხევის დროს<br>• თითის ანაბეჭდი და მისი ისტორია<br>• სიცრუის დეტექტორი<br>• არგუმენტირება<br>• დეტექტივები<br>• არტურ კონან დოილის ბიოგრაფია | • კავშირი (აგებულება, ფუნქციები)<br>• ნაწილაკი (მისი ადგილი წინადადებაში და ფუნქციები) | • სხვადასხვა ტიპის ტექსტების (საინფორმაციო, შემეცნებითი, ისტორიული, ბიოგრაფიული...) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას. ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთებას.<br>• დიალოგებისა და ტექსტების მოსმენა-გაგებასა და გააზრებას.<br>• ადამიანთა შედარებით დახასიათებას.<br>• ვარაუდების გამოხატვასა და არგუმენტირებას.<br>• არგუმენტირებულ მსჯელობას.<br>• კონტექსტის მიხედვით სიტყვათშეხამებებისა და ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობათა გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| შერლოკ ჰოლმსი და მისი ისტორია | • როგორ გაჩნდნენ შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი უოტსონი?<br>• ერთი ეპიზოდი კონან დოილის ცხოვრებიდან.<br>• შერლოკ ჰოლმსის „ბიოგრაფიული შტრიხები“<br>• ინგლისელი მწერალი ენდრიუ ლეინი, ახალგაზრდა შერლოკ ჰოლმსის ავტორი<br>• არტურ კონან დოილის „ბასკომბის ველისა საიდუმლოება“ | | • სხვადასხვა ტიპის ტექსტების (საინფორმაციო, ბიოგრაფიული, მხატვრული) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას. ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთებას.<br>• სხვადასხვა ეპიზოდის შედარებით კონკრეტული დასკვნების გამოტანას.<br>• პერსონაჟთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• მათი მოქმედების მოტივის განმარტებასა და საქციელის შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვასა და მათ როგორც ზეპირ, ისე წერილობით არგუმენტირებას.<br>• ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევას.<br>• ვარაუდების გამოხატვასა და არგუმენტირებას.<br>• კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| **ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკას!** | | | |
| საზოგადოება და სახელმწიფო | • სახელმწიფო და მისი ატრიბუტიკა<br>• მათ შექმნეს ისტორია (სოკრატე, პლატონი, მაკიაველი, კონფუცი)<br>• ალექსანდრე მაკედონელი<br>• ტერმიტების იმპერია | • რთული წინადადება (წინადადებათა თანწყობა და ქვეწყობა; აზრობრივი მიმართებები თანწყობილ წინადადებაში; დამოკიდებული წინადადების ადგილი ქვეწყობილ წინადადებაში) | • სხვადასხვა ტიპის ტექსტების (საინფორმაციო, შემეცნებითი, ისტორიული, ბიოგრაფიული...) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას. ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთებას.<br>• სხვადასხვა ტექსტის მოსმენა-გაგებას.<br>• ინფორმაციაზე დაყრდნობით პერსონაჟთა დახასიათებას.<br>• პერსონაჟთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• მათი მოქმედების მოტივის განმარტებასა და საქციელის შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვასა და მათ როგორც ზეპირ, ისე წერილობით არგუმენტირებას.<br>• ვარაუდის და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| ურთიერთობის ხელოვნება | • კამათის ხელოვნება<br>• სოკრატეს მეთოდი<br>• დებატების საიდუმლო<br>• ჯონ კენედისა და რიჩარდ ნიქსონის ტელედებატები | • დამოკიდებული წინადადებები და მათი ფუნქციები | • კონკრეტული სტრატეგიებით კამათის წარმართვას;<br>• საკუთარი შეხედულებებისა და მათი საფუძვლიანობის შეფასებას;<br>• დებატების ცალკეული ეტაპების გააზრებასა და მოწყობას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ჩვენ ვირჩევთ, ისინი მართავენ!** | • რატომ და რისთვის ირჩევს საზოგადოება ლიდერს?<br>• მგელი – „სოციალური“ ცხოველი<br>• სახელმწიფოს მართვა და მმართველობის ფორმები<br>• ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“ | | | • სხვადასხვა ტიპის ტექსტების (საინფორმაციო, შემეცნებითი, მხატვრული...) წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას.<br>• ვარაუდების გამოხატვასა და არგუმენტირებას.<br>• სხვადასხვა ეპიზოდის შედარებით კონკრეტული დასკვნების გამოტანას.<br>• პერსონაჟთა დახასიათებას მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით.<br>• მათი მოქმედების მოტივის განმარტებასა და საქციელის შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციისა და შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვას.<br>• მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრებას.<br>• კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობების გააზრებასა და საკუთარი სიტყვებით განმარტებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| **ვისწავლოთ ცხოვრება ერთად** | | | | |
| **კულტურათა დიალოგი** | • კულტურის ხილული და უხილავი მხარეები<br>• სტერეოტიპები და კულტურული შოკი<br>• დასავლეთი და აღმოსავლეთი<br>• საქართველო – დასავლეთისა და აღმოსავლეთის კარიბჭე!<br>• იაპონია – ყველაზე ტრადიციული და ყველაზე თანამედროვე ქვეყანა! | • მიმართებითი სიტყვები და წევრ-კავშირები (ზოგიერთი მიმართებითი სიტყვისა და წევრ-კავშირის ფუნქცია წინადადებაში; წევრ-კავშირი „რომელიც“ და მასთან დაკავშირებული საკითხები) | | • ინფორმაციული ტექსტების გაგებასა და გააზრებას.<br>• სხვების პოზიციების მოსმენა-გაგებასა და მათი არგუმენტების შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციების გამოხატვასა და არგუმენტირსბას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სტერეოტიპები, კულტურული გაუგებრობები და კულტურული შოკი.<br>• სხვადასხვა კულტურის, შედარებასა და განსხვავებული ღირებულებებისა და ფასეულობების გაანალიზებას.<br>• პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას და საკუთარი არჩევანის დასაბუთებას.<br>• წერისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას. |
| **ტოლერანტობა** | • რას ფიქრობს საზოგადოება?<br>• ღია საუბარი<br>• ეთმოცენტრიზმიდან რასიზმამდე<br>• იუნესკოს „ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია“<br>• ბოშათა პორტრეტები | | | • სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვას, გაგებასა და გააზრებას; ტექსტების გააზრების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის გაკეთებას.<br>• სხვების პოზიციების მოსმენა-გაგებასა და მათი არგუმენტების შეფასებას.<br>• საკუთარი პოზიციების გამოხატვასა და არგუმენტირებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ტოლერანტიზმი, ეთნიცენტრიზმი და რასიზმი |

11

# ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტი
# XI დონე

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები**

| მოსმენა | კითხვა | წერა | ლაპარაკი | სწავლის სწავლა |
|---|---|---|---|---|
| **ქ. მ. XII. 1.** მოსწავლეს შეუძლია მისთვის აქტუალურ თემაზე საჯარო გამოსვლის მოსმენა და გაანალიზება.<br><br>**ქ. მ. XII. 2.** მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემაზე კომპლექსური შინაარსის სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გაგება.<br><br>**ქ. მ. XII. 3.** მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.<br><br>**ქ. მ. XII. 4.** მოსწავლეს შეუძლია მოსასმენი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას. | **ქ. მ. XII. 5.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის გაგება.<br><br>**ქ. მ. XII. 6.** მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით არამხატვრული ტექსტის გაანალიზება.<br><br>**ქ. მ. XII. 7.** მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტების გაანალიზება.<br><br>**ქ. მ. XII. 8.** მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული ტექსტის გაანალიზება.<br><br>**ქ. მ. XII. 9.** მოსწავლეს შეუძლია სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება.<br><br>**ქ. მ. XII. 10.** მოსწავლეს შეუძლია ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენება.<br><br>**ქ. მ. XII. 11.** მოსწავლეს შეუძლია ტექსტის შესწავლის მიზნით სათანადო სტრატეგიების გამოყენება.<br><br>**ქ. მ. XII. 12.** მოსწავლეს შეუძლია ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის გაანალიზება. | **ქ. მ. XII. 13.** მოსწავლეს შეუძლია სასწავლო ან სამეცნიერო მასალის დამუშავების მიზნით ტექსტის დაწერა.<br>ა) შეუძლია კონსპექტის შედგენა.<br>ბ) შეუძლია რეზიუმეს დაწერა.<br>გ) შეუძლია გამოკვლევის დაწერა.<br><br>**ქ. მ. XII. 14.** მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს შესაბამისი ენობრივი საშუალებები.<br><br>**ქ. მ. XII. 15.** მოსწავლეს შეუძლია მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით მხატვრული ტექსტის შექმნა.<br><br>**ქ. მ. XII. 16.** მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები.<br><br>**ქ. მ. XII. 17.** მოსწავლეს შეუძლია წერის პროცესის ყველა ეტაპზე (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება) შედეგის გასაუმჯობესებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება. | **ქ. მ. XII. 18.** მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში წინასწარი მომზადების გარეშე მონაწილეობის მიღება.<br><br>**ქ. მ. XII. 19.** მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემებზე/საკითხებზე წინასწარი მომზადების გარეშე გაბმულად საუბარი.<br><br>**ქ. მ. XII. 20.** მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ პრობლემურ საკითხზე არგუმენტირებულად მსჯელობა.<br><br>**ქ. მ. XII. 21.** მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივი საშუალებების ფუნქციურად გამოყენება.<br><br>**ქ. მ. XII. 22.** მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად სათანადო სტრატეგიების გამოყენება. | **ქ. მ. XII. 23.** მოსწავლეს შეუძლია პროექტის (მაგ., შეხვედრის მოწყობა ცნობილ ადამიანთან, დებატების მოწყობა და სხვა) განხორციელების ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.<br><br>**ქ. მ. XII. 24.** მოსწავლეს წარმატებული სწავლების ხელშესაწყობად და ენების ათვისების გასაადვილებლად გამომუშავებული აქვს სტრატეგიული უნარ-ჩვევები. |

მოსმენა

**ქ.მ. XII.1. მოსწავლეს შეუძლია მისთვის აქტუალურ თემაზე საჯარო გამოსვლის მოსმენა და გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს მოხსენების/საჯარო გამოსვლის თემას;
- აფასებს არგუმენტების, შეფასებების, განმარტებების დამაჯერებლობასა და ეფექტურობას;
- ამოიცნობს და აფასებს, რამდენად მკაფიოდ იყო გამოკვეთილი მოხსენების/გამოსვლის ძირითადი იდეა, განსახილველი საკითხები, პრობლემატიკა;
- განსაზღვრავს მოხსენების/გამოსვლის მნიშვნელოვან აქცენტებს (მაგ., *რომელი საკითხი იყო სრულად და ამომწურავად განხილული, რა იყო ზოგადი და ბუნდოვანი, რომელი საკითხი დარჩა საერთოდ ყურადღების მიღმა და ა.შ.*);
- აფასებს წარმოდგენილ დასკვნებს ტექსტის ძირითად ნაწილთან შესაბამისობის თვალსაზრისით (მაგ., *რამდენად ლოგიკურია დასკვნა მოყვანილი ფაქტების, მაგალითების, მსჯელობის ფონზე*).

**ქ.მ. XII.2. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემაზე კომპლექსური შინაარსის სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გაგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას (*თემას, საკითხებს, თანამოსაუბრეებს*);
- იგებს ტექსტის ძირითად შინაარსს;
- გამოყოფს მთავარ საკითხთან დაკავშირებულ კონკრეტულ დეტალებს;
- ამოიცნობს მონაწილეთა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისებს და ალაგებს მათ მსგავსება-განსხვავების მიხედვით;
- გამოყოფს თავის პირად მოთხოვნილებასთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას;
- ამოიცნობს წამყვანის/მონაწილეების განწყობილებებსა და ემოციებს;
- არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას აკავშირებს ახალთან (*მოსმენილთან, ნანახთან*).

**ქ.მ.XII.3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს აზრობრივი გადაბმის შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს (*ანაფორულ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, სიტყვის ლექსიკურ და სემანტიკურ განმეორებებს, სინონიმურ და ანტონიმურ ჩანაცვლებებს და სხვა*);
- ამოიცნობს წარმოდგენილი საჯარო გამოსვლისთვის/თემისათვის დამახასიათებელ ლექსიკას, ტერმინოლოგიას;
- შეფასების (დამოკიდებულების) გამომხატველ სიტყვებზე დაყრდნობით ამოიცნობს მოსაუბრის ან ავტორის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

**ქ.მ. XII. 4. მოსწავლეს შეუძლია მოსასმენი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის მოსმენისას იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (*ხმის ტემბრი, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ლოგიკური მახვილები, ილუსტრაცია, სქემა*);
- ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით (*საკომუნიკაციო სიტუაცია, კონტექსტი*);
- ინიშნავს უცნობ სიტყვებს მათი მნიშვნელობის გასარკვევად;
- აღწერს, რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა;
- ადარებს სხვების მიერ შერჩეულ ხერხს და გამოაქვს დასკვნა, თუ რომელი მიდგომა იყო ეფექტური;
- იყენებს სქემატური ჩანიშვნების ტექნიკას ინფორმაციის დასახარისხებლად;
- უყურებს და უსმენს მისთვის საინტერესო ქართულენოვან ტელე\რადიო გადაცემებს, ფილმებს;
- მოსასმენი ამოცანების გადაჭრისას იყენებს სხვა ენაზე მიღებულ გამოცდილებას;
- იხსენებს, სხვა საგნებში რა ტიპის სტრატეგია გამოუყენებია ინფორმაციის მოსმენისას, ადარებს ძველ და ახალ გამოცდილებას, გამოაქვს დასკვნები;
- მსჯელობს, რომელ სასწავლო თუ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეიძლება გამოადგეს გამოყენებული/განხილული სტრატეგიები.

## კითხვა

**ქ.მ.XII.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის გაგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე;
- განსაზღვრავს ძირითად იდეას და განმარტავს, როგორ უწყობს ხელს სხვადასხვა დეტალი ძირითადი იდეის წარმოჩენას (მაგ., *რა ეფექტს ახდენს სათაური, რომელი სფეროდანაა მოპოვებული ინფორმაცია, ფაქტებს ეფუძნება მონათხრობი თუ მოსაზრებებს და ა.შ.*);
- ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით მსჯელობს ავტორის პოზიციაზე;
- განმარტავს კონკრეტული აბზაცის დანიშნულებას;
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა თვალსაზრისს პრობლემურ ან სადავო საკითხებზე, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას/პოზიციას მათ შესახებ და ასაბუთებს;
- ამოიცნობს ექსპლიციტურად და იმპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას;
- ამოკრებს კონცეპტუალურ ინფორმაციას (*გაცხრილავს თითოეულ აბზაცს დეტალების, მაგალითების, ავტორისეული შეფასებებისაგან და ამ გზით აყალიბებს თეზისებს ტექსტის თითოეული აბზაციდან*);
- გამოაქვს დასკვნა როგორც მთლიანი ტექსტის, ისე ცალკეული ნაწილის გააზრების საფუძველზე.

**ქ.მ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით არამხატვრული ტექსტის გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ტექსტის გრაფიკულ-გამომსახველობითი საშუალებების ეფექტურობაზე; აფასებს, რამდენად უწყობს ხელს ტექსტის დიზაინი ტექსტის შინაარსის აღქმას;
- მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ტექსტის სტრუქტურა მიზანს;
- გამოყოფს წამყვან, დამატებით და შემაჯამებელ აბზაცებს და განსაზღვრავს მათ ფუნქციას;
- ლოგიკურ და ქრონოლოგიურ მარკერებზე დაყრდნობით ამოიცნობს და განმარტავს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში მოცემულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის კავშირს (*მიზეზშედეგობრივი კონსტრუქციები, პირობითი წინადადებები, დროთა თანამიმ-დევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვათშეხამებები და სხვა*);
- ადარებს ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა და ხერხებს სხვადასხვა ტიპის იმ ტექსტებში, რომლებიც ერთსა და იმავე თემას ეხება;

**ქ.მ.XII.7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოყოფს მწერლის მთავარ სათქმელს და მიუთითებს ადრესატზე (*ანუ ვის მიმართავს მწერალი*);
- ამოიცნობს, როგორ არის ნაწარმოების მთავარი სათქმელი გამოხატული (მაგ., *პირდაპირ - ავტორის ან პერსონაჟის მიერ, თუ შეფარულად - პერსონაჟთა ქცევის, მოვლენათა თანამიმდევრობისა თუ სხვა დეტალების მიღმა დაფარული*) და ასაბუთებს ტექსტიდან მოყვანილი მაგალითების საშუალებით;
- ამოიცნობს ინპლიციტურ ინფორმაციას და ხსნის საკუთარი ვერსიით;
- ახასიათებს პერსონაჟებს მათი ქცევებისა თუ სხვა პერსონაჟებთან ან საკუთარ თავთან საუბარზე დაკვირვებით;
- საუბრობს ავტორის/მთხრობელის დამოკიდებულებაზე კონკრეტული გმირის მიმართ და ასაბუთებს ტექსტიდან სათანადო მაგალითების მოხმობით;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და განჭვრეტს, როგორ მოიქცეოდა განსხვავებულ სიტუაციებში;
- დეტალებზე დაკვირვებით გამოაქვს დასკვნა, რისი თქმა სურს ავტორს;
- ტექსტიდან ამოარჩევს დეტალებს, რომლებშიც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ აისახება კონკრეტული ეპოქა, კულტურული კონტექსტი და ა.შ. და ადარებს მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოსთან;
- ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით.

**ქ.მ. XII. 8. მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით მხატვრული ტექსტის გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და განმარტავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტების მნიშვნელოვანი ელემენტების დანიშნულებას (მაგ., *აბზაცის დანიშნულება პროზაულ ტექსტში; იგავ-არაკებისათვის დამახასიათებელი ნიშნები და მათი ფუნქცია და სხვა*);
- ამოიცნობს სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ქმნის განწყობას ნაწარმოებში, ან რომლებშიც იგულისხმება ერთგვარი ირონია და სხვა;
- ამოიცნობს სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც წარმოაჩენს ავტორის დამოკიდებულებას თხრობის (*ასევე აღწერის, მსჯელობის*) საგნის მიმართ;
- მსჯელობს პერსონაჟთა დახასიათების ხერხებზე ნაწარმოებში (მაგ., *პორტრეტი, ავტორისეული დახასიათება, პერსონაჟის მეტყველება და სხვა*);
- მსჯელობს პროზაული ნაწაროების კომპოზიციურ თავისებურებაზე; საკვანძო ეპიზოდების ურთიერთკავშირზე; მისი სტრუქტურული ელემენტების (*ექსპოზიცია, პროლოგი, ეპილოგი*) დანიშნულებაზე;
- ამოიცნობს ხშირად ხმარებულ მყარ შესიტყვებებს (*იდიომატური გამოთქმები, ფრაზეოლოგიზმები*);
- სათანადოდ იგებს და საუბრობს კომპოზიტთა შედგენილობასა და მნიშვნელობაზე.

**ქ.მ. XII.9.  მოსწავლეს შეუძლია სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოყოფს მთავარ და მეორეხარისხოვან იდეებს; მთავარ იდეებს აყალიბებს სათაურების სახით, მეორეხარისხოვან იდეებს – ქვესათაურების სახით;
- განსაზღვრავს მეორეხარისხოვანი იდეების ფუნქციას – მთავარი იდეის გაშლა, ილუსტრირება, მიზეზების ახსნა და სხვა;
- ინფორმაციის დასახარისხებლად იყენებს სქემატური ჩანაწერების ტექნიკას (*სქემატური გეგმა, განტოტებული სქემა, საკვანძო სიტყვების ცხრილი და სხვა*);
- სქემატურ ჩანაწერებზე დაყრდნობით აღადგენს ტექსტის შინაარსს საკუთარი სიტყვებით;
- გამოყოფს ფაქტებს, მოვლენებს, ციტატებს, რომლებიც მთავარი აზრის დასასაბუთებლად ან გასავითარებლად, გასაშლელად არის მოხმობილი;
- გამოავლენს ტექსტის სტრუქტურას ანუ ტექსტში ინფორმაციის ორგანიზების წესს (მაგ., *ქრონოლოგიური სტრუქტურა – რა რის შემდეგ უნდა შესრულდეს; სივრცული სტრუქტურა – ერთ ადგილს მეორე მოსდევს გეოგრაფიული შინაარსის ტექსტში; კრიტერიუმებზე აგებული სტრუქტურა: ერთი პრობლემა და ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი; სამნაწილიანი სტრუქტურა – ფაქტი/პრობლემა, შედეგი; ფაქტი/პრობლემა, მიზეზი, გამოსავალი და სხვა*).

**ქ.მ.XII.10. მოსწავლეს შეუძლია ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წაკითხვამდე განსაზღვრავს, რისი აქცენტირება სურს ტექსტში და რა საშუალებებით;
- ეფექტურად იყენებს ინტონაციას (*სასვენი ნიშნების ფუნქციით იყენებს ინტონაციას, შინაარსის შესაბამისად ცვლის მეტყველების ტემპს, ხმის ტემბრს და სიმაღლეს*) და სხეულის ენას (*მიმიკა, ჟესტიკულაცია*);
- ეფექტურად იყენებს ლოგიკურ (აზრობრივ) და ფსიქოლოგიურ (*დაძაბულობის, მოლოდინის, გაჩუმების*) პაუზას;
- ეფექტურად იყენებს ლოგიკურ მახვილს, როგორც სიტყვის გამოყოფისა და ხაზგასმის საშუალებას წინადადებაში;
- კითხვის პროცესში ამყარებს მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან;

**ქ.მ.XII.11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის შესწავლის მიზნით სათანადო სტრატეგიების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პირველ რიგში, ტექსტს თვალს გადაავლებს - აკვირდება სათაურებს, ქვესათაურებს, რუბრიკებს, ტიპოგრაფიულ სახესხვაობებს, ილუსტრაციებს და სხვა;
- იხსენებს, რა იცის ტექსტში მოცემულ თემატიკასთან დაკავშირებით;
- სვამს იმ კითხვებს, რომლებზე პასუხსაც ელოდება ტექსტიდან;
- მთლიანობაში ეცნობა ტექსტს ინფორმაციების მოძიების მიზნით, ამ ეტაპზე არ ჩერდება უცნობ სიტყვებზე, განსხვავებული სიმბოლოებით აღნიშნავს ტექსტში არსებით საკითხებს, რომლებსაც უნდა მიუბრუნდეს მათი გაღრმავების მიზნით, საკვანძო სიტყვებს და სხვა;
- მიუბრუნდება გაუგებარ ადგილებს, ცდილობს კონტექსტის მიხედვით ამოიცნოს სიტყვების

მნიშვნელობები;
- ლექსიკონში ეძებს იმ სიტყვების მნიშვნელობებს, რომლებიც გაუგებარი ხდება;
- ისევ კითხულობს ტექსტს და გადაიკითხავს, თუ გამორჩა რაიმე მნიშვნელოვანი;
- მსჯელობს, რომელ სასწავლო თუ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეიძლება გამოადგეს სქემატური ჩანაწერების სტრატეგიები;
- ქმნის მცირე ლექსიკონს;
- განსხვავებული კულტურის, ქვეყნისა და ეპოქის ნაწარმოებში ასახული მოვლენის უკეთ გასააზრებლად მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან (*ენციკლოპედია, ისტორიული წყარო, პრესა, ინტერნეტი და სხვა*).

**ქ.მ. XII.12. მოსწავლეს შეუძლია ინტერკულტურული თვალსაზრისით ტექსტის გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- მსჯელობს ტექსტში ასახული პრობლემის შესახებ კონკრეტული ეპოქის თავისებურებების (მაგ., *კულტურული, ისტორიული, სოციალური...*) გათვალისწინებით;
- მსჯელობს ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების შესახებ და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას/პოზიციას შესაბამისი არგუმენტების მოხმობით (მაგ., *ფაქტები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, პირადი გამოცდილებიდან და სხვა; იმოწმებს ანდაზებს, აფორიზმებს, ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს, წეს-ჩვეულებებს და სხვა*);
- მსჯელობს სხვადასხვა ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების მსგავსება-განსხვავებაზე და ასახელებს მათ გამომწვევ ფაქტორებს;
- ამოიცნობს ტექსტში ასახულ სოციოკულტურულ გარემოს და ავლებს პარალელს მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოსთან (*აღმსარებლობა, ცხოვრების წესი, ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა, ისტორიული ეპოქის თავისებურებები და სხვა*);
- კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას კორექტულად გამოთქვამს საკუთარ შეხედულებებს/დამოკიდებულებას/პოზიციას;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას კონკრეტული ისტორიული ფასეულობების მიმართ (*ავლებს პარალელებს, პოულობს ანალოგიებს, განსხვავებებს საკუთარ და სხვათა სულიერ სამყაროებს შორის, მაგ., განცდები, დამოკიდებულებები, შეხედულებები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები*);
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს მოცემულ გარემოში და განჭვრეტს, როგორ მოიქცეოდა იგი განსხვავებულ სოციალურ, ისტორიულ და კულტურულ გარემოში;
- ამოიწერს/მონიშნავს სხვადასხვა კულტურის მქონე ერებისათვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიზმებს, იდიომატურ გამოთქმებს და სხვა;

## წერა

**ქ.მ. XII.13. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო ან სამეცნიერო მასალის დამუშავების მიზნით ტექსტის დაწერა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

**ა) შეუძლია კონსპექტის შედგენა.**
- დაკონსპექტებამდე ყურადღებით გადაიკითხავს ტექსტს და წინასწარ შეადგენს სათანადო გეგმას;
- ამზადებს სქემატურ ჩანაწერს;
- ამ ჩანაწერზე დაყრდნობით საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ინფორმაციას/ტექსტის შინაარსს;
- გამოკვეთს ტექსტის თემას (*ანუ რის შესახებაა ტექსტში საუბარი*);
- გამოკვეთს მთავარ საკითხს არამთავარი საკითხებისაგან;
- თითოეულ საკითხს ყოფს აზრობრივ მონაკვეთებად;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციებს გამოყოფს, მონიშნავს მარკერით (*ან სხვა დამატებითი საშუალებებით*);
- უცნობ სიტყვებსა და ტერმინებს განმარტავს სათანადო ლექსიკონების გამოყენებით;
- მიმართავს ტექსტის პერიფრაზირებას (*ანუ ინფორმაციას გადმოწერს საკუთარი სიტყვებით*).

**ბ) შეუძლია რეზიუმეს დაწერა.**

- რეზიუმეს დაწერამდე ტექსტს ყოფს აზრობრივ მონაკვეთებად;
- აზრობრივი მონაკვეთები დაჰყავს ძირითად, მთავარ აზრამდე, სათქმელამდე;
- მიუთითებს ტექსტის ძირითად მახასიათებლებს (*ავტორი, სათაური, გამოცემის წელი და სხვა*);
- აყალიბებს მთავარ თემას (*ანუ რის შესახებაა ტექსტში საუბარი*);
- მარტივად და ნათლად გადმოსცემს ცალკეული მონაკვეთის ძირითად სათქმელს/აზრს;

**დ) შეუძლია გამოკვლევის დაწერა.**

- შეარჩევს თემას/საკითხს;
- ტექსტის ტიპის, მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით ირჩევს ფორმასა და სტილს;
- ფაქტებზე, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით განსაზღვრავს პრობლემას;
- მკაფიოდ და თანამიმდევრულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას/პოზიციას მოცემული პრობლემის, საკითხის მიმართ;
- მსჯელობს გამოთქმული თვალსაზრისების/პოზიციების შესახებ და აფასებს, რამდენად დამაჯერებელი და ეფექტურია არგუმენტაცია;
- საკუთარი პოზიციის/მოსაზრების დასაბუთებისას იყენებს პირდაპირი (მაგ., *არგუმენტებიდან გამომდინარე დასკვნით ამტკიცებს თეზისს ანუ დებულებას*) და ირიბი (მაგ., *საწინააღმდეგო დებულების მტკიცებით ასაბუთებს ძირითად დებულებას*) დასაბუთების ხერხებს;
- არგუმენტების წარმოდგენისას იმოწმებს სხვადასხვა წყაროს (მაგ., *ფაქტები ისტორიიდან, მეცნიერებიდან, პრესა, ინტერნეტი და ა.შ.*);
- აანალიზებს და აჯამებს განსხვავებულ შეხედულებებს მოცემულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებით და გამოაქვს ადეკვატური დასკვნა.

**ქ.მ. XII.14. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს შესაბამისი ენობრივი საშუალებები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მიზნისა და მკითხველის გათვალისწინებით ირჩევს წერილობითი ტექსტის დიზაინს (მაგ., *ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა, ტექსტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფა, ნაწილების დასათაურება და სხვა*) და სათანადოდ აფორმებს სხვადასხვა სახის მიზნობრივ ტექსტს;
- განსხვავებული თვალსაზრისების წარმოსაჩენად შეარჩევს სპეციფიკურ ლექსიკას (მაგ., *სათანადო დარგის პროფესიულ ტერმინოლოგიას, სიტყვათშეხამებებს, ფრაზებს, ენობრივ ფორმულებს და სხვა*);
- იცავს მასალის დამოწმების წესებს: ციტირება, პერიფრაზირება (*ციტატას სვამს ბრჭყალებში, მიუთითებს ავტორს, თხზულებას, გამოცემის წელს, გვერდს*);
- სათანადოდ იყენებს ირიბი ნათქვამის გამომხატველ ფორმებს;
- ტექსტის შექმნისას მართებულად იყენებს აღწერითი და მსჯელობითი ხასიათის ტექსტისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს; ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა ფორმებს; ჩართულ სიტყვებსა და გამონათქვამებს და სხვა;
- გადაჰყავს I პირში მონათხრობი III პირში;
- იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის ნორმებს.

**ქ.მ.XII.15. მოსწავლეს შეუძლია მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით მხატვრული ტექსტის შექმნა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს მოთხრობას მოცემული სათაურის, თემის, იდეის, კონკრეტული წინადადების მიხედვით;
- წერს იგავს კონკრეტული მორალური სენტენციის საილუსტრაციოდ;
- მოცემული დასაწყისის მიხედვით აგრძელებს თხზულებას ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- წერს ტექსტის ან რომელიმე ეპიზოდის ანალიზს (*განსაზღვრავს იდეას; ახასიათებს პერსონაჟებს - ქმნის ფსიქოლოგიურ პორტრეტს კონკრეტული კონტექსტის მიხედვით, აანალიზებს მათ დამოკიდებულებას არსებულ კონფლიქტთან და ა.შ.; აანალიზებს ისტორიულ ეპოქას სხვადასხვა კუთხით და სხვა*).

**ქ.მ.XII.16. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი მხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით ირჩევს წერილობითი ტექსტის შესაფერის სტილსა და ფორმას;



Mascavl_Cigni_Done-12 _ 122

- იყენებს სხვადასხვა ჟანრისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ელემენტებს და იცავს მათთვის დამახასიათებელ ინტონაციას;
- სათანადოდ იყენებს ერთი ტექსტის ფარგლებში ფუნქციურ სტილთა შესაძლო მონაცვლეობას, როცა ერთმანეთს ენაცვლება თხრობა, მსჯელობა, აღწერა;
- ადეკვატურად იყენებს თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს და ამ კონსტრუქციების კავშირებს;
- აღწერა-დახასიათებისას მართებულად იყენებს შესაბამის ლექსიკასა და სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (*სინონიმები, ანტონიმები*);
- კონტექსტის მიხედვით სათანადოდ იყენებს მისთვის კარგად ნაცნობ მყარ შესიტყვებებსა და ფიგურალურ გამოთქმებს (მაგ., *იდიომები, ფრაზეოლოგიზმები და სხვა*);
- შუალობითი კონტაქტის გამოსახატავად იყენებს სხვადასხვა საშუალებას (მაგ., სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს: ***...-ის** თხოვნ**ით** / სურვილით /ბრძანებით/იძულებით; ზმნის შესაბამის ფორმას: აწერ**ინ**ებს, აცვლ**ევინ**ებს*);
- სწორად განსაზღვრავს და სათანადო ბრუნვის ფორმით წარმოადგენს სუბიექტ-ობიექტებს შუალობითი კონტაქტის შემცველ ზმნურ კონსტრუქციაში (მაგ., *კაცმა ააშენებინა მშენებელს სახლი*);
- იცავს რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურას (მაგ., *დამოკიდებული წინადადების ადგილს განსაზღვრავს მისი ფუნქციის გათვალისწინებით: იმის მიხედვით, როგორია დროული მიმართება მთავარსა და დამოკიდებულში გადმოცემულ მოვლენებს შორის; საკავშირებელი სიტყვების გათვალისწინებით და სხვა*);
- შესაბამისი ინტონაციისა და აზრობრივი აქცენტის გადმოსაცემად სათანადოდ იყენებს კითხვა-ძახილის ნიშანსა და მრავალწერტილს;
- იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის ნორმებს.

**ქ.მ. XII.17. მოსწავლეს შეუძლია წერის პროცესის ყველა ეტაპზე (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება) შედეგის გასაუმჯობესებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დასმული საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით, მეხსიერებაში მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, ანუ გააქტიურებს საჭირო ცოდნას (*როგორც ენობრივს, ისე რიტორიკულსა თუ თვით სიუჟეტთან დაკავშირებულს*);
- საჭიროების შემთხვევაში რესურსებში მოიძიებს დამატებით ინფორმაციას.
- მიმართავს გონებრივ იერიშს და ჩამოწერს ყველა იდეას, რომლებიც საწერ თემატიკასთან დაკავშირებით მოუვა აზრად;
- შეარჩევს ინფორმაციებსა და იდეებს, მოიფიქრებს, თუ როგორ დააკავშირებს მათ ერთმანეთთან, ანუ შეიმუშავებს გეგმას;
- წერს ტექსტს გეგმაზე დაფუძნებით;
- ტექსტის წერის პროცესში მუდმივად აკვირდება ნაწერს; განსჯის, რამდენად ახერხებს სათქმელის გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოცემას, სჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება - ახდენს გეგმის თავისებურ რეორგანიზებას, ამატებს ან აკლებს ინფორმაციას და სხვა;
- ნაწერის შესწორებისას მუდმივად ინარჩუნებს კომუნიკაციას თავის მკითხველთან, ცდილობს ადრესატის ანუ პოტენციური მკითხველის თვალთახედვით შეაფასოს, რამდენად ეფექტურად აისახა ნაწერში საკომუნიკაციო მიზანი;
- ასწორებს იმ ენობრივ და შინაარსობრივ ხარვეზებს, რომლებმაც შეიძლება მკითხველს პრობლემები შეუქმნას და, გარკვეულწილად, შეაფერხოს კომუნიკაცია. შესაბამისად, ამატებს ან ამოიღებს სიტყვას, წინადადებას, ტექსტის ერთ მონაკვეთს, ასწორებს გრამატიკულ ან ორთოგრაფიულ შეცდომებს;
- ცდილობს გაამდიდროს ნაშრომი ახალი ინფორმაციით (ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვალოს გეგმა, შეცვალოს ტექსტი და სხვა);
- აკითხებს თანაკლასელს, მისი შენიშვნების გათვალისწინებით აუმჯობესებს ნაწერს;
- ნაწერს გადაათეთრებს;
- იხსენებს, სხვა საგნებში რა ტიპის სტრატეგია გამოუყენებია ტექსტის შედგენისას, ადარებს ძველ და ახალ გამოცდილებას, გამოაქვს დასკვნები;
- მსჯელობს, რომელ სასწავლო თუ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეიძლება გამოადგეს გამოყენებული სტრატეგიები.

## ლაპარაკი

**ქ.მ. XII.18. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში წინასწარი მომზადების გარეშე მონაწილეობის მიღება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სთავაზობს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან (მაგ., *კარგი იქნებოდა, ეს რომ გაეკეთებინა*);
- მკაფიოდ ხსნის, რატომ ვერ შეასრულებს თხოვნას, კონკრეტულ დავალებას (მაგ., *რატომ არის მისთვის ეს ძნელი, მიუღებელი* და ა.შ.);
- ხსნის წამოჭრილი პრობლემის არსს;
- მოითხოვს საკუთარი პრეტენზიების, პირობების შესრულებას და ასახელებს სათანადო მოტივს;
- დეტალურად განმარტავს საკუთარი ქცევის მოტივს;
- ადეკვატურად და მკაფიოდ პასუხობს კითხვებზე.

**ქ.მ. XII.19. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემებზე/საკითხებზე წინასწარი მომზადების გარეშე გაბმულად საუბარი.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ყურადღებას ამახვილებს არსებით მომენტებსა და მნიშვნელოვან დეტალებზე;
- დაწვრილებით აღწერს საკუთარ გამოცდილებას, ან მასთან დაკავშირებულ რეაქციებსა და განცდებს;
- დაწვრილებით აღწერს მოულოდნელ შემთხვევებსა და მათთან დაკავშირებულ რეაქციებსა და განცდებს;
- აღწერს საკუთარ ოცნებებს, იმედებს, მისწრაფებებს;
- აკეთებს კონკრეტულ არჩევანს და განმარტავს მის პოზიტიურ მხარეებს;
- სხვადასხვა მხრიდან წარმოაჩენს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეს;
- იძლევა საკუთარი გეგმებისა და მოქმედებების განმარტებებს.

**ქ.მ. XII.20. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ პრობლემურ საკითხზე არგუმენტირებულად მსჯელობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით გადმოსცემს სათქმელს;
- ინფორმაციას ყოფს აზრობრივ მონაკვეთებად და, შესაბამისად, საუბრისას იცავს აზრობრივ თანამიმდევრობას;
- საკუთარი პოზიციის/მოსაზრების დასაბუთებისას იყენებს პირდაპირი (მაგ., *არგუმენტებიდან გამომდინარე დასკვნით ამტკიცებს თეზისს ანუ დებულებას*) და ირიბი (მაგ., *საწინააღმდეგო დებულების მტკიცებით ასაბუთებს ძირითად დებულებას*) დასაბუთების ხერხებს;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს სათანადო არგუმენტები (*ფაქტები - ლიტერატურული, ისტორიული, ცხოვრებისეული, სტატისტიკური, მეცნიერული; ავტორიტეტები - ცნობილი ადამიანების აზრები და გამონათქვამები და სხვა*);
- ცალკეული მსჯელობიდან გამოაქვს ადეკვატური დასკვნა;
- მოჰყავს დამატებითი მტკიცებულებები საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად;
- რეაგირებას ახდენს სხვათა არგუმენტებზე (მაგ., *იძლევა კონტრარგუმენტებს, კონკრეტულად სცემს პასუხს მოსაუბრის მტკიცებულებებს*);
- აფასებს ალტერნატიულ წინადადებებს;
- ზუსტად და მკაფიოდ პასუხობს თემის/პრობლემის ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე.

**ქ.მ. XII.21. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივი საშუალებების ფუნქციურად გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკომუნიკაციო ამოცანის, მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის სტილს;
- სწორად განსაზღვრავს სიტყვათა რიგსა და წინადადების მოდალობისათვის დამახასიათებელ ინტონაციას;
- მსმენელის ყურადღების მისაპყრობად იყენებს ეფექტიანობის გასაძლიერებელ ენობრივ საშუალებებს (მაგ., *მსმენელისადმი პირდაპირი მიმართვის ფორმებს - მიაქციეთ ყურადღება; თუ დააკვირდებით; მოდით, ვნახოთ* და ა.შ. *ჩანართებს, რიტორიკულ შეკითხვებს* და *სხვა*);
- პირობის, ალბათობის, ვარაუდის გამომხატველ წინადადებებში სათანადოდ იყენებს საჭირო სინტაქსურ კონსტრუქციებს, მოდალურ ელემენტებს, შესაბამის ლექსიკას და სხვა;
- სქემატური აღწერისათვის იყენებს მარტივი წყობის ნომინალურ წინადადებებს;

**ქ.მ.XII.22. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (*მხედველობითი კონტაქტი, ხმის აწევ-დაწევა, ჟესტიკულაცია და სხვა*);
- ტექსტის შინაარსის შესაბამისად მნიშვნელოვან აზრს/პოზიციას წარმოთქვამს ნელა და ხმამაღლა, დამარცვლით, ლოგიკური მახვილის გამოყენებით და ა.შ.;
- აუდიტორიასთან ამყარებს კონტაქტს (მაგ., *მხედველობითი კონტაქტი; ერთი ნაწილიდან/საკითხიდან მეორეზე გადასვლამდე აკეთებს პაუზას და ინტერესდება, აქვთ თუ არა კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით*);
- წინასწარ ამზადებს საჭირო რესურსს, თავს უყრის მოდელებს, გამოთქმებს, კლიშეებს, საკვანძო სიტყვებს;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- გაუგებრობის შემთხვევაში ითხოვს განმარტებას, ნელა და გარკვევით წარმოთქმას, გამეორებას;
- სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში იყენებს საკომპენსაციო საშუალებებს (მაგ.: *მიმიკა, ჟესტიკულაცია, პერიფრაზირება; აღწერს ნაგულისხმებ საგანს, ან მიუთითებს, რაში გამოიყენება და სხვა*);
- სამეტყველო ამოცანების გადასაჭრელად იყენებს სხვა ენებზე მიღებულ გამოცდილებას;
- აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატებას, ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად სახავს გამოსწორების გეგმას.

## სწავლის სწავლა

**ქ.მ. XII. 23. მოსწავლეს შეუძლია პროექტის (მაგ., შეხვედრის მოწყობა ცნობილ ადამიანთან, დებატების მოწყობა და სხვა) განხორციელების ხელშესაწყობად მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მასწავლებელთან ერთად აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორცილების კრიტერიუმებს;
- გუნდის წევრებთან ერთად განსაზღვრავს და გეგმავს განსახორციელებელ ეტაპებს, შემდეგ გუნდები ერთმანეთს უზიარებენ შედგენილ გეგმას, ადარებენ, აუმჯობესებენ;
- მასწავლებელთან ერთად ადგენს შესრულების ვადებს;
- ახდენს ცოდნისა და უნარების მობილიზებას; განსაზღვრავს, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს დასმული ამოცანების გადასაჭრელად;
- პროექტის განხორციელებამდე გუნდის წევრებთან ერთად განსაზღვრავს და ინაწილებს ფუნქციებს;
- შეარჩევს პროექტის წარდგენის ფორმას;
- განახორციელებს პროექტს;
- გადის რეპეტიციას, აკეთებს პრეზენტაციის სიმულირებას სხვა გუნდის წინაშე კომენტარების, შენიშვნების გათვალისწინებით;
- აუმჯობესებს პროექტს, შეაქვს შესწორებები.

**ქ.მ. XII.24. მოსწავლეს წარმატებული სწავლების ხელშესაწყობად და ენების ათვისების გასაადვილებლად გამომუშავებული აქვს სტრატეგიული უნარ-ჩვევები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს მრავალფეროვან (*კოგნიტურ, ემოციურ* და *მეტაკოგნიტურ*) სტრატეგიებს კომუნიკაციური და ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებისა და განმტკიცების ხელშესაწყობად;
- იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს ენების სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად;
- ეფექტურად იყენებს რესურსებს სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- იყენებს პროექტის შექმნის სათანადო სტრატეგიებს;
- მოსწავლე თანამშრომლობს თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მეწყვილესთან შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

## XII დონის პროგრამის შინაარსი

<table>
<tr><th>პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები</th><th>ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები</th><th>ძირითადი ენობრივი საკითხები</th></tr>
<tr><td>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, წარდგენა, მოკითხვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება</td><td>უკაცრავად შეწუხებისათვის!<br>ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ!<br>გემშვიდობებით! ბედნიერად!<br>უმორჩილესად გთხოვთ, + II კავშირებითი;<br>მახარებს შენი წარმატება!<br>(თურმე) მშვენივრად შეგძლებია!<br>უდიდეს (უღრმეს) მადლობას მოგახსენებთ!<br>მომიტევეთ!</td><td rowspan="6">მორფოლოგია/სინტაქსი<br><br>1. ზმნა: მისი როლი წინადადებაში;<br>ზმნის მარტივი და რთული (I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი) ფორმები;<br>თავისებური ზმნები და მათი წარმოება;<br>დრო-კილოთა ურთიერთმიმართება რთულ წინადადებაში (მაგ., აქ რომ ვყოფილიყავი, არ გააკეთებდა);<br>2. კავშირები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში;<br>3. რთული სინტაქსური კონსტრუქციები (რამდენიმე დამოკიდებულიანი რთული წინადადებება);<br><br>ორთოგრაფია/პუნქტუაცია<br>1. რთულფუძიანი ზმნების მართლწერა;<br>2. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში.<br><br>ლექსიკა<br>1. იდიომატური გამოთქმები, ფრაზეოლოგიზმები;<br>2. ჩართული, დანართი.<br><br>ტექსტის ლინგვისტიკა<br>1. ტექსტის ძირითადი ფუნქციონალური ტიპები (აღწერითი, თხრობითი, მსჯელობითი, კონტამინირებული);<br>2. მეტყველების სტილი (მხატვრული, სამეცნიერო, პუბლიცისტური და ოფიციალურ-საქმიანი);<br>3. მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია (I პირის მეტყველება და მისი თავისებურებები; II პირის მეტყველება, მისი გამოყენება და თავისებურება);<br><br>4. დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირება და მისი საშუალებები (კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები და სხვა);</td></tr>
<tr><td>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, პროფესია/ ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, შეგრძნებები, გემოვნება</td><td>ვისურვებდი, რომ ასე + II კავშირებითი;<br>განზრახული მაქვს (გვაქვს), + II კავშირებითი;<br>მინდოდა/უნდა + II თურმეობითი (რა მექნა), მაგრამ + არ/ვერ აწმყო/ წყვეტილი / მყოფადი;<br>ვალდებული ხარ, რომ + კავშირებითი</td></tr>
<tr><td>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</td><td>ისეთი – თითქოს (მაგ., ისეთი მშვიდია, თითქოს არც გაბრაზებულა);</td></tr>
<tr><td>1.4. გრძნობა/ ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/ უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, ირონია, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</td><td>გამაოგნებელია!<br>სახტად დავრჩი! გავოგნდი!<br>ვიმედოვნებ, რომ ...<br>მნიშვნელობა (აღარ) აქვს იმას, რა + წყვეტილი / II კავშირებითი / I თურმეობითი;<br>მნიშვნელობა (აღარ) აქვს იმას, (თუ) რას + აწმყო, მყოფადი, ხოლმეობითი;<br>არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ... ;<br>უკეთესადაც შეიძლებოდა!<br>ბრწყინვალეა! ფანტასტიურია!<br>ჩემზე დიდი (არც ისე დიდი) შთაბეჭდილება მოახდინა (არ მოუხდენია)!</td></tr>
<tr><td>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</td><td>როცა/როდესაც – (მაშინ/მაშინვე) და სხვა.<br>უნდა – როცა/რომ ( მაგ., უნდა გამეკეთებინა, რომ მოვიდა) და სხვა.</td></tr>
<tr><td>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა</td><td>საიდანაც – იქიდან (მაგ., საიდანაც მოვიდა, ისიც იქიდან არის);<br>საითაც (საითკენაც) – იქით (იქითკენ) (მაგ., საითაც წახვალ, მეც იქით წამოვალ) და სხვა.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა:** მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი | **რომ + მყოფადის კავშირებითი** (რას ვიზამდე?), **+ მყოფადის კავშირებითი** (მაგ., რომ გავაკეთებდე, კარგი იქნებოდა);<br>**(მას შემდეგ) რაც – სულ ...** (მაგ., მას შემდეგ, რაც ეს მოხდა, სულ სახლშია);<br>**ან – ან არადა** (ან კიდევ) (მაგ., ან გააკეთე, ან არადა საერთოდ გაჩერდი);<br>**უკვე – თუ ჯერ კიდევ:** (უკვე) + წყვეტილი, თუ ჯერ კიდევ + აწმყო / (არ) I თურმეობითი (მაგ., უკვე გააკეთა, თუ ჯერ კიდევ აკეთებს / არ გაუკეთებია) და სხვა. | |